

114  
1947/2



# მნათობი

7

---

თბილისი



# მნათობი

სრულიდ-საქართველოს საბჭოთა მჭირლების  
კავშირის ეკველთვიური სალიბეკატორ  
სახელმწიფო და საზოგადოებრივ-საკოლიბიკო  
ურსალი

წელიწადი ოცდაგეოთხე

4302  
4375

7



19

ს ა ბ ე მ ბ ა მ ი  
ივლისი

საქართველოს  
კავშირების  
სახელმწიფო  
47

ილო მოსაზილი

## მათ გაჰარჯვება!

თქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
სესიაზე

★

ომი გათავდა, გახსოვთ — მტრის ურდოს  
რითაც დაეხედით და რითაც ვუძლებდით?  
ის ჩვენი ქვეყნის დოვლათი იყო,  
— ჩვენი გმირული სამი ხუთწლელი.  
მას ჰქმნიდა ხალხის უკვდავი ხელი,  
შრომა — ეს ქვეყნის სიმტკიცის დედა;  
მტრის თავზე რკინის წარღვნა რომ სწვიმდა, —  
ის რკინა სამმა ხუთწლედმა სქედა.  
და აი, ისევ გაჩაღდა შრომა,  
ისევ ამღერდა გრდემლთან მქედელი,  
ხარაჩოები აღიან ცამდე  
და ემატება კედელს კედელი.  
ნუნღში გუთანი მიჰყვება გუთანს,  
აღარ ეხსნება მადლიან მიწას,  
გუთანმაც იცის, პური და რკინა —  
ორივე შობელ ქვეყანას იცავს.  
გახსოვს, ჭართველო, შენი პირობა, —  
ბელადისადმი ფიცით რომ ითქვა.  
უნდა ზეინად და ზეავად აქციო  
შენი კაცური აზრი და სიტყვა.  
უნდა უძრავი ბელტები დასძრა,  
უნდა ყამირებს ახსნა ბეგთარი, —  
სამშობლო ქვეყნის ბელლად აქციო  
ჭართული მიწის თითო ჰექტარი;  
უნდა მტევანი მტკავლით გაზომო,  
უნდა გაათბო თითო მარცვალი,  
რომ ჩვენმა მიწამ გულუხვად მოგცეს —  
მის კეთილ გულში მადლი რაც არი.  
ბელადისადმი სიტყვა ფიცია,  
ამ ფიცით ომის ცეცხლსაც უძლებდი,  
შენი სიტყვა რომ საქმედ იქცევა —



ქართული  
საქმიანობა

ეს წმინდა საქმე არის ხუთწლედ!  
 რკინის მდნობელო, დაზვის ოსტატო,  
 ქვის მჭედელო და მუშა-ხარატო, —  
 ლენინგრაძელებს რომ ეჯიბრები,  
 შენს კაცურ სიტყვას არ უღალატო!  
 შრომის გუგუნი ედება ქვეყნის  
 ყველა ხარაჩოს, ყველა მაღაროს,  
 მას გამარჯვება, — გმირული შრომით  
 სამშობლოს გული ვინც გააზაროს!  
 ვინც ააჩქაროს რუსთავის ცეცხლში  
 ქართული რკინის უღევად დენა!  
 ვინაც სამგორის დამწვარ მიწაზე  
 ივრის წყაროებს აუღვას ენა;  
 ვინც ზრამქვისიდან წამოსულ ელვას  
 თბილისის თაეზე გაუღოს კარი,  
 ვინც შეაჩეროს მტკვარი მესამედ  
 და კვლავ სინათლედ აქციოს მტკვარი...  
 მათ გამარჯვება—კოლხიდის ბაღნარს  
 რომ აცილებენ ზაშმიან ტბორებს,  
 ალაზნის ველის დაგვალულ მინდვრებს —  
 რომ უმარჯვებენ ალაზნის მორევს!  
 მათ გამარჯვება გმირებს, მშენებლებს...  
 რამდენ მარჯვენას აწყავს კედლები!  
 რამდენ თაღსა და ჩუქურთმას სთლიან  
 დიდი ხუთწლედის ოქრომჭედლები!  
 დიდება სტალინს! ეს გზა დიადი  
 მისმა უკვდავმა ხელმა დახატა!  
 როგორც დახატა ჩვენი სამშობლო  
 და მთელი ქვეყნის ნატვრად გახადა!  
 დიდება სტალინს! მისი ნათელი  
 როგორ მალღდება, როგორ დიდდება!  
 დიდება სტალინს, ჩვენს სიამაყეს,  
 ხალხის საყვარელ სტალინს დიდება!

საქართველოს

## თავბადასავალი ბესიკ გაბაშვილისა

რომანი \*

★

თითქოს ყველაფერი მზად იყო გასამგზავრებლად, მაგრამ ლეონმა იანვრამდე მაინც ვერ მოახერხა თბილისიდან გასვლა. ერეკლეს ბრძანებით ლეონს და ანტონს თითოეულს ოცდაათი კაცი უნდა ხლებოდა ამაღლად, ლეონს ათი თავადი და ოცი აზნაური, ზოლო ანტონს—ათი ეპისკოპოსი და ოცი მღვდელი. ამ მსლებელთა უმრავლესობას კიდევ თავიანთი მსახურები ახლდნენ; მზარეულები, ხაბაზები, მეჯინიბენი, მექარაგუნენი და ექვსასი კაციისაგან შემდგარი მცველი რაზმი. ყველა ამათთვის საჭირო იყო უამრავი ბარგიბარხანის, სურსათსანოვების საპალნეებად შეკვრა და გამზადება. განსაკუთრებით ძნელი იყო თვით ლეონის პირადი ბარგის ჩალაგება, რასაც ბესიკი ხელმძღვანელობდა. ბესიკს, როგორც ბატონიშვილის მეითარს, ზეპირად უნდა სცოდნოდა, თუ სად იყო ჩალაგებული ლეონის ყოველი ნივთი ან ტანსაცმელი, რომ საჭიროების შემთხვევაში ბევრი არ ექებნა და უცბად მოენახა. ლეონს კი მარტო სამოცამდე სხვადასხვა სახის ტანსაცმელი მოჰქონდა.

ბოლოს, ოთხ იანვარს, როგორც იქნა, ყოველივე გამზადდა და გადასწყვი-

ტეს ხუთ იანვარს დილით გზას გასდგომოდნენ, ამინდიც შესაფერი დაიქირა, მზიანი, თბილი და ისე მოწმენდილი, რომ თბილისიდან შორეული მყინვარწყვერიც კი მოჩანდა.

სალამოს ერეკლემ ბრძანა სიონში პარაკლისი გადაეხადნათ და შორს მიმავალ მგზავრებისთვის გზა დაელოცნათ. ყველანი ტაძრისაკენ გაემართნენ, სადაც მათ უკვე ელოდებოდათ შემოსილა სამღვდელთაგან თბილელის მეთაურობით.

თვით კათალიკოსი მცხეთაში ბრძანდებოდა და ის გზაში უნდა შეერთებოდა ლეონს თავისი ამალით.

სიონი დიდებულებით და ცნობისმოყვარე მოქალაქეებით გაიჭედა. ბესიკი, თუმცა ლეონის ახლო უნდა მდგარიყო, მაგრამ მან ირჩია სულ ბოლოში დგომა და განმარტოებული ისმენდა წირვას. მას არ სურდა მაინცდამაინც თვალში მოხვედროდა ერეკლეს, რომელსაც ბოლო ხანებში თავს არიდებდა. ბესიკისათვის ახლა უფრო ხელსაყრელი იყო თუ ერთ-ორ წელიწადს სრულიად არ დაენახებოდა მეფეს, სანამ მას კვლავ მოუბრუნდებოდა გული და ჰაბუჯ მგოსანს ისევ წყალობის თვალით შეხედავდა. ამიტომ ბესიკი სიხარულით მიისწრაფოდა რუსეთისაკენ და ლეონზე უფრო ეჩქარებოდა თბილისიდან გამგზავრება. მას ახლა

\* გაგრძელება. „მნათობი“ № 6.



ორივეს სიცილი წასკდათ, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავეს და შეშინებულად მიმოიხედეს, ხომ არაინ შეგვნიშნა რამეო. ამ დროს ვიდაკამ მკლავში ხელი მოჰკიდა ბესიკს, თავისკენ მიახედა და ანიშნა გაპყლოდა.

ბესიკმა გაკვირვებით შეათვალიერა გრძელუღვაშებიანი ქალაქურად ჩაცმული მამაკაცი და როდესაც ორივენი ეკლესიიდან გარეთ გავიდნენ, მხოლოდ მაშინ იცნო ანას მეციხოვნე მგელიკა. გოცებელი შედგა, ცოტა უკან დაიხია და ახლადმოსული თავიდანფეხებამდე შეათვალიერა.

— დაიცა, ერთი კარგად შეგათვალიერო. ეს რა ჩაგვიკვამს?..

— ქალბატონმა მიბრძანა ასე ჩამეცვა. სასაცილო ვარ?

— საიდან, როგორ?

— ახლაზან მოვედით. ჩემთან უნდა წამოხვიდე.

— სადა, რისთვის?

— ყველაფერს გზაში მოგახსენებ. განა შორს მივდივართ. აგერ სულ ახლო, სეიდაბადის ბოლოს. იცი რამდენი გექმებე. სასახლეში ჯერ მითხრეს— რა ვიცით სად არისო, მერე მითხრეს, რუსეთს წავიდაო, ეგ რა უთაური ხალხი გყოლიათ.

— მისი ბრწყინვალეობა ქალბატონი ანა როგორ ბრძანდებდა?

— კარგად. რა უშავს.

— ხომ დბანისშია? რაც ქმარი გარდაეცვალა ალბათ გარეთ აღარ გამოდის. ჯერ ხომ ორმოცი არ შესრულებულა.

— ქალბატონი?—მგელიკამ ბესიკს გადახედა და გაიღიმა.—ქალბატონი აქა ბრძანდებდა. სწორედ იმან მიბრძანა ბესიკი მომგვარეო...

— აქა ბრძანდებდა?—ბესიკი სადავემონიღული ცხენით შედგა და თავი აიქნია.—მერე სადღა მივდივართ?

— არა, სასახლეში არ არის. სეიდაბადის ბოლოს საკუთარი სახლი აქვს, წინათ გაქირავებული ჰქონდა, ახლა

თავისთვის დაინარჩუნა და იქ დადგა. ქალაქშიაც პირშეხეულნი, ხიდრიანი, შემობრძანდა და გვიხედავდა. ახლაზე არაეის არ გააგებინებოდა. მერე მე მიბრძანა, წადი და ახლავე ბესიკი აქ მომგვარეო. ეს ქალაქური კაბაც იმან მაყიდვინა. წავიდეთ, რას დაედექით?

ორივემ გზა განაგრძეს. ბესიკი ახლა ხმაამოუღებლად მიიბრძანებდა და აღარც კი უგდებდა ყურს მგელიკას, რომელიც დაუღალავად ლაქლაქებდა. ორივემ ჩქარა გაიარეს თათრის მოედანი, დაბახანის ხიდი. აბანოების შუკას გასცდნენ და მარჯვენაე აუხვიეს. იქ ერთ სპარსულად ნაგებ სახლს მიადგნენ, რომელიც მაღალი გალავნით იყო შემოზღუდული და არცერთი ფანჯარა არა ჰქონდა ქუჩის მხარეს. ეზოში ბაღია უნდა ყოფილიყო, რადგან გალავნის თავზე მოჩანდა ფიჩხის კონებივით ფოთოლდაცვნილი ხეთა ტოტები.

მგელიკამ კარი გააღო და ბესიკს ეზოში შეუძღვა. ხელით აივინსკენ ანიშნა, სახლში შესულიყო და თითონ გალავნის კარებთან დაჩა სადარაჯოდ.

ანა ტახტზე წამოწოლილი დაუხვდა ბესიკს. ტანთ აბრეშუმის შავი კაბა ეცვა, მონაზონისებური, რომელიც სანათლის შუქზე სველივით ლაპლაპებდა. კუთხეში გულგარდისა ფათურობდა. ბესიკის დანახვისთანავე გულგარდისა მაშინვე გარეთ გავიდა, ხოლო ანამ ოდნავ წამოიწია და ბესიკს ხელი გაუწოდა.

— აქ მოდი, ერთი თვალით დამენახე.—ანამ ზემოდან დახედა ბესიკს, რომელიც მოწინებით ემთხვია ხელზე. — დაღლილი რომ არ ვიყო, გცემდი.

— ღირსიც ვარ ცემისა, მაგრამ უნდა შეშინდოთ. ლეონის ბრძანებას ვერ გადაველ, თორემ თქვენი მეუღლის დაქრძალვას როგორ ვერ დავესწრებოდი...

— აჰ, ეგ არაფერი, — ანა ნერვიულად წამოიჭრა ტახტიდან, ფეხები ფოსტლებში წადგა და ბესიკს ანიშნა მის გვერდით დამჯდარიყო. — შენ თურმე რუსეთს აპირებდი გაპარვას, მართალია?

— გაპარვას? ბატონიშვილს უნდა ევახლო. მე ხომ მას ვმსახურებ.

— მე არ გაგიშვებ.

— ეგ როგორ იქნება, თქვენო ბრწყინვალებავ, განა ჩემი ნებაა?

— არ გაგიშვებ. შენ ჩემთან უნდა იქნე. ჩემი უნდა იქნე. იცი, ბესიკ, მე ერთ წუთს არ შემოძლია უშენოდ ყოფნა. აი ახლა, დბანისში, მარტოღმარტო, კინალამ გავგიყვდი ამოდენა მამულეების პატრონი ვარ, სოფლები, სასახლეების და რად მინდა ყოველივე. ჩემთან წაგიყვან, მოურაობას გიბოძებ და შენ იქნები ყველაფერის ბატონ-პატრონი. ეიქნებით ერთად... — ანას თითქოს ეჩქარებოდა და, რაც სათქმელი ჰქონდა, ერთად უნდოდა ეთქვა. ამიტომ დაულაგებლად ნაწყვეტნაწყვეტად ისროდა წინადადებებს, თან ბესიკსკენ ისე მიიწვედა, თითქოს ის გაქცევას აპირებდა და დროზე სურდა ზელი ჩაეგლო, რომ არსად არ გაეშვა.

ბესიკიც ისეთი შეშინებული თვალებით უცქეროდა ანას, ვითომ მართლა აპირებდა უცბად წამოხტომას და თავქუდმოგლეჯილი უგზოუკვლოდ გადაეკარგვას. მართალია, ანა ამ შავსა და უბრალო ტანსაცმელში უფრო ლამაზად და სრულიად ახალგაზრდად გამოიყურებოდა, მაგრამ ამ თავისებურმა მოძალეებამ უცბად აუყარა გული ბესიკს. მას ახლა ანა ვნებააშლილ დედაბერად ეჩვენებოდა და უნებურად გაახსენდა ამზად გაგონილი თეიმურაზის მიერ მეორე ქალის შერთვის შემთხვევა. დაქვრივების შემდეგ, ორი კვირაც კი არ იყო გასული, რომ თეიმურაზმა ცოლი შეირთო და ამით სპარსეთის ყანის ნადირ-შაჰის რისხვა დაიშახტრა. „ნუთუ არ შეგეძლო დაწე-

სებული ორმოცი დღე გეგლეოვო“, — მოსწერა თურმე ნადირმა, საქართველოს მეფეს. თეიმურაზმა მსმტყვეშიც არ იშლიდა აშოკობას. „საქართველოში ყოფნის დროს სამოცი წლის მოხუცი სიყვარულის ცეცხლით აღსავსე ლექსებს უძღვნიდა ბარბარე ბუტურლინის ქალს.

„ანაც მამამისს ემგვანა, — გაუღელვა ბესიკს, — ავხორცობით, პირწავარდნილი თეიმურაზია. დაქვრივდა და ორმოცი დღეც კი არა სურს იგლოვოს. ღმერთო, ეს სიკვდილამდე აღარ გამიშვებს...“

— თქვენო ბრწყინვალებავ, ჩემს თავს არა ვნადვლობ, თქვენ დაიღუპებით...

— არაფერიც. თუ დავიღუპები, შენთან ერთად...

— ქვეყანა გაიგებს...

— ჭირსაც წაულია მთელი ქვეყანა. მოდი აქ ახლოს, ზელი მოგხვიო. აი ასე. შენზე მე გაჯავრებული ვიყავ. მე მეგონა, რომ შენ... — ანა შედგა, ვერ გაბედა ეთქვა „ანიკო გიყვარდაო“, — „შენ სხვა გიყვარდა. ხომ ვცდებოდი... მართალი მითხარი...“

— სცდებოდი...

— დაიფიცე...

— ფიციავ... ღვთისმშობლის სახელს, ფიციავ, რომ... მაგრამ, თქვენო ბრწყინვალებავ...

— რად არ იფიცავ?... შე ეშმაკო, შენა. რად არ იფიცავ?..

— თქვენო ბრწყინვალებავ, რა გადაურჩება ერეკლეს რისხვას, მან რომ ყოველივე გაიგოს...

— ვერაფერსაც ვერ გაიგებს. თუ გაიგებს და აბა ერთი გაბედოს რაიმე, თვალებს ამოვკაწრავ. გამიგონე, ბესიკ, მე შენი გულისათვის ჩამოველ თბილისში. დღესვე შენს თავს გამოვთხოვ ბატონიშვილ ლეონს და ზვალ კი დბანისში წავიდეთ...

— ეგ შეუძლებელია, თქვენო ბრწყინვალებავ.

ანამ უცბად გულზე ხელი ჰკრა ბესიკს, ოდნავ უკან დაიხია და მრისხანე თვალები შეანათა.

— შენ უარს ამბობ?

— თქვენო ბრწყინვალეებავ...

— შენ უარს ამბობ?

— თქვენო ბრწყინვალეებავ,—ბესიკი უცბად ფეხზე წამოიჭრა და ხანჯალზე ხელი წაივლო,—მე ისღა დამრჩენია, რომ ჩემი სიტყვების დასადასტურებლად თქვენს წინაშე გული გავიგვიმირა.

იელვა ხანჯალმა და ცივად იკივლა ანამ. მაჯაში მისწვდა ბესიკს და ხელი მოუტყობდა.

ოთახში მოახლე შემოვარდა, მაგრამ ანამ იგი ხელის აქნევით ისევ გარეთ გააგდო და ბესიკს მიუბრუნდა:

— ხელი გაუშვი ხანჯალს. აგრე. ახლა დაგეჭქ და მითხარ, რისთვისაა შეუძლებელი შენი ჩემთან წამოსვლა?

ბესიკი სდუმდა. ანა მძიმედ სუნთქავდა და დაეინებული უცქეროდა ბესიკს. ხელში ვერცხლისტარიანი პატარა ხანჯალი უღაპლაპებდა.

— რისთვისაა შეუძლებელი? — ანა მისწვდა ბესიკის ქამარზე დაკიდულ ქარქაშს და ხანჯალი შიგ წყნარად ჩააგო.—მითხარი, რად დადუმებულხარ?

— ნუთუ თქვენ თითონ ვერა გრძნობთ, ჩემო მეუღევე, რომ ეგ შეუძლებელია. რა უნდა მოვახსენო ბატონიშვილს, რა უნდა მოვიმიზეზო?..

— უთხარი, რომ შეუძლოდ ხარ, უთხარი, რომ რაღაც სნება შეგეყარა და ბიჯის გადადგმა არ შეგიძლიან. განა ცოტა მოინახება მიზეზი...

— არ დამიჯერებენ...

— როგორ არ დაგიჯერებენ? წაივლე მუცელზე ხელი და იყვირე, ვაიმე მიშველეთ, ალმური მედება, კვედები...

— თუნდაც ბატონიშვილი მოვატყუე, ექიმებს როგორღა მოვატყუებ. მერე, ლეონმა რომ გაიგოს, თუ რისთვის გაეაწბილე და არ ვეახელ, ხომ

თავი მომკვეთა. ბარემ ახლავე თქვენის ხელით გამიგვირეთ გული...

— არა, ბესიკ, შენ უნდა შეეძლებოდათ აი ამ ხანჯლით. ეს უმჯობესი ჩვენება. ბესიკ, ჩემო ერთადერთო იმედო, გვედრები, შეუძლებელი უნდა შეიძლოს. იცოდე, შენს ანას უშენოდ ერთ წუთსაც არ შეუძლია სიცოცხლე. რა გინდა იქ ცივსა და შორეულ რუსეთში? აქ დარჩი ჩემთან. ნურაფრის ნუ შეგეშინდება. მე ვიქნები შენი მფარველი და ბატონპატრონი. აი ახლა გავიგებ თუ მართლა გიყვარვარ...

— თქვენო ბრწყინვალეებავ...

— დაიცა. თუ მართლა გიყვარვარ, დარჩები, თუ არ გიყვარვარ—წახვალ. ახლავე მიხვალ ლეონთან და რა პასუხსაც მიიღებ, მაშინვე მაცნობებ. მე აქ დაგელოდები.

— ანა... მე მშობლების ნახვა მსურს მოსკოვს... ნუთუ ესეც...

— არაფრის მოსმენა არა მსურს. წადი და იცოდე, რომ აქ გელოდები. მე არც გაძალე და დარჩენას და არც გიბრძანებ, როგორც შენმა გულმა გიკარნახოს.

ანამ ოდნავი ბიძგებით, თითქმის ძალით, გააგდო ბესიკი ოთახიდან, შემდეგ მოახლეს ბუხარში ცეცხლი დაანთებინა და საცვარცხულში ჩამჯდარი კელაპტრის შუქზე გათენებამდე კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“. ხოლო როდესაც გათენდა და დღის სინათლემ სანთელს სრულიად დაუქარგა შუქი, ანამ მოახლეს უბრძანა, რომ მსახურთ ცხენები შეეკაზმათ, სახე კვლავ პირსაბურავით დაიფარა და მაშინვე გაემგზავრა დბანისისაკენ.

ხუთ იანვარს მოწმენდილი, მაგრამ საოცრად ცივი დღე იყო და მზე სრულიად არ ათბობდა. ნაბადში გახვეული ანა, უძილო ღამის შემდეგ სიცივისაგან ძაგძაგებდა, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ერეკებოდა ცხენს და ერთხელაც არ მოუხედნია თბილისისაკენ.

ათასწევადსამოცდაცამეტი წლის ხუთ იანვარს, თბილისიდან გამგზავრების სწორედ ერთი წლის შემდეგ, ასტრახანის მთავარ ქუჩაზე, ძელურ სახლში, სადაც ბატონიშვილი ბინადრობდა, თავი მოიყარეს ყველამ ლეონთან სათათბიროდ. უნდა გადაეწყვიტათ საკითხი: განეგრძოთ კვლავ ლოდინი თუ უკანვე დაბრუნებულიყვნენ. თბილისიდან წამოსვლის შემდეგ ისინი უკვე ოცდაცხრა იანვარს ასტრახანში იყვნენ, სადაც ყველანი გუბერნატორმა ნიკიტა ბეკეტოვმა შეაჩერა და თავაზიანად მოახსენა, რომ სანამ მისი იმპერატორობის უდიდებულესობისაგან სათანადო ნებართვას არ მიიღებდა, ისე უფლება არ ჰქონდათ ქართველი მეფის წარმომადგენლები გაეშვა პეტერბურგისაკენ. გუბერნატორმა აღუთქვა ანტონს და ლეონს, რომ ბარათს სასწრაფოდ მისწერდა პეტერბურგში, თანაც ანუგეშა ყველანი, რომ პასუხს თვენახევარზე მეტი არ დააგვიანდებოთ.

მის შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა. ყველაზე მეტად ამ ლოდინს ლეონი განიცდიდა, რომელსაც შეურაცხოფის გრძნობა არ ასვენებდა და ანტონ კათალიკოსი რომ თან არ ხლებოდა, აღბათ, უკანვე დაბრუნდებოდა. მართალია, გუბერნატორი ყოველნაირად ცდილობდა ბატონიშვილი გაერთო და მის პატივსაცემად რამდენჯერმე წვეულებაც კი გამართა, მაგრამ მისი გული მაინც ვერ მოიგო. ლეონი ხელსაც კი არ აკარებდა მასპინძლის პურ-მარისს, ხოლო კეკლუცი ქალიშვილებისაკენ, რომელნიც გულმოდგინედ ცდილობდნენ „ცარევიჩის“ ყურადღება მიეპყროთ, სულაც არ იხედებოდა. გუბერნატორმა საგანგებოდ ნადირობაც კი მოაწყო მგლების ზროვანზე, აჩვენა ყირგიზთა უთვალავი ცხენთა თა-

ბუნები, კასპიის ზღვაზეც კი გადავირნახომალდით, მაგრამ არც ამან იმოქმედა ბატონიშვილზე. ბატონიშვილი თუმცა თავს იმართლებდა და მისე სად ჯერ წყალდიდობას ასახელებდა, რომელსაც ვითომ გზები სრულიად დაეკეტა, შემდეგ მოსკოვის მიდამოებში გაჩენილ უკურნებელ სნებას, სადაც გავლა საფრთხილო იყო, ბოლოს უფა-ასტრახანის მიდამოებში მემბოხე ემელკა პუგაჩოვის საშიშროებას, მაგრამ ბატონიშვილს ეტყობოდა არაფერი არა სჯეროდა. ისეთ ქვეყანაში გაზრდილ ბატონიშვილისათვის, სადაც სტუმარს, არა თუ მეფენი, არამედ მდამიონიც ღვთის წყალობად სთვლიდნენ, გაუგებარი იყო ასეთი უპატივემლობა არა მარტო კათალიკოსისა და მეფის საამაყო შვილის მიმართ, არამედ თვით საქართველოს მეფის მიმართაც. ამიტომ ლეონი ყოველთვის ამრეზილი ისმენდა ბეკეტოვის განმარტებას და სახის გამომეტყველებით აგრძნობინებდა თავის უდიდეს აღშფოთებას.

მოლოდინმა ჩათრევა იცის. ბატონიშვილი დარწმუნებული იყო, რომ გაზაფხულის დამლევს მაინც შესძლებდა გზას გასდგომოდა, მაგრამ გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა, ზაფხულს შემოდგომა, კვლავ დაზამთრდა და როდესაც ხუთ იანვარს ლეონს დილით გაახსენდა, რომ ერთი წელიწადი გასულიყო მას შემდეგ, რაც ისინი თბილისიდან წამოსულიყვნენ, მაშინვე ფეხზე წამოიჭრა და მსახურს უბრძანა მზღებელნი თავადნი და აზნაურნი, ეპისკოპოსნი და მღვდელნი სათათბიროდ დაებარებინა. თითონ კი კათალიკოსს ეახლა და სთხოვა, სათათბიროდ დარბაზში გამობრძანებულიყო.

— არა ღირს მეტი ცდა, — მიმართა ლეონმა დამსწრეებს, როდესაც ყველანი შეიკრიბნენ — ჩვენი შეურაცხოფისათვის, უპატიურად მოპყრობისათვის, ვფიქრობ, ესეც კმარა. მართალია, ჩვენი სულიერი მამა და მეუფე მისი უწ-

მინდესობა კვლავინდებურად მოთმინებას გვირჩევს, მაგრამ ვიდრემდის კვლავ უფრო მეტად არ გვიგემნია შეურაცხყოფა და დამცირება სჯობს დროზე გავეცალოთ ამ მიდამოებს. საქართველოდან ამით ჯარი სრულიად გამოუყვანიათ და ჩვენ აქ რაღა გვინდა. ცხადია, იმპერატრიცას გადაუწყვეტია ჩვენზე ხელი აიღოს, ტყუილ-უბრალოდ გვალოდინა აქ მთელი წელიწადი და უბრალო სტუმრადაც კი არა გვლებულობს. ამიტომ გადავწყვიტე უკან დაბრუნება, თუ მისი უწმინდესობაც დაგვეთანხმება.

— მე ვფიქრობ, შვილო, რომ თუკი ამდენი ვიცადეთ, ბარემ კიდევ ორი კვირაც დავიცადოთ. გუბერნატორმა რომ ამასწინათ პეტერბურგს წერილი გაგზავნა, იმის პასუხი ხომ არ მიგვიღია. გარდა ამისა უკან რომ დავბრუნდეთ, ამისთვის ბატონ ერეკლეს ნებართვაც უნდა გვექონდეს.

— შეფესთან მე ვკისრულობ პასუხისგებას, — შეაწყვეტინა კათალიკოსს ლეონმა, — ოღონდ აქედან წავიდეთ. მაკმარეთ ესოდენი დამცირება...

— ეეკ, შვილო, ჩვენ აქ იმისთვის მოვსულვართ, რომ ქვეყნის ბედობა ვადავწყვიტოთ და ამისთვის უფრო უარესი დამცირებაც რომ მოგვიხდეს, უნდა ავიტანოთ.

ყველანი კათალიკოსს დაეთანხმენ და, მართალია, ბევრი მათგანი ლეონზე უფრო იყო თავგაბებრებული ამ მოლოდინით, მაგრამ მაინც კიდევ არჩიეს მოცდა, მით უმეტეს, რომ არც ერეკლედან იყო მოსული პასუხი.

ლეონიც იძულებული იყო უმრავლესთა მოსაზრებებს დამორჩილებოდა და ბედს შერიგებოდა. მთელი დღეები ის უზმოდ იჯდა ფანჯარასთან და ვასცქეროდა თითქმის მთლიანად გაყინულ მდინარეს, ნაპირზე გამოთრეულ ანძიან ხომალდებს, გადაბრუნებულ ნაევებს და არჩეული მოლურჯო ღრუბლებით დაფარულ ცას. ასევე

დაუხვდა ეს ზვიადი მდინარე ლეონს, როდესაც აქ პირველად მოვიდა, გაყინული. ზედ მარხილმდინარეს, მაგრამ მაშინ სხვა ხალხის მსგავსად ზოდა წინ ლეონი და აღტაცებული ათვალეირებდა ამ დიდსა და თავისებურ ქალაქს. მაშინ მისთვის გაუგებარი იყო უცხო ქვეყანაში გადაკარგვის მწარე გრძნობა და როდესაც ამ ქალაქში მისვლისთანავე ყველანი ტაძარში მოვიდნენ, რათა თეიმურაზის საფლავზე მუხლა მოეყარათ, ლეონისთვის აქ არაჩვეულებრივი არაფერი არ იყო. მან მოწიწებით დახედა მაშინ თავისი პაპის თეიმურაზისა და ვახტანგ მეექვსის საფლავებს, მაგრამ ახლა ერთი წლის შემდეგ უნებურად მიაქცია ყურადღება ამ დიდი ქვეყნის საზღვარზე განსვენებულ ამ ორ ქართველ მეფეს და სხვა მრავალ ქართველ დიდებულთ. ისინიც ხომ თავის ქვეყნის ბედის საძიებლად წამოსულიყვნენ ამ თვალუწყდენელ ქვეყანაში. წამოსულიყვნენ, ევლოთ, ევლოთ და უკანდაბრუნებულებს თავიანთ ქვეყანამდეც კი ვეღარ მიეღწიათ.

პირმოკუმული იჯდა ქაბუჯი ლეონი ფანჯარასთან, არც არავის იკარებდა, არც ხმას იღებდა. მარტო ბესიკი ბედავდა მათთან ხმის ამოღებას. ისიც მხოლოდ მაშინ, თუ სადილად ან სამხრად იხმობდა და მორიდებულად მოახსენებდა, რომ ყველანი მას ელოდებოდნენ. ბოლმისაგან კრიჭამეკრული სასმელ-საკმელსაც ზელს აღარ აკარებდა და მხოლოდ თითოთროლა ლუქმას თუ შეჭამდა. ყველას ეგონა, რომ მხოლოდ ბესიკი შეძლებდა ბატონიშვილის გართობა-გამხიარულებას და საყვედურებით მოსვენებას არ აძლევდნენ, ეგ როგორი გულის შესაიდუმლე ხარ, რომ ბატონიშვილს დარდი ვერ გაუქარვეო. არცერთმა მათგანმა, ცხადია, არ იცოდა, რომ ბესიკს უარესი დარდი აწუხებდა და, როდესაც თბილისიდან წამოვიდნენ, თითონ ბატონიშვილი ცდი-

ლობდა მის გამხიარულებას. პირველ ხანებში ბესიკი ისე იყო კრიტიკურული, კაცს ეგონებოდა, ალექსანდრე, რომ ძეხორციელს ხმა აღარ გასცესო.

— რა მოგივიდა, ბულბულო, — ეკითხებოდა ლეონი, — არ შეიძლება ჩვენ რომ ვიცოდეთ? არ გესმის. ენა ხომ არ ჩაგვიარდა. გტყვია რამე. არა? მაშ რა დაგეშართა, რომ დამუხეგებულხარ და პასუხსაც კი აღარ კადრულობ. მიჯნურობის ცეცხლში ხომ არ იწვი. ჰეი, რაინდო. ხმა ამოიღე.

ასე არ ეშვებოდა და ხუმრობა-ქილიკობით ამხნევებდა თავის ერთგულ მოყმეს ლეონი, მაგრამ ბესიკის გამოცოცხლებას არა ემჩინებოდა რა. თბილისიდან ისე მოუხდა გამოგზავრება ბესიკს, რომ მან უნებურად ვერ შესძლო ანასთავის ეცნობებინა რაიმე. აუარებელი საქმე დაატყდა უცბად გამოგზავრების წინაღობით და შეუმჩნეველად დაათენდა თავზე. სულ აპირებდა ანასთავის წერილი მაინც მიეწერა და მოეზოდინებინა, რომ მის სურვილს ვერ ასრულებდა, მაგრამ ინათლა თუ არა ლეონმა ბრძანა ცხენებზე შემსხდარიყვნენ და გზას გასდგომოდნენ. ბატონიშვილს თავით ერეკლე აცილებდა მცხეთამდე და ამ აურზაურში, არეულარევში ფიქრიც კი არ შეიძლებოდა წერილის დაწერაზე. ბესიკი კიდევ იმით იწუგებდა თავს, რომ გზიდან მაინც გაუგზავნიდა ბარათს ვერაგულად მიტოვებულ მიჯნურს, მაგრამ ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა. მცხეთაში ბარგი არ ჩამოუხსნიათ და მხოლოდ მცირე ხნით შეჩერდნენ, რათა ტაძარში პარაკლისი მოესმინათ და მაშინვე გზას გასდგომოდნენ. ზამთრის დღეების სიმოკლის გამო, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ ცხენებზე სხდებოდნენ და კარგა დაღამებამდე შეუჩერებლად მიდიოდნენ. ამგვარმა გზავრობამ, მუდამ ნახევრად ბნელ ქოხებში აუარებელ ხალხთან ერთად

ლამისთევამ, სადაც არა თუ ბარათის დაწერა, ხშირად თვალთან თითის მიტანაც კი შეუძლებელი იქნებოდა. თანდათან დააეწყა ბესიკს წერის საქმიანობა და თვით ანაც. ზოლო როდესაც ჯერ ყიზლარში მივიდნენ და იქედან ასტრახანისკენ მიმავალბმა პირველად ნახეს თვალუწედნიელი ნაპირბგაყინული ზღვა, ისეთივე უსაზღვრო და უნაპირო, როგორც თერგის გაუთავებელი ტრამალები, ბესიკი, სულ სხვა, რაღაც გაურკვეველი განცდების სამყაროში მოექცა. მას თითქოს სრულიად დააეწყა ყოველივე, სამყვეყნიური აღაშინური გრძნობები და მთლიანად ჩაიკარგა ბუნების სივრცეთა ამ უსასრულობაში. ზღვასავით მინდვრები, ზღვასავით ღრუბლები, თვით ზღვა, ისევე მინდვრები და გაუთავებელი ღრუბლები ერთი ცისკიდურიდან მეორემდე. ერთხანს, მართალია, მოსჩანდა უკან მოხედვის დროს კავკასიონის თოვლით დაფარული გოლიათი მწვერვალები, მაგრამ ისინი კარგახანია, რაც სამხრეთ-დასავლეთისაკენ ჩაიძირენ, გარშემო მხოლოდ დაცემული ტრამალები გადაქიმულიყო და ზეცას ხან თეთრი პირბადის მავგარი თხელი ღრუბლები გაკროდა, ხან ანგელოსებოვით გაფრენილი ზამბის ქულები, ხან კი ზედ თავი მოეყარათ დევებივით ჯმუხა, გულჯავრიან, თმაბურდულ და სქელნიჩვიან ღრუბელთა გოლიათებს.

მერე გამოჩნდნენ ქოჩადმავალთა ყალმუხების ბანაკები, სოკოებივით გადაწითლებული ცხენთა თაბუნები და ბოლოს მიადგნენ დიდსა და ვრცელ ვოლგას. გაღმა მოჩანდა ნაპირას გაწოლილი ქალაქი მკლავივით აშვერილი ეკლესიის მაღალი სამარეკლოთი და უამრავი გემების ანძებით. ბესიკს დიდი სივრცეების გადალახვა უკვე განცდილი ჰქონდა სპარსეთში მოგზაურობის დროს, მაგრამ იქ მაინც ყოველი კუთხე თავისებურად იყო შემოფარ-

გლული. იქ მოები პატარა უბნებად ჰყოფდნენ მიდამოს. აქ კი ყველაფერი ისე იყო გაშლილი და ზვიადი, თითქოს ლმეროს განგებ გადაეშალა დედაშიშის ეს კუთხე, რომ აღამიანს შეეგრძნო ამქვეყნიური სამყაროს სიღიაღე. ასევე გაშლილი იყო ეს ქალაქიც თავისი ფართო ქუჩებით, ხის ძეღური სახლების მჭკრივებით, კასრებითა და ტომრებით სავსე ნავთსადგურით, აქლემთა ქარავნებით, არაყით გაღეშოლი მოქეფეებით. როგორც კი დაბინადნენ და გაიგეს, რომ სანამ პეტერბურგიდან ნებართვას არ მიიღებენ, იქვე უნდა ეცადნათ, ბესიკმა მაშინვე დასწერა ბარათი ანასთან და თბილისში მიმავალ შიკრიკს გაატანა. ამის შემდეგ უცხად დამშვიდდა. თითქოს მხოლოდ ასეთი პატარა და მოკრძალებული ბარათი საქმარისი იყო იმისათვის, რომ ანასთან ურთიერთობა არ გამწვავებოდა.

ბესიკი გამზიარულდა და ახლა ცდილობდა ბატონიშვილის გამხნეებებს, რომელიც მზაფრობის შეფერხების გამო თავიდანვე ცუდ გუნებაზე დადგა. ბესიკი უმღერდა თარზე, თხზავდა სახუმარო ლექსებს, შაირებს და მართლაც ლეონს რომ ეს სიცოცხლით სავსე მგოსანი არა ხლებოდა, ალბათ, ვერც მოერეოდა მოწოლილ სევდას. ბესიკი იყო აგრეთვე ყოველივე ახალი ამბების მომტანი. ის ხშირად დადიოდა ქალაქში, სასტუმრო ფუნდუკებში, ან ნავთსადგურში და სულ იყო, რამდენი გემი მოსულიყო სპარსეთიდან, სად მიდიოდნენ აქლემთა ქარავნები, ან რა ხდებოდა ამქვეყნად. მან პირველმა ნახა დიდი ხომალდით მოსული სპარსეთის ელჩი, რომელსაც ნიკიტა ბეკეტოვი ნავთსადგურში შეეგება და მაშინვე გაისტუმრა პეტერბურგისაკენ. ამ ამბავმა ლეონი ისე გააცეცხლა, რომ მაშინვე აპირებდა აყრას, მაგრამ ანტონ კათალიკოსმა არ მისცა უფლება და მამაშვილურად ურ-

ჩია მოთმინებით აეტანა ყოველივე. ეს შუა ზაფხულში იყო, ხოლო შემოდგომაზე ქერიშხანის ელჩე, პეტერბურგიდან დაბრუნდა და ლეონსაც კავება, რომ ერეკლე მეფის წარმომადგენლები კვლავ ასტრახანში იცდიდნენ, ბევრი ეხითხიონა. მერე ეთქვა, მადლობა ალლას, იქნებ ახლა მაინც მიხვდნენ ქართველები, რომ ისევ ჩვენთან მეგობრობა სჯობს სხვებთან მეგობრობის ძიებასო.

პირქულად მოისმინა ყოველივე ლეონმა და მამამისს წერილი მისწერა თბილისში, მიხსენი ამ უბედურობიდან, საქვეყნოდ ნურც მე მხდი სამასხროდ და ნურც შენ იმდაბლებ თავს, ნება მოგვეცი უკანვე დავბრუნდეთ, თუ გსურს რომ შენი შვილი კვლავ ცოცხალი იხილოო.

ბასუხი არ მიუღია. მოზღოვიდან ამბავი მოვიდა კავკასიონზე დიდი თოვლი მოსულიყო და გზები მთლად შეეკრა.

ისევ ცდა იყო საჭირო. გულის გამაწყალებელი და მოსაწყენი. ყველაზე ძნელი აღმოჩნდა უკანასკნელი ორი კვირა, რადგან ლეონს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ოც იანვარს აუცილებლად გაბრუნებულყო უკან და ახლა არა თუ დღეებს, საათებსაც კი თითებზე ითვლიდა.

ჩვიდმეტ იანვარს პეტერბურგიდან ფელდვეგერი მოვარდა და გუბერნატორს მოუტანა ცნობა, რომ იმპერატორის ნებართვით საქართველოს მეფის დეპუტაციას ნება ეძლეოდა ხლებოდა მის უდიდებულესობას სატახტო ქალაქში. ბეკეტოვი ისე გაახარა ამ ცნობამ, რომ მაშინვე თავისი ფეხით ეახლა ლეონს და ახარა უმაღლესი ნებართვა. ყველანი ფუსფუსით შეუდგნენ სამზადისს. პანიჩი იწერებოდა, რომ იმპერატორის სურვილია ბატონიშვილი ლეონი და მისი უწმინდესობა ანტონი მცირე ამალით მობრძანდნენ, თორმეტ კაცზე მეტს ნუ წამოიყვანენ, ხოლო

დანარჩენი საქართველოში დაბრუნდნენო. გუბერნატორს მტკიცედ სურდა პანინის სურვილი შეესრულებინა, მაგრამ ლეონმა მტკიცედ განუცხადა ბეკეტოვს, რომ ათ-ათ კაცზე ნაკლები ამაღლის ხლება სამეფო გვარის დიდებულთათვის შეუძლებელი იყო და ამიტომ, როგორც იქნა, შეთანხმდნენ, რომ მთელი ამაღა სულ ოცი კაცისაგან იქნებოდა შემდგარი. საღამოს გუბერნატორის სამდივნოში მივიდა ბატონიშვილის ქეშვიჩიბაში ზაალ ბარათაშვილი და ცალთვალა გუბერნსკი სეკრეტარს უკარნახა პეტერბურგში წამსულელთა სია. თარჯიმანობდა ყიზლარელი მღვდელი გაბრიელ იაკოვლევი, რომელიც ბატონიშვილის ამაღის წევრთა თანამდებობებთან ერთად ცდილობდა გვარებიც კი გადაეთარგმნა და რუსული დაბოლოებით ჩაეწერებინა.

— როგორათ? მსაჯული ქიხოსრო ანდრონიკაშვილი? — ეკითხებოდა გაბრიელი ზაალს და შემდეგ ცალთვალა მდივანს კარნახობდა: — პიში ღრუზინსკოი სუღია კოხოსრო ანდრონიკოვ.

— მდივანბეგი სულხან ბეგთაბევისშვილი, — განაგრძობდა ზაალი.

— მდივანბეგი? დაიცა მდივანბეგი როგორ იქნება რუსულად? მდივანი ხომ სეკრეტარია, მდივანბეგი... ჰო, ობერ სეკრეტარ სულხან ბეკტაბეკოვ.

— თავადთაგან კიდევ მეც ბატონს ვახლავარ.

— ცარევიჩევი ადიუტანტ ზაალ ბარათოვ...

— ბარათოვ რათა ქაჯან, ბარათაშვილი უთხარ.

— რუსულად აგრე იქნება. კიდევ?


— კიდევ აზნაურთაგან ბატონიშვილის მეითარი ჩენი იმისა... რა ქვიან ზაქარია გაბაშვილის...

— მეითარი? — შედგა გაბრიელი, — მეითარი, ეგეც ვიცოი... დაიცა, ჰო, მო-

მაგონდა, პიში კამერლინერ სახაროი გაბაონოვ...

— მწერალი ვიფიგელსტიმეანშვილი.

— პისარ გეორგი სტეპანოვ... — განაგრძობდა გაბრიელი. ამგვარად შეადგინეს სია და ჩასწერეს, — სუფრაჯი კუხმისტერად, მწიგნობარი ბიბლიოთეკარად, პირის ფარეში კამერ-ლაქიად, მოლარე — კლიუნჩიკად და შემდეგ პეტერბურგიდანვე მიღებული ცნობის თანახმად გამოუცხადეს ზაალს, რომ ისე, როგორც თეიმურაზ მეფეს, ლეონ ბატონიშვილს თავისი ამალითურთ მიეცემოდა თვეში სახარჯოდ ოთხას-ოცი მანეთი, ხოლო პეტერბურგში ყოფნის დროს თვეში ათასი მანეთი, აგრეთვე საპატიო ყარაულად და ექსკორტად ენიშნებოდა, პრაპორჩიკი, სერჟანტი, ორი კაპრალი, ოცი ჯარისკაცი და ერთი ბარაბანშჩიკი.



რაც უფრო უახლოვდებოდნენ მიზანს, მით უფრო მხნევდებოდა ბატონიშვილი, გზადაგზა მატულობდა დამხედურთა პატივისცემა და მოკრძალება. მოსკოვის „ზასტავასთან“ ლეონს და ანტონს გრადონაჩალნიკი შეეგება მუსიკით და ზარბაზნების გრაალით. შემდეგ ორივენი კარეტაში ჩასხეს და ვასილი ნეტარის ტაძარში მიიყვანეს. სადაც ანტონმა თითონ გადაიხადა წირვა ქართულად. ანტონის ამაღამ კი აქვე ქართულად შეასრულა საგალობელნი, ხოლო გაიოზ მთავარდიაკონის ბანმა ყველანი განაცვიფრა. ამბობდნენ, რომ ასეთი ძლიერი და მქუხარე ბანი კარგა ხანია მოსკოვის ტაძრებში აღარ გაგვიგონიაო. წირვაზე აუარებელმა ქართველობამ მოიყარა თავი, რომელთაც წინასწარ გაგვით ანტონ კათალიკოსისა და ლეონის მოსვლა

მოსკოვს. ყველას, ვისაც კი აშკარა მტრობა არა ჰქონდა ერეკლესთან ან ანტონთან, ტაძრისაკენ მიიჩქაროდა, ნაცნობი და უცნობი მოსულნი და დამხდურნი ყველანი ერთმანეთს ეხვეოდნენ და წირვის შემდეგ ტაძარში ისეთი ყრიაშული ატყდა, რომ ყურთასმენა აღარ ჩყო...

ბესიკს მოულოდნელად ვილიცამ მოხვია ხელი, ვადაკოცნა და ცრემლმორეულმა ჰკითხა:

— ველარ მიცან?

— ოსე!—წამოიძახა ბესიკმა და თავის ღვიძლ ძმას ისე დააკვირდა, თითქოს უნდოდა დაარწმუნებულიყო ხომ არა ველებიო,—ოსე, ნუთუ შენა ხარ, ბიჭო...

— მე ვარ. შენ როგორ გამოცვლილხარ. ვერც გიცნობდი.

— მამა საღა ბრძანდება, დედა...

— ყველანი აქ არიან.

— აქ?

— არა აქ კი არა, — ოსემ ტაძარზე ანიშნა თვალით,—მოსკოვს არიან. მამა აქ როგორ მოვიდოდა, ანტონს თვალით დაენახებო?

— როგორა ხართ? როგორ მოვისწრაფოდი, რომ თქვენ მენახეთ. რასა იქო?...

— ნულარ იკითხავ. ავრე შენი მტერი იყოს...

— გიჰირთ?

— მერე როგორ... წამოდი, ჩვენები არ უნდა ნახო?

— როგორ არა. ლეონისაგან ნებართვას ავიღებ.

ბესიკი ჯერ კიდევ თბილისიდან ოცნებობდა, რომ თავისიანებს შეხვედებოდა მოსკოვში, რომელნიც განდევნის შემდეგ აღარ ენახა. მაშინვე მიბრუნდა ლეონთან და სთხოვა, რათა უფლება მიეცა თავისი შშობლების სანახავად წასულიყო, მაგრამ მოულოდნელად უარი მიიღო. ლეონმა უბრძანა, ამაღლას არ დასცილებოდა და ბესიკმა ძმასთან მიბრუნებაც კი ველარ მოა-

ხერხა. მან მხოლოდ მუხუტურა ხელით ანიშნა ტაძრიდან გასვლის დროს, რომ თითონ ოსე მისულები მანქანის სატუმროში, სადაც აღბათს სასახლად შეჩერდებოდნენ. ბესიკს მოლოდინი არც აქ გაუმართლდა. სტუმრები კარეტებში ჩასხეს და ღამის გასათევად პეტრე დიდის ძველ საზაფხულო სასახლეში წაიყვანეს, რომელიც ქალაქგარეთ კარგა მოშორებით მდებარეობდა პეტერბურგის დიდი გზის პირად. სანამ მეორე დღეს ოსე დანამდვილებით შეიტყობდა, სად იყო დაბინავებული ბატონიშვილი, ბესიკი უკვე მარხილში იჯდა, ლეონის გვერდით და პეტერბურგისაკენ მიჰქროდა. ისინი, მეორე დღეს, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ გზას გაუდგნენ.

— ნუ მოიღრუბლე, ქაბუკო! — უთხრა ლეონმა ბესიკს,—უკან რომ დაებრუნდებით, მაშინ ნახე შენაურებს. მე თვით ვეახლები მამაშენს და ვანუგეშებ. ახლა მითხარი, ეს რა საოცრება ენახეთ, არ გიკვირს?

— მოსკოვზე ბრძანებთ?

— ჰო. მე ამდენი ეკლესია, თუ ქვეყნად არსებობდა ვერ წარმომდგინა. თბილისში მიკვირდა და ვამაყობდი სამოცამდე მარტო ეკლესია გვიდას-მეთქი. აქ ნახე, რა ამბავია?..

— ათასზე მეტიაო, ამბობენ.

— ქალაქიც რამოდენაა...

— პირიქით, თქვენო ბრწყინვალე ბავ. ამოდენა ქვეყნისათვის ეს ქალაქი მე უფრო მცირედ მეჩვენება. ვერა ხედავ, რამოდენა გზა გამოვიარეთ და პეტერბურგამდე კიდევ ცხრაასი ვერსი ვააქვს თურმე გასაეღელი. ამოდენა ქვეყანას უფრო დიდი ქალაქი შეეფერება.

— ისპაჰანი სჯობია, თუ მოსკოვი...

— ცხადია მოსკოვი, თქვენო ბრწყინვალე ბავ. ვეჭვობ, რომ ჯერ მარტო კრემლის მსგავსი რამ დიდებული ნაგებობა ქვეყნად რაიმე არსებობდეს. ისევე ზეიადია, როგორც თვით ეს

უსასრულოდ გადაშლილი ქვეყანა, რომლის დასასრულს ბოლო არ უჩანს...

— ოჰ! საღ მივდივართ ჩვენი ქვეყნის ბედის საძიებლად, — აღმოხდა ლეონს, — ლმერთო ნეტავ ქვეყნად სამართალი არ უნდა არსებობდეს? ეგონებ უფალსაც კი ისე არ გაჭირვებია გოლგოთაზე საკუთარი ზურგით ჯვარის ატანა, როგორც ჩვენთვის გამზადარა სამშობოდ-ზიდვა სასიკვდილოდ დაქრილი ჩვენი ქვეყნისა. ასტრახანის ლუბერნატორს ეგონა, რომ მე პეტერბურლის სასახლეთა სანახავად მიმჩქარებოდა და ნუგეშს მაძლევდა, მართალია, გალოდინეთ, მაგრამ იმედი მაქვს ამ დიდებულ ქალაქს მალე ნახავთო. დაღვრემილს რომ მხედავდა, ალბათ, იმ სულელს ეგონა, ამას იმის მეტი დარდი არ აქვს, რომ პეტერბურლი ნახოსო. ქვეყნის ნახვა, რომ მსურდეს განა რა მიშლის წაფიდე ათენს, რომს, პარიზს ან კიდევ იმ ახალ ქვეყანას ვესტუმრო, ამერიკას რომ უწოდებენ, მაგრამ მაგისტვის გეცალია. ექვსი წლისა უკვე ცხენს ვაჭენებდი, ხოლო თოთხმეტი წლისამ ბრძოლაში პირველად გაეკვეთე ხმლით წითელწვერა ლეკი. ახლაც თვალწინ მიდგას მისი დაღმეკილი სახე და ყურებში მიწივის მისი ამოკვნესა „აი-იამან“, თუ რაღაც ამის მსგავსი... აი როგორ დაიწყო ჩემი ცხოვრება. თვრამეტი წლისას, ასე მგონია, მთელი ცხოვრების გზა უკვე გადავირბინე-მეთქი. ქარაფშუტა ლუბერნატორს კი ეგონა — ბაღლია, პეტერბურლის სანახავად მიეჩქარებათ.

— ჩქარა კი მივდივართ, — შენიშნა ბესიკმა, — დღეში ასორმოცდაათ ვერსსა გავდივარ თურმე და ასე მოგახსენებენ, ხუთ თებერვალს პეტერბურლში ვიქნებითო.

— ასტრახანიდან როდის გამოვედით? პო — ოცდასამ იანვარს. თუ პეტერბურლში ხუთ თებერვალს მივედით, სულ რამდენი დღე გვჭირდება? — თითებზე დაითვალა ლეონმა და დასა-

ძინა, — ხუთმეტი კი არა თოთხმეტი, ერთი დღე მოსკოვში აღარც ჩაითვლება. ქარზე უფრო სწრაფად მოვალა. მართლაც ხუთ თებერვალს ჩამხნი უკვე პეტერბურგის ზასტავისთან იყვნენ, სადაც მათ საპატიო ყარაული შეეგება.

სტუმრები დააბინავეს ვიცე-კანცლერის თავად დიმიტრი გოლიცინის ერთ-ერთ ცარიელ სახლში, რომელიც ახლა საგანგებოდ მოერთოთ და...

... კვლავ სრული ერთი წლის შემდეგ ათას შეიდას სამოცდა თოთხმეტი წლის ხუთ თებერვალს ლეონს მოახსენეს, რომ ამ დღისათვის დანიშნული იყო უმადლესი აუდიენცია მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცის ეკატერინე მეორის წინაშე დიდ დარბაზში...

მართალია, ამ ხნის განმავლობაში იმპერატრიცამ ერთჯერ მიიღო ლეონი და ანტონი, მაგრამ ერეკლეს წერილებზე და წარმომადგენელთა განცხადებებზე პირდაპირი პასუხი არ მიუცია. ამ ხნის განმავლობაში სტუმრებს ართობდნენ ბალმასკარადებით, პეტერბურგის თვალსაჩინო ადგილთა დათვალიერებით, ნადირობით, მანევრებით.

ცესარევიჩ პავლეს ძალზე მოეწონა თავისი თანატოლი ბატონიშვილი და თითქმის განუყრელად აღარ იშორებდა. მის პატივსაცემად ნიშნავდა პლაცპარადებს, კრონშტადტში საზღვაოსნო მანევრებიც კი ჩაატარა და საფლავმანო გემის ერდოდან უჩვენებდა ქართველ ბატონიშვილს, როგორ უნდა განლაგებულ იყვნენ გემები საბრძოლო კოლონებად, როგორ უნდა მიახლოებოდნენ მტრის ზომალდებს და აბორდაჟით აეღოთ იგი. მერე ბატონიშვილს დაათვალიერებინეს მეცნიერებათა აკადემია, მუზეუმები, ერმიტაჟი, წაიყვანეს თეატრში. ცესარევიჩმა თავისი საყვარელი ბალერინაც კი გააცნო და მის ჩასაცემელ ოთახში მიიყვანა. მო-

ცეკვავე ქალი საბალეტო კაბით და-  
უხვდათ და შემკრთალმა ლეონმა თვა-  
ლებზე ხელები აიფარა. ცესარეიჩის  
სიცილი აუტყდა და ამის შემდეგ სა-  
სახლეში სწრაფად გავრცელდა ხმა  
ქართველი ბატონიშვილის სანიმუშო  
ყოფაქცევის გამო. ქალები მოუთმენ-  
ლად ეშურებოდნენ, რომ თავისი თვა-  
ლით ენახათ ასეთი მოკრძალებული  
სამხრეთის ქვეყნის შვილი. ბევრი მათ-  
განი თვითონ ცდილობდა შეემოწმე-  
ბინა ბატონიშვილის მოკრძალება და  
ზოგჯერ მეტად თავაშვებული იერი-  
შები მიჰქონდათ, მაგრამ მალე რწმუნ-  
დებოდნენ, რომ სადაც საჭირო იყო,  
იქ ბატონიშვილს მართლაც ძალზე  
მოკრძალებულად ეჭირა თავი.

მას მხოლოდ ერთი რამ სურდა ყვე-  
ლაზე ადრე გაეგო: თანახმა იყო თუ  
არა იმპერატრიცა მიეღო საქართველო  
თავისი მფარველობის ქვეშ, მაგრამ  
პასუხს თითქოს ვანგებ აგვიანებდნენ.

ერთადერთი პასუხი, რომელიც  
ლეონმა მიიღო, ეს იყო ბრძანება ან-  
ტონ მოურავოვის გათავისუფლების  
შესახებ. პეტერბურგში მისვლისთანა-  
ვე მოურავოვის სახლობას გაეგო თუ  
არა ქართველი ბატონიშვილის მოსვლა,  
მაშინვე ეახლა, მუხლებში ჩაუეპარდა  
და შეევედრა, ორი წელი ჩემი ქმარი  
ციხეში ზის და ნეტავ რა დანაშაული  
მიუძღვის ისეთი, რომ საშველი არ და-  
ადგა მის გათავისუფლებასო. საქართ-  
ველოს მეფის ერთგულებას აბრალებენ  
და ნუთუ ეს დანაშაული არისო. ლე-  
ონმა მაშინვე აღუთქვა საბრალე მან-  
დილოსანს დახმარება და ერთერთი  
შეხვედრის დროს მოხერხებულად  
მოახსენა იმპერატრიცას, ჩვენ მზათა  
ეკრთ ვიტყვირთოთ ყოველივე დანაშაუ-  
ლი, თუკი ასეთი ანტონ მოურავოვის  
მიუძღვის თქვენი იმპერატორობითი  
უდიდებულესობის წინაშე და გიქედ-  
რებით ის, როგორც უდანაშაულო, გაა-  
თავისუფლოთო.

2. „მნათობი“, № 7

— განა მოურავოვი საპყრობილე-  
შია? — გაიკვირვა იმპერატრიცამ და  
პანიხს მოუბრუნდა. — მყოფი უნდა იყოს  
თვის არაფერი გითქვამს ჩემთვის ამის  
შესახებ? მას დიდი დანაშაული აქვს  
რაიმე? გამოიძიე და, თუ შესაძლებე-  
ლია, ნუ გავაწილებთ ცარეიჩის.

ორიოდე კვირის შემდეგ პანიხმა შე-  
მოუთვალა ლეონს, თქვენი სურვილი  
შესრულებულია, ნადვორნი სოვეტნიკი  
ანტონ რომანიის-ძე მოურავოვი გათა-  
ვისუფლებულია საპყრობილედან და  
გაწესებულია ამავე წინით საგარეო  
საქმეთა კოლეგიაში, როგორც ქარ-  
თულის მცოდნე, მთარგმნელად, გარ-  
დაცვალებულ პოდპოლკოვნიკ აბაზაძის  
ნაცვლადო.

შემდეგ თვით ანტონ მოურავოვი  
ეახლა ლეონს, მუხლზე ეამბორა, აქ-  
ვითინდა და ბატონიშვილიც აატირა.  
ბესიკს, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს  
და სულხან ბეგთაბეგისშვილს სათითაოდ  
მოეხვია და აღარ იცოდა თითოეულ  
მათგანსთვის მადლობა როგორ გა-  
დაეხადა. შემდეგ ყველანი დასხდნენ  
და კარგა ხანს ითათბირეს. ლეონს  
სურდა გაეგო, გამოვიდოდა თუ არა  
რაიმე დადებითი მათი შუამდგომლო-  
ბიდან. ლეონმა უამბო მოურავოვს ყო-  
ველივე, თუმცა მას მანამდე თითქმის  
ყველაფერი სცოდნოდა, რადგანაც  
ქართულად დაწერილი ქალაქები  
მასთან მიჰქონდათ თურქულ საპყრობი-  
ლეში სათარგმნელად. მოურავოვმა  
მოახსენა ბატონიშვილს, რომ მისი  
აზრით იმპერატრიცა საქართველოს  
წარმომადგენლებს გარკვეულ პასუხს  
ვერ მისცემდა, სანამ საბოლოოდ არ  
გამოირკვეოდა თურქეთთან წარმოე-  
ბული ომის ბედი. მართალია, რუსეთი  
ძლევაშისილად მიიწეედა წინ, მაგრამ  
საზავო მოლაპარაკების დროს, ადვილი  
შესაძლებელია, ბალკანეთსა და ყირიმ-  
ში მიფრეულმა წარმომადგენლებმა  
შეანარჩუნებდნენ რუსეთი ერთგვარ



დათმობაზე წასულიყო და კაცასია თავის გავლენის სფეროში აღარ მოქცეოდა. ამიტომ ყოველივე დამოკიდებული იყო მთელ რიგ ხელსაყრელ პირობებზე. შესაძლებელი იყო ისიც, რომ რუსეთი იძულებული იქნებოდა, პირიქით, გაეძლიერებინა კაცასიისკენ მიმართული სამხედრო მოქმედებანი და ეს კუთხე თავისი გავლენის სფეროდან არ გაეშვა. მაშინ, ალბათ, იმპერატრიცა ყოველგვარ პირობებზე დათანხმდებოდა და არც საქართველოს მფარველობაზე იტყოდა უარს. საქირის იყო ცდა და მოთმინება.

მოურავოვის ამ უბრალო განმარტებამ, აქამდე გრძნობებსაყოლილ ლეონს, თითქოს თვალი აუხილა და მოეღწინებინა დინჯი სიმშვიდით შეახედა. მას უკვე აღარ აკვირებდა და აღარ იტაცებდა ყველა ეს საპატივეცემულო პლაცბარადები ან ბალმასკარადები. ის ახლა უფრო ხშირად არჩევდა უმეტესი დრო ანტონ კათალიკოსთან გაეტარებინა, რომელიც იქვე ახლო მონასტერში ბინადრობდა და მთელ ხანს ან წირვალოცვებში ატარებდა, ან წიგნებს სთარგმნიდა.

ხუთ თებერვალს ქართველები კვლავ დიდებულად მოირთნენ. ლეონი და ანტონი სასახლიდან გამოგზავნილ ოქროთი მოვარაყებულ კარეტაში ჩაბრძანდნენ, დანარჩენები ზოგი ეტლში, ზოგი ცხენებზე და ყველანი საპატიო ყარაულის თანხლებით სასახლისაკენ გაემართნენ.

ქიბესთან დიდებულებს გოფმარშალი შეეგება და წინ წაუძღვა.

დიდ დარბაზში, სადაც ყველაფერი თვალისმომკრელად ბრწყინავდა და იატაკი სარკესავით ლაპლაპებდა, ლეონს და ანტონს ნიკიტა პანინი და თავადი დიმიტრი რუმიანცევი შეეგებნენ. ორივემ დაბლად დაუკრეს თავი საპატიო სტუმრებს, იქთაქედან გვერდში ამოუდგნენ და იმპერატრიცამდე მიაცილეს.

ეკატერინემ ორივეს მოწვეულად გაუღიმა და დაჯილდოება მოულოცა. ლეონს წმინდა ანას პირველი ხანისხის ორდენი ებოძა, ხოლო ანტონს სპირტუალისი პანაღია.

ცესარევიჩმა პავლემ თავისი ხელით გაუქეთა ლეონს გულზე ორდენი.

შემდეგ ყველანი გაირინდნენ და დარბაზში საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ თქვენი მობრძანებით და აქ ყოფნით, — დაიწყო ბოლოს მცირე დუმილის შემდეგ ეკატერინემ, — მაგრამ საქმეთა ვითარების გამო უმჯობესად ჩავთვალეთ აღვასრულოთ თქვენი სურვილი და გაგისტუმროთ უკანვე საქართველოში. თქვენი აქ მობრძანება კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს მეფის ჩვენდამი უსაზღვრო ერთგულებას და აღრმავენს ჩვენს მუდმივ რწმენას საქართველოს მეფის — ქრისტიან მპყრობელისათვის ჩვეული გონიერებით აღსავსე კეთილგანწყობას — სრულიად რუსეთის სიკბრისადმი. თუკი ჩვენ, ჩვენითვის ჩვეული ბუნებრივი კაცთმოყვარეობით არ დავიშურეთ ძალი ჩვენი, რათა გაგვევრცელებია ზრუნვა და მფარველობა ჩვენი იმპერიის საზღვრების გარეშე მყოფ სამეფოსათვის და მიუხედავად სიძნელებისა გავგზავნეთ ჯარი თვისი, არ დავერიდეთ სიძნელეთა და გაჭირვებათა. ასეთი ჩვენი აზროვნებისა და სურვილების დროს ძალიან გვსურდა ყურად გველო ვედრება ქართველი მეფისა, რომ...

ლეონი დამაბული ყურადღებით უსმენდა ეკატერინეს. მას სიტყვები არ ესმოდა თარჯიმანი კი ძალზე უხეიროდ უთარგმნიდა, ამიტომ ლეონი ცდილობდა იმპერატრიცის სახის გამომეტყველებით მიმხედარიყო მისი სიტყვების აზრს.

მოულოდნელად თარჯიმანმა შესწყვიტა თარგმნა და იმპერატრიცას მიაშტერდა. ლეონმა უნებურად მოიხედა

და მიხვდა—ყველაფერი გათავებულ იყო.

— ... რომ შესრულებას ყოველივე იმისა,—განაგრძობდა იმპერატრიცა,— რასაც თქვენა ვთხოვთ, მართლა შეეძლოთ რაიმე სარგებლობის მოტანა. პირიქით, ახლანდელ ვითარებაში საჭიროა სულ სხვა ზომების მიღება არა მარტო ჩვენი იმპერიისათვის, არამედ საქართველოსათვის, რადგანაც საქმენი ჩვენი პორტის მიმართ შერიგებისაკენ მიიშრება, ამიტომ ახლა საქართველოში ჩვენს მიერ ჯარების გაგზავნა, რომელიც უკვე იქედან გამოვიწვიეთ უარესად აღამხედრებს თურქეთს და კვლავ აღანთებს ომის ცეცხლს...

ლეონი უკვე აღარ უსმენდა იმპერატრიცას და ახლა უგუნებოდ აბეზლიერებდა თვლების ოდნავი მოძრაობით ხან გარინდულ დიდებულებს, ხან იმპერატრიცის აბრეშუმის კაბის კალთებს, ხან კიდევ მლოცველივით შესცქეროდა ოქროთი მოვარაყებულ ჭერს, უკვე მოთმინება აღარ ჰყოფნიდა და ნატრობდა, რომ იმპერატრიცას მოკლედ მოეჭრა.

ჩაძირული იყო ყოველგვარი იმედები და ტყუილუბრალოდ ჩაიარა ამოდენა ცდამ. რაც თბილისიდან გამოიგზავრენ, მას შემდეგ სრული ორი წელიწადი და ერთი თვე გაჟიდა. ერეკლემ რამდენჯერმე შემოუთვალა ლეონს და ანტონს, რომ ყოველი ღონე ეხმარათ ღა რითაც არ უნდა დაჯდომოდათ იმპერატრიცა დაეყოლებინათ, რათა მას საქართველო რუსეთის ქვეშეგდომოდ მიეღო. ბოლო ხანებში ერეკლე ისეთ სასოწარკვეთილ შერილობებს იწერებოდა, რომ ლეონი შიშმა შეიპყრო, ვაი თუ იმპერატრიცამ უარი გვითხრას და შინ როგორღა დაგბრუნდით. მაგრამ ახლა მიხვდა თუ არა, რომ ამ საქმიდან უკვე აღარათარი არ გამოვიდოდან, ყოველ მოთმინება არ ჰყოფნიდა და სურდა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში.

იმპერატრიცა კი განაგრძობდა ლაპარაკს და თარჯიმანიც მთრიალებული დაბალი ხმით ჩასჩურჩულდა:

— ... მისი უდიდებულესობა მოგახსენებთ, რომ... თურქეთთან მოლაპარაკების დროს გავითვალისწინებთ საქართველოს საკითხს და ვეცდებით ჩვენი მზრუნველობა არ მოგაკლოთო...

— მაღლობა მოახსენეთ მის უდიდებულესობას!

— იმპერატრიცამ ინება გიბოძოთ უმაღლესი ღრამატა მისი უმაღლესობის ერეკლესათვის გადასაცემად.

— მაღლობა მოახსენეთ მის უდიდებულესობას! — ლეონმა გამოართვა გრავნილი, ეამზორა და მოიხედა.

ბესიკმა თავდახრით შეაშველა ხელი, ლეონმა გრავნილი გადასცა.

იმპერატრიცა აღვა. აუღიენცია დამთავრებული იყო.

ანტონს კიდევ სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ლეონმა თვლებით ანიშნა, საჭირო არ არისო.

•  
•

სტუმრები მცირე დარბაზში მიიწვიეს. აქ პანინმა ჯერ კიდევ ერთი წლისწინათ დაწერილი ბარათი გადასცა ლეონს ერეკლესათვის გადასაცემად. ეს ბარათი შემთხვევით გაახსენდა პანინს დილით, მოძებნა, წაიკითხა და გაეხარდა, რომ გადაწერაც არ იყო საჭირო. ერთი წლის განმავლობაში საქართველოს საკითხში არაფერი არ შეცვლილიყო.

შემდეგ სტუმრებს მიაართვეს ყავა. ლეონმა თავაზიანად ჩამოართვა ფინჯანი ლაქიას და ასევე თავაზიანად მხოლოდ ოდნავ შეეხო ტუჩით ფიალას, შეეხო და მაშინვე დადგა მაგიდაზე. დანარჩენებმა ლეონს მიბაძეს.

ფეხზე წამოიშალნენ. გოდამარშალმა მოახსენა ლეონს ცხარევიჩის თხოვნა, რომ სტუმრები ნუ აჩქარდებოდნენ.

ლეონმა მადლობა გადაუხადა და მთელი თავისი ამალით ანტონთან ერთად მაშინვე გაემართა შინისაკენ.

დღის სამი საათი იქნებოდა, მაგრამ უკვე ბინდებოდა.

რუხი დღე იყო, ნისლიანი. ყველანი დაღვრემილები დაბრუნდნენ თავიანთ ბინაზე და ლეონის ოთახში შეიკრიბნენ. შინდარჩენილები ფუსფუსით შეეგებნენ მოსულეებს და ჩურჩულით ეკითხებოდნენ, როგორაა საქმე, კარგად თუ ცუდად, მაგრამ უსიტყვოდაც მაშინვე მიხვდნენ როგორც იყო საქმე.

კარგახანს ისხდნენ ასე ჩუმად, მშარე ფიქრებში წასულნი.

ოთახში მთლად დაბნელდა.

— სანთელი აანთეთ, — სთქვა ლეონმა, — ბნელაში ზომ არ უნდა ვისხდეთ. მსახურნი აფუსფუსდნენ, საღლაც შანდალი წააქციეს და ცოტა ხნის შემდეგ ანთებული კელაბტარი შუა ოთახში დადგეს.

ბესიკს უნებურად მოაგონდა ის საღამო, როდესაც ქერიმხანთან შეხვედრის შემდეგ ასევე დაღვრემილები ისხდნენ მაშინაც ყველანი, მაგრამ ახლა ვაცილებით უფრო სამძიმო იყო მარცხის განცდა, ვიდრე მაშინ.

— ზეალიდანვე შეუღდექით სამზადისს, — სთქვა ლეონმა, — გზას გავუდგეთ. წასვლა სჯობს წამაველისა, არ დაყოვნება უამისა.

— ნუთუ ყოველივემ ამაოდ ჩაგვიარა? — ამოიგმინა ვილაცამ კუთხეში.

ლეონი დააკვირდა. უნდოდა გაეგო ვინ წამოიძახა ეს სიტყვები, მაგრამ ვიცაც არ შეხედა, ყველას გამომეტყველება ერთსა და იმავეს ლაპარაკობდა.

— მე ის მაწუხებს, ბატონს როგორ ვეახლოთ, შეილო ჩემო, — სთქვა კათალიკოსმა. — ჯერ კიდევ სანამ საქართველოდან წამოვიდოდი — მეუბნებოდა, შენი იმედი მაქვს, თორემ ლეონი ახალგაზრდაა, იმას შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ და აბა შენ იცი, თუ მგლების ხროვის შესაქმელად არ დაარ-

ჩენ საქართველოსო, ახლა რა გეუო, რა პირით ვეჩვენო? არა, ისევე უნდა ვეახლო იმპერატორს, როგორც შენ და ჩაუუვარდეთ...

— თქვენო უწმინდესობაე, თავს ტყუილუბრალოდ დაიღლით. სახელმწიფო საქმეები ლოცვავედრებით არა კეთდება.

— შევავედრებ ქრისტიან სამეფოს...

— განა ცოტა ვევედრეთ? ჩვენზე უფრო მეტი ცდა არ დააკლო ვიცეკანცლერმა. ცესარევიჩმა კი პირობა მომცა, რაღაც არ უნდა დამოიჯდეს დედაჩემს დავითანხმებ, რომ საქართველოში ჯარები გამოგზავნოსო, მაგრამ...

— მაგრამ რა? — უცბად გაცხარდა მსაჯული ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი. — გეთაყვა ეგ როგორი საქმეა. თურქების წინააღმდეგ აგვამხედრა, გადაგვამტერა, ვალებში ჩაგვაგდო, გაგვაუბედურა და ახლა თავს გვანებებს. ეგ როგორ იქნება!..

— თუ გახსოვს, მე უფრო მეტიც მოვახსენე იმპერატორსაც, — მიუბრუნდა ქაიხოსროს ლეონი, — შენ იქვე გვერდით არ იდექ?..

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს! — დანანებით ამოიგმინა ქაიხოსრომ.

— ვევედროთ უფალს, — გადაიწყერა პირჯვარი ანტონმა. ყველამ კათალიკოსს მიბაძა.

ლეონმა უნებურად გაიცინა. ანტონმა წარბები შეკრა და მკაცრად გადახედა ლეონს.

— მამატიეთ, თქვენო უწმინდესობაე, მკრეხელობად ნუ ჩამითვლით, მაგრამ ანდაზა გამახსენდა, კაცი რომ იზრჩობოდა, ღმერთო მიშველეო, ხელი გაანძრე და გიშველიო. ისეა ჩვენი საქმე. არა, — ლეონი აღგა, — ჩვენ საქმეს ისევე ჩვენ უნდა მივხედოთ. მტერიც და მოყვარეც მხოლოდ მაშინ გვეცმს პატივს, თუ ძაბუნად არ გვხედავს. თუ ძლიერნი ვიქნებით, მაშინ ყველას მოესურვება ჩვენთან მეგობ-

რობა. ისე კი, ხომ ხედავთ, მეგობრად არავის არ ვუნდივართ. ხელით სათრევი მეგობარი ვის რად უნდა. ჩვენ კი ისე ვიბეჩავებთ და ვიძაბუნებთ თავს, რომ ასეთი გოლიათი როგორც რუსეთია, ესეც კი დაეაშინეთ... ამოდენა თვალუწვიდნელ ქვეყანასა ვფლობთ და ძლივს ვუვლით, ჩვენი გაჭირვებაც გვეყოფა და ეს ვინ აგვეკვიტა, რომ მუდამ შემწვობასა ვგვთხოვსო. განა ასე არ იტყვიან? მართლაც და აღვილი ხომ არ არის ამოდენა თვალუწვიდნელი ქვეყნის მოვლა-პატრონობა. ყალბუბუბუში ვილაც არამზადა გამოჩენილა, უმელკა პუგაჩოვი, მე რუსეთის მეფე პეტრე მესამე ვარო და ასიათასიანი ჯარი შეუტყებია. თურქეთზე უარესი მტერი — ეს თავხედი მეამბოხე საკუთარ სახლში გაუჩნდა, ჩვენ კი მოუსულვართ ასეთ დროს და ვევედრებით, თუ შეიძლება, კეთილ იწებეთ, მოწყალეობა მიიღეთ და ოთხი ათასი კაცი ჩვენს ქვეყანაში გამოგზავნეთო. არა, დროა გზას გავუღვეთ. ხვალეუ ბარჯი შეჰკარით. იქაც ვამბობდი და აქაც ვიძეორებ — ჩვენს თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ.

— ოჰ! ოჰ! ოჰ! ო! — მძიმედ ამოიგმინა ქაიხოსრო მსაჯულმა — ბატონს როგორ დავენახეთო.

— მერე როგორ წერილებს გვწერდა, ღმერთო! — შწარედ გაიქინა თავი სულხან მდივანბეგმა. — აქეთ თურქნი, აქეთ სპარსნი, ზემოთ კიდევ ლეკნი. ალბათ, დაინახეს თუ არა, რომ რუსის ჯარი ჩვენი ქვეყნიდან გავიდა, დასიენ მგლებივით...

— მგონი რომ დაგბრუნდეთ, ქვა ქვაზედაც კი აღარ დაგვიხედეს! — დასძინა ზაალ ბარათაშვილმა. — ვაი ჩვენს დღეს!

— კარგია, ნუ გმინავთ, — შეუტია ლეონმა დიდებულებს, — ათას წელზე მეტია, რაც საქართველოს ბაგრატიონთა გვარი ფლობს და ორიათასზე მეტი, რაც თვით საქართველო სიცოცხლობს

და ასე უცბათ ერთ დღეს არ დიდილუბება. ღეთისმშობლის კალთას ჩვენი ქვეყნის მფარველს ვაძინებთ.

საუბარი დამთავრებულმა ლეონმა დაიწყო, რომ მსახურმა მოახსენა, ვიცე-კანცლერის თავად ალექსი მიხეილისიძე გოლიციინის მობრძანება. ყველანი ფეხზე წამოიშალნენ და აფუსფუსდნენ. ეს იყო ერთადერთი დიდი თანამდებობის პირი, რომელიც გულწრფელად ცდილობდა ქართველებს დახმარებოდა და ამის გამო ყველანი დიდ პატივსა სცემდნენ. ლეონმა და ანტონმა კიდევაც მისწერეს ერეკლეს, რომ ჩვენი მფარველი ერთადერთი გოლიციინია, რომელიც ძალღონეს არ იშურებს, როგორმე ჩვენი საქმეები კარგად წარმართოსო. პასუხად ერეკლემ მადლობის ბარათი მოსწერა გოლიციინს და აცნობა, რომ მე და იმერთა მეფემ სოლომონმა ახალციხეს გავილაშქრეთ და ღეთის შეწყვენით კვლავ ვეცდებით, რომ მტერს ზარალი მივაყენოთო. სამაგიეროდ ვთხოვთ ჩემი ძმისა და ჩემი შვილის თხოვნას შემწეობა გაუწიოთ და მუდამ თქვენს მსახურად მივსულვითო.

— ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი თხოვნა ვერ შევასრულეთ, — უთხრა გოლიციინმა მიგებებულ ლეონს და ანტონს, — მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ, გულს ნუ გავიტეხთ... მე კიდევ მაქვს იმედი...

— ნუთუ, თქვენო მაღალმსვლელობავ, — ანტონს სახე გაუბრწყინდა, — ჩვენ კი აქ სასოწარკვეთას მივეციით.

— მე უკვე წაასვლეულად ვუბრძანებ მომზადება...

— სწორადაც მოქცეულხართ, რაკი იმპერატრიცამ იწება, ცხადია, ჩვენც ვალდებული ვართ აღვასრულოთ მისი უდიდებულესობის სურვილი, მაგრამ... მაგრამ მე მაინც მინდა, სანამ თქვენ წაბრძანდებოდეთ, კიდევ ერთხელ ვცადო დავარწმუნო მისი უდიდებულესობა.

— წინასწარ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ვფიქრობთ, უნაყოფო იქნება თქვენი ცდა, — ლეონმა გაოცებით გადახედა თარჯიმანს, რომელმაც ასევე გაოცებით თითონ შეხედა ლეონს და დააყოვნა ეთარგმნა მისი ნათქვამი, — რაო, რად შეჩერდი...

— ეგ რასა ბრძანებთ თქვენო უმაღლესობავ. თვითონ გვეუბნება კიდევ ერთხელა ვცდიო...

— გადაუთარგმნე, რასაც გიბრძანებ, — მრისხანედ შეანათა თვალები ლეონმა ხუცესს და განაგრძო, — უნაყოფო იქნება, თქვენო ბრწყინვალეობავ, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთში შეამბოხებ ბუგაჩოვის წინააღმდეგ ალბათ, დიდი ძალების შეგროვებაა საჭირო და ვეჭვობ, მის უდიდებულესობას ახლა შეეძლოს ჩვენ რაიმე დახმარება აღმოგვიჩინოს...

— მმ... თქვენო უმაღლესობავ, თქვენ ძალიან გაზვიადებულად წარმოგედგენიათ ბუგაჩოვის ამბოხება. არა, ის ყურადღების ღირსიც არ არის. ჩვენ უფრო სხვა მიზეზების გამო იძულებული ვართ რამდენიმედ დავაყოვნოთ იმ დახმარების აღმოჩენა, რომელიც მომავალში აუცილებელი იქნება არა მარტო თქვენთვის, არამედ ჩვენთვისაც: დიახ, კავკასია ის ციხე-სიმაგრეა, რომელიც დიდი რუსეთის საზღვარზე მტკიცე დარჯჯად უნდა აღიმართოს. მე იმპერატრიცას რამდენჯერმე მოვახსენე ამის შესახებ და ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ საქართველოს სამეფოსთან მტკიცე ურთიერთობის დამყარება, საქართველოს ჩვენს ქვეშევრდომად მიღება, როგორც პირობითაც არ უნდა მოგვიხდეს ჩვენთვის აუცილებელია-მეთქი. იმპერატრიცა ძირითადად იზიარებს ამ მოსაზრებას, მხოლოდ თქვენ მართლაც ბედი არ გქონიათ, ახლა ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ იძულებული ვართ გაეაწვილოთ. მხოლოდ არის კი-

დედ ერთი მცირე იმედო და მიიღო გვადო, იქნებ რაიმე შედეგი მივიღოთ.

— უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, თქვენო მაღალსვლელობავ.

— ყოველ შემთხვევაში, გულს მაინც ნუ გაიტეხთ. შეიძლება ჯარის გამოგზავნაზე უფრო მეტი საარგებლობა თქვენთვის გამოიღოს იმ ლახისძიებებმა, რომელსაც ჩვენ მივმართავთ პორტსთან ზავის დადების დროს და მოვთხოვთ მათ, რომ თქვენს ქვეყანას ხელი არ ახლონ.

ამ სიტყვებით დაამშვიდა ლეონი და ანტონი გოლიცინმა, მაგრამ მისმა შემდგომმა ცდამ კვლავ უნაყოფოდ ჩაიარა. ცამეტ თებერვალს, ქართველების პეტერბურგიდან გამოგზავრების წინა დღით, მან ვრცელი წერილი მისწერა ერეკლეს, სადაც ანუგეშებდა, რომ არასოდეს არ დასტოვებდა საქართველოს თავის ყურადღების გარეშე და ეცდებოდა, რაც შეიძლება, მეტი გაეკეთებინა ამ ქვეყნისათვის თურქეთთან ზავის დადების დროს.

თოთხმეტ თებერვალს ლეონის ქარაგანი დაიძრა პეტერბურგიდან.

გასაეღელი იყო სამი ათას ხუთას ვერსზე მეტი გზა და მით უფრო მძიმე იყო ამ გაუთავებელი თვალუწყდენელ გზის გავლა, რომ არაფერი სასიხარულო არ მიჰქონდათ სახლში. დამსხვრეული იყო იმედები.

იქ კი ელოდებოდათ ბექუბშიმოხრილი, დაღლილი ერეკლე, კბილებდაღესილ მგლებივით მტერთაგან გარშემორტყმული, გაათრებულად მებრძოლი ერეკლე, რომელსაც შუბლი ალბათ ოფლისაგან დასცვაროდა, ხან მარჯვნივ შეუტევედა მტრებს, ხან მარცხნივ, ხან ზურგიდან წამოპარულთ მოუქნევედა ხმალს და... მუდამ დღე ამგვარი ბრძოლებით დაქანცული, მოუთმენლად ელოდებოდა მშველელს...

მოსკოვში ბატონიშვილს მთელ თვეზე მეტი მოუხდა შეჩერება, რადგან, როგორც ამბობდნენ, ვზებზე ჯერ კიდევ საფრთხილო იყო მგზავრობა, ხოლო პუგაჩოვის საწინააღმდეგოდ გაგზავნილ მიხელსონისაგან არავითარი ცნობები არ იყო მოსული.

იმ ხანებში მთელი მოსკოვი შიშით იყო შეპყრობილი. წინა წელს გაჩენილი ეპისა და ამბოხების შემდეგ ამ ახალ უბედურებას ყველანი თავზარდაცემულნი ეგებებოდნენ. ქალაქი აიუსო პუგაჩოვის მიერ აწიოკებულ გუბერნიებიდან გამოქცეულ შემამულეთა ოჯახებით. მათ მიერ ჩამოყვანილი გლეხები ავრცელებდნენ ხალხში ხმებს მებატონეთა გაწყვეტისა და თავისუფლების შესახებ. მოედნებზე, ფუხდუკებში, სამიკიტნოებში, ყველგან ამის შესახებ იყო ლაპარაკი და მრავალრიცხოვანი ბოგანო ხალხი ქეიფს მიეცა. ისინი უამრავ ჯგუფებად, მუდამ ვალეშოლები ბარბაციით დაეხეტებოდნენ ქუჩებში და აშკარად თანაც მოუთმენლად მოელოდნენ პუგაჩოვს. შეშინებული მცხოვრებლები გარეთაც ვეღარ ბედავდნენ გამოსვლას.

სტუმრები ამჟამად სოფელ ესესვიატსკოეში დაბინავდნენ, რომელიც სულ ახლო იყო მოსკოვიდან, თითქმის ეკვროდა მას და აქ ბევრი ქართველობა ცხოვრობდა. აქვე ჰქონდათ ქართველებს გამართული სტამბა, სადაც მათ მრავალი სასულიერო და საერო წიგნები დაებეჭდათ. რამდენიმე დღის განმავლობაში ანტონი და ლეონი იმით იყვნენ გართულნი, რომ ათვალიერებდნენ ქართველთა ნაშრომ-ნამოღვაწარს და ღებულობდნენ სანახავედ და თაყვანისსაცემად მოხუც თანამემამულეებს. მხოლოდ ორი ადამიანი იყო, რომელთაც არა თუ არ ისურვეს მათი ნახვა, არამედ კიდევაც იმუქრებოდ-

ნენ. ერთი მათგანი, ალექსანდრე იმილაზვარი, ლეონს ემუქრებოდა, ხოლო მეორე — ზაქარია გაბაშვილი ანტონის სახელს უმუქრებოდა. ერთად წყველით და კრულვით ცასა და დედამიწას იკლებდა.

დაბინავებისთანავე ბესიკმა სთხოვა ნებართვა ლეონს და მაშინვე გაემართა თავისიანების სანახავედ. ზაქარია თვით მოსკოვში ცხოვრობდა პრესნაზე, სადაც ვახტანგ მეფის მემკვიდრენი ბინადრობდნენ.

ზაქარია გაბუტული შეეგება შვილს და მიუხედავად იმისა, რომ მთელი დანარჩენი ოჯახის წევრები ერთის ტრიამულით ტირილით და ვიწვივით შემოხვეოდნენ ბესიკს, ზოგი მუხლებზე ეხვეოდა, ზოგი ხელებს უკონიდა, ზოგი ჯუბის კალთებს, ჯიუტი ხუცესი მაინც იძაბოდა:

— არ მინდა, არ დამანახოთ, არ მომაკაროთ. იმ ურჯულომ (ზაქარია ანტონს გულისხმობდა), იმ მკრეხელმა, შვილიც კი შემციდინა, მოისყიდა და იმხატურებს, რაო, ჯაშუშად მოგაგზავნა? ჯაშუშად? რა მინდაო იმ სულით გაყიდულმა?..

— კარგი ერთი, — შეუტია ქმარს შვილის ალერსით გატაცებულმა როდამმა, — ღმერთმა ისე გამაბედნიერა, რომ შვილის მნახველი გამხადა და შენ კიდევ თავისას არ იშლი. მოდი აქ, ღმერთს უარესად ნუ ანრისებ. მოდი, შვილს შეეგებე...

— არ მინდა, ურჯულო, არც შეილი მინდა არც ძირი, — უარობდა ვითომ ზაქარია, მაგრამ ცხადი იყო, შვილის ნახვა სხვებზე მეტად იმას უხაროდა, თუმცა კიდევ განაგრძობდა ჯიუტობას და ბესიკს არ იკარებდა. — დაიკარგე, დაიკარგე, შე ჩიტორეკივე შენა! — ბოლოს ვეღარ მოითმინა, გადაეხვია შვილს და აქვითინდა: — ბიჭო... შე უსირცხვილოვ შენა, რად დავივიწიე?.. როგორა ხარ?.. დაიცა ერთი, შემოგხედო. როგორი ვაჟაკი

დამდგარხარ, ჯვარი გწერია, თვალდაც სახიერი. ალბათ ქალებთან ცოდვებსაც არ ერიდები.

ათ წელზე მეტი იქნებოდა, რაც ერთმანეთი არ ენახათ და თუ ბესიკის თვალში ამ ხნის განმავლობაში მშობლები საკმაოდ შეცვლილიყვნენ, ზაქარია მთლად გათეთრებულიყო, ხოლო როდამს სახე ნაოკებით დასეროდა, ძმების და დების ცნობა ხომ შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ მშობლების თვალში თვითონ სრულიად შეცვლილიყო. ბესიკი თითქმის ბავშვი დაამორეს მშობლებს, ხოლო ახლა უღვაშებგადაგრეხილი ახოვანი ვაჟაკი წარუდგა მათ. ამ გარეგნულმა ცვლილებებმა უნებურად მთელი სიმწვავეით აგრძობინა ბესიკსაც და მისი ოჯახის წევრებსაც მათი ცხოვრების უბედური მხარეები და ყველანი ერთად ატირდნენ.

როდესაც გული მოიოხეს, ზაქარიამ დაწერილებით გამოკითხა შვილს თავგადასავალი, უამბო თავისი ვაჭირებანი. ბესიკისათვის ისედაც თვალსაჩინო იყო მისი მშობლების დუხჭირი ცხოვრება, როგორც კი შეათვალთვალა მათი ჩაცმულობა და ოთახის ღარიბი ავეჯი. ოდესღაც სასახლის კარზე განებივრებული და ფუფუნებაში მყოფი ზაქარია ახლა საგლახოდ მოსიარულე ბერს უფრო წააგავდა, ვიდრე სამეფო კარის წინამძღვარს.

— რას მიცქერი, შვილო, ვაკვირდება ხომ, ასე დაბეჩავებულს მხედავ? ჩემი ძველებური აბრეშუმის ანაფორა გაგახსენდა განა, ამ ძონძებს რო უცქერ? არაფერია, შვილო, ქრისტე ღმერთი ბრძანებს „რამეთუ რომელმან აღიმადლოს თავი თვისი იგი დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი იგი ამადლდეს“. სამწუხარო და საყალბო ის არის, რომ წმინდა ჭართულ ეკლესიას ურწმუნო და მწვალებელი დაეპატრონა. აქ აგლია?

— აქ ბრძანდება.

— შენც ხომ არ მამაგადიდავ მიკვირს, როგორ ითმენს, რომ შენ ბატონიშვილ ლეონს მსახურეშენსა!

— მე ყურადღებამ მრცხი ვაქცივს და ერთხელაც არ შემოუხედინია ჩემთვის. მხოლოდ ერთხელ, როდესაც უთხრეს, ეს არის ზაქარია მოძღვრის შვილი მგოსანიო, ეთქვა, არც საკვირველია, ეშმას ბუდიდან ეშმაკეული უნდა გამოვიდეს, რადგან მგოსნები ცდუნების, მრუშობისა და ბოროტების მეტს არას ღალადებენ ქვეყნად და ალბათ ეგეც ასეთი ბოროტების მსახური იქნებაო.

— მგოსნები ღვთის მოვლენილნი არიან ამქვეყნად და ეგ ურწმუნო რას გერჩის?

— მე არაფერი, თქვენ ისა სთქვით, რუსთველზე რას ბრძანებს.

— დიდებულ რუსთველზე? — გაოცდა ზაქარია.

— დიახ. როგორ დაუწერია, დაიცა მოვიგონო. ჰო:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,  
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,  
თუ სამ მსწადოდა ღმრთის შეტყველოცა მალა,  
უცხო საყვირველ პიტიკოს მესტიხე,  
მაგრა ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“.

ეჰ, დავანებოთ ამას თავი. ნათქვამია კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო. ბაგრატიონთა შთამომავალთან, იესე მეფის-ძესთან ბრძოლის შებედავაც დიდი იყო შენთვის, მაშაჩემო, ხოლო, რომ დამარცხდებოდი, ეს თავიდანვე უნდა გცოდნოდა.

ზაქარია შეკრთა, თითქოს შვილს სილა გაეწმას მისთვის ისე გადაქანდა უკან. ეს მარტივი, მაგრამ უდავო ჭეშმარიტება პირველად ესმოდა ამ ჯიუტი ხასიათის ბუცესს და ისიც შვილისაგან, რომელიც ისევე ბავშვად ეჩვენებოდა. მოხუცს კიდევაც ეწყინა, მაგრამ თანაც გაეხარა შვილის გონიერი სიტყვა.

— ახლა რას ამბობ, როდემდის გინდა ასე გაპირებებაში ცხოვრობდე, — კეთილა ბესიკმა მამას, — არ გინდა დაბრუნდე?

აღმოჩნდა, რომ ზაქარიას დიდხანა, რაც გადაეწყვიტა საქართველოში დაბრუნება და იმერთა მეფესთან თავშეფარება. სოლომონ მეფის დესპანს დავით კვინიხიძეს აღეთქვა დახმარება და პირობა მიეცა, თქვენ ოღონ იმერეთში მობრძანდით და ჩვენი დიდებული მეფე პატივისცემას არ მოგაკლებთო. მაშინ ზაქარიას კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ერეკლესთან შერიგებას მოახერხებდა და ამის გამო არ გაჰყვა კვინიხიძეს იმერეთს, მაგრამ ახლა როგორც კი განზრახვდა იქედან დესპანი, დაუყოვნებლივ გაუღებოდა გზას. ზაქარიას იმედი ჰქონდა, რომ სოლომონი სამგზავრო ფულსაც გამოუგზავნიდა (წერილიც კი მიეწერა იმერეთის კათალიკოსის იოსებისათვის და შემწეობა ეთხოვნა).

ბესიკმა ანუგეშა მშობლები, რაც კი რამ ჰქონდა ფული, ყველა მათ დაუტოვა და ურჩია, რომ პირველ შემთხვევისთანავე იმერეთისაკენ გზას გადგომოდნენ. ჰაბუკი მგოსანი უკვე საბოლოოდ იყო დარწმუნებული, რომ ერეკლე ზაქარიას აღარ შეირიგებდა და ამიტომ აზრი არა ჰქონდა მათს ცხოვრებას მოსკოვში.

— კარგი, შეილო, კარგი, აგრე მოვიქცევით, — აღერსიანად დაეთანხმა ზაქარია შეილს, — შენ რისთვის არ გვიამბობ, რა გადაგზნა, როგორა ხარ? ანაბანუმი როგორ ბრძანდება...

— ანაბანუმი მცხეთას გადასახლა ბატონმა, მაგრამ ზრუნვასა და მფარველობას არ გეაკლებს. ბატონი შეილ ლეონს დიდადა სწყალობს, ზომ მოგეხსენება, ლეონი მისი გაზრდილია...

— გაგიგე, სპარსეთს გაუგზავნიხარ ბატონს...

— ვიყავ, მაგრამ...

— ეგვიც გაგიგე, ბატონი გაურისხ-

და და სამსახურიდან დაითხოვეს, ჩვენ აქ მოველოდით. წერილს არ შევრე-  
იოდი და შეხს ამბავს მტკნარს ვგებულობდით.

— წერილის მოწერა შენ ადვილი გგონია! — გაიცინა ბესიკმა. — ისეთ სანდო კაცს ვერ იშოვო, რომ ბარათი იღუმალიად წამოიღოს. მაშინვე პირს გადაიღებენ და ბატონს მთავრად გვამოგვანან. რაც არ უნდა უბრალოდ გქონდეს და წერილი უსტარი, მაინც ათას ვითომდა ქარაგმებს ამოიკითხავენ და ისე სთარგმნიან, რომ ქვეყნის დაქცევის განზრახვა დაგაბრალებენ. წადი მერე და თავი იმართლე. ვინ დაგიჯერებს?

— სწორი ხარ, შეილო. ეგ კი აღარ გამახსენდა. ალბათ, ათასი თვალი გიციქროდა, მამამისის მსტოვარი იქნებო.

— სასახლის კარზე ყველა დაწინაურებას ცდილობს და აღარ იცინა, რით დაიმსახურონ ბატონის ყურადღება. საკუთარ ძმასაც კი ვერ ენდობი.

— ეჰ, ეგ სასახლეთა კარის უკურნებელი სნებაა შეილო. ყოველთვის სიფრთხილე გმართებს. წერილი ზომ წერილია, სიტყვითაც რომ რაიმე წამოგცდეს...

— ეგ კიდევ უარესი, — გაიცინა ბესიკმა, — რაც იესე მსაჯულს შეემთხება...

— იესე რაო? როგორა ბრძანდება, იმას ბატონი ძალზე წყალობდა. ანაბანუმი ზომ...

— რაც კი რამ ებადა ჩამოართვის, სამსახურიდან დაითხოვეს, საბლიდან გამოადგეს და ღია ცისქვეშ დაჰყარეს...

— ღმერთო დიდებული, — გადაისახა პირველი ზაქარიამ, — რისთვის?

— ერთმა ღელაკაცმა დააბეზლა მეფესთან, თქვენზე ბრძანა, მაგას ჯერ მეფობა არა ჰქონდა, შენ რომ გიშოვნეო.

— მერე?

— მერე და მეტი არაფერი.

— როგორ, მაგისათვის დასაჯეს ეს ამოდენა კაცი. მაგ სიტყვებში რა არის ისეთი, რომ ასეთი განსწავლული დიდებული გასწირო.

— არაფერიც არ არის, მაგრამ...

— არა, შეილო, შენც დროზე გაცალე, თორემ უბედურება არ აცდებდა. ეშმა დაპატრონებია ერეკლეს სულსა და გონებას. ანტონის მწვალებლობისათვის უფალი სჯის მის მფარველს და ვხედავ, რომ ბოროტებას დაუსადგურებია ერეკლეს სახლსა შინა.

— კარგი ერთი, სისულელეებს ნუ რომაე! — შეუტია ზაქარიას მეუღლემ, რომელსაც ამ უცხო ქვეყანაში გადმოხვეწის შემდეგ საქართველოს მეფეზე ცუდს ვერ გაიგონებდი. — კახთ ბატონზე ძვირს როგორა ბედავ? არ დაუჯერო, შეილო, ეს სულ ასე იწყებულა დედაბერივით და არ იცის რაებს ლაპარაკობს.

— ეჰ, მე უკვე გადავიტანე ერთი ქარიშხალი, ენახოთ მოშავალი რას მიქადის! არა უშავს რა. კვლავაც გავუძლებ! — ღიმილით ანუგეშა ბესიკმა მშობლები.

სასაუბრო ბევრი ჰქონდათ ამდენი ხნის უნახავ შეილსა და მშობლებს. ზამთრის მოკლე დღე სწრაფად გაილია და ბესიკი იძულებული იყო ღამე მშობლებთან გაეთია, რადგან, როდესაც გაახსენდა ბატონიშვილის სადგომში დაბრუნება, უკვე შეუღამეს გადაცილებულიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ბესიკმა ლეონი აწვია მშობლებს. მას სურდა ამით გაემხნეებინა მოხუცი მამა, თანაც დაენახებინა, როგორ შინაურ კაცად იყო მიღებული ის! კასახლის კარზე. ზაქარია მუხლებზე დაჩოქილი შეეგება ბატონიშვილს. თვალეზზე ცრემლები თქრიალით ჩამოსდიოდა, გულზე მუშტს იბრაგუნებდა და ლულულულებდა:

— ღმერთო დიდებულო, ბედნიერი

ვარ, რომ მაღირსე ჩემი... ჩემი... ბატონიშვილი... ხილვა... შენს... მუხლებს ვენაცვალე... ერთი შემთხვევით...

ლეონმა ფეხზე წამოხტუნა მისი სტუქტი. ანუგეშა და როდესაც ასეთ გაპირვებაში ნახა, აღარ იცოდა რით დახმარებოდა. ვერცხლით გატენილი ჭისა უწყალობა, შემდეგ ბესიკს უბრძანა, რაც კი რამ ზედმეტი სამოსი ჰქონდათ, ყველა ზაქარიასთვის დაეტრეებინათ. აღუთქვა, შეეცდებოდა ერეკლესთან შეერიგებინა, მაგრამ ანტონთან შერიგების შესახებ ხმა არ ამოუღია. წინაღობით ანტონი სტუმრად ბრძანდებოდა მოსკოვის მიტროპოლიტ ნიკოდიმთან, ხოლო მის უწმინდესობას საყვედური მოეხსენებინა ანტონისათვის. ჩვენამდე ხმებმა მოაღწია, რომ საქართველოს ეკლესიის წინამძღვარი მწვალებელი და ერეტოკოსი ყოფილა და ასეთი შეუფერებელი, თანაც თავზარდამცემი ჯერ არა მსმენილაო. ანტონი ისე გაეცეცხლებინა ამ შემთხვევას, რომ ლეონს ევედრებოდა, ეს სულ ზაქარიას ამბავია და, რაღაც არ უნდა დაგიჯდეს, მოსკოვის გრადონაჩალიკს სთხოვე ეს უჯიათი ხუცესი დაატუსალონ და გაპარსონო. ამის შემდეგ, ცხადია, ლეონი არა თუ მათ შერიგებას შესძლებდა, არამედ იმასაც ვერ გაამხელდა, რომ ზაქარია ენახა. მართალია, ეს თითქოს შემთხვევით მოხდა, ბატონიშვილი სხვაგან მიემგზავრებოდა და გზაზე ვითომ ერთი წუთით შეჩერდა, მაგრამ ანტონი ქვეყანას დაატყვევდა, როდესაც გაიგებდა რომ ბატონიშვილი ზაქარიას თავისი ფეხით ეახლაო.

— ანტონი მეფიცებოდა, ჩვენ თუ დავმარცხდით და რუსეთთან ვერა გავიგეთ რა, ეს სულ ზაქარიას ბრალიაო, — უთხრა ღიმილით ლეონმა ზაქარიას. — ჩემზე ხმა გაუფრცვლებია, საქართველოს ეკლესია წმინდა მცნებებს ააცდინა, რომის კათოლიკურ სარწმუნოება მიუღია და მთელი საქართველოს კათოლიკოსობა სურსო.

— ღმერთო დიდებულო, თუ მე ვტყუოდე, აქავე ძიწა გაძისკდეს და თან ჩამიტანოს...

— ანტონის აზრით ამ თქვენს მიერ გავრცელებულ ჭორს ის ნაყოფი გამოუღია, რომ რუსეთის იმპერატორიკამ უარით გაგვისტუმრა და ბატონის მამიჩემის იმედები სულ მთლად ჩაიფუშა.

— თუ მე მაგაში ბრალი მიმიძლოდეს, — დაიხოქა ზაქარიამ, — ღმერთმა და მამაზეციერმა...

— არა, დაიცა, მე განა არ ვიცი, კათოლიკობა მართლაც რომ მიგველო ეგ სულაც არ შეუშლიდა ხელს იმპერატორიკას ჩვენთვის დახმარება გაეწია. თითონ წინათაც ხომ პროტესტანტი ბრძანდებოდა მგონი, ხოლო ამჟამად, როგორც გავიგე, დიდად მეგობრობს ფრანგ ფილოსოფოსს ეოლტერს, რომელსაც თურმე სულაც არა სწამს ღმერთი. ასე, რომ — ეგ მოსაზრება ანტონისა სულაც არაა ანგარიშში მისაღები...

— ღმერთო, შენ შემიწყალე. შეილო ბესიკ, — ზეზე წამოიჭრა და მოუბრუნდა ზაქარია შეილს, — ბატონი-შეილს ეთხოვ და ჩემთან დაგტოვებს. არ წახვიდე საქართველოში. ანტონი მე რომ ვერ მომწვდება შენ დაგაბრალებს რასმე, ბატონთან დაგაბრალებს და... შურს იძიებს. ხედავ, რა ეშმაკურად მოუფონებია... ხედავ! ვითომ სულ ჩემი ბრალი ყოფილა ყველაფერი... ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს გაჩენას! მართალი უთქვამთ: უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევო... ეგ რა შვიი ქვა ამედევნა რომ აქაც აღარ მასვენებს...

— დამშვიდდი, მამაო, — ანუკეშა ლეონმა ზაქარია, — მამაჩემის რა მოგახსენო და მე, ცხადია, არა მჯერა ანტონის მოსაზრებანი, თუმცა მართალი მოგახსენო ისე ვარ გულგატეხილი, რომ მზადა ვარ ყოველგვარი ნაგისის ძალა ვირწმუნო. ქვეყნის ერთი სანაპიროდან მეორე ნაპირას მოვსულ-

ვართ საქართველოს განადგურებისაგან გადასარჩენად და ისეთ დროს ვაწილებთ მერწმუნე შეტყუებისაზე. არ გაგიკვირდეს ამიტომ, ~~მეტი~~ მისი, რომ მისი უწმინდესობა...

— ოჰ! — ამოიგმინა ზაქარიამ და თან გუნებაში გაიფიქრა: „უწმინდესობაო“, „უწმინდესობა კი არა უბინძურესობა“.

— ... რომ მისი უწმინდესობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდილობს მიაგნოს ჩვენი მარცხის მიზეზს.

— მან ჩემი საბოლოო განადგურების ხერხს მიაგნო, მეტი არაფერი. ნეტამე ჩემს ქვეყანას ეშველებოდეს და მე ახლავე მზადვარ ჯვარზე გავექრა, ვითარცა ჩვენი ქრისტე ღმერთი... — აღაპყრო ხელი მაღლა ხუცესმა.

ამ საუბრის შემდეგ ზაქარია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ერეკლეს კარზე მას სამუდამოდ ამოკვეთილი ჰქონდა ფეხი. ახლა ხუცესი უკვე თავისთავს აღარ დარღობდა და ბესიკზე ზრუნავდა. ლეონს შეევედრა მფარველობა გაეწია მისთვის და არ მოეკლო ის უდიდესი ზრუნეა, რასაც აქამდე იჩენდა. ლეონმა ანუკეშა ზაქარია და ამ მცირე საუბრის შემდეგ მაშინვე გაემართა შინისაკენ.

ერთი თვის შემდეგ გრადონაჩალიკმა მოახსენა ლეონს რომ უკვე შესაძლებელი იყო გამგზავრება და ყველანი ფუსფუსით შეუღდნენ მზადებას.

უამრავმა მარხილებმა, კონგოიმ და გასაცილებლად მოგროვილმა ქართველობამ მრავალი ცნობისმოყვარეები მოკრიბა და ქუჩაში ტევა აღარ იყო. ერთმანეთს ჩურჩულით ეკითხებოდნენ.

— რა მოხდა? ვინ არის?

— ამბობენ ქართველი „ცარევიჩი“ მოდისო.

— ჰო, ო!

განსაკუთრებით ქალოშვილები ცდილობდნენ „ცარევიჩის“ დანახვას და ერთმანეთს არ აცლიდნენ წინადაგომას. კისერჩასქელებული ბოჭაული

ციდილობდა ხალხი უკან დაეწია და ძალიერით უღრენდა ყველას.

ზაქარიაც მოვიდა თავისი ცოლშვილით, მხოლოდ წინ არ ეტანებოდა, მოშორებით იდგა ქვაფენილზე და იქედან უთვალთვალებდა როგორ სხდებოდნენ მარხილში სამშობლოსავე მამავალი ქართველები.

— Чего они плачут, люди-то! — იცითხა ერთმა ხნიერმა დედაკაცმა და პირჯვარი გადაისახა.

— Они хрузины, — უპასუხა ვილაცამ, — их родня уезжает, вот они и плачут...

— Ну и в добрый путь! — სთქვა იმავე დედაკაცმა — а чего им плакаться.

ზაქარიამ უნებურად გადახედა რუს დედაკაცს და გმინვა აღმოხდა. ცრემლები თქრიალით წამოუფიდა თვალთაგან. რა იცოდა ამ დედაკაცმა, რას განიცდიდნენ სამშობლოს მოწყვეტილი აქ გადმობეჭვილი ქართველები, როდესაც უცქერდნენ თავის ქვეყანაში მიმავალ თანამემამულეთ.

მალე ხალხი აიოჩქოლდა, ამოძრავდა და წინ მიაწყდა. სასახლიდან ჯერ კათალიკოსი გამობრძანდა სამღვდელოებით გარშემორტყმული და შემდეგ ლეონ ბატონიშვილი.

ზაქარიამ ზიზით გადახედა კათა-

ლიკოსს და ვილაც უცნობს ამოეფარა, რომ თვალში არ მოხვედრიდა თავის მოსისხლე მტერს. მანსავე მოეჩვენა თავის შვილისათვის მოეკრა თვალის დასაცურად გაეხარდა, როდესაც დაინახა, რომ ბესიკი ლეონის გვერდით დაჯდა მარხილში.

— ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ჩემს შვილს, — ღმერთო, დღეგრძელი ჰყავ ლეონ ბატონიშვილი! — ლოცავდა ზაქარია ორივეს.

წინა მარხილი დაიძრა და ეცვენების ელარუნით სწრაფად გაიქროლა თოვლიან ქუჩაზე. წინას მეროე მიჰყვა.

გაისმა ხმები.

— კეთილი მგზავრობა!

— მშვიდობით!

— მოკითხვა ჩვენს მიწაწყალს!.. ჩვენს მთაბარს, ჩვენს ნასახლარს!..

დაიძრენ მარხილები. აელარუნდნენ ეცვენები. დაიძრა ხალხი, ზოგიერთები დაედევნენ მარხილებს, რალაცას მისაბზოდნენ და ყველანი ტიროდნენ.

ეცვანთა ელარუნი თანდათან მიწყნარდა და მარხილებიც თვალთაგან მიეფარენ.

მხოლოდ დარჩენილი ქართველობა კიდევ დიდხანს იდგა ქუჩაში და მაგარი ყინვის მიუხედავად ირ ამირებდა დაშლას, თითქოს კიდევ რალაცას მოელოდა.

(გაგრძელება იქნება)

პახანზ გორგენალი

## ორი ლექსი

★

უკვე ბაიზრა ყანები

ბაკურციხეში ვიყავი,  
წამოველ, ვნახე ვეჯინი.  
ველზე თამამად გაშლილი  
ყელამდის მცემდა ჯეჯილი,  
შიგდაშიგ თავს იწონებდა  
ყაყაჩო გულგაღელილი.

გამვლელს ეძახდნენ ბალები  
ათასნაირი ფერებით,  
ფანჯრებში იხედებოდნენ  
ნუშის და ტყემლის წვერები.  
და დედაბოძზე ხმლებივით  
ეკიდნენ ბასრი ცელები.

თრთოლვით ელოდნენ ნამგლები  
ყანაში გასხვიოსნებას,  
აი, მოვიდა იენისი  
სოფლის ნატერა და ოცნება,  
ომგადახდილი ვეყაცის  
მარჯვენა როგორ მოსცდება.

ცას არ ჰბურავენ ნისლები,  
გულს არაფერი აღონებს,  
ტრიალებს გააფთრებული  
სდგამს თავთაფების მთა-გორებს,  
იმისი ნამგლის ტრიალი  
მტერზე ხმლის ქნევას მაგონებს.

გზებზე დასჭიმეს ხარებმა  
ჩაკრული აბეურები,  
ნეტავი ამდენ მოსაჯალს  
როდის მოზიდავს ურემი,  
რა ხელმა უნდა მოლიოს  
ყანები აზამბურელი?

ახალი პურის სურნელი  
გაჰფანტე, დილის ნიაფი!  
ფრთებმოზატული მერცხლები  
შორს ველებს გასძახიანო,  
ძნებს ჰკრავენ ლამაზმანები,  
ვეფხენი ყანასა მკიანო.



### მიეცით ხელში ნამგალი

ბრძოლაში იყენენ, დაბრუნდნენ,  
მოჰყვათ ცეცხლი და დიდება,  
ხმლებს ქარქაშებში ჩაგებულს  
ენგი არ მოეკიდება,  
მიეცით ხელში ნამგალი,  
ყანას ვაეკაცი სჭირდება!

ცა მოწმენდილა, ქათქათებს,  
თუ წინათ ჯანლი ებურა,  
ყანაში კომბაინები

გემივით შეცურებულან.  
ქარში მოჭრილი თავთავი  
ფართხალებს, როგორც ბედურა.

ვინ სთქვა, მეომარს არ უყვარს  
შრომაშიც თავდავიწყება,  
მეორედ დაბადებულან,  
ცხოვრება ახლად იწყება,  
ჰათი ნათქვამი ნადური  
მეშვიდე ზეცას მისწვდება.

## აბესალომ მუხიგული

★

რ ო მ ა ნ ი

პირველი კარი

1

ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი წლის თებერვლის მიწურული იყო.

თენდებოდა.

გიორგი ალურიძემ კორძიანი ხელისგული თვალზე მოისვა და წამსვე გამოფხიზლდა.

წუხელ საათის თერთმეტზე დაწვა და მაშინვე ჩაეძინა დაღლილს, მშვიდად ჩაეძინა, მაგრამ ფიქრი, რომელიც უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა, ძილშიაც თან ჩაჰყვა.

კარგახანია, რაც ეს ფიქრი აეკიდა გიორგის. საამქროში მუშაობის დროსაც, განუწყვეტელ გრიალსა და გუგუნში, მისი გონების ერთ კუნჭულში თავს შეაფარებდა იგი და ფუსფუსებდა მოუსვენრად.

ახლაც, გამოიღვიძა თუ არა, უმაღვე შეიპყრო იმ ძილში ჩაყოლილმა საგონებელმა.

მკვირცხლად წამოხტა ლოგინიდან გიორგი, შუქი აანთო და ტანთ ჩაიცვა. მეორე ოთახის ღია კარისკენ გაიხედა: იქ მისი ქალიშვილი, ინდუსტრიული ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი ნანუ იწვა და მშვიდად ეძინა. მოერიდა, არ გაეღვიძო.

სამზარეულოში ხელ-პირს რომ იბან-

და, მაშინაც არ შეწყვეტილა მისი ფიქრის ძაფი.

გიორგი გრძნობდა, რომ მისი გონება დიდხნის ამოცანის გახსნის წინაშე იღვა.

მალე მორჩა პირის ბანას, თავის ოთახისკენ გაეშურა.

მთელი მისი არსება იმ აკვიატებულ ფიქრს შეეპყრო. ამიტომ ვერ შეამჩნია, რომ ოთახის კარი მოიჯახუნა და ნანუს ძილი დაუფრთხო.

ყმაწვილი ქალი შეიმშუმნა, მიმოიხედა, სახეზე წყენამ გადაუქროლა.

— რანაირი ხარ, მამა! — წარმო-სთქვა ჩუმად, კედლისკენ გადაბრუნდა და ისევ ძილს მისცა თავი.

თავისი საზრუნავით გატაცებული გიორგი კედლის სარკესთან იღვა და თმას საჩქაროდ იეარცხნიდა.

წინ ეღვა თვისი ორეული: მომადლო, მზრებგანიერი; ხალათის საკინძი გახსნილი ჰქონდა და აღმურისაგან დამწვარი მალალი გულმკერდი მოუჩანდა, შავგვრემან სახეზედაც აღმურის ფერი გადაჰკრავდა; სქელ წარბებს ქვეშ შავი თვალეები უკიაფობდნენ; კალარა მხოლოდ საფეთქელთან და მოკლედ შეკრებილ უღვაშებში ემჩნეოდა, სქელ თმაში კი — აჭა-იქერი; მალალ შუბლზე ჩაგრებილი ღარი ნაჭრილობებს მიუგავდა.

სახეზე ღიმილი აუთამაშდა. თვალების ირგვლივ წერილ ნაოჭებზე ნათელმა შექმა გადაუჭროლა. სწრაფად მოშორდა სარკეს და ოთახში რამდენჯერმე გაიარა გამოიარა. მერე კუთხეში მიდგმულ მაგიდას მიაშურა, ყუთი გამოაღო და ნახაზები გაშალა.

დაკვირვებით დასცქეროდა გაუწაფავი ხელით შესრულებულ ნახაზებს; თვალები ოდნავ მოკუტრული ჰქონდა, თითქო სადღაც შორს, ოთახის მიღმა გარკვეულად ხედავდა იმას, რასაც ასე მოუსვენრად დაეძებდა მისი გონება.

ფანქარი აიღო და ეს გრძელი ფანქარი სავესებით დაიმალა მის ღიძრონ, კოჭრებიან თითებში...

მაგიდას მიუჯდა, რამდენიმე ხაზი გაუსვა და ხელი გაუშეშდა, ჩაფიქრდა. თავი ასწია და ფანჯარაზე მომდგარ დილის მკრთალ შუქს მიაშტერდა, ეზოდან თითქო ბედურების ყვირილაც მოესმა, მაგრამ ამ დროს მის თვალწინ უკვე ასახული ჩარხის ახალი ნაწილი აელვარდა და ქრუანტელმა დაეარა.

გიორგი ახლა ნათლად ხედავდა ამუშავებულ ჩარხს, რომლის გამოგონებას ამდენი ფიქრი და შრომა მოანდომა.

რა მარტივია! საოცარია, ამდენხანს რატომ ვერ მიაგნეს ამ უბრალო რამეს? ექვსი კაცი სამ დღეს მუშაობს, რომ ორთქლმავლის საცეცხლური გააფორმოს; გიორგის მიერ გამოგონებული ჩარხის საშუალებით კი მას სამი კაცი სამ საათში გააკეთებს.

ის იყო, ნახაზების აკრეფა უნდოდა, რომ ქარხნის საყვირის ნაცნობი ხმა გაისმა.

გიორგი ადგა. ნახაზები დაახვია... მერე ნანუს ოთახისკენ გაემართა.

ქარს რომ მიაღდა, უცებ შეკრთა და დამნაშავესავით მოარიდა თვალი ნანუს საწოლს ზემოთ ჩამოკიდებულ სურათს.

„ერთი წელიწადი არ ვსულა, მე რომ სამარეში ჩამიშვო, აილი გახსოვარ, თორემ ასე მხოლოდ უკრუნებოდიო“.

შინაზღოცხედა

იმ სურათიდან უსაყვედურა თითქო მისი მეუღლის სევდიანმა გამომეტყველებამ.

გიორგი თუმცა შეეჩვია თავისი მიცვალებული მეუღლის, სოფიოს უცვლელ გამომეტყველებას, მაგრამ ახლა მაინც უნებლიედ შეაკრთო ამ მრავალკირნახელი ქალის სევდიანმა სახემ.

სხვა დროს გიორგი ერთ წამს მაინც შესდგებოდა ამ პორტრეტის წინ და თავის მეგობართან ერთად განვილი ცხოვრების მძიმე გზას თვალს გადავლებდა, მაგრამ ამ დღით ამისთვის ვერ მოეცალა, სურათს თვალი აარიდა და ნანუს თავს დაადგა.

ჯერ ფრთხილად გადაუსვა ხელი ღბილ, ოდნავ მოწაბლისფრო თმაზე, მერე ალერსით ჩასჩურჩულა:

— გოგონი, ნანუ!

ნანუს ისევ მშვიდად ეძინა.

გიორგიმ ხმას აუწია:

— ნანუ, შე ძილისგულავ, ხედავ, მე რამოდენა საქმე გავაკეთე!..

ნანუმ პირი მამისაკენ იბრუნა და გრძელი წამწამები შეარხია, ნელინელ გახსნა ღიძრონი, ყუყუნა თვალები. დაბინდული ღიმილით შეაცქერდა მამას.

გიორგიმ შეიღს ნახაზი გაუწოდა.

— აი, ხედავ, მე უკვე დავამთავრე ჩემი ჩარხი...

სახეზე დააცქერდა, აბა რა შთაბეჭდილებას მოახდენს მასზე ეს ცნობაო. ეწყინა, ნანუს თვალები რომ ელულებოდა.

გიორგის სახე მოედრებლა, თითქო ეუცხოვარო ნანუ.

მე... როგორ გარბის დრო! ნანუ სრულებით არა ჰგავს ახლა იმ ნორჩ გოგონას, სოფიო და გიორგი რომ ასათუთებდნენ, მოჭარბებულ მზრუნველობასა და ფუფუნებაში ზრდიდნენ.

განა აგერ ახლა არ იყო, ლამაზ კულუ-  
ლებიანი ნანუ რომ სკოლიდან მოირ-  
ბენდა და გიორგის ყელზე მოეხვევო-  
და!

ახლა კი უკვე გასათხოვარი ქალია.  
რა მალე აიყარა ტანი! სახის იერიც  
გამოცვალა. ზოლო გიორგი ისევ ხე-  
დავს მამისეულ თვალწარბს, დედი-  
სეულ პაწია ტუჩებს, ლამაზად ჩა-  
მოქნილ ცხვირს და მცირეოდნად  
წინწამოხრილ ნიკაბს... იერია მხოლოდ  
სხვა!

ნანუს ყელთან დაწყობილ თითებზე  
შინდისფრად შეღებილ ფრჩხილებს  
შეაელო გიორგიმ თვალი და უნებლი-  
ედ გაიფიქრა:

„სულ სხვა ქვეყანაა, სხვა მისწრა-  
ფება...“

უბრაოდ განშორება მაინც დაენანა.  
— ისევ დაიძინე ხომ, შე კუდრაჭავ-  
ერთი წამიც ვერ მოიცალე ხომ ჩემ-  
თვის?

ნანუმ კვლავ დაბინდული ღიმილით  
მიპყრო თვალი მამას და მოალერსე  
საყვედურით უთხრა:

— კარგი ერთი, მამა, რა!..  
— ჰო, მოისვენე, შეილო... ჩაილაპა-  
რაკა გიორგიმ და ოთახიდან ფეხაკრე-  
ფით გავიდა.

## II

ქალაქის განაპირას გორების თხე-  
მებს ღრუბლებიდან გამოჰყრთალი  
მზის შუქი მოჰფენოდათ.

მტკერის სანაპიროებს გამსჭვირვე-  
ლე ბურუსი წამოესხათ.

იღვიძებდა ქალაქი და ნელი გუგუ-  
ნი ქუჩიდან-ქუჩაში გადადიოდა.

გიორგი აღურბიქემ რკინიგზის ლიან-  
დავზე ჩაყენებულ ვაგონებს შეუარა  
და ქარხნისკენ მიმავალ გზას გაჰყვა.

გიორგისათვის აქ ყველაფერი ნაც-  
ნობი და ჩვეული იყო,—ეს ნავთობი-  
ანი ქანქრობები, ეს შეჰვიარტლული

კედლები, ორთქლმავლების ტრენა და  
კვამლშეფენილი ცა.

ამ დილით ისეთ გუნტუნტუნს უკეთეს  
გორგი, რომ ნაცნობს უკეთეს  
მიმზიდველი და საყვარელი ეჩვენა.

ახლა რომ ვისმეს გასაუბრებოდა,  
ვერ შესძლებდა სიტყვით გამოეთქვა  
ის გრძნობა, რომელიც მის გულში  
ღვივოდა. ეს სიხარული იყო, გამარჯ-  
ვებით გამოწვეული.

უბრალო, მაგრამ დიდი აღამიანური  
სიყვარულით აღსაყვ იყო დღეს გი-  
ორგის გული,—ჯიბეში რომ ნახაზები  
ედვა, თავისი ტვინისა და სისხლის ნა-  
წილად მიაჩნდა და ღრმად იყო დარ-  
წმუნებული, რომ მისი გამოგონება სი-  
მტიციეს შემატებდა ახალ ქვეყანას,  
რომელსაც ჰაბუკობიდან ეტრფოდა და  
ემსახურებოდა.

იქვე ახლოს იყო პატარა გორაკი.  
ნაძალადევი ერჭვა წინათ ამ უბანს. იმ  
გორაკზე ცხრა გმირის საფლავი ეგუ-  
ლებოდა, ცხრაასხუთში დაღუპულ  
ცხრა ძმის საფლავი, იგი გიორგის გარ-  
დასულ ბრძოლებს მოაგონებდა.

ხალხის მრისხანების პირველი ქარ-  
ტებილი ჰქროდა. მაშინ ჩვიდმეტი  
წლისა იყო გიორგი; სახელოსნოში შე-  
გირდად მუშაობდა.

ერთ ღამეს ის ცხრა ვაჟაკი გუშა-  
გობდა რვეოლუციის საქმეს. გიორგის  
კარგად ახსოვდა თითოეული მათგანი.  
სადამოს ცოცხალი დასტოვა ისინი,  
ხოლო დილას... დახოცილები ნახა იმა-  
ვე ადგილას...

გიორგიმ რამდენიმე თვე დაჰყო მა-  
შინ საპატიმროში.

ციხიდან რომ გამოუშვეს, ერთ სა-  
ღამოს გულმა არ მოუთმინა და იმ გო-  
რაკისაკენ გაჰყვა ბილიკს ცხრა გმი-  
რის საფლავის სანახავად.

კარგად ახსოვს:  
ბეჭობზე შესდგა და სივრცეს გაჰხე-  
და. მთებს მიფარებული მზის სხივები  
მალალ კოშკებად დაკიდულ ღრუბ-

ლებში ენთო. გიორგის ისე მოეჩვენა, თითქო ცის კაბადონზე გაშლილიყო უცხო რამ ყვავილნარი.

ერთ წამს იყო გარინდული მოგონებაში წასული გიორგი. გორაკზე დამარხული ამხანაგების სახეები ეღვა თვალწინ.

— სამაგიერო გადახდილია, ძმებო!.. — უხმოდ დაექარგა გულზე ეს სიტყვები გიორგის.

და გზა განაგრძო გულჩქროლებულმა.

მაგრამ, როცა ქარხნის კარებს უახლოვდებოდა, სახეზე ღიმილი უკრთოდა. მოგონებას ახლა სხვა მიმართულება მიეღო. ახლა მას თავისი თავი წარმოედგინა, როცა ჩვიდმეტი წლის ბიჭი იყო და დღედაღამე სულ იმის ფიქრში იმყოფებოდა შურისძიებით ანთებული, თუ როგორ გადაეხადა მოსისხლე მტრისათვის სამაგიერო იმ ცხრა ძმის დაღუპვისათვის. იგივე გული, გრძნობა შერჩენია ახლაც გიორგის, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მღელვარე წელიწადი იყო მას შემდეგ გასული.

ხანდაზმულობის სიბრძნის თვალით მიუხედა გიორგიმ თავის სიყრმეს, მიუაღერსა...

ფართო ჭიშკარი ღია იყო. ქარხანაში შემავალ ლიანდაგზე შესაკეთებელი ორთქლმაველები ჩაეყენებინათ. ზოგი ჯანსაღად გამოიყურებოდა, თითქო სამანევროდ ყოფილიყოს გამზადებული, ზოგი კი ისე იყო დაზიანებული, რომ მათ დანახვაზე კაცს უნებლოდ საშინელი კატასტროფის სურათი წარმოუდგებოდა.

გიორგი ორთქლმაველების გვერდით მიდიოდა, გული ეთანადრებოდა, უკანასკნელ ხანებში რომ ორთქლმაველთა გამოსვების გეგმის შესრულება მეტისმეტად ბრკოლდებოდა. თვის პირველ ნახევარში თითქმის არა კეთდებოდა რა, მუშები მთელი საათობით ტყვილა იდგნენ, განსაკუთრებით ამწყობ საამ-

ქროში; მასალის ნაკლებობა / მაშინ იჩენდა ხოლმე თავს, რეკრუტული დარჩენილ საამქროელებს უფრო მაგლის ნაწილები უნდა მიეწოდებინათ. მიიწურებოდა თვე და ატყდებოდა იერიში, ბრიგადებს დღედაღამე გასწორებული ჰქონდათ.

შვილ-რვა დღეში აგზავნიდნენ გადაბრენაზე იმდენ ორთქლმაველს, რაც ორ დეკადაში ვერ გამოეშვათ. ცხადია, ასეთ პირობებში ნამუშავეარის ხარისხი მაინცადამაინც კარგი ვერ იქნებოდა.

საამქროები ამ დილით სწორედ ასეთ შეტევაზე გადადიოდნენ, ქარხანა მთელი ხმით იწყებდა გუგუნს.

გიორგიმ საქებაზე საამქროს გვერდით, კვამლისაგან შემპურულ ქერს ქვეშ შეუხვია და სანამ მუშაობას შეუდგებოდა, გულისჯიბე გაისწორა, ნახაზები არ ამომივარდესო.

აქ სამი ღუმელი უკვე ვარვარებდა და რამდენიმე ჩარხის ღვედი განუწყვეტლად შრიალებდა.

პირველ დიდ ღუმელში ვეება რკინა იყო შედებული.

გიორგის ბრიგადის წევრებმა გრძელი მარწუხები მოიმარჯვეს და იმ რკინის გამოლებას შეუდგნენ.

წინათ აქ თერამეტი კაცი მუშაობდა, მაგრამ გიორგიმ ისე წარმართა საქმე, იმდენი რამ გამოიგონა, ისე გაზარდა შრომის ნაყოფიერება, რომ ახლა ექვსი კაცი თამამად ასდიოდა.

ესენი რჩეული ბიჭები იყვნენ, გიორგის მიერ გაზრდილნი, მუშაობაში ურთიერთთან ხელშეწყობილნი.

გიორგი ამ ექვს ვაკეკაცში ყველაზე მეტად აბესალომ მუზიგულზე იყო გულდანიდობილი.

ეს ქაბუჯი ახლა ოცდახუთი წლისაა, ჩასკენილი, სიცოცხლით სავსე; ფართო სახესა და სქელ, გადაბმულ წარბებს თავლისფერი თვალების მშვიდი და ბეჯითი გამომეტყველება უმშვენებს.

გიორგის უნდოდა ამ დილით ყვე-

ლაზე უწინ აბსალომისათვის გაეზიარებინა თავისი სიხარული, მაგრამ მისელისთანავე მუშაობა დაიწყო და საუბრისათვის დრო აღარ იყო.

აბსალომმა ბოკის ჯაკვი აანხრიალა და ღუმელიდან გამოღებულმა ბრტყელმა რკინამ დილის მზესავით მიმოჰფანტა ირგვლივ მწველი შხეფები.

გამაღებით შეესია მთელი ბრიგადა ამ მოვარდარე ზოდს. ზოგი მარწუხით ატრიალებდა ფართო გრდემლზე, ზოგი მძიმე უროს ურტყამდა. გიორგის სატყეცი ეპყრა და საითაც გასწევდა, უროს დამრტყმელიც იქით უმიხნებდა. წელში მამინ გაიმართა, როცა გუფორმებული რკინა განზე გადასდევს.

ტყავის ხელთათმანი წაიძრო, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, საზე მოიწმინდა, მერე იმ ადგილას მივიდა, სადაც მის მიერ გამოგონებული ჩარხი უნდა დაედგა.

არე თვალით ერთხელ კიდევ გაზომა. ეტყობოდა გამაღებული მუშაობის დროსაც არ დაეიწყნოდა თავისი საგონებელი.

### III

შესვენების დროს გიორგიმ სასაღილოში ნაჩქარევად ისაუბრა. მერე ინჯინერ ლევან<sup>\*</sup> ცისკარიძესთან გაეშურა.

კაბინეტის კარი შეაღო, ლევანი შიგ არ იყო და გამობრუნება დააპირა.

— მობრძანდით, ამხანაგო გიორგი! ლევანი მალე მოვა.

ახლა შეამჩნია გიორგიმ კუთხეში ფანჯარასთან მიმჯდარი ახალგაზრდა კაცი. ეს რევან კორდელი იყო, ტანადი, პირმცინარი, მეტად თავაზიანი. დიდი ხანი არაა, ქარხანაში რომ მოვიდა, მაგრამ უკვე თითქმის ყველას იცნობდა, ყველას მეგობრობდა, მომარაგების საქმის კარგი მცოდნის სახელი მოიხვეჭა.

— აბა, როგორაა საქმე, რევან სახლოვანო ოსტატო?— გულგახსნილი ღიმილით შეეგება პირმცინარ გიორგის, — ვიცი, თქვენ უნდა ყველაზე უფრო გეგმა გექნება?

— არა, მე ავერ...

— ეპ, ჩემო გიორგი, რა თავდაბალი ხარო თქვენს— წამოიძახა რევანმა.

გიორგის არ უყვარდა მოკარბებულ ხოტბა. როდესაც ვინმე შეაქებდა, სველ წარბებს შეკმუხნიდა, მოსაუბრეს სახეს აარიდებდა და აიძულებდა სხვა საგანზე ელაპარაკა.

ახლაც ასე მოიქცეოდა, მაგრამ ამ დროს ტელეფონი აწყრაილდა.

რევანმა ტელეფონის მილი აიღო. მარდაღ წამოღდა. ხუტუტ თმაზე ხელი გადაისვა, მოსაუბრეს მიესალმა და ღიმილი მოერია. თავი მოხდენილად შეარხია.

ხომ არ კოხტაობს?

არა, ისედაც ერთობ ლამაზია. უზადოდ ჩამოსხმული საშუალო აღნაგობა, მკერივ, მოძრავი. მის სახესაც წუნი არ დაედება. ფართო შუბლი, მუქი თაფლისფერი თვალები, ოდნავ აწეული წარბები; მხოლოდ პირწმინდად მოპარსულ ტუჩების ნაპირებში გამოკრთის ხანდახან რაღაც სიმკაცრე, ცივი, დამცინავი. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება ეს გიორგის ეჩვენება...

და გიორგის რატომღაც უცებ თავში გაუელვა: ნეტავი ნანუს თუ მოეწონება ასეთი ვაჟი?

უნებლიედ გაუკვირდა, რატომ დაებადა ეს უცნაური აზრი?

ბოლო დროს ხშირად ხედავდა ნანუს და რევანს ერთად. ამასწინათ რევანმა ნანუ თეატრიდან სახლამდე მოაცილა. ყურადღება მიაქცია რატომღაც ამ მოვლენას.

ამის ანარეკლი თუ იყო, ახლა რომ კითხვა დაებადა გაკვრით...

— ბოდიშს ვითხოვ, ჩემო გიორგი! — სთქვა რევანმა, როცა ტელეფონი

ლაპარაკი მოათვა.—ჩენი ნიკო იყო... ისევ იმ დაწუნებულ ორთქლმავალზე ლაპარაკობდა. გავირდა სწორედ საქმე! კარგ რემონტს კარგი ხარისხის მასალა უნდა, ჩვენ კი ახა საღ მოგვეპოვება... მაგრამ არაფერია,—დასძინა ბოლოს,—ეს საქმეც გამოსწორდება.

ამ დროს კაბინეტში ლევან ცისკარიძე შევიდა, დაღლილი კაცის იერი შეჰყვავა: ტანმორჩილი იყო, გამხდარი, დაწმენდილი, მოგრძო სახე ჰქონდა, ოღნავ ჩაღრმავებული შავი თვალები და წვრილნაოქიანი მაღალი შუბლი.

რევანს გიორგისთან დიდი საქმე უნდა გადაეწყვიტა და ამიტომ ლევანის მისვლა არ ესიაშენა, მაგრამ ეს არ შეიძინია, გუნებაში კი თავისთვის გაიფიქრა: „დროს შევეურჩევ და მოველაპარაკებო... უარს არ მეტყვის... ახლა ჩემი საქმე ისეა, რომ... მავასთან დამოყრება ჩემთვის სწორედ მისწრებაა“...

ამ ფიქრმა მისი სახის მიაბეღელი იერი არ შესცვალა, ლევანს მეგობრულად გაუღიმა, გიორგის გვერდით დაჯდა.

ლევანმა მაგიდაზე ქაღალდებს დაჰხედა, წარბები შეიკრა, შუბლი დაუნაოჭდა. ეტყობოდა, ცუდ გუნებაზე იყო.

— რამ შეგაწუხა, ლევან?—საქმიანი გამომეტყველებით შეეკითხა რევანს კორდელი.

ლევანმა ცერად გაჰხედა რევანს, თხელ ტუჩებზე ოღნავ შესამჩნევმა დამცინავმა ღიმილმა გადაუქროლა.

კორდელმა, ლევანის დაცინვა თითქო ვერ შეამჩნიაო, კვლავ იმავე საქმიანი გამომეტყველებით წამოიწყა:

— ვიცი, ვიცი, რაზედაც იქნები შეწყუხებული. ალბათ, ისევ იმ ჩაბარებულ ორთქლმავლების ხარისხზე გედავიბან, მაგრამ არა უშავს რა, ესეც გამოსწორდება...

გიორგის მიხედა, თითქო ისიც უნდა დაიმოწმოსო, და განავრძო:

— იმ ოჯახაშენებლებს რატომ ავიწყდებათ ჩენი რკინიგზის ახლანდელი დაუზოგავი მდგომარეობა? ახალთახალი ორთქლმავლებს ვერ აიტანს იმას, რასაც შეათევერ შეკეთებულსაგან მოითხოვენ...

ლევანი ყურს არ უგდებდა კორდელს, ქაღალდს დაჰყურებდა, მერე უცებ გიორგის მიაპყრო ნაღვლიანი თვალები და შინაურულად ჰკითხა:

— შენ უთუოდ ჩემთან გექნება საქმე?

გიორგიმ გულსჯიბიდან ნახაზი ამოიღო, გაშალა და ლევანს გაუწოდა.

— მე, ამხანაგო ლევან, როგორც იქნა, დავამთავრე ეს ჩარხი. ჩვენს საამქროს დიდ სარგებლობას მოუტანს. საცეცხლურების გაკეთება ძნელი აღარ იქნება. ჩემი წინანდელი გამოგონება ამასთან შედარებით სულ უბრალო რამეა. წინათ მეგონა, რაღაც რთული რამ იქნებოდა საჭირო, ეს კი, შეხედე, რა მარტივია! პირდაპირ საკვირველია, ამდენხანს რატომ ვერ მივაგენით ამისთანა უბრალო რამეს?

ლევანმა ნახაზი გამოართვა, ოსტატის თვალით დააცქერდა, მაგრამ ბუნდოვან ხაზებში ჩარხის აღმოჩენა გაუძნელდა.

ლევანის დასკვნის მოლოდინში გიორგის აღმურისაგან გარუჯული სახე მოედრეშა, შუბლზე ჩაგრებილი დარი კიდევ უფრო ჩაულრმავდა. საესებით დარწმუნებული იყო, რომ ჩარხი არავითარ შესწორებას არ საჭიროებდა, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვალისწინებული, მაგრამ ისეთი სპეციალისტის აზრს, როგორც ლევანი იყო, მაინც დიდად აფასებდა.

ლევანი კი ქაღალდს გულმოდგინედ დაჰყურებდა და აზრის გამოთქმას აგვიანებდა.

გიორგის უცებ ულვაშებში გაელიმა, ახლა მიხედა, რომ ამ გაუწაფავი ხელით შესრულებულ ნახაზებში მხოლოდ მისთვის იყო ყველაფერი ნათე-

ლი, ლევანი კი, ალბათ, უმთავრესს ვერ ამჩნევდა.

ჩაახველა, თითქო ხმას იწმენდსო, ადგა, თავისი დიდი, ძარღვმაგარი ხელი ნახაზზე დაადო.

— ეტყობა ამნაჯღაბნმა ვერაფერი გაგაგებინა. აი, შეხედე, აქ სამი ლილვი იქნება; ეს ჩვეულებრივი საყრდენია... ეს სოლებია, ეს კი მუზრუჭი... ხომ იცი, რა დიდ დროს გვართმევდა რკინის ფურცლების მოღუნვა? ახლა ეს საქმე ისე გაადვილდება, რომ ოცი კაცის შრომას ერთი შეასრულებს. ხარისხიც უკეთესი იქნება...

ლევანმა ნახაზს მხერა მოსწყვიტა, გიორგის აახედა, ღიმილმა სახე საოცრად შეუცვალა; გიორგის შთაგონება მასაც გადაედო, გადაახალისა. ახლა იგი თავისთავს ეკუთვნოდა, არავითარი წუხილი, არც ოჯახური უსიამოვნება აღარ ახსოვდა. ის ფარული სიძულვილიც გაჰქრა თითქო, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს აღძრა რევან კორდელის მიმართ.

— ეს კარგია... ძალიან კარგია, ჩემო გიორგი!.. მომილოცავს!..

ეტყობოდა ლევანს კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ამ დროს რევან კორდელი წამოიმართა და აღტაცებით წამოიძახა:

— აი ეს მესმის; პირდაპირ საოცარია, რამდენი შრომა აქვთ დახარჯული სპეციალისტებს სწავლის შექმნაზე, მაგრამ აგერ ასეთი მარტივი და აუცილებელი რამ ვერ აღმოუჩენიათ!.. მართალია, გამოგონებისათვის განსაკუთრებული ნიჭია საჭირო, მაგრამ... არა, თქვენ ნამდვილი სტეფენსონი ხართ, პატივცემულო გიორგი! ამ გამოგონებით მთელი ჩვენი ქარხანა იამაყებს... გიორგიმ ხელი ასწია.

— ეე, კარგი ერთი, რა! სად სტეფენსონი და სად ეს უბრალო ჩარხი! მერე ლევანს მიმართა:

— შენ მხოლოდ იმაში დამეხმარე, რომ ნუ გამიჭიანურებენ. ხომ გახსოვს,

მარშანწინ რამდენი დავიღობა დასკირდა ჩემი წინადადების განხორციელებას? ესეც ისე <sup>მარშანწინ</sup> ქალაქებში.

— ჯავრი ნუ გაქვს, ჩემო გიორგი! ამ საქმეს მე თვითონ გავუძღვები. — უპასუხა ლევანმა და გიორგის ბრინჯაოსფერ ხელს თავისი პატარა, ფერმკრთალი ხელი დააყრდნო.

საყვირის ხმა გაისმა.

— მამ აგრე!.. გმადლობ, ამხანაგო ლევან!—სთქვა გიორგიმ და კარისაკენ გაემართა.

რევან კორდელმა მკლავში ხელი გამოსდო, გააცილა, მის ხმას მუტი მოკრძალება და თავდაპირილი ალერსი დაეტყო:

— ნეტავი შემეძლოს, თქვენ რაიმე სამსახური გაგიწიოთ. არ ვიცი, რითი დავიმსახურო თქვენი სიყვარული... მერწმუნეთ, მამაზე მეტად გაფასებო. წელანაც მინდოდა მეთქვა, რომ...

დერეფანში რამდენიმე კაცს შეეხეჩნენ. ერთს რევანთან რაღაც სასწრაფო საქმე ჰქონდა და მოურიდებლად განზე გაიზმო.

— მამატიეთ, პატივცემულო გიორგი. მერე იყოს...—მეტად მნიშვნელოვანი გამომეტყველებით უთხრა კორდელმა გიორგის და განშორდა.

ქარხნის ეზოში მიმავალი გიორგი ლევანის გულისხმიერებით იყო მოხიბლული.

„აი, ასეთი აღმავლები გვესაპირობიან ჩვენ.—ჭფიქრობდა გიორგი. — ცოდნაც დიდი აქვთ და საქმისათვისაც გული შესტკივიათ... ეს კაცი კი... რაღაცის თქმა უნდოდა... ვითომ?.. აჰ, არა, არ მომწონს ასეთი პირში მოფერება... კარგი ყმაწვილია, მაგრამ შინაც შეუცხოება“...

ქარხანა ხმაგაბმულად გუგუნებდა. მოსახვევში გიორგიმ სამკედლოს მოავლო თვალი.

მაღალ, ქუფრად შემურულ თალებს ქვეშ განუწყვეტლად ბობოქრობდნენ

გავარეობული ქურები.

თვალისმომკრელად ელვარებდნენ აღნაკადად ქცეული რკინის ზოდები, ელვარებდნენ და ჰფანტავდნენ ირგვლივ ოქროსფერ შხეფებს.

უზარმაზარ ორთქლის უროსთან იდგა დევგმირული აღნაგობის ევაკაცი, საკინძგაზსნილი; ფართო სახე ოფლით ჰქონდა შეკონილი, მარწუხით ატრიალებდა უმძიმეს ზოდს და რვილს სკედდა.

ირგვლივ ცეცხლი იყო, აღუღებელი რკინა და ნაპერწყლების ჩქერი.

ამ დღეს გიორგიმ ისე დარაზმა თავისი ბრიგადა, რომ გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

#### IV

სწრაფად აირბინა ნანუმ მეორე სართულზე და ბინაში ისე შეიჭრა, თითქო თავის შეკავება აღარ შეუძლიაო. წამოგზნებული სახე ღიმილით გაბრწყინებოდა, ვუთუნა თვალებს სიხარული უღელვარებდა; თან რაღაც შიშნარევ მღელვარებას შეეპყრო.

შუქი აანთო, ტახტზე გაუხდელად ჩაძინებულ მამას მოჰკრა თვალი.

რვეულები მაგიდაზე დასდო და ფეხის ცერებზე შემართულად სარკესთან მივიდა. ნაწნავეები გაისწორა. თვალებსა და ლაწეებზე ოდნავის შეხებით მოისვა ხელი, თითქო საკუთარ სახეს კი არა, უფრო სასურველ არსებას ეალერსებაო. ღიმილმა ნელინელ გაუხსნა პაწია კოხტა ტუჩები და ბროლის მძივივით გამოკრა მწყობრი კბილები.

ვის უცინის?

აგერ მის გვერდით სარკეში დგას ქორორა ვაგი...

ნეტავი, თუ მართლა ეს ის არის, ვისზედაც ნანუ იღუმლად ოცნებობდა ხოლმე? დიდიხანი არაა, რაც გაიცნო და, ვინ იცის, იქნება ეჩვენება?..

არა, მართლა ის არის? მართლა ასე კარგია? მაშ, რატომაც ხანდახან რომ გაჰკრავს გულში რაღაც მძიმე თქმის არ მოსწონდეს, თითქოს... არა, არა! ის არის, ის!

გიორგი ძილში შეიშმუშნა. შემკრთალმა ნანუმ მამას გაჰხედა. მასთან საუბარი მოსწყურდა. მივიდა, თმაზე ხელი შეახო...

აღარ გააღვიძა. „ცოდვია, მოისვენოსო“, გაიფიქრა და ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში.

არც ის მყუდროება ეამა, მის ოთახში რომ სუფევდა. მის მღელვარებას ახლა სიმღერა, სიცილი, ხმამაღლა საუბარი თუ დააწყნარებდა.

აქ კი, აგერ მისი ტახტის ირგვლივ, თითქო გულის შემლონებელი სიცარიელეა. საოცარია, ამდენხანს როგორ გაუძლო აქ მარტოობას! ან რა აზრი აქვს განთვისებულ სიცოცხლეს.

მზრები აიჩეჩა. კვლავ ცერებზე შესდგა და ცელქურად გაიარ-გამოიარა. წიგნების თაროედს გაეკრა და ერთი გადმოჩინებული წიგნი ძირს გადმოვარდა.

კართან მიიპარა და მამისაკენ გაპარა მზერა. გიორგის ისევ ეძინა.

თავს ძალა დაატანა, წიგნი აიღო და მაგიდასთან ჩამოჯდა. რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა, მაგრამ არცერთი სიტყვის აზრი არ გაუგია. კითხვა მინც განავრძო.

იმას კი არ მეტყველებდნენ სტრიქონები, რაც იქ ეწერა, არა, ნანუს ოცნებას იმეორებდნენ.

გაოგნებული იყო ნანუ და მოხიბლულივით აღევნებდა თვალს, მისი არსებიდან რომ ახალი ნანუ ამოდიოდა, საოცარი სისწრაფით გაზრდილი, დამშვენებული.

რაღაც განუსაზღვრელად დიდი მიემატა არა მარტო ნანუს, არამედ მთელ ქვეყანას.

ერთის წამით მოეჩვენა, თითქო ამ ვეება მსოფლიოს ცენტრში. მასთან

ერთად ძლევამოსილად იდგა ის ვაჟი, რომელსაც ასე უცებ შეეთვისა.

სულ მალა, სანეტარო ლაყვარდში აყავდა ნანუ ამ განცდას; ბოლოს ისეთ თვალშეუღვამ მწვერვალზე აღმოჩნდა, რომ მთელ სხეულში ერთნეტელმა დაუარა, შეკრთა, მის მიერ შეთხზული ოცნების სტრიქონები წინ მდებარე წიგნის სტრიქონებში აირია, თითქოს უეცრად ქარმა დაუბერაო.

თავი ასწია. მარტოოდენ თვალები უბრწყინავდნენ. ფერი გაკრთობოდა, სახეზე თითქოს სევდის ჩრდილი გადაჰფენოდა.

— ეჰ, ვინ იცის!—თვითონაც არ მოელოდა, ისე გაიფიქრა:—იქნება ვტყუვდები? რაა ეს, ხანდახან რომ გულში შხამივით მეწვეთება? ვინმე მაინც მყავდეს ისეთი...

მიმოიხედა.

კედლიდან შავ ჩარჩოში ჩასმული დედის სახე გადმოჰყურებდა.

სოფიოც თითქოს ოდნავ ფერმიხდილი იყო, თითქოს იმასაც ეგრძნო ის დიდი ცვლილება, რასაც მისი ქალიშვილი განიცდიდა, და ჯერ ვერ გადაეწყვიტა—საბედნიერო იყო ეს, თუ...

ნანუს თვალებზე ცრემლები მოადგა; არც მან იცოდა, სიხარულმა გამოიწვია, თუ მწუხარებამ ეს ცრემლები. უსუსური ბავშვივით მოსწყურდა დედის ხმა, დედის ალერსი. ახლა მხოლოდ დედას შეეძლო გაეგო მისი სულისკვეთება.

— დედაო, დედა.. ნეტავი ახლა ცოცხალი მყავდე! შენ ყველაფერს მიმიხვდებოდი...

სურათს რომ თვალი მოსწყვიტა, სახე კვლავ ნათელმა ღიმილმა დაუმშვენა; ისევ იმ ქოჩორა ვაჟის სუნთქვა იგრძნო.

შეტოკდა, ახალის ძალით ნაფეთქმა სიხარულმა აღიტაცა.

კართან ქურდულად მიიპარა და მამას გაჰხედა.

გიორგის გაღვიძებოდა და კერძო მისჩერებოდა.

ნანუმ რამდენიმე ნაბიჯზე დადგა, მერე უცებ მამასთან მიიქრა.

— სულ უნდა იძინო, შე ძილისგულდავ? რამდენი ხანია ვუცდი, გაიღვიძებს-მეთქი და საშველი აღარ დაგადგა.

გიორგის ეამა ეს მიაღერებდა და ტახტზე ჩამომჯდარ ნანუს ხელი მოხვია, წარბები მაინც შეიკმულხნა და საყვედურით სთქვა:

— არ უყურებ? ჩემი შენ გითხარო, ეს არის სწორედ! შე მართლა ძილისგულდავ, არ გახსოვს, ამ დილას რომ სული ვერ ჩაგიდგო?

— ჰო, კარგი ახლა... ნუ გამოიგონებ ზოლმე!

— რაო, არ გახსოვს? არაფერი არ ვაგვიგია?

— რა უნდა გამეგო?

— ეჰ, შენ ჩემო თავო, მე უშველელი საქმე ვაგაკეთე, მგონია, და ამას ჩირადაც კი არ ჩაუგდია!

— კარგი ერთი, სთქვი ბარემ, რა ვაკეთე?

— ჩემი ჩარბი დავამთარე.

— ჩარბი?! — გონებაღვანტულად ჩაილაპარაკა ნანუმ. ეტყობოდა, რომ სულ სხვა რამეზე ჰფიქრობდა.

— ჰო, ჩარბი... იცი, ნანუ, რა დიდი სიხარულია, როდესაც რაიმეს შეჰქმნი! უნდა გენახა, ბიჭები როგორ მილოცავდნენ. რევანმა უდიდეს გამომგონებლებსაც კი შემაღარა...

რევანის ხსენებაზე ნანუ შეკრთა.

— ვინ რევანია?

— კორდელი... ვითომ ვერ მიხვდა! ჰაიტ, შე კულრაჰაჰე! ვინ მოგაცილა ამასწინათ თეატრიდან? აი, სწორედ ის რევან კორდელი დღეს ისე მეფერებოდა, რომ...

გიორგის კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ნანუს რომ უცებ სიცილი აუტყდა, სახტად დარჩა.

— რა გაცინებს, გოგო? მე საქმეზე გელაპარაკები, შენ კი...

ნანუმ სიცილი ძლივს შეიკავა და მამას მოეხვია.

— კარგი, რა მამილო, ნუ გამოიჯავრდები... იცი, რა უნდა გითხრა?.. რევანში დღეს მარტო ნახე, თუ იყო მასთან ვინმე?

— მარტოც ვნახე და სხვებთანაც. რატომ მეკითხები?

ნანუმ ეშმაკურად მოჭუტა თვალები, მამას იტყუნულად დააკვირდა.

— რევანს შენთვის არაფერი უთქვამს?—მცირე ხნის შემდეგ ჰკითხა ცოტა არ იყოს ფრთხილად, გაუბედავად.

— რა უნდა ეთქვა?

— ისე გკითხე... არაფერი...

— კი მაგრამ, შენ რა იცი, რომ მას რალაც უნდა ეთქვა?

— ეს ჩემი საიდუმლოებია, მამა...— უბასუხა ნანუმ და მამას ისევ უნდობლად, ემკითხა შეაკერდა, ეტყობოდა, რომ გულში ღელავდა, მაგრამ არ იმჩინებდა.

— თუ საიდუმლოებია, შენთვის შეინახე.—მოუჭრა ნანუს გიორგიმ, ვითომ არც კი შეუმჩნევიდა შეილისათვის ფარული აღელვება.

— არა, საიდუმლოება კი არ არის, მაგრამ... ნუ-თუ მართლა არაფერი უთქვამს?

— საოცარია, უნდა ეთქვათ, მაგრამ რაო, იმას კი არ ამბობს!—გაჯავრდა ვითომ გიორგი.

— რა და... იცი, მამიკო, რომ ჩვენ... ნანუს სახე ისეთი გაუხდა, თითქოს ცეცხლის ალი შეეკიდაო. თავი დახარა.

— რა თქვენ, გოგო?

გიორგის გულმა უგრძნო, რომ მისი ქალიშვილი მართლა საიდუმლოების განდობას აპირებდა.

— არაფერი მესმის, ნანუ!—სთქვა და ლოგინიდან წამოდგომა დააპირა.

მაგრამ ნანუმ არ დააცალა. უცებ,

მაგრად ჩაეხვია, ზედ გულზე მიეხუტა. აქვითინდა.

მამამ ხელი მოხვეწა <sup>ნანუმის</sup> მხელაზე. — ჰო... მითხარი, ჩემო სიცოცხლე... მამას უთხარი ყოველივე... ნუ მოგერიდება...

— მამი, ჩვენ... გვიყვარს ერთმანეთი!..



მოულოდნელი იყო გიორგისათვის შეილის აღსარება. როცა მარტო დარჩა ოთახში, იმის ფიქრმა შეიპყრო, თუ რა ბედს ეწვია მისი ერთადერთი შეილი. რევანს კორდელის სახე ედგა თვალიწინ. საოცარი იყო, რომ ეს ლამაზი ქაბუკი ახლა კიდევ უფრო უცხო კაცად ეჩვენებოდა. ღმერთმა იცის, რა ხასიათი აქვს, რა მიდრეკილებათ, — ეუბნებოდა მამის გული.

რა მოხდა? რატომ ეჩვენება გიორგის, თითქოს რალაცა ცივი, უგრძნობელი და საექვო თვალებით შემოსიქერის ახლა მას რევანს კორდელი? იქნება ბეღელმა უნდობლობამ გაიღვიძა გიორგის გულში: მშრომელთა წრეში იზრდებოდა იგი და ყოველ სხვა წრის კაცს გულჩათხრობილი მტრობით უცქეროდა, იცოდა, რომ მათ შორის ნაპრალი იყო... მაგრამ ეს ხომ მოისპო. მისი ნაშთი თუ მეტყველობს გიორგის მეხსიერებაში... თორემ ახლა რევანისთან საქმის მცოდნენი ხომ მუშათა ნამდვილი თანამებრძოლნი არიან. კორდელიც ასეთია უთუოდ. მაშ რატომაა, რომ გულმა ასე იუცხოვა იგი, როდესაც ნანუმ თავისი საიდუმლოება გაანდო?

ჩაფიქრდა გიორგი. მერე უცებ გული აუჩქროლდა, მოეჩვენა თითქოს მთლად უსუსური, შორჩი, გაუფურჩქნელი ბავშვი ყოფილიყოს ნანუ. „ახლა უნდა ბატრონობა, გზაზე დაყენება, — ამბობდა გუნებაში.—იქნება

მშობლიურმა თავგერძობამ მომარგე-  
ნა ასე, უცხოდ რევების სახე, შვილის  
სიყვარულმა აღმიძრა ნამდვილად უად-  
გილო ექვები“...

— ჰო-და, კარგი, შვილო, ჩემო ნა-  
ნუკა... იბედნიერეთ... — ჩაილაპარაკა  
ბოლოს თავისთვის.



ინსტიტუტში უკანასკნელ ლექციას  
აღარ დაუცადა ნანუმ. უცნაური  
მღელვარება არ ასვენებდა, გული  
სხვაგან მიიწვება. თვითონაც უკვირდა  
გუნების ეს ზშირი შეცვლა. ამ წუთს  
რომ ბეჯითად მეცადინეობდა, მეორე  
წუთში გაოგნებულად მიმოიხედავდა  
და თვალწინ მხოლოდ რევების სახე  
ვლდა.

ამხანაგებისათვის, არაფერი უთქ-  
ვამს, კიბეები ჩაირბინა და ქუჩას  
მიაშურა.

ხელში რვეულები ეჭირა. მუქი ყა-  
ვისფერი პალტო ეცვა და თეთრი ბე-  
რეტი ეხურა.

სალამოს ათი საათი იქნებოდა. ცას  
მთვარის შუქი შეჰფენოდა. ხალხით  
გაქედლილ ქუჩას ელექტრონის ნათურე-  
ბი აჩირაღდნებდნენ.

ნაბიჯს აუჩქარა. ნელა მიმავალი  
მოსეირნეები რომ წინ გადაეღობებო-  
დნენ, ვერ ითმენდა, სწრაფად უელიდა  
მათ გვერდს.

თვითონაც არ შეუმჩნევია, ისე მიუ-  
ახლოვდა დიდი ქუჩის კუთხეს. მესამე  
სახლში რევების ბინა იყო.

რევაში ჯერ შინ არ უნდა იყოს.  
დღეს მგონი ქარზანაში რაღაც თათბი-  
რია მოწყვეული. ალბათ, თავს დიდხანს  
ვერ გაითავისუფლებს. ნანუს კი ისე  
სწყურია ახლა რევების ნახვა, თითქოს  
მთელი წელიწადია მისი ხმა არ გაე-  
გონოს.

ჩრდილს მიეფარა. უნდოდა ერთხანს  
მდგარიყო აქ, იქნება რევაში გამოჩნ-

დესო, მაგრამ უბერხულობა იტყობო-  
ეგონა, ყველა მას მისჩერებოდა, ისევე  
ხალხს შეერია, უგუნებოდ უგანაგრო  
გზა.

ანახლად შეჩერდა. ოდნავ მოშორე-  
ბით მიმავალი რევაში იცნო. ვიღაც  
ქალს მიჰყვებოდა მკლავამოდებული.  
ქალი ტანადი იყო და კობტად ეცვა.

ექვის შხამი გულში ჩაეწვეთა ნა-  
ნუს. ისე მოეჩვენა, თითქო რაღაც  
სამარცხენოს წააწყდაო. მზად იყო  
გაქცეულიყო, მაგრამ ამ დროს რევაში  
ქალს გამოეთხოვა და უკან გამობრუნ-  
და.

— აჰ, ნანუ! — გაიკვირვა რევაში,  
მკლავი გამოსდო და აღერსიანად უთხ-  
რა:—საიდან გაჩნდი აქ?

ნანუმ შევებით ამოისუნთქა; თავი  
მაინც არ აუწყევია, მოუფიქრებლად  
შეეკითხა რევას:

— ვინ იყო ის ქალი?  
რევაში ჯერ ნანუს ხელს მიეაღერ-  
სა, შემდეგ მტკიცე ხმით უპასუხა:

— ის ნატო იყო, ჩენი ოჯახის  
კარგი მეგობარი, ინჟინერ ლევან ცის-  
კარიძის ცოლი.

ნანუმ ვერ გაარკვია—რა არ მოეწო-  
ნა: იმ ქალის სახელი, თუ რევების კი-  
ლო. მაგრამ მცირე მანძილი გაიარეს  
და ეს გაურკვეველობაც გაქრა. სიყვა-  
რულით მიეყრდნო რევების მხარს და  
თვალეში ნდობით შეაცქერდა.

V

მუშათა უბანში, გზის პირად, ოდ-  
ნავ დაფერდებულ მინდორზე ბალი  
გაშენდა. წინათ აქ ზაფხულობით ქარი  
რომ დაუბერავდა, შეყვითლებული ბა-  
ლახი გამოშფვარი თიხისფერი მტვე-  
რით იფარებოდა. ახლა კი უკვე აიყა-  
რეს ტანი მოხდენილად ჩამწყკრივე-  
ბულმა კვიპაროსებმა და დეკორატი-  
ულმა მცენარეებმა.

ბალის მახლობლად რამდენიმე თვე-  
ში სამსართულიანი სახლი აღიმართა.

კარგა ხნის წინათ მისცეს ბინა ამ სახლში გიორგი ალურიძესა და აბესალომ მუხიგულს.

აბესალომს გიორგის გვერდით ჰქონდა ოთახი. აბესალომთან მხოლოდ დედა ცხოვრობდა.

ბევრი ავეჯი არა ჰქონდა აბესალომს, მაგრამ მას ჯერჯერობით საკმაოდ მიაჩნდა ამ ფართო ფანჯრებიან ნათელ ოთახში ეს რკინის საწოლი, სუფთად ჩალაგებული, ერთი ძველებური ტახტი, ქართლიდან დედის მიერ ჩამოტანილი, ახალი კარადა, ორი ძველი, მამაპაპისეული და ექვსი ახალი სკამი, შუაში სასადილო, ხოლო ფანჯრის გვერდით საწერი მაგიდა, იქვე წიგნებიანი თაროები და მამისეული ფანდური. კუთხეში, სარკის ქვემოთ, რგვალ მაგიდაზე აბესალომის მიერ ჯილდოდ-მიღებული ახალი პატეტონი იდვა.

აბესალომის დედა, ქეთევანი, ტანმორჩილი ქალი იყო. თოვლივით თეთრი თმით შემობარდნილ რგვალ სახეზე ნაოქები თითქმის არ აჩნდა. მის სახესე ლაწვებზე ხანდაზმულობას ფერი უკვე გაეკრთო, მაგრამ ხანდახან, როცა რაიმე მოვლენა გულს ჰკარბი გრძნობებით აღუთებდა, სახე ახალგაზრდა ქალსავით აუყვავდებოდა, თაფლისფერი თვალები კი გაუსხივოსნდებოდა.

ადრე დაქვრივდა ქეთევანი. სამი წერილი შვილი დარჩა გასაზრდელი, მაგრამ არ შედრკა, შვილები თბლობას არ დაჩაგვრინა. ახლა ორი ქალი-შვილი გათხოვილი ჰყავდა, აბესალომი კი აგერ წიგნს უხის... ბოლო ხანებში ხშირად დაღონებულია... უკვე მეორე თვეა, ნანუმ და რევაზ კორდელმა იქორწინეს და სწორედ იმ დღიდან დასჩემდა ეს მოწყენა აბესალომს.

დედის გულს განა რაიმე გამოეპარება? ქეთევანმა იცის, თუ რა სევდა იპყრობს ხოლმე აბესალომს, მაგრამ

განა უკვე დრო არ არის, რომ იგი დასძლიოს და ვაეკაცურად ირველოე მიმოიხედოს? რომელიც უმჯობესი ვარაი დაიწუნებს აბესალომს? უმჯობესი კენარი აკლია, თუ თვალტანადობა?

ქეთევანმა ფანჯრიდან სივრცეს გაჰხედა. ლამდებოდა. მთებიდან გადმოფენილი ჩრდილი ეფინებოდა დიდუბეს.

წინდისჩხირებიანი საქსოვი ტახტზე დასდო, სათვალე მოიძრო, ადგა და შუქი აანთო.

აბესალომმა თავი ასწია, დედის დაკვირვებული მზერა დაიჭირა, თვალი აარიდა.

— კარგი, გეყოფა, შვილო, ახლა... ადექი, ტანთ ჩაიცვი... გამყევი გიორგის. მისი გაზრდილი ხარ, თავი ესახელება.

აბესალომმა გადამბული წარბები შეხხარა, წიგნი განზე გასწია, წამოიშარათა.

— ნუ იცი, ხოლმე, დედი, დაყინება... ხომ გითხარი, რომ მე იქ წამსვლელი არა ვარ.

— რაღა, შვილო?... ვაეკაცი არა ხარ?... თუ აგრე ჩაგრჩებოდა გულში ეგ ამბავი, წინათ რატომ არავეის არ გააგებინე? ახლა რაღა დროსია... სირცხვილია, არავინ შეგამჩნიოს.

აბესალომს სახეზე აღმური მოედო, დედას მკაცრად შეხედა.

— მეორეჯერ აღარ მითხრა ეგ! ხომ გესმის? მე გულში არაფერიც არ ჩამრჩენია...

ენა დაება აბესალომს, თითქო თავისი სიტყვების შერცხვაო. უხერხულად მიმოიხედა, ქუდს ხელი დაავლო და ოთახიდან გასვლისას ჩაილაპარაკა:

— ამხანაგთან მივდივარ სამეცადინოდ.

ქეთევანმა შვილს თვალი გააყოლა, თავი გაიქნია. „მოგაკვდეს, შვილო, დედაი!“ გაიგლო გუნებაში. მერე სათვალე გაიკეთა და საქსოვს მიუჯდა.

იმ საღამოს რევანის დედის, ზეინა-  
ბის, ტრადიციული დღეობა იყო.

სხვებთან ერთად იქ იყვნენ გიორგი  
ალურიძე და მისი ძმისშვილები—თენ-  
გიზი და ლადო.

მრავალნათურა ქალს ცისფერი  
დოღბანდი ჰქონდა შემოხვეული;  
ვრცელ ოთახში სინათლე თვალს არ  
სჭირდა: ყველაფერი — რჩეული ავე-  
ჯი, სარკე, გაშლილ სუფრაზე დალაგე-  
ბული ჭურჭლეული—ბრწყინავდა და  
კაშკაშებდა.

ვახშამს უკვე მორჩნენ. საკმაოდ შე-  
ზარხოშებულნი იყვნენ, განსაკუთრე-  
ბით—ლევან ცისკარიძე და მისი შეულ-  
ლე ნატო.

ამ ქალს ახალგაზრდობის იერი თით-  
ქმის დაკარგოდა, სიმსუქნე შეჰპარვო-  
და, მაგრამ არ იმჩნევდა, თავი კეკლუ-  
ცად ეპირა; ლაყვარლისფერ თვლებ-  
ში და ყაყაჩოსავით შეღებულ ტუჩებ-  
ზე ზშირად უკრთოდა ორანჯოვანი ღი-  
მილი. ტანადი იყო, მომადლო. ხანდა-  
ხან, პაპიროსს რომ გააბოლებდა, მო-  
გრძო სახეზე თითქოს სევდის ჩრდი-  
ლი დაეფინებოდა; ამ დროს უნებლიედ  
ამქლავებდა, რომ გულში რაღაც მწე-  
რე საგონებელი ჰქონდა ჩამარხული.

პატფონის ხმა რომ მიწყდა, თენ-  
გიზმა სიმღერა წამოიწყა, ლადომ შე-  
მოსძახა, გიორგიმ ბანი მიაშველა. ვერ  
შეაწყვეს. თენგიზმა ნანუ მიიხმო. ის  
ჰანგი მოიგონეს, შინ რომ მღეროდნენ  
ზოლმე. საზე გაუნათლდათ. ხმას აუ-  
წიეს.

შუა სუფრასთან, რბილ სავარძელ-  
ში იჯდა ზეინაბი. უცებ შეირხა, მა-  
ღალი, კანშემქცნარი ყელი ყანჩასავით  
მოიღერა. მომღერლებს დააცქერდა.  
გესლნარევი, დამცინავი ღიმილი მოე-

რია. ღრმად ჩამჯდარ თვალეზში ზი-  
ლისა თუ სიძულვილის ნაერწყალი  
აუქიაფდა. წამოდგა, ~~რევილსუფენი~~ გა-  
ემირთა.

ზიზლიროსიქა

ძალზე გამხდარი იყო და ეს კი-  
დეც უფრო ამადლებდა. აღვასავით  
აშოტილად მიიმართებოდა; კეხიანი  
ცხვირი ჰქონდა, ნაოქებიანი ლოყები,  
ხანდახან მისი თვალები ისე აენთებო-  
დნენ, თითქოს დაბმული ძერა სივრცე-  
ში აფრენას ლამობსო.

როიალთან დაჯდა. მომღერლებს არ  
მოერიდა, გრძელი, ჩონჩხად ქცეული  
მკლავები ენერგიულად შეარხია, ხმე-  
ლი თითები შეათამაშა და ანაზღად  
მოვარდნილ ტალღასავით იგრილა  
როიალმა.

მომღერლებმა ხმა გაკმიდეს.

მარტოოდენ მკლავებს ამოძრავებ-  
და, ხანდახან ყელსაც შეარხევდა. გა-  
ხუნებული წარბები ზეაღმართა და  
მთლად ისეთი გამომეტყველება ჰქონ-  
და, თითქოს თვალუწვდენელ სიმაღ-  
ლიდან დაჰყურებსო ამ ქვეყანას.

კარგა ხანს უკრავდა ზეინაბი.

— დიდებული იყო სწორედ, დიდ-  
ებული!—ალტაცებით წამოიძახა ნატომ,  
როცა ზეინაბმა დაასრულა.

რევანმა დედას მიაშურა და ხელზე  
ეამბორა.

ნატომ პაპიროსი დააგდო, ზეინაბთან  
მიიქრა, ალერსით მოეხვია და ჩუმად  
უთხრა:

— კიდევ დაუკარი, ძვირფასო ზეი-  
ნაბ... რა მშვენიერი ჰანგია! იმ სიმღე-  
რისაგან მოისვენებს მაინც ყური... ჰო,  
მართლა, ერთი შენებური ფოქსტ-  
როტი!

ზეინაბმა კმაყოფილებით გაიღიმა.  
ისევე როიალს მიუბრუნდა.

ნატომ რევანს ხელი გამოსდო, მოხ-  
დენილად დაიწყეს ტრიალი.

ნანუს უნებლიედ შეეკმუხნა სქელი  
წარბები და ქვედა ტუჩს კბილი დაად-  
ვა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და წყენა

არ შეიმჩნია. ხოლო ლევანი რომ მიუ-  
ახლოვდა და ხელი გაუწოდა, ნაძალა-  
ღვეი ღიმილით გაჰყვა საცეკვაოდ.

გიორგიმ ნანუს თვალი გაადევნა და  
თავი გაიქნია, სახე მოელუშა. ისედაც  
ცულ გუნებაზე იყო ამალამ. გულს  
ნაღველი შემოაწევა, ვერ გამოერკვია,  
რამ გამოიწვია იგი, ან ზეინაბის მუსი-  
კამ რატომ აგრძნობინა ასე მწვავედ,  
რომ რაღაც მტრულ ბურუსში ეხვე-  
ვოდა. ირგვლივ თითქოს ყველა მზიარ-  
ულია. ღვინო, სიმღერა, მუსიკა, ცეკ-  
ვა. გიორგის კი ჰგონია, რომ აქ რაღაც  
შხამავეს ამ მზიარულებას, ქვეწარმავა-  
ლივით დასრიალებს უჩინრად და აღა-  
მიანს აღამიანისაგან აშორებს.

პირველად, როცა სუფრას შემო-  
უსხდნენ, გიორგი კარგ ხასიათზე იყო,  
მაგრამ შემდეგ ზეინაბის, ნატოსა და  
რევაზის გადაკრულმა სიტყვებმა და  
ქცევამ აღმღვრიეს გული.

სევდიანი ფიქრი დაეუფლა; ეჭვის  
თვლით მიმოიხედა...

აგერ თუნდაც ეს ქალი, გიორგის სი-  
ძეს რომ მოხვევია და რაღაცა უპა-  
ტიოსნოდ მიჩერებია სახეზე! რას ჰგავს  
ეს?.. რა, გიორგი ვითომ ძველი კაცია  
და ამ ახალი ცხოვრების არაფერი გაე-  
გება? არა, აქ სხვა ამბავია... აბა, დაა-  
კვირდი! განა ზეინაბმა განზრახ არ შე-  
აწყვეტინა მათ სიმღერა?.. განა ამ ქალ-  
ბატონებისა და, მაგონია, თვითონ რე-  
ვაზის გამოხედვამაც კი რაღაცა ამ-  
პარტავენობა არ გამოსჭვივის? „რა გა-  
ეწყობა, მოყვრები ხართ და უნდა გი-  
კადროთო“, ასე გამოდის!..

როილის ხმა ისევ ღღერდა და დარ-  
ბაშში ხელჩახვეული წყვილები მიმო-  
სრიალებდნენ.

გიორგის ახლა მოეჩვენა, თითქო  
ეს ხალხი მისთვის უცხო იყო, აქ თით-  
ქო სულ სხვა მისწრაფება იტაცებდა  
ყველას. აქ, მაგონი, კიდევ დარჩენილა  
ერთი კუნძული ძველი ცხოვრებისა...

— ხომ არ მოგწყინდა, ძია? რატომ  
ხარ ასე ჩაფიქრებული?

ეს თენგიზი იყო. გიორგის მხარზე  
ხელი დააყრდნო და ალერსით შეა-  
ქერდა.

ეპა გიორგის შემხედვარე  
მზრუნველობა; ღიმილი მოერია.

მერე მოცეკვავე ნანუს გააყოლა  
თვალი და თავისთავს უსაყვედურა:

„რამ აგირია გონება?.. რა იცი შენ,  
რა არის ცხოვრება? შენ გგონია, კაცი  
მუდამ საზრუნავით უნდა იყოს და-  
ტვირთული, საქმეს თავს აკლავდეს.  
ეპ, შენ ჩემო თავო, განა მზიარული  
ცხოვრებისათვის არ ვიბრძვით ჩვენ?..  
აგერ, რა ბედნიერია ნანუ“...

მოცეკვავეებმა შეისვენეს.

ზეინაბმა დარბაშში მყოფთ თვალი  
მოავლო; საიდუმლოების მამხილებ-  
ლად ჩაიცინა, ნატო რომ რევაზს ელა-  
ციცებოდა...

ნანუმაც შეასწრო თვალი ამ ინტი-  
მიურ შეხმატებლებას.

რევაზი ნატოს უამბობდა ამ დროს  
რაღაცას, მაგრამ ქმრის ხმა ნანუს არ  
ესმოდა. წინათაც შეუმჩნევია ნანუს,  
რომ ნატო ყოველთვის ახერხებდა რე-  
ვაზთან განმარტობას, მაგრამ ყურა-  
დლება ამდენად არ მიუტყვევია.

ახლა კი...

რანაირი შუქი გამოკრთის ამ ქალის  
თვალებში! როგორ ამბინჯებს რევაზ-  
საც ეს ორაზროვნული გამომეტყველე-  
ბა!..

ეჭვი კი არ იყო, ნანუს რომ გულზე  
უქბინა... უფრო ზიზღი... განერიდა  
თავის კავალერს და განცალკევებუ-  
ლად კუთხეში მჯდარ მამასთან მივი-  
და.

— რატომ მოგიწყენია, მამი? ხომ  
არ დაიღალე?—ჰკითხა და სევდიანი  
თვალებით შეხედა.

— არა, შეილო, მე არა... მე არა მი-  
შავს რა...—ხელი მოკიდა ნანუს ხელ-  
ზე, გულთან მიიტანა, მიიხუტა.

— შენ იყავი კარგად, შეილო...

ნანუმ თითქო უნებლიედ ამოიოხრა.

— ეპ, არ მომწონს, მამიკო...

სიჭე და სიტყვა აღარ დაასრულა, გიორგის გვერდით ჩამოჯდა, თავი მამას მიიყრდნო მხარზე.

VI

ნანუმ ოთახი მიიღავა, სატულეტო მაგიდასთან დაჯდა და ამ დილით აღძრულ ფიჭრებს თავი მოუყარა.

კარგა ხანს იყო გარინდული, ბუნდოვანი სახეები თავისთავად სცვლიდნენ ერთმანეთს.

საოცარი ის იყო, რომ რევაზიც ამ ბინდში იდგა თითქო და სულ სხვანაირად გამოიყურებოდა.

არა, იქნება ეს სიზმარია, თორემ როგორ შეიძლება, რომ რევაზის საყვარელმა სახემ ასეთი გამომეტყველება მიიღოს?! თითქო იგი ახლაც ნატოს ესაუბრებოდა და ორაზროვანი ღიმილით, უცნაურად მიბნედილი თვალებით შესცქეროდა ქალის აღწვილ სახეს. თუმცა... ჰო, ეს ხომ რაღაც ავადმყოფური მოჩვენებაა. ალბათ, იმ ღამეს მოეჩვენა, თორემ...

ამ დილით ცუდ გუნებაზე ადგა და მას შემდეგ ისეთი განწყობილება დაეუფლა, თითქო სულ სხვა სამყაროში ამოჰყო თავი... ეგონა სადღაც განაპირებული იდგა და შორიდან აღევნებდა თვალს—ეს მყუდრო ოჯახური ცხოვრება რომ ინგრეოდა.

საკვირველი იყო ეს ნგრევა, თითქო რაღაც უჩინარი გრივალი დაბორილობდა და უღმობლად ანიაკებდა ყველაფერს...

უცებ შეკრთა. კარი გაჭრილდა. ოთახში ლაყვარლისფერმა თვალებმა შემოანათეს. ნანუს ეგონა, განაბული კატა აპირებსო ნახტომის გაკეთებას, მაგრამ ნამდვილად კი დამტკბარი ხმა მოესმა:

— შეიძლება, ჩემო კარგო?

ხმას მკვირიცხლად შემოჰყვა ნატო, წამოდგარ ნანუს ნაზად მოჰხვია ხელი და ლოყაზე აკოცა.

— რამ ჩაგაფიქრა, გენაცვალე? სწყვარულის ბურანში ხომ არა ხარ გახვეული? ასე იცის ახალგაზრდობა... გამოტყედი ჰო, შე ეშმაკო... ნატო და იცინოდა.

შერე ნანუს გვერდით ჩამოჯდა და მეგობრული თანაზიარობით მხარზე ხელი დაადო. სახე ნელინელ მოეღრუბლა, ღამაზად დალაგებულ საწოლს დააცქერდა და თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მე კი, როგორც ჩანს, უკვე ვბერდები...

ნელელიანი იყო ეს სიტყვები და ნანუმ უნებლიედ შეხედა ნატოს, შემდეგ მის თვალთა ისარს გააყოლა მხერა და არ მოეწონა, ნატო რომ ასე მიშტერებოდა მის ლოვინს. სადღაც გულის სიღრმეში გაჰკრა ქალის აღლომ და შინაგანმა ხმამ უკარანახა, რომ ნატო ახლა მის ინტიმურ ცხოვრებაში იქტირებოდა. ეწყინა, წარბები შეიჭმუნა.

ნატომ პაპიროსს მოუკიდა, ზედიზედ გააბოლა და ტკბილად, სანდომიანად გაუღიმა ნანუს.

— იცო, რატომ შემოვიარე? ამ დილით გოგამ მიამბო, პუშკინის ქუჩაზე რომ ახალი მაღაზია გახსნეს, იქ კრებდნენი მოუტანიათ, მუქი ღვინისფერი, ის შენ ძლიერ მოგიხდება,—არა, ნანუ?.. აჰ, თავს ცუდად ხომ არ გრძნობ? ხომ კარვად ხარ?

— არა მიშავს რა.—უფრო ზრდილობის გულისათვის უბასუხა ნანუმ.

— ან კი რა საკითხავია, ვარდივით ხარ გაფურჩქნილი. — არა, ნანუ?.. ჰო, აქეთ რომ მოვდიოდი, გზაზე ერთი ნაცნობი შემხვდა. პირდაპირ გასაგოეებელი ამბავია რა დროში ეცხოვრობთ? დიდიხანი არაა ერთმა ჩემმა ნათესავმა ქალი გაათხოვა... და, წარმოიდგინე, ცოლქმარი უკვე გაყრილანი

— ჰო—და, — განაგრძობდა ნატო, — წარმოუდგენელია სწორედ ახლანდელი ახალგაზრდობის საქმე! კვირაში

ხუთი პარასკევი აქვთ... არა, გენაცვალე?

სიტყვა შეწყვიტა, ნანუს შემპარავი დიმილით შეაშეტრდა... აბა, რას მეტყვისო. მაგრამ ნანუ სდუმდა; ოღონდ შესამჩნევი ქედმაღლური გამომეტყველება მიეღო და ისე უსმენდა სტუმარს.

— რა ვქნა, რამ გაგაჩუქა ასე, ქალო? ნუ თუ შენთვის საინტერესო არ არის ამისთანა ახალი ამბავი?—ეწყინა ნატოს ნანუს დუმილი.

— გისმენთ, ქალბატონო ნატო... მეტი რა ვქნა?—სახის შეუცვლელად, ცივად უპასუხა ნანუმ.

— მართალია... რევანის სიყვარულში კი ხარ დარწმუნებული, გენაცვალე... და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ... მამაკაცები მაინც სხვანაირები არიან...

— არ მესმის...

— რევანიც ხომ ახლანდელი ახალგაზრდაა, ჩემო ნანუ...

— მე არ მესმის, რა გინდათ ამით სიტყვით?..

— ნამეტანი ცივად გიჭირავს თავი, გენაცვალე ნანუ, ჩემთან... მე კი შენი სიყვარული მალაპარაკებს... ვერ ავიტან მგონია, რომ ცუდი რაიმე გავიგონო თქვენზე...

ნატო ცდილობდა ხმაში მოალერსე სიტბო შეენარჩუნებინა, მაგრამ სიტყვები უნებლიედ ამტკაუნებდნენ მათი ნამდვილი შინაარსის შესაფერტონს.

მისგან გესლიანი სუსხი ზედებოდა ნანუს.

— ასე მგონია, — შეაწყვეტინა ნანუმ სიტყვა, — თქვენ რაღაც სხვა გაქვთ სათქმელი... თქვით ბარემ, რას მიმალავთ?

ნატომ გულიანად გადიკისკისა.

— აჰ, შენ ეჭვიანი ყოფილხარ, ჩემო ნანუ! მერე მე ხომ ვთხოვე, თქვენობით ნულარ ვილაპარაკებთ-მეთქი... ჰო-და... რას უნდა გიმალავდე, ნანუ? როგორ არ გრცხვენია... ისე გაგაფრთხილე, ზორემ განა არ

ვიცი, როგორ უყვარხარ რევანს!.. მაგრამ რავი არ გსიამოვნებოდა, დავანებოთ ამას თავი... ~~დასაწყვეტია~~ შენთვის მეთქვა წუხელ... ~~მეც სიყვარულად~~ ვაღდა ახალი კაბა, რომ პირდაპირ სულცხოო იყო. რა მშვენიერია! რევანმა აგირჩია, არა? გემოვნების კაცია რევანი!.. ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ, ერთადერთი... კაბას კი არა, რევანს...

— მე კი ვიფიქრე, კაბაზე ამბობთ-მეთქი... — ჩაურთო დაცივით ნანუმ.

— მიგიხვდი ხომ!.. ამიტომ გავისწორე...

— მაინც რა ნაკლი აქვს რევანს? — უნებლიედ დაინტერესდა ნანუ.

— ისა, რომ... თუმცა რა გითხრა, იცი, გენაცვალე ნანუ... ამისთანა ნაკლი, ჩემი აზრით, ყველა მამაკაცს სჩვევია... უბედურებაც სწორედ ეს არის... თვალეები აემღვრევით მაშინვე, როცა ლამაზს ქალს ნახავენ...

— ნუ თუ თქვენი ქმარიც, ბატონი ლევანიც ასეთია? — ვერ მოითმინა ნანუმ და ნიშნის მოგებით შეეკითხა ნატოს.

— ჩემი ქმარი? — უცნაურად აპრიხა ნატომ ტუჩები. — მაგას ამისი თავი სად აქვს, გენაცვალე!.. რევანი სხვაა...

— განა თქვენს დანახვაზედაც ემღვრევა თვალეები რევანს?! — გესლიანად ჰკითხა ნანუმ და მცდელი თვალეები მიაპყრო.

— ლამაზის დანახვაზე-მეთქი, გითხარი...

— თქვენც ხომ ლამაზი ხართ?

— ვითომ? — შეიშვენა ნატომ... — არა, არ მჯერა! — თვალეები მინაბა და ნანუს ისე შეაკერდა — თუმცა მეუბნებიან, რომ მამაკაცებს მოეწონეარ...

— რევანისათვის თუ შეგიმჩნევიათ ეს?

— როგორ გეკადრება, გენაცვალე ნანუ! ჩვენ ისეთი შეგობრები ვართ დიდი ხანია, რომ...

ნატოს აქ ენა წაუბორძიკდა.

ნანუს სახე წამოეგზნო, სქელ თმა-

ში შემალული ყურის ბიბილოც კი გაუწითლდა. მრისხანედ წამოიშართა და ნატოს ახედ-დახედა.

— რა ვიცი, ასე მგონია, აქ ყველას პირბადე გაქვთ აფარებული, ოდნავ რომ ასწიონ...

ნანუს გულწრფელი სიტყვა გამო-სტყუა ნატომ.

— ნუ გამაგოე, ნანუ! ამას რას ამბობ? ხუმრობა არ გცოდნია! ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, გენაცვალე? პირბადე რა სახსენებელია ჩვენ შორის რა არ ითქმება. ეს რატომ გეწყინა?

— არა, რა უნდა მწყენოდა, მაგრამ... — თავისთვის ჩაილაპარაკა ნანუმ, ნატოს სახე აარიდა.

— ჰეე... შემამინე სწორედ! ნუ იფიქრებ, გენაცვალე, ამაზე! რევებს ენდევ და გულში ეკვი არ შეუშვა. ახლა კი ნახვამდის. საღამოს, რევები რომ მოვა, ალბათ, კარგ ხასიათზე დავდგები.

ესა სთქვა, ჩვეულებისამებრ მოეხვია და კარისაკენ გაემართა. კარი რომ გამოაღო, გარინდებულ ნანუს მიუხედა; თვალეში მომწუსხავი შუქი გამოკრთა, ტუჩებზე დამკინავი ღიმილი შეუთამაშდა. გავიდა და ბუნებაში მუჭარით სთქვა:

„ეს რაა, ცოტა კიდე დამაცადე!“

კარგა ხანს იდგა ნანუ ჩაფიქრებულ-ლი.

დღემისი რომ გაასვენეს და სამარეში ჩაუშვეს, მხოლოდ მაშინ იყო შეპყრობილი ასეთი გამოუთქმელი მწუხარებით. მაგრამ მაშინ ხმამაღლა მოთქვამდა და უხვად გადმოღვრილი ცრემლი თითქო გულს უმსუბუქებდა. დასტოვეს სასაფლაო, მცირე მანძილი გაიარეს და, მწარე კაეშნით გულჩათხრობილ მაშის გვერდით რომ მიდიოდა, ნანუმ ცას ახედა, მერე მთებს მოავლო თვალი და რაღაც შეების მსგავსი რამ იგრძნო; თითქო ამ ცისიერში, ამ მთებსა და ველებში რჩებოდა დედის თვა-

ლის ნასახი, თითქო თვითონაც დედის თვალეებით შეპყურებდა ქვეყანას...

აქ კი, ეს რა ხალხია! ერთნაირსებები ჰქონიათ, რა თვალმაცქერა საფილანი!

— ქალო, ნანუ!— მოესმა ნანუს და გამოერკვა.

ეს ზეინაბი იყო; ოთახში შემოვიდა. შავი აბრეშუმის კაბა ჭოკზე დაკიდებულივით ეყარა ტანზე. შეთხელებული თეთრი თმა კეფაზე ჰქონდა დახვეული; მაღალი, დამკნარი ყელის დასათარავად საყელოში რაღაც მაქმანისებური მარამაში ჩაეტანებია; წინწამოხრილი შებლი შეეკუმუნხა და ნანუს მკაცრად მისჩერებოდა.

— რა დავემართა, ქალო? არ იქნა, ხმა ვერ გაგაგონე! გამოდი, გოგო ბაზარში მიდის და დააბარე, თუ რამე გინდა!

— კი, დედა, ახლავე გეახლებით...

— დიასახლისიც ასეთი უნდა სწორედ!— თქვა ზეინაბმა და ბუზღუნით გაბრუნდა.

თუმცა არ ესმოდა, მაგრამ კარგად იცოდა ნანუმ, რასაც მილაპარაკებდა ახლა ზეინაბი; არაერთხელ გაუგონია: რა ჩვენი შესაფერი იყო მკედლის შეილიო, რევებს ქეუა თვალში აქვსო, ბოლოს ნახავს, რაც ზეირი დაეყრებაო...

ბევრი ეცადა ნანუ, რომ ზეინაბის გული მოეგო. პირველ დღეებში რამდენჯერმე ისე მოეხვია, როგორც ღვიძლ დედას; თავისთავს არწმუნებდა — ესეც ზომ დედააო, რევების გამზრდელი დედა, მაგრამ ზეინაბის თვალეში ერთხელაც ვერ შეამჩნია დედობრივი აღერისის სხივი, მუდამ კუშტად გამოიყურებოდა. მარტოდ რომ დარჩებოდნენ, ზეინაბს თავი ისე ეკვირა ნანუს მიმართ, თითქო ქალბატონს სასახლეში ფარეში ხლებოდეს.

გული ეტკინა, მაგრამ ძალაუვნებურად შეურიგდა ზეინაბის ამპარტავნობას.

ამ ბოლოს კი... ლამის არის, მოთმინება არ ეყოს!

## VII

ზეინაბი მხოლოდ მაშინ გამოცხლდებოდა, როდესაც სტუმრებს მოელოდა. მოსამსახურე გოგოს მოსვენებას არ აძლევდა, თვითონაც ხელმარჯვედ ფაციფუცობდა; ნანუს მედიურად გადაბედავდა და დავალებას აძლევდა.

ლამაზად გაწყობილ სუფრას რომ თვალს მოაველებდა, კმაყოფილებით გაიღიმებდა და სარკეს მიაშურებდა. ჯერ მოიღუშებოდა, თითქოს, მოულოდნელად სიკედილმა შემოანათაო, მერე ხმელი თითებით გაისწორებდა დამკნარ ტყავს ყანჩასავით მოღერებულ ყელზე, ყბებში ჩაყვილ ლაწეებსაც დაიზელდა და უწამწამო თვალებს მოქუტავდა, თითქო შორს, სარკის მიღმა, თავის წინანდელ სიკეკლუცეს ხედავს.

ზეინაბს არც აწმყო გააჩნდა და არც მომავალი, წარსულით სულდგმულობდა, ყველაფერს. წარსულს ადარებდა და ყველაფერი ახლანდელი ეჯავრებოდა.

ამ საღამოსაც ლოყები უმარულით შეიღესა და სტუმრების მოლოდინში წელგამართულად გაიარ-გამოიარა; თავი ისე წარმოიდგინა, თითქოს სამოცი წლის კი არა, სიცოცხლით საესე ახალგაზრდა ქალიაო.

კარებში მალალი კაცი შემოიმართა; ხანდაზმული იყო ეს კაცი, მაგრამ შავ წვერებში თეთრი მხოლოდ აქიქ ერია, გრძელ უღვაშებს კი ქაღარა სრულეებით არ გაჰკარებოდა; უზადო, დაეღაფა სახე ჰქონდა და ცოცხლად მოკიაფე შავი თვალები; სქელი წარბები უმშვენებდა ოდნავ დაღარულ შუბლს.

— აა, ჩემს მანუჩარს ვახლავარ! — ხმაშალა წამოიძახა ზეინაბმა, თახსიცილი წასკდა, თითქო რალაც მე-

ტად სამხიარულო რამ მოაგონდაო მანუჩარს მიეგება და ხელი ისე გაუწოდა, როგორც სილამაზმან მანუჩარს ქალს ჩევეია ხოლმე.

მანუჩარმა მოკრძალებით აყოცა ხელზე.

— ასე რატომ მოგვანატრე შენი თავი, მანუჩარ ბატონო? — წარმოსთქვა ზეინაბმა და მანუჩარს სავარძელი გამოუწია, თვითონაც გვერდით მიუჯდა.

მანუჩარს ბოლო დროს იოლი შრომით ცხოვრება გაუჭირდა და ზეინაბთან ისე ხშირად აღარ დადიოდა. არ ეცალა, სადღაც ინვალიდთა არტელში მუშაობდა.

— როგორ გიკითხო, ჩემო მანუჩარ? შენ არასოდეს არ დაბერდები, ქე ხარ ისე, რავეც უწინ მინახებხარ! — დაყვავებით მიმართა ზეინაბმა და კვლავ ხმაშალა გაიციანა.

მანუჩარმა ირგვლივ მიმოიხედა, უღვაშებს დამცინავი ღიმილის შუქი შემოადგა.

— რალა საკითხავი ვარ, ზეინაბის პირიშე! დავჩანჩალობ, რაც გამეწყობა... ისე, ქე მოგესხენებათ, საინვალიდო ჯერ არაფერი მჭირს, მარა ჩემი თავმომწონე ახალგაზრდა რომ გაფრინდა, ამას ქე ხედავთ თქვენი მშვენიერი თვალებით. გული კი, ეოხერი გული მაინც ბერდებოდეს; ლამაზ მანდილოსანს რომ შეეხედავ, რალაც მაინც გაფაჩუნდება შიგ.

— რა წყეული ხარ, მანუჩარ, რა წყეული! — წამოიძახა ზეინაბმა და მისმა გამბულმა სიცილმა მეორე ოთახში განრიდებული ნანუ შეაერთო.

დღეს რევაზს რატომღაც დაავიანდა.

ლოდინში ნანუს სევდა შეუშსუბუქდა, რევაზის პირვანდელი სახე განუახლდა, თავს შეეკითხა: „რა მოხდა? რევაზს ზომ ვუყვარვარ? მეც... ჰო, თითქო ეს რევაზი კი არ მიყვარს, ის მიყვარს, პირველი რევაზი, ოცნებასავით მშვენიერი... ამ ბინას რომ მოვ-

შორდეთ და ცალკე მოგვეყვით, იქნებ დამიბრუნდეს ჩემი რევანი..."

ფეხის ხმაზე იცნო, რევანი რომ კარს მიადგა; სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა, აყვავდა, თითქოს ახლად-გაფურჩქნეულ ნერვს მზის სხივი შემოფენოდა.

— როგორ ხარ, ჩიტუნია, ხომ არ მოგწყინდა? — კარის ვალებსთანავე მიეხმატებოდა რევანი და ნანუს ხელი მოხვია, შუბლზე აკოცა.

სიამით გულაჩქროლებულმა ნანუმ თავი მხარზე მიაყრდნო, გაირინდა.

— ჩემი პატარა საყვარელი, — ჩილაპარაკა რევანმა და ნანუს ნახად დაუსვა თმაზე ხელი. — ქარხანამ გადამიყოლა, მთელი დღე იქ დამაღამებინეს... ამ თათბირებს ბოლო არ ეღებება...

ნანუმ თვალი დახუჭა, თითქო შორიდან ესმისო ნაცნობი, სანატრელი ხმა. მაგრამ გულში მაინც ტკივილი იგრძნო: სიტყვა „საყვარელი“ არ მოეწონა. წინათაც უთქვამს რევანს — „ჩემო პატარა საყვარელო“, მაგრამ დღეს რატომღაც განსაკუთრებულად ეუცხოვა იგი.

თავი ასწია, სახე ისევ წამოენთო; გულუბრყვილოდ ჰკითხა:

— რევან, ხომ ხარ შენ ჩემი რევანი?.. ის რევანი, მე რომ მიყვარს.

დამცინავი ღიმილი შეუთამამდა ტუჩებზე რევანს, მაგრამ არ შეიმჩნია, თეთრი კბილები გამოკრთა მხოლოდ, და ნანუს მოალერსე ხმით უბასუხა:

— შენი ვარ, ჩემო კარგო, აბა, სხვა ვისი ვიქნები!

გული დაუტკბა ნანუს, რევანს გრძნობით მოეხვია და განაბუტარ ბავშვივით შესჩივლა:

— იცი, ამ დილას ნატო იყო ჩემთან, რაღაც გადაკრულად ლაპარაკობდა... არ მომწონს მე ეს ქალი, რევან! ასე მგონია... ჰო, ასე მგონია, სულში უნდა ჩამიდგრეს და ყველაზე უძვირფასესი რაც გამაჩნია, ის მომპაროს...

— ნატო ჩვენი ოჯახის მეგობარია...

— მაცაღე თუ გიყვარდი! მეგობარია, თუ რაც არის... <sup>ქართული სიტყვა</sup> მამათაძის მარჯობა. პირბადე აქვს ჩამოფარებული, სულ ცოტა რომ ასწიო, შეგზარავს...

— კარგი, დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს. წადი, გეთაყვა, ახლა, სტუმრებს მიხედე! — წარბშერკმით უთხრა რევანმა, უბის წიგნაკი ამოიღო, თითქო რაღაც მოაგონდაო, გადაფურცლა, საქმიანი გამომეტყველება მიიღო.

ნანუ სასაღილო ოთახში გავიდა. ლევანი და ნატო უკვე მოსულიყვნენ. მანუჩარს ესაუბრებოდნენ.

ნატომ ისე მიაშურა ნანუს და მოეხვია, თითქო მთელი კვირა არ უნახავსო.

— დღეს რომ მოგშორდი, სულ ვიჯავრე, ხომ არაფერი ვაწყენინე-მეთქი. შენისთანა შეყვარებულს სულ მცირე რამ აღუძრავს დარდს, არა, ნანუ?

ჩურჩულით უთხრა ეს და გულითადად მეგობარვით ხელი გამოსდო.

თან ორგვარი გამომეტყველებით შეავლო ლაქვარდისფერი თვალები: მეგობრული მზრუნველობაც გამოიხატებოდა ამ მზერაში და გულის იღუმბალი ფიქრების ამოკითხვის სურვილიც.

ლევანი მხურვალედ ეამბორა ნანუს ხელზე; მანუჩარიც ასე მოიქცა, შემდეგ, წელში რომ გაიმართა და ნანუს თვალი შეავლო, ნათელი ღიმილი შეეფინა მის უღვაშებს, ტკბილი ხმით უთხრა:

— სწორედ ბედნიერებაა, თქვენისთანა მზისუნახავი რომ ოჯახს რძლად ეყოლება, დიდი ბედნიერება... — მერე ლევანს მიმართა: — იცით, ბატონო ლევან, ასეთ მშვენიერ ახალგაზრდებს რომ შეეხედავ, ვრწმუნდები, რომ მართლა ბედნიერი და საამური ცხოვრება შეიქმნა-მეთქი. აბა, ჩემისთანა დრომოკმული ბერიკაცი ვის რა ჯანდაბად უნდა. ქე მოკამე, ბიძია, შენი

საყოფი ქვეყანა და ახლა დროა ნელ-ნელა საიქიოსკენ გაუყვე-მეთქი.

— რატომ, მანუჩარ, სიბერეში უფრო ტბილია სიცოცხლე.— შეესიტყვა ლევანი.

— რას ბრძანებთ, ლევანს შემოვევლე, ახლა სიბერე ვის რად უნდა! ვისაც შეუძლია, რაშზე ზის, რაშზე კი ვინ მოგიხედავს. აბა, ერთი სცადე და შეხევეწი: ამხანაგო, მეც მაქვთ ვაპირებ და წამიყვანეო. წმიდა გიორგით გმხვერთავს მთრახს, წყალსა და მწვერს წაუღიხარო, გადმოგაძახებს...

ყელმოღერებული ზეინაბი გუნებაში იცინოდა, მანუჩარს რომ ყურს უგდებდა, ახალგაზრდობას აგონებდა ეს მოუტეხავი კაცი, ენამოუსვენარი, ოხუნჯი.

ნანუ ლევანის გვერდით დაჯდა; არ შეუშინებია, ეს აღგილი რომ ნატომ შეურჩია. თავს უხერხულად გრძობდა. უკვე მეორე თვეა და ამ საზოგადოებას მაინც ვერ შეეჩვია. ზიზღს იწვევდა მასში ეს ნაძიები სიტყვები, ეს ნიღბათარებული მლიქვნელობა.

აქ თითქო ყველაფერს — მიხერამობრას, სიტყვას, ღიმილს—სხვა სარჩული ედო.

სულ არა ჰგავდა ამას ის წრე, სადაც ნანუ აღიზარდა. მის ოჯახსაც ჰყავდა მეგობრები, ამხანაგები, უფრო მეტი, ვიდრე ამათ. მაგრამ ისინი უბრალოდ, შინაურულად მოდიოდნენ, არავითარი მანქვა-გრეხა მათ არ იცოდნენ. პირად საქმეზე რომ საუბრობდნენ, ისიც საქვეყნოს შეეხებოდა. ან არა და, გიორგის მეგობრები გამოვლილ გზას თვალს გადაეღებდნენ, იგონებდნენ თავდადებულ ბრძოლას, ციხეს, ციმიბრს. ერთობ მიმზიდველი შუქი ამშვენებდა მათ საუბარს. ზანდაზან ერთმანეთს რაიმე მარცხის, ან შეცდომის გამო დასცილებდნენ, მაგრამ ამ სიცილშიაც მეგობრული თანაზიარობა უფრო მეტი იყო, ვიდრე გაილვია. ახალგაზრდებიც ასეთივე გულ-

გახსნილები იყვნენ... აბა, ამხანაგო, გიორგის შევირდი. რამდენი სიბერული მოკქონდა ამ წარბეჭედიან თვალებისფერ თვალებთან მიწის! რა კარგი იყო ის დრო, ნანუ და აბესალომი რომ ერთად თამაშობდნენ. ხან წიგნს ჩაუჯდებოდნენ. ნანუ მასწავლებელივით გაშლიდა წიგნს და აბესალომი გულმოდგინედ უგდებდა ყურს. ერთხელ ნანუ ყაზბეგის მოთხრობას უკითხავდა. აბესალომი უცებ წამოხტა და ოთახში ბრაშმორეულად გაიარ-გამოიარა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?

აბესალომმა მუშტი აწვია და წამოიძახა:

— აჰ, ნეტავი მეც იქ ვყოფილიყავი! სუ მუსრს გავაღებდი იმ ძაღლებს! კობასთან ერთად შევაკლავდი მტერს თავს!..

მერე კი, როცა დაეაყვავდა, ნანუს წინაშე რაღაც მორცხვად ეჭირა თავი... რატომ?..

— რამ ჩაგაფიქრათ, ნანუ? რაღაც დაღონებული მეჩვენებით. — გადაულაპარავა ლევანმა და ნანუს მკლავზე ოდნავ შეახო ხელი.

— აჰ!—უნებლიედ აღმოხდა ნანუს და მკლავი გასწია, თვალწინ აბესალომი ედგა, მაინც კიდევ აკვირდებოდა, თითქო რაღაც ახალი რამ აღმოეჩინოს მასში. ლევანს შეხებდა და ეუცხოვა ეს ფერმკრთალი, ჩია კაცი.

— ბოდიში, მგონი შეგაკრთეთ.— თავაზიანად მემართა ლევანმა.

— არა... ერთი ამხანაგი მომაგონდა და...

— ვინ იყო ის ბედნიერი?

ნანუს პასუხის გაცემა დაეზარა, რატომღაც არ უნდოდა აბესალომი ეხსენებინა, საუბარი ვერც სხვა საგანზე გადაიტანა და დუმილი არჩია.

ლევანი ამაოდ ცდილობდა ნანუს გართობას.

ნატო რევანის გვერდით იჯდა; ის ხშირად ხმამაღლა იცინოდა; დროს რომ იშოვნოდა, მრავალმეტყველად შეა-

ლებდა თვალს რევანს, ისეთის გრძნობით შეაცქერდებოდა, თითქო სულში უნდა ჩაიძვინოსო.

კორდელს ართობდა ეს. რამდენჯერმე გაივლო გულში: „ისევ ის არის, ავხორცი, სიყვარულით გაუმადლარი“...

ნანუმ ალლოთი იგრძნო, რომ მის სიახლოვეს რაღაც უმსგავსოება ხდებოდა და კიდევ უფრო მოიწყინა.

ლევანსაც გადაედო ეს სევდიანი განწყობილება. ვინ იცის, ეგების მისი მუდღის ფარული ლაციცი შეამჩნია და სახე იმიტომ მოედრებოდა.

— რავეც ვატყობ, ქალბატონ ნანუს პატარაობა ჯერ არ მოუსრულებია და იმიტომ არ მიირთვია, — როყოოდ თქვა მანუჩარმა და ზეინაბს ეშმაკურად გადახედა.

ზეინაბმა ჩაღრმავებული თვალები მოქუტა და ისე გაუღიმა მანუჩარს.

— რაღა დროს მორცხვობაა, ნანუს შემოვევლე. — განაგრძო მანუჩარმა. — ახლა ყველაფერი მოსწრებაზეა. წვეილა ის დრო, ახალმოყვანილი რომ დიდს და პატარას უნდა მორიდებოდა. რაღა დროს მორიდებაა, ჩემო ბატონო, ახლა თავის ნებაზეა ყველა მიშვებულნი...

— რას ბრძანებთ! — გულფიცხად შეაწყვეტინა სიტყვა ლევანმა. — რამდენია ჯერ, რომ მხეცი უზის სულში... მიუშვი ნებაზე და ერთმანეთს დასკამენ...

— რა ვიცი, ბატონო, რა, — ოდნავ შესამჩნევი ქედმაღლობით შეესიტყვა მანუჩარი. — ქე ვცხოვრობდით ამ ქვეყანაზე, მარა არაინ არ შეგვიტამია. ან კი რად გვიდოდა ერთმანეთის შექმა, კაცის ზორცს კაი მწვადი და კაი ინდოურის საცივი არ ჯობდა?

— იმ თქვენს საცივში კაცის ოფლი და ცრემლი იყო შედუღებული! — შკაცურად უბასუხა ლევანმა.

ყველა გააოცა ლევანის გესლიანმა კილომ. მხოლოდ ნატო მიხვდა, რაშიაც

იყო საქმე: „ალბათ, რაიმე შემამჩნიაო“, გაიფიქრა, „არაფერი მაგას კი მოვათვინიერებ, სხვა რამე თუ არა“. — დასძინა გუნებში.

— რავე გეკადრებათ, ბატონო ლევან! იქნება სხვა რამე გეწყინათ და იმიტომ გინდათ მაქამოთ დღეს კაცის ზორცი? — გულთამხილავით გადაჰკრა სიტყვა მანუჩარმა. თან სახე მოედლუა, ზვილიად გადახედა ლევანს, მერე უცებ ღიმილი მოიშველია, წვერზე ხელი ჩამოისევა და ზეინაბს მიმართა:

— ზეინაბს შემოვევლე, ერთი შენებურად დაუკარი როილო, ეს დიდებული ვახშამი მოგვანელებიე...

ზეინაბი წელგამართულად მიუჯდა როილს.

წამოიშალნენ. თამბაქო გააბოლეს.

ლევანი კვლავ ნანუსთან მივიდა.

რაღაც თანაზიარი სევდა ამოიციოთხა ნანუმ ლევანის სახეში და გონებაგაფანტულად გაესაუბრა.

ნატომ ზეინაბს ფოქსტროტი დააყრევინა და რევანს ხელი მოხვია...

თან ნანუს გადახედა და ყველას გასაგონად უთხრა:

— ზომ არ გეწყინება, გენაცვალე, ნანუ?

პირი აარიდა ნანუმ. სიტყვა არ დაუძრავს. ლევანის წინაშე თავის ტკივილი მოიმიზეზა და საცეკვაოდ აღარ გაჰყვა.

მანუჩარმა ნანუს მოწყენა შეატყო და მისი გართობა თავის მოვალეობად მიიჩნია. გვერდით მიუჯდა, ჯერ რაღაც სასაცილო ამბავი მოუყვა, მერე, ნანუს რომ ღიმილი ვერ მოჰგვარა, მოცეკვავე რევანსა და ნატოს გააყოლა თვალნი.

სტუმრების წასვლის დრო მოახლოვდა.

აირდაირიგნენ.

ნელა წამოდგა ნანუ, ირგვლივ უახროდ მიმოიხედა. იღუმალმა ძალამ უბიძგა და ფეხაკრფით მიადგა მეორე ოთახის კარს...

სული შეეხუთა. გაშეშდა. თვალ-  
წინ ედგა, ნატო და რევაზი რომ ერთ-  
მანეთს შმაგად ეხვევოდნენ, ჰკოცნი-  
დნენ. მაინც თავი სიზმარში ეგონა, სა-  
ცა გამომღვინება და გაჰქრება ეს  
საშინელი ზმანებაო. მაგრამ აგერ ნა-  
ტოს თვალმა იღვრა. ზურგშეკეულ  
რევაზის მხრებს ზემოდან უმზერდა ნა-  
ნუს ეს ბასრი თვალი...

გულზე მიიჭლო ნანუმ ხელი და მო-  
უსაზრებლად გაიჭრა გარეთ. მოაჯირს  
წააწყდა. გაქვევდა. ვარს თითქო გა-  
ნუქვრეტელი ბურუსი ეხვევოდა. ნა-  
თურებით გადაელაგებულმა ქალაქმა  
გაიღვრა თითქო და სადღაც უფსკ-  
რულში ჩაშვავდა...

მოაჯირს დაეყრდნო ძალმიღებული...

— ნანუ, სად ხარ? მოდი, სტუმრები  
მიდიან!

ეს რევაზი იყო.

შეერთა ნანუ. უნებლიედ მიიფარა  
სახეზე ხელები, თითქო შემადრწუნე-  
ბელ სანახაობას მზერას არიდებსო.  
მერე უცებ მოზღვავებულმა ძალამ  
აანთო; სწრაფად შებრუნდა და მკვეთ-  
რი ხმით მიამახა:

— საზიზღარო!..

## VIII

შეწყდა ჯაჭვის ჩხრილი და გიორ-  
გიმ მოვარგარე ქურაში რკინის ვეება  
ზოდი გაასწორა; მარწყუხი გრდემლზე  
დასდო და თათმანი წაიძრო, ოფლი მო-  
იწმინდა. აღმურისაგან დამწვარი სახე  
წამოგზნებული ჰქონდა.

ყველა ქურაში ცეცხლი გუგუნებდა.  
ძრავების ღვედები ისე შრიალებდნენ,  
თითქო ოდნავ მღლევარე ზღვის ტალ-  
ღები ქვიშიან ნაპირზე შეფებულ იმსხ-  
რევიანო.

ცეცხლოვან რკინასთან მუშაობისა-  
გან დასიცხული მუშები მცირე ხნით  
გარეთ გავიდნენ; აქაც ნავთობისა და  
კვამლის სუნნი იდგა, მაგრამ გრილ

ჰაერს მაინც ვაზფხულის საამო სურ-  
ნელება მოჰქონდა.

— დიდ ამბავშია დღეს ჩვენი აბე-  
სალომი. გესმის, რა დასგულქვამ-  
ქედლოში? — სთქვა ერთმა.

— რა, ძმაო, თუ მაგან ქსოვრელს  
აჯობა, მართლა ვაეკაცი ყოფილა! —  
შეესიტყვა მეორე და გაება ბაასი იმა-  
ზე, თუ ამ უკანასკნელ დღეებში რო-  
მელმა დამკვრელმა რამდენით გადაა-  
ქარბა ნორმას...

გიორგიმ მის მიერ გამოგონებული  
ჩარხის ნაწილები კვლავ დაათვალიერა;  
უქმაყოფილოდ შეიკმუნა შუბლი: ჯერ  
კიდევ ზოგი რამ აკლდა და ჩარხის აწ-  
ყობა გვიანდებოდა.

შებრუნდა, ქურები შეათვალიერა და  
მერე ამხანაგების საუბარს მოჰქრა ყუ-  
რი: ისინი კვლავ აბესალომზე ლაპა-  
რაკობდნენ, მხურვალედ მსჯელობ-  
დნენ — შესძლებს თუ არა აბესალომი  
ახალი რეკორდის დამყარებასო.

დიდი ხანი აწაა, რაც აბესალომი  
რვილების გამოჰქედ ბრიგადის მეთაუ-  
რად გადავიდა.

გიორგი თავს უხერხულად გრძობ-  
და, მისი გაზრდილი რომ მის გვერდით  
არ მუშაობდა, მაგრამ აბესალომის და-  
წინაურებით გამოწვეული სიხარული  
უქარწყლებდა ამ გრძობას. ხანდახან  
ისეთი განცდა აღძრებოდა, თითქო  
დედა-ფრინველი შორიდან აღევნებსო  
თვალს ბარტყის პირველ გაფრენას.  
ახლაც ბიჭების საუბარს მიამყრო  
ყური, გუნებაში სიამით გაეღიმა და  
აუჩქარებლად გაემართა სამქედლო-  
საკენ.

შემტრულ კედლებს შორის ერთის  
წამით შეჩერდა და მაღლა აიხედა,  
თითქო შორს სივრცეზე თვალი უნდა  
შეასვენოსო.

ცის გუმბათზე იასამანის ყვავილე-  
ბით გაფანტულიყვნენ ღრუბლის  
ფთილები, ისეთი სიმშვიდე სუფევდა  
იქ, თითქო სამუდამოდ წაშლილიყოს  
მრისხანე ქარტყილების კვალი.

გორაკებისაკენ გაიხედა; აყვავებულ ხეხილნარებით შემკული ეზოების ციმციმი ჩაწედა გულში, თითქო უამრავი თვალი ანთებიათ გაზაფხულს და ყოველი კვირტი გიორგის ამბორს უგზავნისო.

განახლებული სიცოცხლის ელვარებაში მოხიბლა გიორგი და, საამქროს ფართოდ გაღებულ კარს რომ მიადგა, უცებ თითქო ეუცხოვა ეს გრიალი, ეს დამაყრუებელი დაგადუვი.

რკინებით დახლართული თალი კვამლით იყო შექვერტლული. ქურები მფეთქავი ცეცხლის ალით ილოკადნენ პირს; ხან კლდეზე შენარცხებულ ტალღასავით შრიალებდნენ, ხან ნაპრაღში მომწყვდეულ ქარბუქივით გუგუნებდნენ.

დიდსა და პატარა ქურებს შორის, აქა-იქ დაყრილ მოლურჯო რკინის ნაჭრებს ფრთხილად შეუარა გიორგიმ და ვეება ორთქლის უროს სიახლოვეს შეჩერდა.

ნამეხარ მუხასავით იდგა ორტოტად ეს ურო და ყოველ დარტყმაზე მიწა ინძრეოდა, კედლები ზრიალებდნენ.

სიყვარულით შეავლო თვალი გიორგიმ მუშაობაში გართულ აბესალომს და მის ოსტატობას ვერავითარი წუნი ვერ უპოვა. ბოლოს გუნებაში მაინც თქვა: „ზედმეტ ღონეს კი ხარჯავს; ხელსა და თვალს რომ მეტად შეაჩვევს, აღენი ძალა აღარ დასჭირდება“.

აბესალომმა ქურიდან ახლადგამოდებული, ცეცხლადქცეული რკინის ზოდი გრდემლზე მარწუხით გაასწორა, მოიმარჯვა; დაეშვა ურო და მთლად ცეცხლის შხეფებში გაეხვია.

გარს ეფრქვეოდა აბესალომს ნაპერწკლების ჩქერი, ფართო სახეზე აღნაკადის ელვარება შეჰფენოდა და დიდრონი თვალები უბრწყინავდა.

ორი დამხმარე მუშა ედგა გვერდით, ყოველ წუთს მზად იყენენ—აბესალომს მიშველებოდნენ, მაგრამ ის დაღლას არა გრძნობდა, მსუბუქად აბ-

რუნებდა ნაკვერცხალივით <sup>გაფიქრებულ</sup> მძიმე რკინას და უხვად გამოყოფილი ოფლი უვრილტანდამსხვავდა.

მოხიბლულივით <sup>მომწყვდეულ</sup> მსხვრეულს მსუბუქად აბესალომის მკლავების მოძრაობას და უროს მთელი სისწრაფით ამუშავებდა.

გიორგიმ გამოცდილი ოსტატის მზერა აღამაინებლად მანქანაზე გადაიტანა, ორთქლის უროს ყოველ ნაწილს დააკვირდა.

უცებ შეერთა და მყისვე ხელი აღმართა, თითქო უფსკრულის პირას მიახლოვებული, გაქანებული მანქანა უნდა შეაჩეროსო.

გატაცებული მუშაობის დროს ვერავის შეემჩნია ლილევის სოლი რომ მოშვებულყო. საცმარა კიდევ უროს რამდენიმე დარტყმა და სოლი ამოვარდნება, გამალებით მომუშავე მანქანა დაიშლება და მუშები დაშავდებიან. ვინ იცის, ამ წამს ვისი სიცოცხლე ჰქილია ბეწვეს...

— შეჩერდი!—მთელი ხმით დაიყვირა გიორგიმ და შეუროეს მიაშურა, ხელი მკლავში ჩაავლო და მოჭიდავესავით განზე გაიქნია.

ყველანი განცვიფრდნენ, გიორგის შეაშტერდნენ.

აბესალომმა შუბლი შეიკრა და მარწუხს ხელი შეუშვა. სასაყვედურო სიტყვა მოადგა პირზე, მაგრამ თავი შეიკავა, უკმაყოფილება მხოლოდ თვალებით აგრძნობინა.

— რას მომშტერებიხართ? ვერ ხედავთ, სოლი რომ მოშვებულა? განა მარტო იმას უნდა უყუროთ, რამდენს გამოვიმუშავებო? ეგება ქერი თავზე გაქცევა, ველარ უნდა დაინახოთ?

აბესალომმა უმაღვე სოლს მიაპყრო თვალი, სახე მოედრობლა და შეუროეს მკაცრად ახედ-დახედა:

— მართლა და, შე ოჯახქორო, ვგარის საქმე?!  
დაარცხენილმა შეუროემ აბესალომს სახე აარიდა.

— არა, ბიჭო, შენ სხვას ნუ კი უსაყვედურებ, შენ ხარ აქ ხელმძღვანელი, ათაჲს თვალი უნდა გქონდეს.— პირქუშად უთხრა გიორგიმ აბესალომს, ხმაში კი მოალერსე სიღბო ვერ დაჰმალა.

დამნაშავესავეთ დახარა თვალი აბესალომმა, შებღზე ოფლი მოიხოცა.

— მართალი ხარ, გიორგი, მართალი — ჩაილაპარაკა აბესალომმა და გიორგის მხარზე ხელი დაადო.— ნამდვილი მამა ხარ ჩემი დიდ მარცხს გადაპარჩინე...

გიორგის ძლიერ ეამა, აბესალომი რომ მიეხმატებოდა, მაგრამ არ შეიძინია, კუშტად მიმართა:

— ნუღარ მოცდებით. სოლი გაიმაგრეთ... ნორმის საქმე როგორა გაქვს?

— ნორმისა? ეგ ჩემზე იყო, ერთი ხუთასი პროცენტით მაინც ავწევ დღეს.

— პო-და, აბა, შენ იცი! — სთქვა გიორგიმ და სწრაფად გასწია თავისი საქმისაკენ.



სულ რამდენიმე წამი გავიდა, საყვირის ხმა რომ სივრცეში დაინთქა; მთელ ქარხანაში საამო მყუდროება დამყარდა; ისე უცებ დაუშვა ოღნავ მოფარდატე ფრთები ამ სიჩუმემ, რომ კაცს ეგონებოდა— გრიალით, რახრახით გადაიჭრა სადღაც ხეში ანაზღად მოვარდნილი ქარბუქი და გაღიმებული მიდამო მზეს მდუმარედ შეამტერდაო.

აღარ ისმოდა ქურებისა და უროების გუგუნო, არც მანქანებისა და ონკანების ჩახჩახი; სადღაც მიღებში გამოცონილი ორთქლი შრიალებდა ხმამიღვლად, — და ირგვლივ ჩახერგილი ძველი და ახლად გაპარხული ბორბლები, გვერდებშეღეწილი და საღებავ-შეუშმრალი ვაგონები, მაღალ მღვიმეების პირად ჩაყენებული ტენდერები

და დაშლილი ორთქლმავლები, საამქროების წინ მიმოფანტული თანგებანი რკინები, — ყოველივე უჩინარე გრივალის ნამუსრევსა მგავდა.

არც მაღალ სახურავებს ზემოთ აღმართული, ტანშემურული ალვისხეები არხვედნენ ნორჩ ფოთლებიან შტოებს; ხოლო ქარხნის ეზოში აქა-იქ გაშენებულ მცენარეებს გაზაფხულის იერი ამშვენებდა.

გიორგიმ მადიანად ისაუბრა და, გარეთ რომ გამოვიდა, განმარტოებით გავლა ქოცსურვა. ამხანაგებს გვერდი აუარა და იასამანის ბუჩქისაკენ შეუხვია.

ერთობ კარგ გუნებაზე იყო და თვალუცუქუნა გაზაფხულის ელფერი ხიბლავდა. გრძნობდა, რომ ამ ნორჩი ყვავილებისა და ფოთლების ელვარებაში, ღიმილით გაფურჩქნელ სიცოცხლის სუნთქვაში მისი გულიც შეხმატბილებულად ძვრდა. ჰაერში რაღაც ცხოველი შუქი ნარნარებდა, და ეს შუქი მისი სულის თანაზიარი იყო, სიყრმიდანვე თანშეზრდილი და ცის დასალიერამდე განფენილი.

უახლოვდებოდა იასამანის ბუჩქსა და სულ არ ახსოვდა, ტანთ რომ შემურული სამოსი ეცვა, შებღის ღარზედაც მცირეოდენი ქვარტლი ეცხო; ბყვეებულ ველზე სანავარდოდ გამოსულ ყმაწვილივით უჩქროლავდა გული...

— ამხანაგო გიორგი, ერთი აქით გადმოუხვიე.

გიორგი შესდგა და უსიამოდ გაიხედა ლიანდაგიან გზისკენ, საიდანაც ხმა მოესმა.

ეს პარტკომის მღვიანი — დიომიდე ოთარაშვილი იყო; დიდი ხანი არაა, რაც ის აქ აირჩიეს და ქარხანას ახლა ეცნობოდა. ქოროთვალეებიანი ქუბუკი იყო დიომიდე, ტანადი, მკვირცხელი; მხოლოდ საუბარში არასოდეს არ აჩქარდებოდა, ერთობ დინჯად მტყველებდა.

— ხომ იცი, ამხანაგო გიორგი, ამ საღამოს პარტიკომის სხდომა გვაქვს და არ დაიგვიანო. ძალზე სერიოზული საკითხია.

გიორგიმ ხელი მაგრად ჩამოართვა და ღიმილით ჰკითხა:

— მაინც რაა ისეთი?

— რევაზ კორძეის საქმე უნდა განვიხილოთ... სერიოზული რამე ბრალდება...

— რევაზს?!

— ჰო... რამ გავაოცა? ნუ თუ კორძეისაგან ცუდს არაფერს მოელოდი?

— რა დაუშვებია? არის რაიმე დამამტკიცებელი საბუთი?

— ბევრი რამ... უმთავრესი მაინც საბსრების განიაცებაა და... ჰო, ერთი სიტყვით, სხდომაზე ყველაფერი გამოირკვევა.

თქვა ეს დიომიდემ და გზა განაგრძო. გიორგიმ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და უცებ მოეშვა, სვლა დაუმძიმდა, ისეთი განცდა დაეუფლა, თითქო რომელიღაც უფსკრულის პირად ფლატე შეავდებოდეს, მისი ნაწი იდგეს ზედ, დახმარებას საჭიროებდეს და გიორგის კი არავითარი ძალა არ გააჩნდეს...

სიზმარში თუ განუცდია ასეთი უმწეობა. გამოღვიძებია და თავისუფლად ამოუსუნთქავს გახარებულს. მაგრამ ახლა რომ არ ეღვიძება! თან ისეთ მართლობას გრძნობს, თითქო მთელ ქვეყანას მისგან პირი ებრუნოს...

„ხედავ, როგორ ყოფილა საქმე?— იღუმლად ამბობდა გიორგი, — რამ დამაბრმავა, რატომ ვერ ავუღე ალღო?.. არა, წვეულებაზე აკი რამდენიმეჯერ გამკრა გულში, როგორ სწევს ამდენ ხარჯს, საიდან აქვს-მეთქი, მაგრამ ეკვი ახლოს არ ვაგვიკარე... ეჰ, შენ ჩემო თავო! ყველაში კარგი გინდა დაინახო... მოიცა, ეგება ცილისწამებაა!.. აჰ, რა ბედნიერი ვიქნები, რომ რევაზი უდანაშაულო აღმოჩნდებოდეს!.. მაგრამ არა, დიომიდე ასე გადაჭრილად

არ იტყოდა... შენ რას ნახე მხოლოდ, ჩემო ნაწუკა? ვაი, თუ...“

აზრი აღარ დაუმთავრებია, ინსამონის ბუჩქთან შეჩერდა და ნაწად შეახო თითები ნორჩ ყვავილს, თითქო ისევ პატარა გოგონაა ნაწუ და მის კულულებს ეალერსებო.

მერე უცებ წარბები შეიკმუხნა, ხელი მოწყვეტით ჩაიქნია და საამქროსაკენ გაემართა.

არც ერთი წამი არ გაუცდენია იმ დღეს გიორგის, ჩვეულებრივი გატაცებით მუშაობდა, მხოლოდ გონების ერთ კუნჭულში ღვივოდა სახმილი დარღისა და შესვენების დროს მძაფრად დაუვლიდა მთელ სხეულში.

IX

საშინელი იყო ნაწუსათვის ეს ღამე. სტუმრები რომ წავიდნენ, რევაზმა ძალით შეიყუანა ოთახში.

უმწეოდ ჩაიკეცა ნაწუ სკამზე, თავი ჩაღუნა. იმის ეშინოდა, ზევით არ ავიხედო და რევაზის სახე არ შემომეფეთოსო. ნაწუს სძულდა ახლა ეს სახე.

— ყველაფერს მოვსწრებივარ, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავს!— ჩაილაპარაკა რევაზმა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე მივიდა და კარები ჩაკეტა, თითქოს ეშინიათ, ნაწუ არ წამოხტეს და არ გაიქცესო. მიბრუნდა, ნაწუს თვალი დაასო და გაიფიქრა: „ნეტავი, რა მოეჩვენა?“.. არჩია, მოფერებით დაეწყო საუბარი.

— ნაწუ, მაკვირვებს შენი საქციელი, — დამტკბარი ხმით თქვა და, უნდოდა ნაწად მოესვა თავზე ხელი, მი-ალერსებოდა.

— არ მომეკარო! — შესძახა ნაწუმ და წამოდგა, სახეზე შეხედვა მაინც ვერ შესძლო, ხელებზე მიაცქერდა მხოლოდ. ტუჩებს იკვნეტდა; ფერგამკრთალი ღაწვები უთრთოდა.

რევაზს გული მოუვიდა, ნაწუს მკაცრად შეუტია:

— რა მოგივიდა, ქალი? რატომ არ იტყვი? რაა ეს ბოლოს და ბოლოს... იქნებ ვინმემ გაწყენია, თქვეი, ენა ზომ არ გაქვს ჩავარდნილი?

— ვითომ არაფერი არ იცის! ცბიერი, საძაგელი!— აღმოხდა ნანუს.

— რა უნდა ვიცოდე? შენ მართლად ხომ არ შეიშალე?

ახლა კი თავი ველარ შეიკავა ნანუმ, რევას თვალი გაუსწორა და უცნაურად შეცვლილი ხმით ჰკითხა:

— ვის ეხვევოდი წელან?— ასე მალე დაგავიწყდა?

რევაზე თავი ასწია, პირი შეაბრუნა და ყური მცაყრო, თითქო ნანუს სიტყვები კარგად ვერ გაიგონაო. მერე გაოცებულვით ახედ-დახედა ნანუს.

— ჰოო, ეს არის?— წამოიძახა და ხმამალა გაიცინა. გაიარ-გამოიარა; ნანუს სიახლოვეს შესდგა და ირონიული ხმით უთხრა:

— მოგჩვენებია, ჩემო კარგო! ხომ იცი, რომ ექვიანებს ჰალუცინაცია სჩვევიათ... საიდან სადაო! აბა, ისიც სთქვი, ვის ვეხვევოდი?..

— ჰო, რა საზიზლარი, რა საძაგელი ყოფილხარ!— შეწყვირა ნანუმ და ზიზლით ხელი ჰყრა მიახლოებულ რევას. გაბრაზდა რევაზე.

— აგერ კედელი, ასემც გიქნია, თავი გიხლია ზედი ტყვილა კი არ გეძახის დედაჩემი უჯიშოს!.. მე არ მცალია ახლა შენი კაპრიზებისათვის. საცაა თენდება. დილას ქარხანაში გადაუდებელი საქმე მაქვს.

სთქვა ეს და ოთახიდან გავიდა. მალე შემობრუნდა, ტანთ გაიხადა და ისე ჩაწვა ლოგინში, რომ ნანუსათვის ხმა არ გაუცია.

დიდხანს იყო ნანუ თავჩაქინდრული...

ბოლოს ჩამინებულნი რევაზე ფშვინვამ შეაერთო.

მიმოიხედა; ყველაფერი ფერშეცვლილად ეჩვენა ყველაფერი შეეზიზლა...

სად არის ნანუ? ვინ არის ეს ქალი? სად დაებნა გზა და წუვდა წუვდა ამ ჯურღმულში? რა მუცელდაქვიანებულ ნანუს? სად გადაჩეხა მაკდურმა ოცნებამ? სად ვაპქრა ის მშვენიერი ჭაბუკი, ნანუს რომ ასე თავდავიწყებით უყვარდა?..

კვლავ ფშვინვამ შეაწყვეტინა ფიქრი. რევას დახედა...

„სძინავს!..“

საიდან შემოესია ამდენი მზაკვარი? პირით სიყვარულს იჩემებენ, სულში კი გველები უზით!.. ახ, მალე, მალე უნდა გაეცალოს აქაურობას!..

აღგა.

ბერეტი დაიხურა. პალტო ჩაიცვა. ყუთში დედისეული ვერცხლის ძეწკვი მოსძებნა და ჯიბეში ჩაიდგა. მაგიდან რევასის მიერ ნაყიდი ოქროს საათი მოიხსნა და მაგიდაზე დააგდო.

გადადგა ნაბიჯი და უცებ შეჩერდა.

ხომ არაფერი რჩება აქ? თითქო გული სწყდება. რატომ სწყდება გული?.. რაღაც ძალი არ ანებებს აქედან წასვლას...

საიდანღაც დაიძრა შინაგანი ძგერა და თითქო გარკვევით ჩაწვდა ყურში იმ იდუმალი არსების უმწეო ხმა, რომელსაც ყოველი ქალი სიყრმიდანვე უღიმის, ეალერსება...

წავიდეს და — ამას რა უყოს? ამას რა ეშველება?..

თვალეები ცრემლებით ამოევსო...

მუხლები აუქანალდა; უნდოდა ჩამოაჯდარიყო და ქვითინით შეემსუბუქებინა ეს აუტანელი წამება.

მაგრამ ამ დროს ისევ ფშვინვა მოესმა.

„მე რა დღეში ვარ, ამას კი სძინავს!“— გაუღევა და თვალთაგან რისხვის ნაპერწკლები გადმოცვივდა...

კარი სწრაფად გააღო.



განთიადი ახლოვდებოდა. კრიალა ცაზე ვარსკვლავები შექმილულად ციმციმებდნენ. აღმოსავლეთს შორი ნათელი ეფინებოდა.

ქუჩაში მგზავრი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. ირგვლივ დუმილი სუფევდა...

მალე ტრამევის ვაგონმა გაიჭროლა. საღღაც მანქანის სირენის ხმაც დაირბა.

ნანუ კი ვერაფერს ამჩნევდა. ვერც გაზაფხულის ალიონის სუნთქვა წვდებოდა მის გაქვავებულ გულს.

მიდიოდა და მხოლოდ ერთი გრძნობა შერჩენოდა: მალე, მალე უნდა გაცალოს იმ გესლიან ოჯახს, ზეინაბს, ნატოს, ყველას... შორს უნდა წავიდეს, რომ მათი ხმაც კი არ გაიგონოს...



ხილზე უნებლიედ შესდგა ნახუ; მოაჯირს დაეყრდნო და შტკერის ჩქრი-ალა ზვირთებს დააცქერდა.

აქა-იქ ნათურების შუქი გაბადრულიყო მდინარეში და მოოქროვილ თასებივით ლივლივებდნენ.

ძლივს ასწია თავი და სანაპიროს გაჰხედა უაზროდ; სულ არ შეუშინვია კბოდვზე გადმომდგარი ხეები, ალიონის სუნთქვით ფოთლებათრთოლებულნი.

მხოლოდ მაშინ იგრძნო რაღაც მაცოცხლებელი ძალა, როდესაც ჯიბეში დედისეულ ძეწვეს შეავლო ხელი.

გულის მღუღარება ყელში შემოაწვა და, თვალბში რომ ცრემლი ჩაუდგა, შევებით ამოისუნთქა. თანაც თითქო გარს შემოფენილი ბინდბუნდი გაიფანტა და დედის სახე მოეჩვენა.

მაგრამ ასე ცივად რატომ გამოიყურება დედამისი? რატომ არ შლის ხელს, რომ გულში ჩაიკრას?

აჰ, ის უკან იხევს, სასაყვედურს სიტყვას ეძებს...

„— შენ ხომ ჩემი ნეტყველობა...“

სად დაღუპე შენი ახლოვდობა?..“

არა, ეს დედის ხმა არ იყო, თვითონ გაივლო ნანუმ გულში. თავი დახარა.

ირგვლივ კვლავ სდუმდა ყველაფერი.

სად გაქრა დედამისი? რატომ აღარ ესმის მისი ხმა? როგორ აიტანოს ეს წამება?..

არა, დედა არ მიატოვებს ახლა ნანუს... აგერ გვერდით ამოუდგა ის... თავზე თითქო ხელი გადაუსვა... არაფერს ამბობს, მაგრამ ნანუს გულისყურს მარცხ წვდება მისი სიტყვები:

„— დამშვიდდი, შემოგველე, გული გაიმაგრე! მამამშენს არ დაანახო ცრემლები, ჩემო ერთადერთო. შენც გიჟიკირს, შეილო, მაგრამ განა აგრე უნდა დაეცე?.. ვიცი, რაც გაწამებს. შეხ გგონია, დინგრა შენი წილი ქვეყნიერება. არა, არაფერიც არ დანგრეულა. ეს მხოლოდ შენი ოცნება იყო, შენ თვითონ შექმენი ის და მზაკვარს მოახვიე. ახლა ჩამოხადე პირბადე და თავზარი დაგეცა... დამშვიდდი ახლა, ჩაუკვირდი. განა ყველაფერი ოქროა, რაც გარეგნულად ბზინავს? მთავარი ისაა, თუ ვის რა უდევს სულში. ქვეყანა პრელია, შეილო, შენ კი გამოუცდელი იყავი, ალალი გული გაქვს და ყოველი ღიმილი მართლა ღიმილი გგონია...“

„ვის რა უდევს სულში!...“—ჩაილაპარაკა ნანუმ და თავი ასწია, სივრცეს გაჰხედა.

სერზე ჩამწყკრივებულმა დაეღაძა ნათურებმა მიიპყრო მისი მზერა. კვლავ დედის მოალერსე ხმა ჩაწვდა გულში და ბავშვობისდროინდელმა მოგონებამ თვალწინ გაუელვა:

მრავალი წლის წინათ იყო ეს. ნანუ დედის გვერდით იჯდა და გაფართოებული თვალებით შეკუთრებდა მამას.

გიორგი საკვირველ ამბავს უყვებოდა მაჟ. მოგონებას გაეტაცნა და ყოველი მისი სიტყვა უცნაურ შექსა ჰყენდა სმენადქცეულ ნანუს.

ციმბირის უღრან ტყეში დაბნეოდა გზა სამშობლოსაკენ გამოპარულ გიორგის. სასტიკი ყინვა იყო და მშრალად თოვდა. მალალი, შტოებგადაქდობილი ხეების არცერთი ტოტი არ ირხეოდა. ხანდახან ფიქვის შტოებიდახ თოვლი ჩამოშვავდებოდა და ირგვლივ თეთრი ნისლივით მიმოიფრქვეოდა. მეტისმეტად დაქანცული იყო გიორგი, ფეხს ძლივს ადგამდა, მაგრამ შესვენება არ შეეძლო: მღვერები კვალდაკვალ მოსდევდნენ.

მიდიოდა გიორგი ამ დაუსრულებელ ტყეში, ორი დღის უქმელი იყო, უძინარი. სად უნდა შეეფარებინა თავი? მხეცებისა და ყინვის მეტი არა იყო რა. არც ცეცხლის გაჩაღება შეეძლო.

„მაგრამ უკან ციმბირი დასაპატიმრო რჩებოდა, — აგონდებოდა მამის სიტყვები ნანუს. — და ასე მეგონა, რომ წინ ბრწყინვალე მზე მიმიძლოდა. მართოდმართო ჩვენი სამშობლო კი არ იყო ის მზე, ის ჩვენი დიადი საქმე იყო, ენით რომ არ გამოითქმება, ისეთი საქმე. ნათლად ვხედავდი, რომ რაღაც სანეტარო კიბეზე ავდიოდი, თვალუწვდენელ მწვერვალს წვდებოდა ის კიბე და მე უნდა ავსულიყავი იქ. ავდიოდი და წინასწარ ვხედავდი ყოველი ადამიანისათვის ბედნიერების მომნიჭებელ მზეს... რა ვიცი, იქნება ჩემს სულში ამოდიოდა ის ნათელი, მთელ ქვეყნიერებას ეფინებოდა და ვიცოდდი, რომ გავიმარჯვებდით“...

ამ მწვერვალზე ამავალი ადამიანის სახე აღიბეჭდა მაშინ ბავშვის გონებაში, და ახლაც იმ ნათელ სახეს ჰკიდა ნანუმ თვალი.

„თუ კაცს ასეთი დიდი მიზანი არა აქვს, ღორად იქცევა, — დაასკვნა მაშინ გიორგიმ. — გასუქდება და თავჩაღუნული ჩიჩქნის მიწას, ერთხელაც ვერ და-

ინახავს ამომავალი მზით განითხებულ ქვეყნიერებას. არა, კაცი მუდამ შორს უნდა იხედებოდეს, ყხვეფს მღვთავს უნდა ეკითხებოდეს, <sup>სადაა</sup> <sup>მისი</sup> <sup>სამაგრი</sup>, რა ააყვავა მშობელ მიწაზე“...

კრიალოსანივით შეატრიალკ ნანუმ ხელში დედისეული ძეწკვი; სერზე მოლაულავე ნათურებს თვალი მოსწყვიტა; ირგვლივ მიმოიხედა და იგრძნო, რომ რაღაც ნათელი შემოეფინა.

რა იყო ეს? იმ მზის ანარეკლი ხომ არ იყო, მამამისს რომ ციმბირის უდაბურ ტყეში წინ მიუძლოდა?

ყრუ გუფუნნი მოესმა; საიდანღაც ორთქლმავლის საყვირმა გაჰკვეთა სივრცე. მის პირდაპირ მომავალ მგზავრის სახეს მოჰკრა თვალი, გარემო შეიგრძნო ოდნავ და შინისაკენ გასწია.

ისეთი განცდა დაებადა, თითქო როგორღაც უცხო ხალხში დაბნეულიყოს და შორიდან დედის ძახილი ესმოდეს. უსიტყვოდ ეხმაურებოდა მისი გულისთქმა ამ ძახილს; მისწრაფოდა და ეგონა, რომ უამრავ ხალხში გარეულ დედამისსაც სწვდებოდა მისი პასუხი:

— მოვალ, დედიკო, ახლავე მოვალ!..

მაგრამ სახლს რომ მიუახლოვდა, შესდგა, თავი გაიქნია.

„მამას ახლა სძინავს. ამ განთიადისას როგორ მოვეუკლა გული“...

გაიფიქრა ეს და გამობრუნდა; მძიმე ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას.

ჯერ კიდევ ეძინა უბანს.

მოსახვევთან გაშეშდა ნანუ. მოჩვენება ხომ არაა? ნუთუ ეს მამამისია?.. სამუშაო სამოსი აცვია. ამ დროს ქარხანაში რა უნდოდა?

მძიმედ ჩაფიქრებული, თავდახრილი მოაბიჯებდა გიორგი. კრებიდან, რომელზედაც რევან კორდელის საკითხი იდგა, კვლავ ქარხანაში შეიარა. ახლა შინ მოდიოდა და ნანუზე ფიქრობდა გულნადვლიანი.

უცებ თითქო რაღაც სხივი მოხე-

და, თითქო თვისი ქალიშვილის სუნ-  
თქვა იგრძნო. თავი ასწია და...

ეს ხომ ნანუა!

მიიჭრა, ხელი მოხვია. თავი გადაუ-  
წია და სახეზე დააქქერდა...

— აჰ, შენც გაიგე, შვილო?... ეჰ,  
შენ ჩემო თავო!..

## X

იმ ღამეს გრძელ მაგიდასთან იჯდა  
გიორგი და ცდილობდა, რომ ამხანა-  
გებს მისი მღელვარება არ შეემჩნიათ.  
უსმენდა მათ და ეგონა, საცხებით ჩა-  
წვდა რევან კორდელის მახინჯ სულს...

მაგრამ ახლა, ნანუმ რომ დაწვრილე-  
ბით უამბო ყველაფერი, საკუთარი  
თავიც კი შეეზიზნა გიორგის, თან ისე-  
თი უმწეობა იგრძნო, თითქო გამო-  
უვალ ჩიხში მომწყვდეულიყოს და  
მთელ ქვეყანას ფერი ეცვალოს...

მერე თანდათან ბრაზი მოერია, თა-  
ვისი მძლავრი მუშტი შეკუმშა და  
მრისხანედ წამოიძახა:

— გველივით გავსრეს მაგ საძა-  
გელს!..

რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახ-  
ში. წელგამართულად აღგამდა ნა-  
ბიჯს, ზანდაზმულობა არ ემჩნეოდა;  
მოდულულ სახეზეც უტეხი სიმტკიცე  
აღბეჭდოდა.

უცებ შესდგა და თავჩაქინდრულ ნა-  
წიუს დააქქერდა. შეებრაღა... ცრემ-  
ლები ძლივს შეიკავა. გვერდით მიუ-  
ჯდა და ნაზად გადაუსვა თავზე ხელი.  
მერე აუჩქარებლად მოუყვა, რაც ქარ-  
ხანაში მოხდა იმ ღამეს.

ბევრი მოულოდნელი რამ გამოირკ-  
ვა... რევან კორდელი კი ნამდვილი მა-  
ხინჯი ყოფილა, სულით მახინჯი...

თხრობა შესწყვიტა და ნანუს შე-  
აქქერდა.

ნანუ ისე უსმენდა, თითქო ჯერ  
კარგად ვერ გარკვეულაო. თვალები  
ამოღამებოდა, ლაწევები გაფითრებოდა;

ისე გამოიყურებოდა, თითქო ფიქრი  
ფიქრთან ვერ დაუკავშირებინო...

— ჰოდა, შენ ნუ გეშინება შვილო! —  
განაგრძო გიორგიმ. — ეს დიდი გზავე-  
თილია ჩვენთვის... დიდ საქმეში, ან  
დიდ გაჭირებაში თუ არ გამოცადე,  
ისე აღამიანს ვერ იცნობ თურმე... მით  
უმეტეს ახლა, როცა ძველისა და ახ-  
ლის სამკედრო-სასიცოცხლო კიდი-  
ლია... ვინ რა იცის, თუ რა მახინჯი  
სული ზის ამათუიმ გარეგნულად მიმ-  
ზიდველ კაცში, რა მისწრაფება, რა  
ინსტიქტი... მეგობრობა და სიყვარული  
მხოლოდ თანაზიარ ბრძოლასა და შრო-  
მაში მოიბოება. აქაც ზშირად ფეხს წაი-  
კრავს კაცი. აღამიანის ბუნებაში მრავ-  
ალი ნანგრევეია ჩამარხული... აი, ის  
ნანგრევეი სცოცხლობს ხოლმე ღამაზ  
ყვავილში, თვალს რომ ატყუებს... ეჰ,  
შენ ჩემო თავო, მე არ უნდა მომსვლო-  
და ეს, თორემ შენ რა, გამოუცდელი  
ბავშვი ხარ...

ნანუ უცებ ისე წამოდგა, რომ გიორ-  
კიმ იფიქრა, უთუოდ რაღაც მოეჩვენა-  
ნაო.

— რა მოგივიდა, შვილო?

ნანუმ არ უპასუხა, სახე დაემანჭა,  
ხელები გვერდებზე შემოიჭლო.

— იქნება გტკივა რამე? — შეშფოთ-  
და გიორგი.

პასუხის ნაცვლად ნანუს თვალებში  
მრისხანებამ გაიელვა. შეტოკდა, გან-  
წირულივით წამოიძახა:

— არ მინდა! მე ეს არ მინდა!..

— რა არ გინდა, შვილო? გამაგებინ-  
ე!..

— მამილო, მამა! — აღმოხდა ნანუს  
და გიორგის მოხვია. ცრემლები წასკ-  
და. მერე ისე ამოიგმინა, თითქო  
მთელი თავისი არსება ამოაყოლაო.  
ბოლოს უმწეოდ ჩაილაპარაკა:

— რომ იცოდე, მამა, რა უბედური  
ვარ!

— ვიცი, შვილო, ვიცი, მაგრამ გა-  
ნა...

— არა, მამა, ეს სხვია. ამას არაფერი არ ეშველება... არ მინდა მე ეს, არა, არა...

«ვაიმე, შეილო, რა საშინლად იტანჯები... რა ვქნა, რითი შეგიმსუბუქოს ეს წამება?»—გაივლო გულში გიორგიმ და ერთის წამით მოეშვა, მოტყუდა, თითქო სიბერემ უწიაო.

იქნება დაიღალა გიორგი ამდენი მღელვარებით და იმიტომ ეხვევა გარს უიმედობის ცივი ბურუსი?.. მაგრამ აგერ შუბლი შეიკრა, მტყიცედ დააყრდნო ნაწუს მხარზე ხელი.

— უსაშველო არაფერია, შეილო!.. რამდენი ახლგაზრდა ქალი დაქვრივებულია, მაგრამ თავი არ მოუკლავს...

— აჰ, შენ არ იცი, მამა, არ იცი! მე მაგისტვის არ ვტირი. ის მკედარია ჩემთვის. მე მხოლოდ...

ისევ აქვითინდა, თავი მამას მიაყრდნო მკერდზე და ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

— მე მისი სისხლი და ხორცი არ მინდა!..

თავი ასწია, მამას თვალი გაუსწორა.

— მე ეს არ მინდა გესმის, მამა, მე ეს უნდა მოვიშორო!..

მამა მიუხედა 'შვილს. კარგა ხანს იდგა იგი გარინდული. მერე ნაწუს დივანთან მიიყვანა და ისე ფრთხილად დასვა, თითქო იგი შიშვე ავადმყოფი ყოფილიყოს. აღერსით მოუსვა ნიკაბზე ხელი და წელში გაიპართა.

— ჰოო, ასეა საქმე!.. მერე და, ეგ რა წამოგცდა: უნდა მოვიშორო! არა, შეილო! ეგ შენია!.. ჩენი სისხლი და ხორცია!.. რამ შეგაშინა? მე აგერ არა ვარ? ნუ შედრკები, მე მომყვები, მე შენ არაფერს გაგიჭირებ...

გვერდით მიუჯდა ნაწუს და ხელი მოხვია. ეალერსებოდა, ამშვიდებდა.

ნელინელ იღვრებოდა ნაწუს გულში მშობლიური სიყვარულის ცხოველყოფელი ძალა. მამას მიეხუტა და ერთის წამით თავი ბავშვად წარმოიდგინა,

გინა, გულის ამჩუყებელი სიამე გრძნო და გიორგის შეაცქერდა: ამოგავალი შვით ანთებული გულში ჩემი ციმება და ცრემლი მის ფართო თვალებში; ეს ნათელი თითქო მთელი მისი არსებიდან ამოდიოდა და გიორგის სულში ეფინებოდა...

უცებ კვლავ შეკრთა ნაწუს, თავი ჩაღუნა, სახე მამას მიაყრდნო მხარზე და უნებლიედ ჩაილაპარაკა:

— რა ვქნა, სად დავემლო სირცხვილს, დამცირებას...

ამ სიტყვებმა მწვავედ დასუსხა გიორგი; აღმურისაგან დამწვარ დაწვებზე მიწისფერი ვადედო. ნუ თუ მისი ცქრილა გოგონაა ეს?! საიდან შეიპარა მის ხმაში ასეთი უნუგუშო კილო? ასე როგორ დასცა იმ წყუელმა ოჯახმა?.. «ჰ, შენ ჩემო თავო!—გაივლო გულში,—სიყრმიდანვე მაგლაჯუნასავით მოგდევს ძველი ქვეყანა, ცდილობს შემუსროს შენი ოცნება, შენი სიცოცხლის ყვაილი... რამდენჯერ შემოგფეთებია მისი აჩრდილი, სიკვდილივით შევი და უღმობელი! ახლაც გველივით მოსრიალეებს იგი და ლამობს სულში ჩაგოჭრეს, დაგშხამოს... მაგრამ არა, გიორგი მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა მასთან ბრძოლაში, ბევრჯერ ჩასცა მას ლახვარი. ახლაც ვერ დაიმორჩილებს იგი...

— იცი, შეილო,—ისე დაიწყო გიორგიმ ლაპარაკი, თითქო თავისთავს ესაუბრებოდა. — ცხოვრება მარტოდ-მარტო ვარდყვავილებით სავსე ბალი კი არაა, რომ მიხვიდე და რომელიც გასურს, ის მოწყვიტო... აქ ჯერ კიდევ ბევრი შხამი და ეკალია. კაცს რომ უბედურება შეემთხვევა, ტრილი და ვაის ძაბილი ველარ უშველის. ადამიანმა თვითონ უნდა მოირჩინოს თავის-თავი. ყველაზე უძლიერესი წამალი კი მხოლოდ ერთი ვიცი. გაგიჭირდა, მწუხარებამ შეგიპყრო, აი, მაშინ ამ უებარ წამალს უნდა მიმართო... პირადი სევდა და წუხილი წარმავალია, წავა და

გაიელის... შენ ამბობ—რა მეშველებათ. ხომ იცი, შვილო, რომ საჭირო იყოს, გულს ამოვიღებ და წამლად გავლესავ; ლოდად ვიქცევი, რომ შენ ზედ ფეხი დაადგა და მაღლა ახვიდე... მაგრამ ახლა მე მხოლოდ ერთი წამალი ვიცი, შვილო. როგორც ვითხარი, ის აგამაღლებს, თავისთავს შეგაყვარებს. რა არის ეს წამალი? ეს არის შრომა და ბრძოლა, შვილო!.. აი, შენ ამ ბოლოს მეცადინეობაზე თითქმის ხელი აიღე. ეს არ ვარგა. უნდა ჩაუჯდე ისევ წიგნებს და ინსტიტუტი უნდა დაამთავრო...

მამის ხმა გულში წვდებოდა ნანუსს, სიამეს ჰგვრიდა, ისეთ სიამეს, ბავშვს რომ მიერულება და მშობელის ნანა შორიდან უაღერსებს.

— რა მეშველებათ! — ხმას აუწია გიორგიმ. — ვინ ამბობს ამას, ჩემი ნანუ, ჩემი ცქრილა გოგო?! აბა შემომხედე, თვალი გამისწორე, ვნახო ერთი, თუ მართლა ამბობ — „რა მეშველებათ“.

ნანუს სქელ, პაწია ტუჩებში ოდნავ გამოკრთა ნაცნობი ღიმილი.

რა მოწყენილიც არ უნდა ყოფილიყო გიორგი, ნანუ რომ ამ ღიმილით მიეახლებოდა და ცელქურად გაეთამაშებოდა, მამამისს მყისვე გული გაუნათლებოდა, თვითონაც გაეცინებოდა და გოგონას გულში ჩაიკრავდა.

ახლაც ამ გრძნობამ შეიპყრო, ნანუს მიაშურა და მაგრად მოხვია მკლავი.

ლოყა ლოყაზე მიაყრდნეს და საოცრად დაემსგავსნენ ერთმანეთს.

რამდენიმე წამს იყვნენ ასე, თავთავიანთ ფიქრებში დანთქმულნი.

გიორგის თანდათან მეტი მღელვარება იპყრობდა. განა ადვილი ასატანია, საყვარელი სახე რომ უცებ ლანდივით გაჰქრება და თვალწინ სულით მახინჯი კაცი აღმოჩნდება?.. რა ცეცხლი ტრიალებს ახლა ნანუს გულში... რა ჰქნას, როგორ შეუშლუბუქოს ეს წამება? დაუჩემებია—შრომა წამალიაო, გა-

ნა ახლა შრომაზე ფიქრი შეუძლია ნანუს?

თვითონ გიორგის, პანქმეშველეს—სოფიოს რომ დასტურებდა ასეთი უბედურება, განა ისინიც კი ერთხანს სასოფარეკეთილებადი არ ჩავარდებოდნენ?..

რა ჰქონდათ ახლადმეუღლებულ გიორგისა და სოფიოს სანეტარო? თითქოს სრულიად არაფერი. ეიწრო, უავეჯო ოთახი ნაძალადევი... გიორგი საპატიმროდან იყო გამოშვებული და ჯერ ისევ ამხანაგები უწყობდნენ ხელს, რაკი უმუშევარი იყო. სოფიო შეძლებულთა ოჯახებში მოულობდა საქმეს და ორიოდ გრომა მოჰქონდა. მაგრამ მაინც რა მდიდარი იყო მათი სიყვარული, მათი ბედნიერება!

— სულ ნუ იგვიანებ, გოგი! შენს მოლოდინში გული გამიწყალდა.—ეტყოდა ხოლმე სოფიო.

— იცი, სოფიო, კრებიდან რომ გამოვედი, ჯაშუსი ამედევნა.

— ღმერთო მომკალი! მერე აქ ხომ არ მოგყვა?

— არა, ისე აფურცი გზავალი, რომ ახლა აღბათ დგას სადღაც კუთხეში და ბრაზით ატრიალებს თავის ჯოხს...

სოფიო მტრედევით აფართქალდებოდა, თავდავიწყებით მოეხვევოდა გიორგის. და მბუქტავი ლამპით ოდნავ განათებულ ოთახში შეიჭრებოდა ამომავალი ქვეყნის რიყრავი... ხმელაპურიც ტკბილი იყო მაშინ, ვინაიდან სიყვარული და იმედი აფრთოვანებდა მათ გულს...

„ჰო—და, რა დღეშია ახლა ნანუ?“— შეჰყენესა გულმა გიორგის.—როგორ მიწედა მას ძველი ქვეყნის შხამიანი ბრქვალეები?! განა ამისთვის ზრდიდა ასე სათუთად?..

თვალი დახუჭა გიორგიმ, რომ არაერთხელ ხილული ზმანება არ დაენახა. მაგრამ მაინც ამოდის ბნელი სიღრმიდან მხეცზე უფრო ველური კაცი. კარგა ხანია ასეთი სიცხადით არ მო-

ჩვენებია იგი გიორგის... ომია, ასიათა-სობით ადამიანები იხოებინან, მიწა ვერ იტევს ამდენ მსხვერპლს... ის კი, ის უქნარა, გახარებულია, სიმდიდრე უორკეცდება, მადა კარგი აქვს და... თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა, ოღონდ მას ნუ მოაკლდება ფუფუნება.

ადამიანის გაჩენის დღიდან მოდის ეს უქნარა, შურსა და მტრობას სთესავს ირგვლივ, ფეხქვეშ თელავს სიყვარულს, ოცნებას, მეგობრობას, რაინდობას; პირში უცინის გმირებს, ელაქუცება და ცდილობს მათი ნაამაგარიც მიითვისოს. ლაჩარია ის, მშიშარა, მაგრამ დაცემული, ხელფეხშებორკილი თუ ვინმე ნახა, არ დაინდობს, უღმობლად გაჰგმირავს უმწეოს...

საყვირის ხმამ გამოარკვია გიორგი.

შუბლი შეიკრა, სივრცეს გაჰხედა...

ფანჯრებს მზის შუქი შემოჰფენოდა

თვალეზში ის სხივი ჩაუდგა გიორგის, რომელიც მუდამ მის ურყევ გადაწყვეტილებას გამოხატავდა; ამიტომ ნანუს რომ მიმართა, მის ხმაში ბრძანების კილო გამოკრთა:

— აბა, ჰა, ჩაწეკი, შეილო, ახლა! მთელი ღამის უძინარი ხარ...

ნანუ გაუხდელად მიწვა ლოგინზე.

გიორგიმ საზაფხულო საბანი გადაახურა; ფრთხილად შემოუქეცა კარგა ხანს იჯდა მის გვერდით; ისე ფეერებოდა, თითქო ნანუ პატარა გოგონა ყოფილიყოს.

— მე ქარხანაში მივირბენ, — უთხრა ბოლოს, — ბიჭებს მიეხედავ. მალე დავბრუნდები...

\*  
\*  
\*

ბევრი ეცადა ქუჩაში მიმავალი გიორგი, რომ გულის ჯავრი დაეთრგუნა, მაგრამ ვერ შესძლო.

„ეჰ, შენ ჩემო თავო! — იმეორებდა

ხშირად. — ეს რა მომივლდა? არ უყურებ, რა ყოფილა? მე კაცი მეგობრე, ჩემი ნანუს სიყვარული მასწავლებლობდა და ღამაში ელფერი მწვერულს ვეძებ კი, თურმე, თავისი სულით და გულით ძველი მტაცებელი ყოფილა, რომელსაც მე მთელ ჩემს სიცოცხლეში ვებრძოდი... ეჰ, შენ ჩემო თავო! ვისთვის ვზრდიდი და ვის ჩაუვადე ზელში!“

მიდიოდა და ირგვლივ თითქმის ვერაფერს ამჩნევდა, მხოლოდ ნანუ ედგა თელწინ, თითქო მთელი ეს გარემო მასში გასახიერებელიყოს. ზან მხოლოდ სახელს იძახდა მისას, ზან ხმამალა ეფერებოდა, უცნაურ სასიყვარულო სიტყვებს იგონებდა, ყრმისავით იჩლქებდა ენას ეს მრავალ ბრძოლასა და მძიმე შრომაში გამობრძმედილი კაცი.

— ჰაატ! შე გლაზა გოგონიკო! — მილაპარაკობდა თავისთვის გიორგი. — არ გრცხვნი, გულო? ასე უნდა წახდე ქალი? შენ რა იცი, მე ვასწავლი მაგ უქნარა მტაცებლებთან ბრძოლას! ნუ გეშინია, ჩემო ნანუკი, მე აქა ვარ, ხელის გულზე დავისვამ და ისე აგიყვან მალლა... შენც და შენს მომავალსაც!..

ქარხნის მახლობლად რკინიგზის ლინდაგზე შესდგა, დიდუბისაკენ გაიხედა, გაზაფხულის მზის სხივებში მოხსხსავს მთებს მოავლო თვალი და ისეთი ძალა იგრძნო, თითქო მთელი ეს მშვენიება მისი არსების განუყრელი ნაწილი იყო.

შთაგონებულებით იდგა ერთხანს, შემდეგ კელავ ნანუს მწუხარე სახე მოელანდა და ხმამალა გაეხმაურა:

— ნუ გეშინია, გოგონი, ახლავე მოვალ!..

საამქროშიაც ამ სიტყვებს იმეორებდა ოფლში გაწურული გიორგი, მაგრამ მისვლისთანავე იმდენი გადაუღებელი საქმე მოაყარეს, რომ შუადღემდის მუშაობაზე ხელი ვეღარ აიღო.

XI.

გიორგი რომ წავიდა, დიდხანს იყო ნანუ გოგნებული, თითქო დევნილმა მოულოდნელად საფარი იპოვნაო. შემდეგ ცოტა ხანს ჩასთვლიმა.

საშინელმა ზმანებამ შეაკითო, თავი ასწია და კედელთა შორის მიმოიხედა. „სადა ვარ?“ — შეეკითხა თავის თავს.

უცებ დედის სურათი მოხვდა თვალში, კარგა ხანს უცქირა, და თითქო გარკვევით გაიგონა:

„სად დაღუბე, შვილო, შენი ახალგაზრდობა?“

თვლები დახუჭა ნანუმ.

ოთახში სამარისებური დუმილი იდგა. მხოლოდ საათი რაწკუნებდა ოდნავ:

„მიდის და არ დაბრუნდება... მიდის და არ დაბრუნდება“...

გაბმულად ზრიალებდა საათი და დუმილი კიდევ უფრო მძიმდებოდა.

ვეღარ გაუძლო ნანუმ ამ სიმძიმეს, თავი ბალიშში ჩარგო და ხმამაღლად აქვითინდა. მთელი სხეული სიმძიმით უთრთოდა, მხრები უცახცახებდა. გულის სიღრმიდან შემოწოლილი ბოღმა ყელსა სწვავდა და მღვლარე ცრემლით ბალიშს ასველებდა.

ტიროდა და თვითონაც არ იცოდა, რას მოთქვამდა, მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა გარკვევით—„ღედა, დედო“...

თავი ასწია, ხელებს დაეყრდნო და ერთ წერტილს დააკერდა. თვლებში ცრემლი უბრწყინავდა...

რამდენ ხანს უგდებდა ნანუ ყურს ემთხასელის იდუმალ ხმას? ან არა და, ფიქრობდა კი რასმე?

დაცარიელდა ნანუ, ხავსებით გამოიფიტა. რაღაც შემსუბუქებაც კი იგრძნო, მაგრამ ეს შეება როდი იყო, ეს იყო ბუმბულის სიმსუბუქე, ნიავე რომ

მოიტაცებს და თავის ნებაზე აჭარბატებს.

აგერ გამოერკვა, ვეღარ გამოიარა. მაინც ყველაფერი ცხადოვა. სულ მცირე ხნის წინათ გულგახსნილად მიიღებდა ეს მშობლიური კუთხე, მოასვენებდა, მიუაღწევებდა; ახლა კი ბუდიდან ამოვარდნილად გრძნობს თავს...

ფანჯარას ჩრდილი მოადგა. გაიხედა და აბესალომ მუხიგულის დედას, ქეთევანს მოჰკრა თვალი. ქეთევანი აქ ხომ შინაური იყო; ნანუს გათხოვების შემდეგ მარტოდ დარჩენილ გიორგის ბინას ქეთევანი ულაგებდა. მაგრამ ნანუს სირცხვილისაგან ლოყები აეწვა, სიმწრის ოფლმა დაასხა. რას იფიქრებს ახლა ეს ადამიანი? არ იტყვის, ვისთან უცხოვრია, რა ზნედაცემული ქმარი ჰყოლიაო?... ნაშუადღევს აბესალომიც მოვა, როგორ-ღა ეჩვენოს მას?..

კარი შეაღო ქეთევანმა; ნანუს შეაშტერდა, გაოცდა, სახე მოეღრუბლა.

— რა მოგივიდა, შვილო? ცუდი ხო არაფერი შეგემთხვა? ადამიანის ფერი აღარა გაქვს!..

ნანუს ერთმა გულმა უთხრა, ღვიძლ დედასავით მოხვევოდა ქეთევანს, ყველაფერი ეამბნა, მაგრამ შედრკა, მოეჩვენა, თითქო ვერავითარი სიტყვა ვერ გამოხატავდა ახლა მის მღვთმარეობას.

— არაფერი... რაღაც უგუნებოდ ვარ.—ჩაილაპარაკა ნანუმ და ქეთევანს თვალი ვერ გაუსწორა.

ქეთევანმა კარი მიხურა, ნანუ განცვიფრებით შეათვალიერა.

— რა ვქნა, ასე რამ დაგაღონა, შვილო? კაცს ეგონება რაღაც უბედურება დამართნიაო...

ნანუს ხელი მოხვია, მიეფერა. შემდეგ უკან დაიხია და განცვიფრებით თქვა:

— რა ვქნა, ნანუ, შვილო, არასოდეს არ მინახავხარ ასე დაღონებული... გუშინწინ მამაშენი განატრულობდა,

ჩემმა გოგომ კარგი სადილის გაკეთება იცოდაო. ამ ბოლოს მაინც ხო სულ შენს ხსენებაშია. ხანდახან რო დავუკვირდები, ასე მგონია, რაღაც აწუხებს-მეთქი. რა აქვს შესაწუხებელი? ბედნიერი ქალი ხარ, დიდებული ქმარი გყავს... ჩემი აბესალომი კი, დედა ენაცვალოს, დიდ შრომაშია: სულ მეტი და მეტი უნდა ვამოვიმუშაო, მაგრამ ამ მეტსაც ხო უნდა ჰქონდეს დასასრული! რა ვუყო, შეილო, თავნება ბიჭია, მე რას დამიჯერებს, მეშინია, წელი არ მოიწყვიტოს-მეთქი...

ნანუმ, მღელვარება რომ დაეფარა, თაროელიდან წიგნი აიღო და ფურცელა დაუწყო.

ეწყინა ეს ქეთევანს. იფიქრა—ჩემთან საუბარი არ ეხალისებოდა და მობოდიშებით თქვა:

— მგონია, ლაპარაკით თავი მოგაბეზრე. ასე იცის, შეილო, მოხუცებულობამ. სულ დამაეწიფა, ბაზარში წასვლა რო მაგვიანდება...

აჩქარდა ქეთევანი. დაკვირვებით შეაელო თვალი ნანუს და, გარეთ რომ გავიდა, თავისთვის ჩაილაპარაკა: „რა ვქნა, ამ გოგოს რაღაც უნდა უჭირდეს“...

ნანუმ კი ამ წამს თავი ისე წარმოიდგინა, თითქო მთელ ქვეყანაზე მისთვის არავინ დარჩენილიყოს.

„ხედავ, სანამდე მივა თურმე ადამიანი! თავისი მწუხარების გამხელასაც ვერ შესძლებს!“

გაიფიქრა და მაგიდასთან დაჯდა. წიგნი ხელში შერჩა.

განა, რამდენი ხანია მას შემდეგ, ნანუ რომ ამ ოთახებში დატკბილებდა და ყველგან მარტოოდენ სიხარული და ბედნიერება ეგულებოდა? ორი თვეა, მეტი არა! ამ მოკლე დროში მოასწრო ნანუმ ოცნების კოშკიდან ბნელ ჯურღმულში ჩასვლა. დაიდალა შხამიან ხვეულებში ხეტიალით. ვინ იცის, იქნება ამდენ წამებად არც კი ღირდეს

სიცოცხლე... ყველა სხენაირი თვალით დაუწყებს ცქერას... ავერ მამამისის გაზრდილი აბესალომი უნდა შეიცვლოს გულს... ასე ყრფილა თურმე: ადამიანს რომ ფეხი დაუცდება, მერე მისი შეჩერება ძნელია...

რაო, რას ეუბნებოდა მამამისი? „ერთადერთი წამალი შრომაო“... რა სიმტკიცე, რა ძალა იყო მის ხმაში! „საჭირო რომ იყოს, გულს ამოვიღებდი“... საწყალი მამა, როგორ დაეტანჯე!..

წიგნი გაშალა. სტრიქონებს თვალი მოაელო. მამაზე ფიქრობდა. მამის სიტყვებს იგონებდა. იმედის იღუმალი სხივი იჭრებოდა მის ცნობიერებაში...

სწორედ ამ დროს გაიღო კარი და ოთახში რევაზ კორღელი შევიდა.

მეხის მოულოდნელი ჰეჰა ისე არ გაუკვირდებოდა ნანუს, როგორც რევაზის აქ მოსვლამ გააოცა.

შეშფოთებული სახე ჰქონდა კორღელს. ქოშინი ავარდნოდა. თავზე თმა ისე ჩამოშლოდა, გეგონებოდათ, ალიონზე რაღაც საშინელი ამბავი გაუგია, ლოგინიდან უცებ წამომხტარა და პირის დაბანა ვერ მოუსწრიაო.

ნანუს გონს მოსვლა და სიტყვის დაძვრა არ დაეცალა. მივიარდა, აღშფოთებით მიმართა:

— ეს რა ამბავია, ნანუ? აქ რა გინდა?.. რატომ დამტანჯე კაცი და ათასი უბედურება მაფიქრებინე!

ისე ამოისუნთქა, თითქო მხოლოდ ამ წუთში იგრძნო შეება, და სკამზე მოკრილივით დაეცა. შუბლზე ხელი იტაცა.

ნანუმ წამოდგომა დააპირა. ვერ შესძლო. არც სიტყვა ამოდიოდა პირიდან...

— მამაკიე, ნანუ! დამნაშავე ვარ...— ამბობდა რევაზი ვედრების ხმით.—რამ ჩამაძინა! შენ ნაწყენი იყავი, მე კი მეძინა! არა, რაღაც უთუოდ არის ჩემს თავზე, თორემ ასე როგორ დაეკარგე გონება! მერე, ადრე მაინც გამღვიძე-

ბოდა. ესაა ქარხანაში მივირბინე და იქ  
იღარ გაეჩერებულვარ, პქეთ გამოვე-  
შურე... წამოდი შინ, ნანუ... მოვი-  
ლაპარაკოთ...

სტყუოდა რევაზი. მართალი კი ეს  
იყო: დილით რომ გამოეღვიძა და ნანუ  
ოთახში არ იყო, გული მოუვიდა. „არა-  
ფერია, თავისი ფეხით მობრძანდებოა“,  
გადაწყვიტა და ქარხნისაკენ გასწია. იქ  
კი მისელისთანავე გაიგო, იმ ღამის ამ-  
ბავი. თავზარი დაეცა. სულ არ მოე-  
ლოდა, თუ იმდენ ხლართში გახვეული  
საქმე ოდესმე გაიხსნებოდა. შიშმა შე-  
იპყრო. პირველი აზრი, რომელიც დაე-  
ბადა, ის იყო, რომ მისი შველა მხო-  
ლოდ გიორგის შეეძლო. სხვა არა იყოს  
რა, შეილისთვის მაინც თავს გამოი-  
დებსო...

რა იცოდა კორდელმა წუხელ, რომ  
დღეს ნანუ ასე დასჭირდებოდა!

ნანუს გულის მოგების იმედი მოი-  
შველია. იცოდა, რომ გაჯავრებული  
ნანუ მამას მიაშურებდა.

ნანუმ მაგიდაზე დაყრდნობილ ხე-  
ლებში ჩამალა სახე. ჯერ კიდევ ვერ  
მოეკრიბა ძალა, ვერც სათქმელი სიტყ-  
ვა ეპოვნა.

— კარგი ახლა, ნანუ, შემოგველე!  
გეყოფა. მაქმარე, რაც გადამხდა... აბა  
ერთი შემომხედე! შენ ხარ ჩემი ერ-  
თადერთი იმედი! გახსოვს, რომ მეუბ-  
ნებოდი, ნეტავი ერთი შემთხვევა მო-  
მეცემოდეს, შენთვის თავს დავდებო.  
არა, მე დავდებ, ნანუ, შენთვის თავს!  
შენ თვითონ ხარ ჩემი სიცოცხლე!  
ოღონდ ახლა შემირიგდი... მე ისევე ისა-  
ვარ, შენი რევაზი... აი, ყური დამიგ-  
დე, წუხანდელი ეპყები როგორ გავი-

ფანტო... ნატო ამიერიდან შენს ვერ  
შემოდგამს ჩვენს ოჯახში...

ნანუ ოდნავ შეიჩინა თავი და შეეცა კი  
მაინც ვერ შესძლებოდა თავისი ტალღა  
უზილაემა ძალამ შეჯავვა.

იმედი ჩაესახა გულში რევაზს.

— მაქმარე, ნანუ!.. შევერიგდეთ...  
მაინცადამაინც რა მოხდა ისეთი?.. მა-  
მისთვის ხომ არ გითქვამს რამე?.. რო-  
გორ იქნება! მართლა რას იფიქრებს ის  
კაცი...

ნანუ უცებ წელში გაიშართა; გამა-  
ნადგურებელი ზიზღით სავსე თვალები  
შეავლო რევაზს.

— არც ხალხის ქონების გაფლან-  
გვაში მიგიძღვის ბრალი? ქარხანაში  
თუ იყავი, ამის შესახებ არაფერი გით-  
ხრეს?

თვალთ დაუბნელდა რევაზს. უშალ-  
ვე მიხვდა, რომ ნანუს გაგებული ჰქონ-  
და მისი უბედურება. მაგრამ არ დაიბნა  
მაინც.

სრულიად მოულოდნელი იყო ნანუ-  
სათვის, ეს კაცი რომ უცებ მუხლებზე  
დაეცა მის წინ და დაიყვირა:

— აჰ, არა, არა! ცილისწამებია! მო-  
გონილია! არ დაიჯერო! გულშიაც არ  
გაიტარო! მტრებმა მომიწყვეს! ხომ ხე-  
დავ, რას მიპირებენ და შენც იმათ  
მხარეზე ხარ, ნანუ? ახლა უნდა ამო-  
მიდგე გვერდში... გიორგის, ჩვენს მა-  
მას, ყველაფერი შეუძლია... მას დაუ-  
ჯერებენ... გესმის, ნანუ! გვედრები...

მტკიცედ წამოიმართა პირგამხებუ-  
ლი ნანუ; შეუპოვრად გაიშვირა ხელი  
კარისაკენ.

— თქვენი ადგილი მონახეთ, ვაე-  
ბატონო! ეს მამაჩემის ბინაა... ახლავე  
გადით აქედან!

(დასასრული იქნება)

მხილ ლაკონგოვი

## სამი ლექსი

★

### ბავშვისადმი

ყრმობის ოცნების მოგონებით დაღონებული,  
ფარულ სიამით და ფარულად ათრთოლებული,  
შეგცქერი ბავშვო, ეგზომ ტურფავ და მშვენიერო...  
როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე! რაიგ ძლიერად  
ჩემს გულს ახარებს მაგ ოქროსფერ კულულთა წყება,  
მკვირცხლი თვალები, ეს სინორჩე, ეგ გაღიმება,  
ეგ ხმა კრიალა... ხომ ამბობენ, ხომ არა ეცდები,  
რომ დედას გავხარ?... ეგლახს სწრაფად გადიან წლები,  
ტანჯვამ ის აღრე გამოცვალა გულდასაწველად, —  
მაგრამ ჩემ სულში შეინახა ღრმად და უცვლელად  
სახება მისი. მე მგზნებარეს ყოველთვის ვხედავ  
მის თვალთა ცქერას.—მაგრამ თვით შენ გიყვარვარ ნეტავ?  
ხომ არ გაბეზრებ თავს ალერსით, ხომ არ გაწვალებ?  
ხომ არ გიკოცნი ერთობ ხშირად უმანკო თვალებს?  
ხომ არ დათუთქა ჩემმა ცრემლმა შენი ლაწვები?  
იცოდე, ჩემზე ნურას ეტყვი... გულს ნუ აჰყვები...  
რა საჭიროა? შეიძლება გახსენების დროს  
ბავშვურმა თბრობამ გაარისხოს ან შეაშფოთოს...  
მხოლოდ მე ნურას დამიმაღლავ. მწუხრის ეამს, როცა  
ხატის წინაშე შენთან ერთად დგებოდა ლოცვად,  
და ჩემად ბავშვურ ღვთის ვედრებას შენ გიყითხავდა,  
პირჯვრის საწერად როს შენს თითებს ის ერთად ჰკრავდა,  
და ყოველ სახელს მშობლიურს თუ გაგონილს სახლში  
იმეორებდი მასთან ერთად.—მითხარი, მაშინ  
კიდევ ვისმეზე რომ გელოცა, არ გასწავლიდა?  
გაფითრებული ის, ეგების, შემკრთალი ხმითა  
ამბობდა სახელს, შენს ხსოვნაში დაკარგულს უკვე...  
ნურც მოიგონებ.—რაა იგი? მხოლოდ ხმა უქმის  
ღმერთსა ეთხოვ, შენთვის დარჩეს მარად უცნობი იგი...  
მაგრამ შემთხვევით, ან ოდესმე ის თუ გაიგე —  
ყრმობის დღეები გაიხსენე ო, ბავშვო, ისევ  
და არ დასწყევლო არასოდეს სახელი მისი.



★

### ლოცვა

როს მძიმე წუთი ცხოვრების მიტევს  
და გულს მოწყენა ერთვის,—  
მომხიბლავ ლოცვის, მომხიბლავ სიტყვებს  
მე ვიმეორებ ჩემთვის.

აქვს კურთხეული უნეტარესი  
ამ ლოცვის ბგერას ძალა  
და გამოუცნობ რაღაც ალერსით  
ის მაჯადოებს მარად.

სულს თითქოს მძიმე ტვირთი შორდება,  
ეპვი შორს უკან იწევს,—  
შეების ცრემლები თვალში გროვდება  
და გული ტკბილად მიცემს.

★

### არის სიტყვების ბზირა

არის სიტყვების ბგერა,  
მათ ზოგჯერ ვერც კი ხედები —  
მაგრამ ხიბლავენ სმენას,  
გული დელავს და კრთები.

მათ აესებს სიელვარე,  
შმაგი სურვილის ქროლვა,  
გაყრის ცრემლები მწარე  
და კვლავ შეხვედრის თრთოლვა.

ქვეყნის ხმაურში წამით  
გაქრება, როგორც ითქვა,  
შუქით და ცეცხლის ალით  
წარმოშობილი სიტყვა.

ტაძარში, ბრძოლის ველად,  
სადაც არ უნდა დაერჩე,  
ამ ხმის ჯადოსნურ ელერას  
ყველგან, ყოველთვის ვარჩევ.

ლოცვას შეგწყვეტავ მისთვის  
და ვუბასობებ ძაბილს,  
და ამ მომხიბლავ ხმისთვის  
დაეტოვებ ომს და მახვილს.

## ნართული ეპოსი



ნართული ეპოსი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხური შემოქმედების ნაყოფია. თავისი გრანდიოზულობით, სუვეტური მრავალფეროვანებითა და მხატვრული ფორმის სისადავით ეს ეპოსი არ ჩამოუვარდება მსოფლიოში განთქმულ რომელიმე სხვა ეპიკურ ქმნილებას, და ამდენად კავკასიურ ტომებს სამართლიანად შეეძლიათ იამაყონ ზეპირსიტყვიანობის ამ შედევრით, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში წარმოქმნილა და დროთა ვითარებაში გამდიდრებულა მრავალი დაფენებისა და დახვეწის შედეგად. ნართული ეპოსი ასახავს ნართი-ხალხის რთული პერიპეტებით აღსავსე ცხოვრებას. ვინ არიან ეს ნართები? ასეთი ხალხი ისტორიულად არ არსებობდა, იგი ლეგენდარული ტომია, და ამდენად ამ ეპოსის გმირებიც წარმატებულ ლეგენდარულ სამოსელში გვევლინებიან. მიუხედავად იმისა, რომ ეპოსის პერსონაჟები ხალხური ფანტაზიის ნაყოფია და მის საფუძველს ლეგენდარული წარმოდგენები შეადგენენ, ნართული ეპოსი მაინც კარგად ასახავს ისტორიულ რეალებსა და მსოფლმხედველობას იმ ხალხისას, ვინც ეს შექმნა; ნართულ ეპოსს შეკეთრად აზის რეალიზმის ბეჭედი, მიუხედავად მისი არსებითად ლეგენდარული ხასიათისა. ხასიათები, ყოფა, მსოფლმხედველობა სოციალური მხატვრული სიმართლითა და ძალითა მასში გამოვლენილი. ეს ვარაუდება კიდევ უფრო ზრდის ამ ეპოსის ღირებულებას, რამდენადაც მას კავკასიის ისტორიის უძველესი პერიოდების შესასწავლად პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

ნართული ეპოსი ყურადღებას იმყრობს თავისი ინტერნაციონალური ხასიათით. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ იგი უნიკალური მოვლენაა ეპოსის განვითარების ისტორიაში. ეს ეპოსი არაა შემოღარგული რომელიმე ეთნიკური ერთეულით, იგი საერთო კუთვნილებაა კავკასიის მრავალრიცხოვანი ტომებისა; მის შემუშავებაში მონაწილეობა მიუღია თითქმის ყველა ტომს, როგორც ეს ირკვევა ეპოსის სპეციფიკური სახელების ეტიმოლოგიების, სუვეტების ანალიზისა, გავრცელების მასშტაბებისა თუ სხვა ხასიათის მონაცემებით.

ნართული ეპოსის გმირები გამოირჩევიან დიდი კეთილშობილებითა და სულიერი ღირსებებით. ამ რაინდების დამახასიათებელი თვისებაა ჰატოსნება, სამართლიანობა, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება. მეგობრობის გრძნობა, — ყველა ამ ღირსებებით ნართული ეპოსის პერსონაჟები ეხმარებიან თანამედროვეობას, ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს, და ამიტომაც, რომ დღეს ეს ეპოსი ინარჩუნებს თავისი ცხოველმყოფელობასა და შეუნელებელ ინტერესს.

ნართული ეპოსის კომპოზიციური არქაულობის მარჯვენა მხარეა მისი აგებულება: ცალკეული თქმულებები (დაახლოებით ასზე მეტია) არ გააზარდილა სუვეტურ მთლიანობაში, ისინი რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ. ძირითადად ეს სუვეტური მრავალფეროვანება ფაობდება ოაზი ცენტრალური ციკლის სახით. ეს ციკლებია: 1. დასაბაში ნართთა (ამბავი უარაისა და მისი შვილებისა), 2. ამბავი ურუშავისა და სითანისა, 3. ამბავი სოსლანისა, 4. ამბავი ბათრაზისა. სუვეტური სიუჟეტისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით ნართულ ეპოსს ანტიური მითოლოგია და ეპოსი თუ შეედრება.

ნართულ თქმულებათა მთელი კომპოზიცია გამოირჩევა მხატვრული სისადავით. სინტაქსური კონსტრუქციები მარტივია. აღწერები ხასიათდება ოაზის სიძველეთა და ზომიერებით. დიალოგი ლაკონურია. მოქმედების დინამიკა სპარბობს აღწერებს და რიტორიკას.

ნართულ ეპოსს იკვლევდნენ გამოჩენილი ენათმეცნიერები, ფოლკლორისტიკოსები, ისტორიკოსები, მითოლოგიის მკვლევარები. ამ პრობლემის შესწავლას საბავე დაუდო რუსული ბილინებისა და ევროპულ ხალხთა მითოლოგიის მკვლევარმა ეტიენ ლერმა. ცნობილმა ლინგვისტმა პიებშმანმა გამოსცა ეპოსის გუგუნი, ხოლო ფრანგული თარგმანი ეკუთვნის დიუმენის სათანადო გამოკვლევით. ნართული ეპოსის კვლევაში ყველაზე მნიშვნელოვანია ლენინგრადის სკოლიდან გამოსული საბჭოთა მეცნიერის — პროფ. ვ. აბაივის ნაშრომები.

მართალია, ნართული ეპოსის მასალათა ჩაწერა მე-19 საუკუნეში დაიწყო (ამ საქმის ერთერთ საფუძვლს ჩამყრელია ქართველი ბელეტრისტი დანიელ კონჭაძე, მაგრამ მათი გეგმაშეწონილი შეგროვება-სისტემატიზაცია და გამოქვეყნება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხანას განეკუთვნება. ამ ეპოსის მთლიანი კრებული გამოვიდა 1942 წელს. იგი შეიცავს 15.000 სტრიქონს და გამოცემულია სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფოს მიერ.

ნართული ეპოსი თარგმნილია სხვადასხვა ენაზე: რუსულად, ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად და სხვ. ქართულ ენაზე იგი ახლანამ გამოდის. აღსანიშნავია, რომ როგორც ირკვევა, ეს ეპოსი ცნობილი უფილა ქართული (კერძოდ რაჭული) ზეპირსიტყვიერებისთვისაც; მისი ზოგიერთი პარალელი შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც (იხ. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ ტ. 5, № 10, 1944 წ.).

აქ ვთავსებთ ნართული ეპოსის ერთ ეპიზოდს ოსურიდან თარგმნილს ვ. გორჯაძის მიერ.

### შავი მელის ტყავი

ერთხელ ნართების ახალგაზრდობა —

ხამიც, ურიზმაგ, სახუგი შავი —

ნადირობისთვის გამოემზადნენ,

გადაიარეს შავიმთის თავი.

შავიმთის თავზე დაბურულს ტყეში,

ყველგან გასინჯეს ხევი, ხის ძირი,

მაგრამ მთელი დღე ისე იარეს —

არ შეხვედრიათ ერთი ნადირიც.

სალამოს პირზე შავმა მელამა

ჯირკვის ძირიდან გამოიჭროლა,

ვაეებმა ისრებს დაავლეს ხელი,

სამივემ მელას ერთად ესროლა.

სამივე ისრით გულგანგმირული —

მიწაზე მკვდარი დაეცა მელა.

ვაეებმა მელას ტყავი გააძრეს,

და წამოვიდნენ შინისკენ ნელა.

სოფლის ბოლოზე დავა შეექნათ,

ტყავის მიღებას ყველა ნდომობდა:

ალარ უთმობდნენ ერთი მეორეს,

ტყავს ჩემულობდნენ სათითოოდა.

— „უფროსი მე ვარ“ — სთქვა ურიზმაგმა —

და საუფროსოდ შერგება ტყავი.



სწორედ საპირედ იგი მჭირდება,  
ტყავის ქურქი მაქვს შესაკერავი!”

— „არა ჩემია!“ — ამბობს სახუგი, —  
აქ, თქვენში, მარტო მე ვარ სტუმარი,  
ქურქის ყოშებად ტყავი მჭირდება,  
მე უნდა მომცეთ, ის ჩემი არი!”

ხამიცი ეტყვიტ: „საქორწილო ვარ,  
ცოლის მოყვანას მალე ვაპირებ,  
და, საქორწილოდ გამოსაწყობად,  
დამითმეთ ტყავი ქუდის საპირედ!“

ურჩხმაგმა სთქვა: — „არა, ძვირფასო,  
ვერ მოვრიგდებით აგრე ადვილად,  
წავიდეთ ისევ სოფლის ნიხასში —  
იქ გადაწყდება საქმე ნამდვილად.  
ჩვენ იქ წარუღდგენთ ხალხს ნანადირევს,  
ღე, გადასწყვიტოს, როგორც მას ნებავეს,  
და ვისაც ხალხის ხმა მიაკუთვნებს,  
ეს მელის ტყავიც მისი იქნება!“

წავიდნენ მართლაც სოფლის ნიხასში,  
გზაზე სირდონი შემოეყარათ.

სირდონი ეტყვიტ: — „რა დაღლილი ხართ,  
საით მიდიხართ თქვენ ასე ჩქარა?“

— „შავი მთის თავზე, დაბურულს ტყეში,  
ჩვენ სანადიროდ ვიყავით ყველა,  
იქ ჩვენ, სამივემ, ერთდამივე დროს  
ერთად გასროლით მოვკალით მელა.  
ახლა ჩვენ ტყავზე ვეღარ ვრიგდებით,  
ყველა თავისას ვიცავთ უფლებას,  
ღეე, ნიხასმა თვით გადასწყვიტოს,  
თუ ტყავი რომელს მიეკუთვნება!“

სირდონმა უთხრა ვაეებს სიცილით:

— „მე ჩემი თავი ბრიყვი მგონია,  
მაგრამ მე ვხედავ თქვენი სიტყვიდან —  
ჩემზე ნაკლები ჭკუა გქონიათ!  
ხალხი ერთგვარი როდის ყოფილა!  
ზოგიერთს შეჰშურს, ზოგს დარდი ახრჩობს,  
ზოგს რომ სიკეთე შენთვის სწყურია,  
ამ დროს სხვა შენთვის დაღუპვას ნატრობს.  
და ერთ სიტყვამდე ვერასდროს მიელენ...  
ეს ტყავი ახლა ჩხუბს იწვევს თქვენში,  
თუ არა გჯერათ, მაშინ უყურეთ  
და დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში.  
ჩემი ხარის ტყავს ნიხასს წარუღდგენ,  
იქ მე ნართის ხალხს გამოვედი ამით.  
მხოლოდ იმ ტყავის კარგად მოქნაში  
მე დამეხმაროს ნართელი ხამიც!“



სირდონი, მართლაც, მივიდა სახლში და ტყავის მოქნა დაიწყო თავათ. ზოგი ეძახის: — „ტყავის ჩამოქნა, სად გაგონილა დაუშოლტავად!“ სირდონი ეტყვიით: „საბანდულეებს ნართელ-ურისზავს დავპირდი გუშინ“. ხალხი უყურებს, სირდონს დასცინის და თანაც მსჯელობს თავისთვის გულში: ერთი ამბობენ: — „ტყავი დიდი, ოთხ წყვილზე მეტი გამოვა კიდეც!“ და მეორენი: — „სულ დიდი, დიდი, შიგ ორი წყვილი რო გამოვიდეს!“

აგერ ვილაცა ამბობს: — ბანდული ციკნის ტყავისა, განა სად თქმულა ერთი ბეწოა, ძალიან დიდი — შიგ ორი ლანჩა გამოვა სულა!“

სირდონი ადგა, ყველას მოუხმო, გადაუშალა წინ ტყავი ხალხსა: — „აბა, ნართებო პატივეცემულნო, დადექით ტყავზე თქვენ მცირე ხანსა!“

როს ხარის ტყავზე ხალხი შეგროვდა, სირდონმა მაშინ უთხრა ნართებსა: — „მოდით ახლა და სწორად გასინჯეთ, ერთი დახედეთ თქვენს სიმართლესა! თითქოს ეს ტყავი იყო პატარა, არ ეყოფოდა, თუნდაც, ერთ ლანჩას, მაგრამ ხალხი კი მთლად დაიტია, დახედე, კიდეც რამდენი დარჩა! ვაჟებო, აქ რო მოსულიყავით, და გასაყოფად რო მოგეტანათ, მაშინ მელის ტყავს როგორ გაპყოფდით? არ შეგიპყრობდათ სიბრაზე განა? ახლა ამ ხალხში ვინც სწორს ამბობდა, ისინი ცალკე თქვენ გამოჰყავით, დე, გადასწყვიტონ მიუღგომელად — თუ ვის ეკუთვნის მელიის ტყავი!“

ნართის ვაჟებმა სამი მოხუცი წამოიყვანეს თმადათოვლილი; ქერა ვასანავ და დიჩენავი, მოხუცი ჯიგოლ — ზალმისოს შვილი. მათ მელის ტყავი წინ გაუშალეს: — „ერთად მოვკალით მელია შავი, მაგრამ მის ტყავზე ველარ ვრიგდებით, შენ გადასწყვიტე — ვისია ტყავი!“



— „ძალიან კარგი!—სთქვებს მოხუცებმა—  
 ოღონდ გეიამბეთ თითო თქმულება:  
 თუ ვინ რა ნახეთ თქვენს სიცოცხლეში  
 გაჭირვება და მზიარულება?  
 ვინც უფრო ლამაზ მოთხრობას იტყვის—  
 მისი იქნება მედიის ტყავიც!“  
 — „კარგი სიტყვაა!“—უთხრეს ვაყებმა—  
 და რიგით იწყეს თხრობა ამბავის.

— : —

### ურჩევების მოთხრობა

პირველად იწყო თხრობა ურჩემა:  
 — „მე სანადიროდ ერთხელ წავედი.  
 მთებზე, კლდეებზე ბევრი ვიარე,  
 მაგრამ ნადირის კვალს ვერსად შევხვდი!  
 მზის ჩასვლის შემდეგ ბნელმა დაჟვარა  
 კლდეების სახე ჩამოღარული.  
 ღამის გასათევს ადგილს ვეძებდი,  
 არ ჩანდა სადმე გამოქვაბული.  
 გავიხედე და, აგერ, ნაპრაღის  
 ნახევრად ღია ჩანდა კარები.  
 შიგნით სინათლე ოდნავ ბეჭტავდა.  
 მივუახლოვდი კარს მოკრძალებით.  
 და შემდეგ, ჩემდა საუბედუროდ,  
 გავეხმაურე კლდის ნაპრაღს მღუმარს:—  
 — „ჰე, მასპინძელო, კარი გამიღეთ—  
 თუ ვახშობისას მიიღებთ სტუმარს!“

ჩემს დაძახილზე იმ ნაპრაღიდან  
 გამომეგება ღამაში ქალი.  
 ის შირჩევნოდა, რომ არ შენახა,  
 ან დამდგომოდა ორივე თვალი.  
 ქალმა მაშინვე შინ შემიყვანა,  
 ხელით მანიშნა მან სავარძელი,  
 დამსეა და სუფრა წინ გამიშალა,  
 უხვად მომართვა სასმელ-საჭმელი.  
 კარგად, გულუხვად გამიმასპინძლდა,  
 მეც მშვიოდა და ეჭამე სამყოფად.  
 თან საუცხოო სასმელი შეესვი  
 და მოვახსენე იმ ქალს მადლობა.  
 მას შემდეგ ქალმა სუფრა აიღო  
 და სხვა ოთახში ლოგინი რბილი  
 გამიშალა და დალილს მისურვა  
 მოსვენება და სიზმარი ტკბილი.




თითონ წაეიდა გვერდით ოთახში,  
 იქვე ლოგინზე, საიძლოდ ქალი.  
 მეც წამოვწეჭი უკვე დაღლილი  
 და ის-ის იყო მოვხუტე თვალი,  
 წამს, ჩაბნელებულ გამოქვაბულში,  
 აჰა, ბრწყინვალე შუქმა ინათა —  
 ჩემს გარეშემო, მღუმარ კედლებზე,  
 უცებ სინათლის ზღვა აიშართა.  
 მე წამოვწეჭი, თან გოცებით  
 ვუშხერ სინათლეს გულით მდელვარე  
 და ვამბობ ჩემთვის — „ნეტავ რა არის,  
 საიდან მოდის შუქი ელვარე?“

მე გავიხედე გვერდით, ოთახში,  
 თურმე ტანსაცმელს იხდიდა ქალი,  
 და მისი ტანით შორს იფრქვეოდა  
 ცეცხლივით მწველი, მგზნებარე ალი.

ქალი დაეშვა წყნარად ლოგინზე,  
 როცა გაიძრო მთლად ტანსაცმელი.  
 ბევრგან მივლია, მაგრამ ასეთი  
 მზეთუნახავის არ ვარ მნახელი:  
 მისი თვალები შავი, მაყვალის —  
 ვით ანთებული მზის ჩირაღდნები,  
 და ლოყაწითელ ვაშლებს ჩამოჰგავს  
 სხივმოელვარე მისი ლაწვები.  
 თეთრი კბილები — მყინვარებია,  
 გრძელი წარბები — ვით ყორნის ფრთები,  
 ოქროს სხივებად ტანზე დაჰყრია  
 ჩამოშვებული ბეჭებზე თმები.  
 მაგრამ უფრორე საოცარია  
 მისი სხეული კრიალა, ბროლი,  
 უფრო სპეტაკი, ნათელი — ვიდრე  
 სითეთრე ახლად დადებულ თოვლის.  
 თან მისი წელი ვიწრო, კენარი  
 იზნიქებოდა ჭანდრის ხესავით  
 და მისი მკერდი ნორჩი, კოკობი  
 სხივებს აფრქვევდა ოქროს მზესავით.

ის ტურფა ქალი რო დაეინახე,  
 თითქოს გავგიჟდი, შევიქენ ხელი,  
 თვალთ დამიბნელდა, დავრეტყიანდი  
 და მომეშალა სახსრები მთელი.  
 თავბრუ დამეხვა, გული ამენთო,  
 თავისი ეშხით მიპყრობდა ქალი,  
 მის სიყვარულმა მე დამიმონა  
 და სულ წამართვა გონების ძალი.  
 მოთმინება რომ ვეღარ შევძელი,



აგდექ, ოთახში შევედი ქალთან.  
 თან ზეზეულად, ცოცხლად ვდნებოდი,  
 მთელი სხეული ამიკანკალდა.  
 მან შემომხედა, მაშინვე მითხრა:  
 — „რად შემოხვედი, რას სჩადი მაგას?  
 სირცხვილის რატომ არ გეშინია,  
 რატომ კადრულობ საქციელს ამგვარს?“

მან ოთახიდან გამოვისტუმრა.  
 ისევ დავეგდე მე ცოცხალმკვდარი,  
 მაგრამ სიმშვიდეს ვერ ვპოულობდი,  
 კვლავ მიტაცებდა მშვენიება ქალის.  
 თვალებს ძილი არ ეკარებოდა  
 და გული უფრო მიწვრილდებოდა.

კვლავ წამოვდექი მე ლოგინიდან  
 და ხელმეორედ ქალთან მივედი,  
 საბანი გვერდზე გადავუწიე,  
 და მასთან წოლას რო ვაპირებდი —  
 ქალმა ბალიშის ქვეშ ხელი შეჰყო,  
 ნაბდის მათრახი მალლა ასწია,  
 ერთი საშინლად გადმომიჭირა,  
 იქვე ჯორ-ცხენად გადამაქცია.  
 პირი ოთახის ჭერზე მიმიბა,  
 ვერ ვინძრეოდი, ველარც ვდგებოდი,  
 ჩემს ახლოს თივა ბლომად ეყარა,  
 მაგრამ იქამდის სად მივწვდებოდი!  
 დილის რიყრაყზე გამომიყვანეს,  
 ზურგზე გოდრებით ამკიდეს კეები,  
 შავი კლდის თავზე მაზიდვინებდნენ,  
 მთელ დღეს ტყვილით მტეხავდა ძვლები.

ველარ შეეძელი, წიხლი დაეარტყი,  
 ხევში ვისროლე მრეკელი ჩემი,  
 ხალხი მომეარდა ბრაზმორეული,  
 მთლად ჩამიმტვრიეს გვერდები ცემით.

შემდეგ მეორედ დამკრა მათრახი  
 და ქოფაკ ძაღლად მაქცია ხელად,  
 თავის სოფელში მებატონესთან  
 მე დამაყენეს საქონლის მცველად.  
 წამომიყვანეს მეცხვარეებმა,  
 ფარეხთან მომცეს ძაღლური ბინა,  
 ხშირად საჭმელად ფარეხის ნარეცხს  
 მურყანის გობით მიდგამდნენ წინა.  
 მაგრამ მღვრიე წყალს როგორ შეეხვრეპდი!  
 ჯამის ნარეცხით ვით გავძლებოდი!  
 ხშირად მშვიერი ფარეხის კართან  
 ვაბრაზებულნი დავეგდებოდი.



ნაშუალამევს, ერთხელ, ფარეხში  
ჩემთან საჭმელზე მოვიდნენ მგლები,  
და მეძახიან შიშით, კანკალით;  
უკაწკაწებდათ ბასრი კბილები.  
— „ეჰ, ურიზმაგო, როგორ დაეცი,  
ვით გეკადრება ძაღლის საკვები,  
აბა მიგვიშვი საქონელს შუა,  
შენაც მოილხენ, და ჩვენც გავძლებით.  
ბატონის ფარა შენ რას გადარდებს,  
თითონ ულუკმოდ, მშიერი კვლები?“

გათენებისას, ბატონის ცხვარში  
ისევ მივეშვი მშიერი მგლები,  
მათ ნახევარი ფარა გასწყვიტეს,  
ყელგაფატრული დაჰყარეს ცხვრები,  
რა ეს იხილეს, მწყემსები კომბალს  
მირტყამდნენ, თითქოს მჩეხავდნენ ხმლებით,  
ბატონის კარზე ცემით მიმაგდეს,  
ზურგი მეწოდა, მტეხავდა ძვლები!

სოფლის ნაპირას ცხოვრობდა ერთი  
ქერივი საწყალი, თბლების მზრდელი,  
მას ოცი ცხვარი ჰყავდა ფარეხში,  
შემოეჩვია მის ფარეხს მგელი.  
ყოველ ღამეში ორ ცხვარს უჭამდა,  
ქერვის რომ იმედი გაუწყდა სრულად,  
ბატონს შესთხოვა, და თავის სახლში  
წაწომიყვანა მე ყარაულად.  
თვით ქუმელს სჭამდა, მე ერთიან  
ფაფით გავსებულს მიღვამდა გობსა,  
ღამდამეობით, მოსასვენებლად,  
ძირს ქვეშსაგებად მიგებდა თომსა,  
რო წავიდოდა დასაძინებლად,  
უმალ კისრიდან მომხსნიდა თოკსა.

შუალამისას, მშიერმა მგლებმა  
დაიღმუილეს მეორედ ხევში,  
მრმშილით კბილებს აკაწკაწებდნენ:  
— „ნართელო ვაჟო, შენს საქონელში  
გაგვიშვი კიდეც სანადიროდა!“  
— „არა,— ვუთხარი — ეგ არ იქნება!  
ფარეხს არავინ არ გაეკაროს,  
აჰ, ახლოს, მოსვლა არ შეიძლება!  
თუ სიცოცხლე გსურთ, თავს გაუფრთხილდით!  
მე კი სიკეთეს არ ვზღავ სიავეთ,  
კეთილს და ბოროტს განა ვერ ვარჩევ,  
როგორ შევჭამო მე თბლის კრავი!“

ეს ვთქვი თუ არა, მგლები ყმულით  
გაღმომიცივდნენ ღობის თავზედა,



როგორც ვასწრებდი, ისე ვიჭერდი  
და დაპერილებს ვკლავდი წამზედა.  
ერთმა ძუ მგელმა ეშმაკურადა —  
ვითომ მკვდარია — განაბა სული,  
როცა დაეავლე კბილი — იწმუველა  
და შემევედრა ხსენებაკრული:  
— „ნუ მომკლავ, ძმაო, შენს წყალობასა!  
ორთავესა გვჭირს ჩვენ ერთი სენი.  
ბატონის ტახტქვეშ შექვეერი ჩუმად,  
რომ არ შეიტყონ იქ მისვლა შენი.  
კუპრივით შავი, ნაბდის მათრახი  
ბატონს ტახტის ქვეშ აქვს დამალული,  
იქნებ როგორმე ჩამოშობიანო,  
დაგიმადლებდი კეთილის გულით!“

უმაღ ბატონთან გამოვექანე,  
შეველ და ტახტქვეშ შევექვეერი ჩქარა.  
დილით ფარეხთან ქერივი მივიდა,  
რომ მოეხილა თავისი ფარა.  
ესიამოვნა, როცა იხილა  
წნელის ღობესთან მოკლული მგლები,  
მაგრამ, როდესაც მე ველარ მნახა,  
გადმოაგორა ცრემლის კურცხლები.  
შემდეგ უკანვე გამოტრიალდა  
და ბატონის წინ იწყო გოდება:  
— „იყავ მოწყალე, ჩემო ბატონო,  
და აპატიე ქერივს შეცოდება!  
თქვენი ქოფაკი ჩემს ცხერებს იცავდა,  
მსუნავ მგლის ზროვას მუსრი გაავლო,  
მაგრამ მგლებმა ის წაიტყუილეს,  
აღბად, შესქამეს კიდევ საბრალო!  
აწ მისი ფასი რამდენი არი,  
რით გადავიხადო, თითონ მითხარი!“  
— „ჩემს ძალის ფასად — უთხრა ბატონმა —  
ახლავ მორეკე აქ შენი ცხვარი!“

ობოლ-ობრების მოხუცმა დედამ  
კვლავ გადმოჰყარა ცრემლების ღვარი.  
შემდეგ თავისი ცხვრები გარეკა,  
ბატონს მიაართვა ძალის ფასადა,  
დაბრუნდა ქერივი შეწუხებული,  
დარდი, ნაღველი გაუათასდა.

ღამით ცოლქმარი ტახტზე წამოწვენენ,  
და, როცა ძილში ხერინაედნენ ტბილად,  
მუცელზე ხოხვით, შეუმჩნეველად  
ტახტის ქვემოდან გამოვძვეერ ფრთხილად.  
შემდეგ ავიღე მათრახი ჩუმად  
და ტანზე მაგრად გადავიყარი.



როგორც დავირტყე მათრაზი, უმალ  
ვიქეცი იმად, რაიც ვიყავი.  
მერე მათრაზი ბატონს დავკარი;  
ულაყ ჯორ-ცხენად ვაქციე მყისა,  
ტახტი ჩაენგრა ქვემოთ ნიმიძით  
და ცოლიანად დაეცა ძირსა;  
ცოლიც ვუქციე ჩემგვარ ძაღლადა,  
ჯაჭვი შევაბი, წაეიგდე წინა,  
წამოვირეკე მისი ცხვრის ფარა,  
ჩამოეუყვანე დედაბერს შინა.  
აგერ, ქერივის სახლს მიუჯახლოვდი,  
და დავიძახე ქერივის კარებთან:  
— „მოდი, ცხვრის ფარას დაეპატრონე,  
სანამ მზე მწვერვალს მიეფარება!“  
— „რას მეხუმრები მე საცოდავსა? —  
მომიგო ქალმა გულდაღონებით:  
როცა ცხვრის ფარა არ გამაჩნია,  
არაფერი მყავს საპატრონები?  
— „გამოიხედე, ერთი შეხედე,  
აი რამდენი სული ცხვარია,  
ეს ყველა შენი სიკეთისათვის  
ბატონის ძაღლის მონაგარია!  
თავათ ღარიბს და ლუკმის მონატრულს,  
ძაღლისთვის მუდამ გქონდა საყვები,  
და ძაღლის ფასად, როცა მოგთხოვეს,  
მიეცი ბატონს საბრალო ცხვრები!  
ძაღლმაც სიკეთე არ დაგივიწყა,  
გამოგიგზავნა დღეს საჩუქრები!“  
— „არა, — სთქვა ქალმა — მე არ მივიღებ,  
ვიქნები ისევ ღარიბ-საწყალი,  
ბატონს კი მუდამ სიხარბე ახლავს,  
მისი თვალთა გაუმადლარი —  
მეტის სიმდიდრით ღარიბს შეპყურებს,  
მას მიურეკეთ თავისი ცხვარი!“  
ობლების დედას ვუთხარ: — „გაფიცებ,  
ღვთაებას, ობლებს, ცოცხლებს და მკვდრებსა —  
შინდა სიკეთე სიკეთით გიზღო,  
ველარ წაეასხამ უკან ამ ცხვრებსა!“  
ამგვარად, ქალი მე გავამდიდრე,  
მერე კალოსკენ, ქვემოთ, გავწიე,  
იქ ძუ მგელს შევხედი, დავკარ მათრაზი,  
და ოქროსთმიან ქალად ვაქციე.  
— „ქალო, — შევეითხე — რა დაგემართა,  
რად დადიოდი ძუ მგელად დღემდი?  
— „ბატონის ცოლმა მგელად მაქცია,  
თურმე, ეგონა, ქმარს წაეართმევდი!“



ნაბღის მათრახის მეორე დარტყმით  
 ძალი ჯორ-ცხენად ვაჭციე კიდევ.  
 — „აგერ ბატონი და მისი ცოლი,  
 პა, ამუშავე, ტვირთი აპკიდე!  
 მათრახს არ გაძლევე, ოდესმე გული  
 მოგირბილდება და მოსტყუელები,  
 და თუ მოსტყუელები, იცოდე მაშინ  
 შენ სამუდამოდ დაიღუპები!“

ასე დავცილდით ერთმანეთს გულით,  
 ტყბილ მეგობრებად ჩვენ შეფიცულნი.

— : —

### სახუზის მოთხრობა

— „შეც ძალაქომზე, — იწყო სახუგმა —  
 ერთხელ, მშვილდ-ისრით ავეყვი ხევსა,  
 ერთი ნადირის კვალს მივაგენი,  
 მაგრამ თვით ნადირს ვერ შევხვდი ვერსად.  
 დაეუწყე ძებნა, მაგრამ რამდენად  
 წინ, ხეობაში, მივემართები —  
 იმდენად უკან იმ ღრმა ხეობას  
 ზღუდავდა შავი მთების კალთები.  
 აი, ამ ხეეში გასაოცარი  
 სანახაობა ვნახე ერთხელა —  
 გამოქვაბულში, გრძლად გაწოლილი,  
 ეგდო ირემი ვეებერთელა.  
 ის მთელის ტანით იწვა ქვაბულში,  
 თავი კი ჰქონდა ქვაბულის გარეთ,  
 ახლოს ნუკრები ორჯერ თორმეტი  
 სწოვდნენ რიგრიგად ირემს მწოლარეს.  
 ჯერ გავიფიქრე ისარის სროლა,  
 მაგრამ მყის დავგმე განზრახვა ბნელი:  
 — „დედის სიკვდილით დაობლდებიან,  
 მათთვის ობლობა იქნება ძნელი.  
 მოდი, ნუკრებში ისევ ერთს მოგვლავ  
 და მით, მშვიერი, დღეს დავნაყრდები!“  
 ვესროლე ერთსა, ტყავი გაეხადე,  
 როცა ავაგე თანაც მწვადები,  
 მყისვე ირემი ნუკრებიანად  
 ქალად გადიქვა რაღაც ძალითა.  
 მისი ლამაზი, შავი თვალები  
 ქვაბს ანათებდა ცეცხლის ალითა  
 მაშინვე იმ ქალს მე შევენატრე,  
 უცბად შემიპყრო ტყბილმა ფიქრებმა:  
 — „ნეტავ, ვინაა ის ბედნიერი,



ვისაც ეს ტურფა ქალი იქნება,  
შეენატრი მასა, ვისაც გაუთბობს  
გულს შენი ტრფობა უმზურვალესი,  
ბედნიერებას ვისაც აჩუქებ,  
ვისაც დაატყობს შენი ალერსი!“

მაშინ ქვაბიდან შეფწარბა ქალი  
შემომეგება ღიმპორეული,  
შემიპატიყა: — „შიგნით მობრძანდი,  
უცხო სტუმარი ხარ შორეული!“

ქვაბულში უხვად გამიმასპინძლდა,  
ბლომად შემასევა რონგის სირჩეზი,  
მეითხა: — „რა უფრო მოგწონს ქვეენადა,  
დედამიწაზე რას აირჩევდი?“  
გახარებულმა ქალს მივაძახე:  
— „შე მხოლოდ ერთი მაქვს სანატრელი,  
შენთან სიცოცხლით რომ შემაერთა,  
დამადგებოდა გულზე ნათელი!“

იქ ერთმანეთით ჩვენ გავიხარეთ,  
მზიბლავდა იგი, სინათლის მფენი,  
შემდეგ ქვაბულში, თომის საგებზე,  
ჩვენ შევაერთეთ სიცოცხლე ჩვენი.  
მეორე დღეს კი უცნაურ ძალით —  
ლოგინზე მოკვდა შეფწარბა ქალი.  
ვიწყე წუხილი: სადღა დავმარხო,  
ახლო აკლდამა აქ არსად არი,  
და გადავწყვიტე: თითონ წავიდე,  
ქალი კი იქვე დავტოვე მკვდარი.  
წამოსასვლელად გამოვეშხადე,  
მკვდარს დაეფარე თავშალი ხელად,  
და, როგორც კი გზას გამოვედღეჭი,  
ის მკვდარი ქალი გადიქვა გველად.  
მისი სტვენით და შეხედულებით  
მე ავკანკალდი ძალმილეული,  
მოვიდა, წელზე შემომეხვია,  
ორად გააპო ჩემი სხეული.  
ჯერ ჩემი ტანის ქვედა ნაწილი  
გადააცილა ხეობას თავზე,  
შემდეგ აიღო ზედა ნაწილი  
შემოიქნია, გაშხლართა ქვაზე.  
ვიტანჯებოდი მთელს ერთ კვირასა,  
და ცოცხალმკვდარი თვალს ძლივს ვახელდი,  
ამ ამბის მერე ნართელ ვაჭყაცსა  
ჩემს თავს როგორღა დავუძახებდი!  
როცა განძრევაც აღარ შემეძლო,  
მხოლოდ ენატრობდი სასომიხილი,



ქართული  
ბიბლიოთეკა

რომ, სიცოცხლეში გვემულტანჯული,  
არ მოვმკვდარიყავ ნაძრახ სიკვდილით!  
მაშინ ძველებურ ლამაზ ქალადა  
ისევე გადიქვა საზარი გველი.

და შეუბნება: — „შავო სახეგო,  
თითქოს იყავი გმირი ნართელი,  
ამიერიდან კარგად გახსოვდეს,  
არ დაივიწყო დღე დღევანდელი!“

ეს სთქვა თუ არა, ამოიტანა  
და გაამრთელა ჩემი სხეული.  
გამიმასპინძლდა, მითხრა:—„ქებაულში  
შენ გახდი ჩემთან შეერთებული,  
არ გამოგაჩნდა სულის სიმტკიცე,  
ვაეკაცის ძალა, სიყმე ქებული,  
აკლდამის გარეთ უპატრონოდა  
დამაგდე მარტოდ მიცვალებული.  
ბოლოს, აქედან გასურდა გაქცევა  
აწ კი იყავი დარწმუნებული:  
სჯობს, წესიერად მოიქცე ყველგან,  
მაშინ იქნები გამარჯვებული!“

თარგმანი მანო გორგაძისა

პეპრა შარია

## ი. ბ. სვალინის თხზულებათა მეხუთე გამოცემა

★

დაიბეჭდა და გამოვიდა ი. ბ. სვალინის თხზულებათა მეხუთე ტომი. ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ინტელიგენციის კადრებმა ახალი შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. ჩვენმა პრესამ უკვე აღნიშნა, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს ი. ბ. სვალინის თხზულებათა გამოცემას ბოლშევიკური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში. ამაში განსაკუთრებული ძალით გვარწმუნებს თხზულებათა თვითეული ახალი ტომის გამოქვეყნება. ეს გასაგებია. ბოლშევიზმის დიდი ბელადების ლენინისა და სვალინის თხზულებებში მოცემულია ბოლშევიკების პარტიის ცხოვრება მისი დაარსებიდან ჩვენს დრომდე, და თვითეული ტომის გამოცემა თითქოს ხელახლა გადაგვიშლის ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობისათვის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის სახელოვანი ისტორიის ფურცლებს. მხოლოდ ლენინისა და სვალინის თხზულებებით შეიძლება, რომ ჩვენმა კადრებმა ღრმად შეისწავლონ და შეითვისონ ბოლშევიზმის ისტორია და თეორია, სავსებით

დაეტყვონ ყოველმხმლე იდეურ იარაღს—ლენინიზმს.

მასალები, რომლებიც ი. ბ. სვალინის თხზულებათა მეხუთე ტომში შევიდნენ, მოიცავენ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უაღრესად პასუხსაგებ პერიოდს—სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის ძლევაშემდეგ დამთავრების შემდეგ მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის პერიოდს, მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისა და ორგანიზაციული ჩამოყალიბების და ჩვენი ქვეყნის დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენაზე გადასვლის პერიოდს.

ერთ სტატიაში ძნელია იმ უმნიშვნელოვანესი, როგორც ზოგად პრინციპული, ისე კონკრეტული საკითხების ჩამოთვლაც კი, რომლებიც დასმულია და თეორიულად გადაწყვეტილია ი. ბ. სვალინის თხზულებათა მეხუთე ტომში შესულ მასალებში, რადგან ისინი შეეხებიან პარტიისა და ხალხის აღნიშნული პერიოდის ცხოვრების ყველა, ან თითქმის ყველა მხარეს.

ამიტომ მიზანშეწონილია ამ სტატიაში განვიხილოთ V ტომის ერთ-ერთი მთავარი საკითხი—ეროვნული საკითხი.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ეროვნული საკითხის სწორი პრაქტიკული გადაწყვეტის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა განისაზღვრებოდა რუსეთის იმპერიის განვითარების ისტორიული გზებით, რომლებიც განსაკუთრებული სიღრმით აქვს დახასიათებული ამხანაგ სტალინის შესანიშნავ თეზისებში, აგრეთვე რუსეთის კ. პ. (ბ) X ყრილობაზე ეროვნული საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში.

როგორც ცნობილია, ეროვნული საკითხის თეორიული დამუშავება და ეროვნული პროგრამის ჩამოყალიბება ლენინისა და სტალინის ნაშრომებში მოცემული იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე კარგად ხნით ადრე.

თვითონ რევოლუციის პრაქტიკამ მთლიანად და საესებით დადასტურა ეროვნული საკითხის ლენინურ-სტალინური თეორიის სისწორე, ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამის სისწორე. უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის წლებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას თავისი არსებობისათვის ბრძოლა უხდებოდა, რუსეთის განაპირა ეროვნული ქვეყნების მშრომლებმა, რომელთაც წინათ ცარიზმი ჩაგრაედა, იგრძნეს, რომ მათი ინტერესები ემთხვევა საბჭოთა ხელისუფლების დაცვასა და განმტკიცებას. და ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა კოლჩაკის, დენიკინის, იუდენიჩის, ვრანგელისა და იმპერიალიზმის სხვა თეთრგვარდიელ აგენტთა სისუსტე მათს გაათრებულ ბრძოლაში ჯერ კიდევ მოუღონიერებელი საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. „...ჩვენ რომ კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელისა და იუდენიჩის ზურგში არ გვეყოლოდა... წინათ ჩაგრული ხალხე-

ბი, რომლებიც ასუსტებდნენ განერლების ზურგს თავიანთი მდუმარე თანაგრძნობით რუსი ბრძოლვენივე სადმი... ჩვენ ვერცერთ ამ გენერალს ვერ დავამარცხებდით“ (ტ. V, გვ. 246).

სავსებით გასაგებია, რომ როგორც კი საბჭოთა ხელისუფლებას მიეცა მშვიდობიან მშენებლობაზე, აღდგენითსა და შემოქმედებითს მუშაობაზე გადასვლის შესაძლებლობა, პარტიის წინაშე მაშინვე მთელი სიგარძე-სიგანით წამოიჭრა ბოლშევიკური ეროვნული პროგრამის პრაქტიკული განხორციელების საკითხი. აი რატომ მოხდა, რომ პარტიის X ყრილობის მუშაობაში ეროვნულმა საკითხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. იმხანაგ სტალინის თეზისები X ყრილობისათვის „პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ეროვნულ საკითხში“ და ამავე თემაზე მისი მოხსენება და საბოლოო სიტყვა თვით ყრილობაზე ის ისტორიული დოკუმენტებია, რომლებმაც განსაზღვრეს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების გზები და მეთოდები. „ეროვნულ საკითხზე დისკუსიაში ამ ყრილობისათვის ყველაზე დამახასიათებელი. — სიტყვა ამხანაგმა სტალინმა თავის საბოლოო სიტყვაში პარტიის X ყრილობაზე. — ის არის, რომ ჩვენ რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფის საშუალებით ეროვნულ საკითხზე დეკლარაციებიდან გადაყვედით საკითხის პრაქტიკულად დაყენებაზე. ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისში ჩვენ ვჯერდებოდით ხალხთა გამოყოფის უფლების დეკლარაციას. 1918 და 1920 წლებში ჩვენ მუშაობას ვეწეოდით ეროვნული ნიშნის მიხედვით რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფის ხაზით ჩამორჩენილი ხალხების მშრომელთა მასების რუსეთის პროლეტარიატთან დაახლოების სასარგებლოდ. ახლა კი ამ

ყრილობაზე ჩვენ წმინდა პრაქტიკულ ნიადაგზე ვაყენებთ საკითხს, თუ როგორი უნდა იყოს პარტიის პოლიტიკა მშრომელი მასებისა და წერილობით-ეუბანი ელემენტების მიმართ რუსეთთან დაკავშირებულ ავტონომიურ ოლქებსა და დამოუკიდებელ რესპუბლიკებში“ (გვ. 45).

თეორიული დებულებებიდან და დეკლარაციიდან მათ პრაქტიკულ განხორციელებაზე გადასვლა წარმოუდგენელია თვით თეორიის გამდიდრების, მისი გაღრმავებისა და კონკრეტის გარეშე. ამხანაგ სტალინის თეზისები და მოხსენება პარტიის X ყრილობაზე ავითარებენ ეროვნული საკითხის დარგში წინათ ჩამოყალიბებულ თეორიულ დებულებებს. ავიღოთ ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი, რაც შემდგომ უფრო ზუსტად ჩამოაყალიბეს ლენინმა და სტალინმა როგორც ერების უფლება სახელმწიფოდ გამოყოფისა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე და ამ რევოლუციის დაწყების პერიოდშიც („დეკლარაციისა და ეროვნული ნიშნის მიხედვით ადმინისტრაციული დაყოფის“ პერიოდში) ეს ფორმულირება სავსებით საკმარისი იყო. მაგრამ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სოციალისტური პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებაზე გადასვლისას უკვე აღარ კმარა წინათ ჩაგრული ერების უფლება სახელმწიფოდ გამოყოფისა: იგი უნდა შეივსოს წინათ მჩაგვრელი ერის პროლეტარიატის მოვალეობით დაეხმაროს ჩამორჩენილ ერებს სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში, ე. ი. უფლებათა ფორმალური თანასწორობა უნდა შეივსოს მდგომარეობის ფაქტური გათანასწორობით. „ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეთა და ბურჟუაზიის პოლიტიკა ამ (არაველიკორუსი—პ. შ.) ხალხებისადმი ის იყო,

რომ ჩაეკლათ მათში ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის ჩანასახი, დაეხიზრებინათ მათი კულტურული ცხოვრობინათ ენა, სიბნელეში შეეკლათ ისინი და, დასასრულ, შეძლებისდაგვარად გაერთესებინათ. ასეთი პოლიტიკის შედეგია ამ ხალხების განუვითარებლობა და პოლიტიკური ჩამორჩენილობა. აზლა, როცა მემამულეები და ბურჟუაზია დამხობილი არიან, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება ამ ქვეყნებშიც გამოაცხადეს ხალხის მასებმა, პარტიის ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს არაველიკორუს ხალხთა მშრონელ მასებს დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს, დაეხმაროს მათ:

ა) განავითარონ და განამტკიცონ თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა ამ ხალხების ეროვნული ხასიათისათვის შესაბამისი ფორმებით;

ბ) შექმნან დედაენაზე მოქმედი სსამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ხელისუფლების ორგანოები, შედგენილი ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და ფსიქოლოგიის მცოდნე ადგილობრივ ადამიანთაგან;

გ) დედაენაზე განავითარონ პრესა, სკოლა, თეატრი, საკლუბო საქმე და საერთოდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი“ (გვ. 24).

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ლენინიზმმა ცხადპო ეროვნული საკითხის კავშირი კოლონიურ საკითხთან. რაც შეეხება ეროვნული ჩაგვრის ორგანულ კავშირს სოციალურ ჩაგვრასთან, კერძო საკუთრებასა და ექსპლოატაციასთან, ამ კავშირს იმთავითვე ზღუდვით აღნიშნავდა ლენინურ-სტალინური თეორია. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ბრწყინვალედ დაადასტურა, რომ ექსპლოატატორული წყობილების დაუმხობლად

წარმოუდგენელია ეროვნული განთავისუფლება. მაგრამ სოციალისტურმა რევოლუციამ გამოააშკარავა საკითხის მეორე მხარეც—ეროვნული განთავისუფლების კავშირი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან. „თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი გარდუვალად თიშავენ ადამიანებს, აღვივებენ ეროვნულ შუღლს და აძლიერებენ ეროვნულ ჩაგვრას, კოლექტიური საკუთრება და შრომა ამდენადვე გარდუვალად აახლოებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ეროვნულ შუღლს და სობენ ეროვნულ ჩაგვრას. კაპიტალიზმის არსებობა ისე, რომ ეროვნული ჩაგვრა არ იყოს, ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია სოციალიზმის არსებობა ჩაგრული ერების გაუთავისუფლებლად“ (გვ. 19). ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ საბჭოთა რევოლუციის გამოცდილებამ მთლიანად დაადასტურა ეს დებულება. ჩაზგასმით აღნიშნავს, რომ „რუსეთში საბჭოთა წყობილების დამყარებამ და ერების სახელმწიფოდ გამოყოფის უფლების გამოცხადებამ გარდაქმნეს რუსეთის ეროვნებათა მშრომელი მასების ურთიერთობა, ძირი გამოუთხარეს ძველ ეროვნულ შუღლს, ნიადაგი გამოაცალეს ეროვნულ ჩაგვრას და რუს მუშებს მოუპოვეს სხვა ეროვნების მოძმეთა ნდობა“ და დაასკვნის: „საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცება და ეროვნული ჩაგვრის მოსპობა წარმოადგენს ერთ-და იმავე პროცესის, იმპერიალისტური კაბალისაგან მშრომელთა განთავისუფლების ორ მხარეს“ (გვ. 20).

ლენინურ-სტალინური დებულება იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმი, განსაკუთრებით იმპერიალიზმი, განუყრელად არის დაკავშირებული ეროვნულ ჩაგვრასთან, ნათლად დასტურდება თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოების პრაქტიკით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები,

რომლებმაც „დაიგვიანეს“ თავი დროზე ხელში ჩაეგდოთ კოლონიები და ნახევარკოლონიები და რევოლუციები ერთობ გასუქდნენ კულტურული ომის შედეგად, აღარ სჯერდებიან იმას, რომ სხვადასხვა ნიღბით და საბაბით უახლოვდებიან სხვის (განსაკუთრებით ინგლისელების) კოლონიებს, არ სჯერდებიან იმას, რომ „დახმარების“ სახით თავიანთ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობას ამყარებენ გომინდანის ჩინეთში, საბერძნეთსა და თურქეთში. ისინი ცდილობენ ფაქტიურად თავიანთ კოლონიებად გადააქციონ ევროპის ის ქვეყნებიც კი, რომლებიც ერთ დროს კოლონიური სახელმწიფოს როლის პრეტენზიას აცხადებდნენ. საბჭოთა დიპლომატიამ ვ. მ. მოლოტოვის მეათეურობით უკვე გამოააშკარავა, თუ რა არის ნამდვილი აზრი ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით წამოწყებული ფუსფუსისა ევროპისადმი ეგრეთწოდებული ამერიკული „დახმარების“ გარშემო, რაც თურმე შეუძლებელია ისე, რომ ევროპის სახელმწიფოებმა უარი არა სთქვან თავის სუვერენიტეტზე და თავისი ეკონომიკა არ დაუშვემდებარონ ამერიკის მონოპოლიათა ინტერესებს.

როგორც X ყრილობის თეზისებიდან სჩანს, უკვე მაშინ, 1921 წლის დამდეგს, ამხანაგმა სტალინმა განჰქვრივა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის საჭიროება. თეზისებში ვკითხულობთ: „... ცალკე საბჭოთა რესპუბლიკების იზოლირებული არსებობა არ არის მყარი, მტკიცე იმის გამო, რომ მათს არსებობას საფრთხე მოელის კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ. ერთი მხრივ საბჭოთა რესპუბლიკების დაცვის საერთო ინტერესები, მეორე მხრივ, ომით დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენის ამოცანა და, მესამე მხრივ, პურიანი საბჭოთა რესპუბ-

ლიკების მიერ უპურო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის საჭირო სასურსათო დახმარება, კატეგორიულად გეიკარნახებს ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირს, როგორც იმპერიალისტური კაბალისა და ეროვნული ჩაგვრბსაგან ხსნის ერთადერთ გზას. „თავისი“ და „სხვისი“ ბურჟუაზიისაგან განთავისუფლებულ ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკებს შეუძლიათ ღაიცივან თავიანთი არსებობა და დაამარცხონ იმპერიალიზმის გაერთიანებული ძალები მხოლოდ მაშინ, თუ გაერთიანდებიან მკვიდრო სახელმწიფოებრივ კავშირად“ (გვ. 21-22). განა საჭიროა ვილაპარაკოთ, თუ რა ბრწყინვალედ დადასტურდა ამხანაგ სტალინის ეს ბრძნული აზრები, რაც მან ჩამოაყალიბა 20 წლით ადრე, ვიდრე პიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხმოდა თავს სსრ კავშირს, საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, რომელშიც სწყუდებოდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ბედი და დამოუკიდებლობა. ამოცანები ეროვნული პოლიტიკის განხორციელების დარგში, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა X ყრილობაზე დასახა, საფუძვლად დაედო პარტიული ორგანიზაციების მთელ შემდგომ მუშაობას. უკვე მაშინ იძლეოდა ამხანაგსტალინი გაფრთხილებას ეროვნულ საკითხში სწორი პოლიტიკიდან ორ შესაძლო გადახრაზე, რაც შემდეგ ნამდვილად მოხდა მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში. ერთი მხრივ, განაპირა ქვეყნებში მომუშავე ველიკორუსი კომუნისტები, რომლებიც „მბრძანებელი“ ერის არსებობის პირობებში აღიზარდნენ და არ იცოდნენ ეროვნული ჩაგვრა, ხშირად ამცირებენ ეროვნულ თავისებურებათა მნიშვნელობას პარტიულ მუშაობაში, ანდა სრულიად არ უწევენ მათ ანგარიშს, თავიანთ მუშაობაში არ ითვალისწინებენ ამა

თუ იმ ეროვნების კლასობრივი აღნაგობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრების, ისტორიული წარსულის მნიშვნელობას, ამრიგად აეულტურებენ და ამხიბიჯებენ პარტიის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში. ეს გარემოება იწვევენ კომუნიზმისაგან დიდმპყრობელობის, კოლონიზატორობის, ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრას. მეორე მხრივ, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის კომუნისტები, რომლებმაც ეროვნული ჩაგვრის მძიმე პერიოდი გამოიარეს და უკანასკნელის აჩრდილისაგან ჯერაც არ არიან საცსებით განთავისუფლებული, ხშირად აზვიადებენ ეროვნულ თავისებურებათა მნიშვნელობას პარტიულ მუშაობაში, ჩრდილში სტოვებენ მშრომელთა კლასობრივ ინტერესებს, ანდა პირდაპირ ერთმანეთში ურევენ ამა თუ იმ ერის მშრომელთა ინტერესებს და იმავე ერის „საერთო ეროვნულ ინტერესებს“, არ შესწევთ რა უნარი გამოკყონ პირველი უკანასკნელისაგან და ააგონ მასზე პარტიული მუშაობა. ეს გარემოება თავის მხრივ იწვევენ კომუნიზმისაგან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალიზმისაკენ გადახრას“ (გვ. 27-28). როგორც ყოველთვის, აქაც ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ეროვნული საკითხი, მიუხედავად მთელი მისი დიდი მნიშვნელობისა, ექვემდებარება სოციალურ საკითხს, ექსპლოატაციისა და უუფლებობისაგან მშრომელთა განთავისუფლებას.

თხზულებათა მეხუთე ტომში შესული სხვა მრავალი მასალა ეროვნულ საკითხზე ავითარებს და აკონკრეტებს ისტორიული ვითარების შესაბამისად იმ ძირითად დებულებებსა და ამოცანებს, რომლებიც წამოყენებულია X ყრილობის თეზისებში „პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ეროვნულ საკითხში“. სტატიაში „ეროვნული საკითხის დაყენებისათვის“ მოცემულია

II ინტერნაციონალის იმ პარტიათა ეროვნული პროგრამის გამანადგურებელი კრიტიკა, რომლებიც ეროვნული საკითხის დაყენებას ზღუდადენენ ევროპის ეგრეთწოდებული ცივილიზებული ერების განთავისუფლებით და მათ „განთავისუფლებასაც“ ამოსწორადენენ ბუნდოვანად განმარტებული თვითგამორკვევის ლოზუნგით. მხოლოდ ბოლშევიკებმა გააფართოვეს ეროვნული საკითხის დაყენება აზიისა და აფრიკის ჩაგრული კოლონიურ ბაზუნების განთავისუფლების შეტანით და ამრიგად ეროვნული საკითხი დაუკავშირეს კოლონიურს. მხოლოდ ბოლშევიკებმა შესცვალეს ერთა თვითგამორკვევის უფლების ბუნდოვანი ლოზუნგი ერებისა და კოლონიების სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების ლოზუნგით. თუ II ინტერნაციონალის პარტიებს შესაძლებლად მიაჩნდათ ერთა „განთავისუფლება“, რასაც ისინი უმთავრესად გულისხმობდნენ როგორც კულტურულ თვითგამორკვევას (ბაუერი, შპრინგერი და სხვ.) კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში, ბოლშევიკებმა ცხადპყვეს ეროვნულ-კოლონიური საკითხის განუყრელი კავშირი კაპიტალის ხელისუფლების დამხობის საკითხთან. II და II½ ინტერნაციონალის ოპორტუნისტები და სოციალ-დამცემლები არა სჯერდებოდნენ „ეროვნული თანასწორუფლებიანობის“ დეკლარირებას, რაც ფაქტიური ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის დროს ლიტონი სიტუვება ბოლშევიკებმა ეროვნულ საკითხში შეიტანეს ეროვნებათა ფაქტიური (და არა მარტო უფლებრივი) გათანასწორების ელემენტი ჩამორჩენილ ეროვნებათათვის იმაში დახმარების გზით, რომ ამადლებულიყვნენ იმ ეროვნებათა კულტურულ და სამეურნეო დონემდე, რომლებმაც მათ გაუსწრეს.

ამხანაგ სტალინის მოხსენებამ საქართველოს კომპარტიის თბილისის

ორგანიზაციის საერთო კრებამ 1921 წლის 6 ივლისს „საქართველოსა და ამიერკავკასიაში კომუნისტური შორივი ამოცანების შესახებ“ გადამწყვეტი როლი შეასრულა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში, ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციების მიერ ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტაში, ამიერკავკასიის ხალხთა შორის მკიდრო სამეურნეო თანამშრომლობის უზრუნველყოფასა და მათ შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებაში. ამხანაგ სტალინის მოხსენება ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებისათვის ის გარკვეული და საბრძოლო პროგრამა იყო, რომლის საფუძველზეც მათ შესძლეს გადაეჭრათ უმნიშვნელოვანესი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ამოცანები, შეექმნათ და განემტკიცებინათ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია, რომელმაც, როგორც ცნობილია, უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საქმეში, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სამეურნეო და კულტურული აყვავების საქმეში.

ამხანაგი სტალინი, რომელმაც მოხსენების პირველ ნაწილში ბრწყინვალედ დაახასიათა მაშინდელი ვითარება, და ჩამოაყალიბა პარტიის ახალი ამოცანები, რაც გამომდინარეობდა მშვიდობიან აღმშენებლობითს მუშაობაზე გადასვლიდან, განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ეროვნულ საკითხზე და საქართველოს და ამიერკავკასიის პირობებში ამ საკითხის გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებზე. ამ საკითხის მნიშვნელობისა და სირთულის გასაგებად მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ სამი წლის მანძილზე საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში პარპაზობდნენ საერთა-

შორის იმპერიალიზმის აგენტები — მენშევიკები, მუსავატელები, დაშნაკები, რომლებიც ბიუტყად და ცალობით ჰყიდდნენ თავიანთ ქვეყნებს ევროპის იმპერიალისტ მტაცებლებზე, ამ გაყიდვის დასაფარავად აღვივებდნენ შოვინიზმს და ეროვნულ მტრობას საქართველოსა და სომხეთის ძმობამკველელ ომსა და სომეხ-თათართა ბოცვა-ქლევასაც კი. ცნობილია, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწიეს ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ამხანაგ სტალინის მეთაურობით ჯერ კიდევ ცარიზმისა და სტოლიპინის რეაქციის პერიოდში მრავალეროვნანი ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის. ამჟამადაც კი 40 წელზე მეტი ხნის შემდეგ აღუღლებლად ვერ წაიკითხავს ადამიანი სტალინური პროკლამაციების მგზნებარე სტრიქონებს: „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას“, „მოქალაქეებს. გაუმარჯოს წითელ დროშას“ (თხზ. ტ. 1), რომლებიც მოგვითხრობენ ამიერკავკასიის ეროვნებათა მშრომელების მეგობრობას, რაზეც არაერთხელ მოუტეხიათ კისერი მეფის ავაზაკებს. ცნობილია, რომ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით განხორციელებული ინტერნაციონალური წყობა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა ლენინს ნიმუშად მიაჩნდა სხვებისათვის. მაგრამ ხალხის გამცემთა სამი წლის ბატონობის შედეგად, რომლებმაც ამიერკავკასიის ხალხები ხელოვნურად მოსწყვიტეს ერთმანეთს და დიდ რუს ხალხს, მდგომარეობა მკვეთრად შეღცვალა. ყველაზე ადრე და ყველაზე უკეთ შენიშნა და განსაზღვრა ეს ამხანაგმა სტალინმა, რომელიც სულ რამდენიმე დღით ჩამოვიდა თბილისში, რათა ხელმძღვანელობა გაეწია რუსეთის კ. პ. (ბ) კავკასიის ბიუროს პლენუმისათვის. „მახ-

სოვს 1905-1917 წლები, — ამბობდა ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში, — როცა ამიერკავკასიის უმრავლესობათა მუშებსა და საქართველოსათა შორის სრული ძმური სოლიდარობა იყო, როცა ძმობა ერთ სოციალისტურ ოჯახად აკავშირებდა სომეხ, ქართველ, აზერბაიჯანელ და რუს მუშებს. ახლა თბილისის ჩამოსვლის შემდეგ მე განმაცვიფრა იმან, რომ ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის ყოფილი სოლიდარობა აღარ არის... ძველი ძმური ნდობის კავშირი გაწყვეტილია, ან ყოველ შემთხვევაში ძალიან შესუსტებულა. აშკარაა, ნაციონალისტური მთავრობების სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) უკვალოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობები ეწეოდნენ რა თავიანთ ნაციონალისტურ პოლიტიკას, აგრესიული ნაციონალიზმის სულისკვეთებით მუშაობდნენ რა მშრომელთა შორის, დასასრულ იქამდე მივიდნენ, რომ თვითვე ეს მცირე ქვეყანა აღმოჩნდა მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროს რკალში, რამაც საქართველოს და სომხეთს დაუკარგა რუსეთის პური და აზერბაიჯანის ნავთი, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთს ბათუმით მომავალი საქონელი“ (გვ. 95-96).

ნაციონალიზმის ამ შხამის არსებობა, რომელიც შეგნებას უწამლავდა მშრომელებს, ამხანაგ სტალინს მიაჩნდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმის უდიდეს დაბრკოლებად. აი ამიტომ პარტორგანიზაციითა ერთერთ მთავარ ამოცანად ამხანაგმა სტალინმა შემდეგი წამოაყენა: „გავსრისოთ ნაციონალიზმის გველუშაი და შევექმნათ ინტერნაციონალიზ-

მის სალი ატმოსფერო, რათა გაადვილდეს ამიერკავკასიის საბჭოთა-რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანება, ხოლო ამავე დროს დაცულ იქნას ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა“ (გვ. 100).

ამხანაგი სტალინი მთავარ ცეცხლს მიმართავდა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების საქმეს და ამავე დროს არ ივიწყებდა არც სხვა საშიშროებას, ამ რესპუბლიკების ეროვნული განვითარების ინტერესთა შეუფასებლობის საშიშროებას. იმავე მოხსენებაში მან აბსურდულად და უაღრესად რეაქციულად გამოაცხადა ზოგიერთი მუშაკის პროექტი მოესპოთ ამიერკავკასიის ეროვნული რესპუბლიკები და მათ მაგიერ აღედგინათ ძველი გუბერნიები — თბილისის, ბაქოს და ერევნისა.

სტატია „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ეროვნული პოლიტიკა“ ეროვნული საკითხის ახალ მხარეებს აშუქებს საბჭოთა ქვეყნის პირობებში მისი პრაქტიკული გადაწყვეტის მიზეზებით, ჯერ ერთი — აშკარადება ეროვნული საკითხის ურდვევი კავშირი გლეხობის საკითხთან: „ზავი. აგრარული გადატრიალება და ეროვნებათა თავისუფლება — ასეთია სამი ძირითადი მომენტი, რომლებმაც რუსეთის პროლეტარიატის წითელი დროშის გარშემო შეკრიბეს თვალუწვდენი რუსეთის ოცზე მეტი ეროვნების გლეხები“ (გვ. 113). მეორე — ხაზგასმითაა აღნიშნული განაპირა ეროვნული ქვეყნებისა და ცენტრალური რუსეთის ურთიერთდამოკიდებულება, უწინარეს ყოვლისა ეკონომიური და სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულება. არაველიკორუსი ერები, ამბობს ამხანაგი სტალინი, — „უმთავრესად სახლობენ განაპირა

ქვეყნებში, იმ პუნქტებში, რომლებიც ყველაზე ენებალია ომის მხრივ, ამასთან ამ განაპირა ქვეყნებში უტყუარად მოიპოვება ნედლეული რესურსები“. მაგრამ „ეს განაპირა ქვეყნები ცენტრალურ რუსეთზე ნაკლებადაა განვითარებული (ანდა სრულიად არ არის განვითარებული, სამრეწველო და სამხედრო მხრივ, რის გამო მათ არ ძალუძთ დაიცვან თავიანთი დამოუკიდებელი არსებობა თუ ცენტრალურმა რუსეთმა არ აღმოუჩინა სამხედრო-სამეურნეო დახმარება, ისევე როგორც ცენტრალურ რუსეთს არ ძალუძს შეინარჩუნოს თავისი სამხედრო-სამეურნეო ძლიერება, თუ განაპირა ქვეყნები არ დაეხმარნენ სათბობით, ნედლეულითა და სურსათით“ (გვ. 114).

საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან კავშირად გაერთიანებისადმი, რაც ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ პარტიის X ყრილობის წინახანებაში განკვირით, მიძღვნილია: „დამოუკიდებელ ეროვნულ რესპუბლიკათა გაერთიანების საკითხი“ (საუბარი გაზეთ „პრაუდის“ ყორესპონდენტთან), „საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ“ (მოხსენება საბჭოების X სრულიად რუსეთის ყრილობაზე), „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ“ (მოხსენება სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე). თვითუღ ამ დოკუმენტს, რომელიც ავითარებს ამხანაგ სტალინის მიერ ჯერ კიდევ პარტიის X ყრილობაზე წამოყენებულ დებულებებს, ახალი მომენტი შეაქვს როგორც გაერთიანების მიზეზთა დასაბუთებასა და მიზნების გაშუქებაში, ისე ეროვნული მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანათა დაყენებაში. „პრაუდის“ ყორესპონდენტის შეკითხვაზე, ხომ არ დამთავრდება რესპუბლიკების გაერთიანება რუსეთთან მათი შეერთებით, როგორც

ეს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის მიმართ მოხდა, ამხანაგმა სტალინმა უარყოფითად უპასუხა. „შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკასა და ზემოთ დასახლებულ ეროვნულ რესპუბლიკებს“ შორის პრინციპული განსხვავება არსებობს... მაშინ როდესაც შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის გაუქმება შეიძლება ისე, რომ სრულიადაც არ შეილახოს მეტი წილი მისი მოსახლეობის ეროვნული ინტერესები (ვინაიდან ისინი ისეთივე რუსები არიან, როგორც რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა), ეროვნულ რესპუბლიკათა გაუქმება იქნებოდა რეაქციული აბსურდი, რომელიც მოითხოვს არარუს ეროვნებათა გაუქმებას, მათ გარუსებას, ე. ი. იქნებოდა რეაქციული დონკიხოტობა, რომელიც წინააღმდეგობას იწვევს რუსული შოვინიზმის ისეთ ბნელეთის მოციქულთა მხრივაც კი, როგორიცაა შვერაზმელი „შულგინი“ (გვ. 141). კანონიერი სიამაყით აღსავსეა სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მოხსენების ისტორიული სიტყვები, რომლებმაც სსრ კავშირის ხალხებს და მთელ მსოფლიოს ამცნეს ახალი რუსეთის დაბადება და დამკვიდრება. ამხანაგმა სტალინმა, მიმართა რა ყრილობის დელეგატებს, სთქვა: „ამხანაგებო, დღევანდელი დღე არის არა მარტო შემაჯამებელი, არამედ იგი ამასთანავე არის დღე ახალი რუსეთის გამარჯვებისა ძველ რუსეთზე, რუსეთზე, რომელიც ევროპის ეანდარში იყო, რომელიც აზიის ჯალათი იყო. დღევანდელი დღე არის გამარჯვების დღე ახალი რუსეთისა, რომელმაც დაამხებურია ეროვნული ჩაგვრის ბორკილი, მოაწყო გამარჯვება კაპიტალზე, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, გააღვიძა აღმოსავლეთის ხალხები, ადაფრთოვანა დასავლეთის მუშები, პარტიის წითელი დროშა გადააქცია სახელმწიფო დროშად და ამ დროშის გარშემო შეკ-

რიბა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხები იმისათვის, რომ ისინი გააერთიანოს ერთ სახელმწიფოდ, *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთობად*“ (გვ. 158).

როგორც ცნობილია, პარტიის XII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ეროვნულ საკითხს, რადგან ყრილობის პერიოდში გამოვლინდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის დიდი დამახინჯებანი მთელ რიგ ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში (ნაციონალ-უკლონიზმი საქართველოში, სულთან-გალიევში და სხვა შემარჯვენე და „შემარცხენე“ დამახინჯებანი აღმოსავლეთ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში). ამასთან პარტიის მტრები ბუხარინი, ტროცკი, პიატაკოვი და სხვები არა მარტო მხარს უჭერდნენ, არამედ პირდაპირ ხელს უწყობდნენ ნაციონალ-უკლონისტებს ყველა რესპუბლიკასა და ოლქში, რათა ამით შეესუსტებინათ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძალა.

ამხანაგ სტალინის თეზისებმა XII ყრილობისათვის და ყრილობაზე გაკეთებულმა მოხსენებამ — „ეროვნული მომენტები პარტიულ და სახელმწიფო მშენებლობაში“ ისტორიული როლი შეასრულეს სხვადასხვა სახის ეროვნული გადახრის აღმოფხვრისა და ბოლშევიკური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის სწორად განხორციელების საქმეში. ამხანაგმა სტალინმა თეორიულად ღრმად გააშუქა კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში, ეროვნული საკითხის გამწვავების ობიექტურად ისტორიული საფუძვლები, აგრეთვე მოგვცა მოკლე ანალიზი იმისა, თუ როგორ აყენებდა ეროვნულ საკითხს ჩვენი პარტია ჯერ კიდევ თავისი პირველი ყრილობიდან (1898 წელი), და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ პრაქტიკულად შეაჯამა პარტიის გადაწყვე-

ტილებანი ეროვნულ საკითხზე და შე-  
პქმნა ბაზა, საძირკველი, რის საფუძ-  
ველზეც შეიძლება აგებულ იქნას ხალ-  
ხთა მშური თანამშრომლობა ერთიან  
სახელმწიფო კავშირში. შემდეგ ამხანა-  
გი სტალინი ანალიზს უკეთებს რევო-  
ლუციის პროცესში ხალხთა თანა-  
მშრომლობის დამყარების სხვადასხვა  
ეტაპს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ  
„პროლეტარიატმა საბჭოთა წყობილე-  
ბაში მხოვე ეროვნული საკითხის სწო-  
რი გადაწყვეტის გასაღები, მან ამ წყო-  
ბილებაში აღმოაჩინა გზა მყარი მრავ-  
ალეროვნანი სახელმწიფოს ორგანიზა-  
ციისა ეროვნული თანასწორუფლებიან-  
ობისა და ნებაყოფლობის საწყისებ-  
ზე“ (გვ. 186). მაგრამ გასაღები სწორ  
გამოყენებას მოითხოვს. საბჭოთა წყო-  
ბილება ავტომატურად არ სწყვეტს არც  
ერთ საკითხს, მათ შორის არც ეროვ-  
ნულ საკითხს. აუცილებელია საბჭო-  
თა პოლიტიკის სწორი გატარება.  
ამას ეს აზორციელებენ ცოცხალი  
ადამიანები, პარტიული და საბჭოთა  
აპარატის მუშაკები. ამხანაგი სტალინი  
ანალიზს უკეთებს ცარიზმის კოლონი-  
ზატორული პოლიტიკის ცუდ მემკვიდ-  
რეობას — წინათ პრივილეგიური ერის  
ცალკეულ წარმომადგენელთა ქედმაღ-  
ლურ-უგულეებელყოფელ დამოკიდე-  
ბულებას რესპუბლიკათა და ოლქთა  
ეროვნული თავისებურებებისადმი, მათ  
ეროვნული განვითარების საჭიროე-  
ბისა და ინტერესებისადმი და წინათ  
ჩაგრული ერების ცალკეული წარმო-  
მადგენლების მიერ ეროვნულ თავი-  
სებურებათა და ეროვნულ ინტერესთა  
გაზვიადებას მასების სოციალურ-კლას-  
ობრივი ინტერესების საზიანოდ. ამ  
მემკვიდრეობის გამოხატულებას წარ-  
მოადგენს დიდმპყრობელური შოვინ-  
იზმი და ადგილობრივი ბურჟუაზიუ-  
ლი ნაციონალიზმი. ორივე ამ გადახრის  
წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა  
პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს  
ამოცანადაა გამოცხადებული ამხანაგ

სტალინის თეზისებსა და მოხსენებაში.  
ამასთანავე ამხანაგი სტალინი აყალი-  
ბებს ამ ბრძოლის ამოცანებს უკულტურ-  
რულ-სამეურნეო, სახელმწიფო და  
პარტიული მშენებლობის ხაზით:

სამეურნეო-კულტურულ დარგში —  
განუხრელი განხორციელება ლო-  
ნისძიებებისა ეროვნებათა ფაქტიური  
უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, ჩა-  
მორჩენილ ხალხთა სამეურნეო და  
კულტურული ღონის ასამაღლებლად;  
სახელმწიფოებრივ დარგში — საბჭოთა  
კავშირის უმაღლესი ორგანოების სის-  
ტემაში ეროვნულ რესპუბლიკათა წარ-  
მომადგენლობის სპეციალური ორგა-  
ნოს შექმნა, ეროვნულ რესპუბლიკათა  
ხელისუფლების და ადმინისტრაციის  
ორგანოების დაკომპლექტება უპირა-  
ტესად ადგილობრივი მუშაკებით, რომ-  
ლებმაც იციან სათანადო ხალხების ენა,  
ყოფაცხოვრება და ზნეჩვეულება; პარ-  
ტიულ დარგში — აღზრდა და გამოწ-  
რთობა ნამდვილად მარქსისტული ნა-  
ციონალური კადრებისა პარტიული  
სკოლებისა და მარქსისტული წრეების  
ორგანიზაციის გზით, შექმნა პრინცი-  
პული მარქსისტული და მასობრივი  
პარტიული ლიტერატურისა მშობლიურ  
ენაზე და გაძლიერება პარტიულად-  
აღმზრდელი მუშაობისა რესპუბ-  
ლიკებში.

თავის მოხსენებაში პარტიის XII  
ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მოგე-  
ცა საკითხის მარქსისტული დიალექტი-  
კური დაყენების ბრწყინვალე ნიმუშე-  
ბი. ხაზგასმით აღნიშნა რა XII ყრილო-  
ბისათვის შემუშავებულ თეზისებში  
ზოგადი დებულება, რომ რამდენადაც  
„ნაციონალიზმის ნაშთები წარმოად-  
გენს ველიკორუსული შოვინიზმის წი-  
ნააღმდეგ თავდაცვის თავისებურ ფორ-  
მას, გადამწყვეტი ბრძოლა ველიკორუ-  
სული შოვინიზმის წინააღმდეგ ყველა-  
ზე საიმედო საშუალებაა ნაციონალის-  
ტური ნაშთების დასაძლევად“ (გვ.  
189), ამხანაგმა სტალინმა XII ყრილო-

ბაზე გაანადგურა ხალხის მტრები—ბუხარინი, რაკოვსკი და სხვები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ ყრილობის რეზოლუციიდან ამოგდებული ყოფილიყო პუნქტი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ადგილობრივი შოვინიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, რადგან იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში სწორედ ადგილობრივი ნაციონალიზმისა და შოვინიზმისაგან გადახრამ მიიღო ცალკეულ რესპუბლიკებში საშინო ხასიათი. ამის მაგალითს წარმოადგენდა ქართული ნაციონალ-უკლონიზმი, რაც გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში. ყრილობამ ნაციონალ-უკლონიზმი დაგმო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგმა სტალინმა ვადაკრით გააცამტვერა ყრილობაზე ხალხის მტრების — ბუხარინის, რაკოვსკისა და სხვების ცდები — გაეზვიადებინათ ეროვნული საკითხის მნიშვნელობა, წარმოედგინათ იგი რევოლუციის თითქმის მთავარ საკითხად. „პირველი საკითხი ის არის, — ამბობდა ამხანაგი სტალინი თავის საბოლოო სიტყვაში XII ყრილობაზე, — რომ ამხანაგების ერთმა ჯგუფმა, ბუხარინისა და რაკოვსკის მეთაურობით, ერთობ გააზვიადა ეროვნული საკითხის მნიშვნელობა, და ეროვნული საკითხის გამო მხედველობიდან გაუშვა სოციალური საკითხი — საკითხი მუშათა კლასის ხელისუფლების შესახებ.

ჩვენთვის, როგორც კომუნისტებისათვის, ნათელია, რომ მთელი ჩვენი მუშაობის საფუძველს წარმოადგენს მუშაობა მუშათა ხელისუფლების განსამტკიცებლად, და მხოლოდ ამის შემდეგ სდგება ჩვენს წინაშე მეორე საკითხი, მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ დაქვემდებარებული პირველისადმი, — ეროვნული საკით-

ხი... უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება გარდა, არის კიდევ მუშათა კლასის უფლებების განმტკიცების უფლება. ამ უკანასკნელ უფლებას ექვემდებარება თვითგამორკვევის უფლება“ (გვ. 264-265).

როგორც ცნობილია, ამხანაგ სტალინის თეზისებისა და მოხსენების ძირითადი დებულებანი საფუძველად დაედო პარტიის XII ყრილობის რეზოლუციას ეროვნულ საკითხზე; მათი განხორციელების საფუძველზე პარტიულმა ორგანიზაციებმა წარმატებით შეასრულეს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები.

1923 წლის ივნისში შესდგა რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თათბირი ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების პასუხისმგებელ მუშაკებთან. ეს თათბირი მიემდინა პარტიის XII ყრილობის მიერ ეროვნულ საკითხზე მიღებული რეზოლუციის განხორციელების პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებას. თათბირს ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი. ამხანაგ სტალინის მიერ შემუშავებული და რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მოწონებული „პროექტი პლატფორმისა ეროვნულ საკითხში IV თათბირისათვის, მოწონებული ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ“, ამხანაგ სტალინის მოხსენება, საბოლოო სიტყვა და გამოხვედები ამ თათბირზე წარმოადგენენ XII ყრილობის თეზისებსა და მოხსენებაში წამოყენებულ დებულებათა შემდგომ კონკრეტულ განხორციელებას ეროვნულ რესპუბლიკათა და ოლქთა ცალკეული ჯგუფების პირობებთან შეფარდებით. ამ საკითხთა გადაწყვეტისას მოცემულია ბოლშევიკური ტაქტიკის კონკრეტულობისა

და დიალექტიკური მოქნილობის ბრწყინვალე ნიმუშები. მაგალითად, ავიღოთ კომუნისტი ნაციონალების დამოკიდებულება ინტელიგენციის ადგილობრივი კადრებისადმი: „...ვისწრაფვით რა ადგილობრივი მოსახლეობის შშრომელი მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, აუცილებელია უფრო მეტად, ვიდრე ცენტრალურ ოლქებში, თანაგრძნობა გავუწიოთ იმ ელემენტებს, რომლებიც რევოლუციურ-დემოკრატიული ან ფუნდაც მხოლოდ ლოიალური არიან საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ადგილობრივი ინტელიგენციის როლი რესპუბლიკებსა და ოლქებში ბევრი მხრივ სხვაგვარია, ვიდრე რესპუბლიკათა კავშირის ცენტრალური ოლქების ინტელიგენციის როლი. განაპირა მხარეები იმდენად ღარიბნი არიან ადგილობრივი ინტელიგენტური მუშაკებით, რომ თვითუფლებით მათგანი ყოველი ძალღონით უნდა გამოვიყვანოთ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე“ (გვ. 294). მაგრამ ეს ღონისძიება არავითარ შემთხვევებში არ უნდა განხორციელდეს მარქსიზმის პრინციპების დათმობის გზით, იგი „გულისხმობს სისტემატურ იდეურ ბრძოლას მარქსიზმის პრინციპებისათვის და ნამდვილი ინტერნაციონალიზმისათვის, ბრძოლას ნაციონალიზმისაკენ გადახრის წინააღმდეგ“ (იქვე). ამხანაგმა სტალინმა ანალიზი გაუკეთა სულთან-გალიეფშინას და მეტად დიდმნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა იმის შესახებ, რომ ნაციონალიზმი მთავარი იდეური დამბრკოლებაა განაპირა ქვეყნებში მარქსისტული კადრების გამოზრდის გზაზე. „მხოლოდ ნაციონალისტური საფარველით შეუძლია ყოველგვარ ბურჟუაზიულ, მათ შორის მენშევიკურ გავლენას შეიჭრას განაპირა ქვეყნების ჩვენს ორგანიზაციებში“ (გვ. 309). ამხანაგი სტალინი ილაშქრებს თათბირის ზოგიერთი მონაწილის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ეროვნულ საკითხში

მარჯვნივ გადახრა დაუპირისპირონ „მარცხნივ“ გადახრას, და თავისთავად აღნიშნავს, რომ აუცილებელია ერთსა და იმავე დროს ვეჭრობოთ ორივე გადახრას, როგორც გადახრებს, რომლებიც ხელს უშლიან რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების განტყვევას და ნამდვილი მარქსისტული კადრების გამოზრდას. „თუ შემარჯვენენი გვემუქრებიან, რომ ნაციონალიზმისადმი თავიანთი დამყოლობით შეუძლიათ გააძნელონ კომუნისტური კადრების ზრდა განაპირა ქვეყნებში, „მემარცხენენი“ პარტიას იმით ემუქრებიან, რომ მათ, რომლებიც გატაცებული არიან გამარტივებული და ნაჩქარევი „კომუნისმით“, შეუძლიათ ჩვენი პარტია მოსწყვიტონ გლეხობას და ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენებს“ (გვ. 311).

სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა, საბჭოთა საზოგადოების ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რაც ერთ-ერთი გადაწყვეტი ფაქტორი იყო საბჭოთა სახელმწიფოს მსოფლიო ისტორიული გამარჯვებისა დიდ სამამულო ომში, მკვიდრდებოდა არა თვითდინებით, არამედ ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის ბოლშევიკური პარტიის გმირული ბრძოლისა და თავდადებული მუშაობის შედეგად. დიდმა რუსმა ხალხმა, რომელმაც მსოფლიოს ხალხთაგან პირველმა სთქვა უარი თავის წარსულ პრივილეგიებზე და სოციალური და ეროვნული განთავისუფლების გზა გაუხსნა მეფის რუსეთის წინათ ჩაგრულ ხალხებს, ამასთანავე ღირსეულად შეასრულა თავისი დიადი ისტორიული მისია — დაეხმარა ჩამორჩენილ ხალხებს შედარებით უფრო სწრაფი ტემპით განეერთებინათ ეკონომიკა და კულტურა. და რუსი ხალხი სპარტოლიანად სარგებლობს სსრ კავშირის თავისუფალ ხალხთა სტალინურ

ოჯახში სიყვარულითა და მადლო-  
ბით როგორც უფროსი ძმა და ერთ-  
გული მეგობარი, როგორც საბჭო-  
თა სახელმწიფოს წამყვანი ძალა.  
ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეხუთე  
ტომში ეროვნულ საკითხზე მოთავსე-  
ბული მასალების ღრმა შესწავლა ჩვენს  
კადრებს შეაიარაღებს უნარით ამზი-  
ლონ ყველა და ყოველგვარი სახის  
დიდმპყრობელური და ადგილობრივი  
შოვინიზმი და ნაციონალიზმი, რომ-  
ლებიც ადამიანთა შეგნებაში კაპიტა-  
ლისტური ნაშთის სახით დღესაც ასა-  
ზრდოებენ ერთმანეთს და დღესაც  
ხელს უშლიან პარტიას სოციალისტურ-  
ი საზოგადოების მშენებლობის დამ-  
თავრებისა და კომუნისმზე თანდათან  
გადასვლის დიად ღონისძიებათა გან-  
ხორციელებაში.



ზემოთ ნათქვამი იყო რომ  
ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეხუთე  
ტომის შინაარსში ეროვნულ საკითხს,  
ეროვნული საკითხის დარგში თეო-  
რიასა და პრაქტიკას საბჭოთა სახელ-  
მწიფოებრიობის განმტკიცებისა და  
განვითარების პირობებში ერთ-ერთი  
მთავარი ადგილი უჭირავს. მაგრამ  
იმავე ტომში აგრეთვე მნიშვნელოვან-  
ი ადგილი უკავიათ პარტიის სტრატე-  
გიისა და ტაქტიკისადმი მიძღვნილ  
სტატიებსა და სიტყვებს, რომ აღარა-  
ფერი ვთქვათ იმაზე, რომ მასალები,  
რომლებიც ეროვნულ საკითხს ეხე-  
ბიან, ამ უკანასკნელ საკითხს აშუქე-  
ბენ სოციალისტური მშენებლობის  
საერთო სტრატეგიის, საერთო ამოცა-  
ნების თვალსაზრისით.

სტატიაში „ჩვენი უთანხმოება“ გა-  
მანადგურებელი პასუხია გაცემული  
ტროცკისადმი, რომელმაც აშკარად  
გაილაშქრა პარტიის წინააღმდეგ-  
ამხილებს რა ტროცკის ანტიპარტიუ-  
ლი ხასიათის ცდებს, რომ პარტიის

მშვიდობიანი მშენებლობის პირობებ-  
ში მასობრივ-პოლიტიკური, მუშაობის  
დარგში (პროფკავშირებში) უკანაგონა  
იძულების სამხედრო მეთოდების გამოყენებას  
ანაგი სტალინი ღრმად განმარტავს გან-  
სხვავებას შეგნებულ დემოკრატიზმს  
შორის, რომელიც მასების დაჯერების  
მეთოდს, მათ პოლიტიკურ განათლე-  
ბას ემყარება, და იძულებითს „დემო-  
კრატიზმს“ შორის, რომელიც ბიურო-  
კრატიულ მეთოდებს ეყრდნობა. ამხა-  
ნაგი სტალინი ნათლად გვიჩვენებს.  
თუ საით წაიყვანდა პარტიასა და  
ჩვენს ქვეყანას პროფკავშირთა სა-  
კითხში ტროცკისტული პოზიციის ნი-  
ლება. ამხანაგ სტალინის სტატია „ჩვე-  
ნი უთანხმოება“ წარმოადგენს პროფ-  
კავშირთა შესახებ 1921 წელს წარ-  
მოებულ დისკუსიაში ლენინის ხაზის  
შესანიშნავ დაცვასა და დასაბუთებას.

მშვიდობიან მშენებლობასა და აღ-  
დგენითს პერიოდზე გადასვლის პი-  
რობებში პარტიული მუშაობის უმნი-  
შვნელოვანესი ამოცანებია დასახული  
სტატიაში „პარტია ძალაუფლების  
ხელში აღებამდე და მას შემდეგ“.  
ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშ-  
ნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ-  
დე ჩვენი პარტია იყო ბერკეტი ძველი  
წესწყობილების დასანგრევად, რუ-  
სეთში ექსპლოატატორული წესწყო-  
ბილების დასამხოზად, ხოლო სოცია-  
ლისტური რევოლუციის შემდეგ იგი  
გადაიქცა მშენებლობის პარტიად,  
მეურნეობის ახალი ფორმების შექმ-  
ნის პარტიად, და განსაზღვრავს შე-  
ცვლილი პირობების შესაფერი ახალი  
კადრების შექმნისა და გამოზრდის  
ამოცანებს. „წინათ შეიძლებოდა იო-  
ლად წავსულიყავით სამხედრო და სა-  
მეურნეო საქმის მცოდნენიც რომ არ  
გვეყოლოდა, რადგან პარტიის მუშაო-  
ბა უმთავრესად კრიტიკული იყო, კრი-  
ტიკა კი ადვილია... ახლა პარტია იო-  
ლად ვერ წავა, თუ საქმის მცოდნენი  
არ ეყოლა; ძველი სპეციალისტების

გამოყენებასთან ერთად მან უნდა გამოზარდოს თავისი მცოდნენი: მეყალიბენი, მომმარაგებელი, ოპერატორები (სამხედრო ხაზით). სასურსათო, სასოფლო-სამეურნეო მუშაკები, რკინიგზელები, კომპერატორები, ინდუსტრიის, საგარეო ვაჭრობის მცოდნენი (სამეურნეო ხაზით) ჯამისოდ შენება შეუძლებელია (გვ. 107-108). სტატია კონკრეტულ ამოცანებს სახავს სამეურნეო მშენებლობის ყველა ძირითადი ხაზით, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის.

სტატიაში „პერსპექტივები“ განსაკუთრებული სიღრმითაა დახასიათებული იმ პერიოდში (1921 წლის ბოლო) შექმნილი საერთაშორისო ვითარება. გამომედიანებულია საბჭოთა რუსეთზე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ახალი შემოტევის მზადების სხვადასხვა ფორმები. ამხანაგი სტალინი მთელი ძალით აყენებს საკითხს სიფხიზლისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცების შესახებ. „არმიასა და ზურგში კომუნისტების სიფხიზლეზე, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — სამეურნეო სარბიელზე ჩვენი მუშაობის წარმატებებზე, ბოლოს, წითელი არმიის სიმტკიცეზე, ზრის დამოკიდებული — მოვანერგებთ თუ არა, რომ ეს შემოტევა შეუძლებელი გავხადოთ. ან, თუ იგი მაინც მოხდება, შევძლებთ თუ არა გადავქციოთ იგი სასიკვდილო იარაღად მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ“ (გვ. 120). სტატიაში განსაკუთრებით არის აღნიშნული პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის კავშირის, როგორც საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლის, მნიშვნელობა და ის, რომ ამ კავშირის უწინდელი, ხელისუფლების დაპყრობის და სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური ფორმიდან აუცილებელია გადასვლა ახალ სამეურნეო ფორმაზე —

ქალაქისა და სოფლის ეკონომიურ კავშირზე.

მეხუთე ტომში პირველად ნათქვამი და შესანიშნავი დოკუმენტი — მონაზი-გვეგმა ბროშურისა „რუსეთის კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ“, რომელიც განსაკუთრებულ თეორიულ და პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენს. ამ დოკუმენტსა და სტატიაში „პარტია ძალაუფლების ხელში აღებად და მას შემდეგ“ და „რუსეთის კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის“, რაც აგრეთვე შეტანილია მეხუთე ტომში, ამხანაგი სტალინი აშუქებს ლენინის მოძღვრებას ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ.

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა პროგრამის, სტრატეგიისა და ტაქტიკის, მარქსიზმის საერთო თეორიასთან მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და განუყრელი კავშირის გენიალური განსაზღვრანი და ამ განსაზღვრათა აზრი გააშუქა ცოცხალი, მკაფიო მაგალითებით რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, ბოლშევიზმის ისტორიიდან. ამხანაგი სტალინი არ სჯერდება სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხების თეორიულ ანალიზს და პარტიის წინაშე სახავს მთელ რიგ კონკრეტულ ამოცანებს — დაუფლონ ბრძოლის ყველა ფორმასა და სახეს და აითვისონ ბრძოლის ამ ფორმებიდან გამომდინარე სხვადასხვა ფორმები მშრომელთა ორგანიზაციებისა.

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) 25-ე წლისთავთან დაკავშირებით ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილმა სტატიამ „რუსეთის კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის“ უდიდესი როლი შეასრულა კადრების მიერ ლენინიზმის შეთვისების და რთულ შინაპარტიულ და საგარეო პოლიტიკურ პი-

რობებში მათი ორიენტირების საქმეში.

თხზულებათა მეხუთე ტომში პირველად დიბეჭდა ამხანაგ სტალინის მიერ პარტიის XII ყრილობაზე გაკეთებული რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება ორგანიზაციულ საკითხზე. თავისი კონკრეტულობით, ორგანიზაციული პრინციპების ღრმა მარქსისტული განმარტებით და უახლოესი პერიოდისათვის საარსებო ამოცანების დაყენებით ეს მოხსენება პარტიულ კადრებს ლენინურ-სტალინური სტილით მუშაობას ასწავლის. ამხანაგ სტალინის ამ მოხსენებაში ჩამოყალიბებულია სამუშაოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და სხვა ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები. მასშივე ამხანაგმა სტალინმა ჩამოაყალიბა თავისი განთქმული თეზისი კადრების შერჩევისა და სწორი განაწილების მნიშვნელობის შესახებ. „არა მგონია, რომელიმე თქვენგანმა ამტკიცოს, — მიმართავდა ამხანაგი სტალინი ყრილობის დელეგატებს, — რომ საკმაოდ დავსახოთ კარგი პოლიტიკური ხაზი და საქმე დამთავრებულია. არა, ეს მხოლოდ საქმის ნახევარია. მას შემდეგ, რაც დასახულია სწორი პოლიტიკური ხაზი, აუცილებელია შევარჩიოთ მუშაკები ისე, რომ პოსტებზე იდგნენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ დირექტივების განხორციელების უნარი, შეუძლიათ გაიგონ დირექტივები, შეუძლიათ ეს დირექტივები მიიღონ როგორც თავისი ღვიძლი საქმე, და აქვთ მათი განხორციელების უნარი. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკას აზრი ეკარგება და ხელის ქნევად იქცევა“ (გვ. 210).

სტატიაში „ოქტომბრის რევოლუცია და საკითხი საშუალო ფენების შესახებ“ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საშუალო ფენების საკითხი მუშაობა რევოლუციის ძირითადი საკით-

ხია, და მოცემულია საშუალო ფენების განსაკუთრებით გულგულად მიმხრობისათვის ბოლშევიკური პროგრესის ისტორიული ახალიზი. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ საშუალო ფენების საკითხი სხვადასხვანაირად დგას სხვადასხვა ეპოქაში და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მარქსიზმის ვულგარიზაციას კაცუკისა და სხვების მიერ, რომლებმაც საშუალო ფენები გამოაცხადეს ბუნებით რეაქციულად და აქედან გამოიყვანეს საშუალო ფენების პროლეტარიზაციის, როგორც მუშათა რევოლუციის აუცილებელი პირობის, „თეორია“.

ტომის დასასრულ მოთავსებულია ამხანაგ სტალინის მოხსენება კრასნაია პრესნიას რაიკომის გაფართოებულ კრებაზე „პარტიის ამოცანების შესახებ“ და სტატია „დისკუსიაზე, რაფაილზე, პრეობრაჟენსკისა და საპრონოვის სტატიებსა და ტროცკის წერილზე“. ამხანაგი სტალინი ააშკარავებს პარტიაში წარმოშობილი დისკუსიის მიზეზებს, აგრეთვე პარტიის წინააღმდეგ ტროცკისა და მისი მომხრეების გამოხვედრის ანტიპროლეტარულ ჯვსეებს, არ სჯერდება ოპოზიციის წარმომადგენელთა გაკრიტიკებას და განსაზღვრავს პარტიის ამოცანებს შინაპარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და პარტიაში ანტილენინური მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. ამხანაგი სტალინი ილაშქრებს ოპოზიციის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ დაუსრულებელი დისკუსიით პარტიის ყურადღება და ძალები ჩამოეშორებინათ სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის საარსებო ამოცანებისაგან, ილაშქრებს პარტიის, როგორც „თანამოაზრეთა კავშირის“, ტროცკისტული განსაზღვრის წინააღმდეგ და გვაძლევს პარტიის ბრწყინვალე განსაზღვრას: „პარტია მარტო

თანამოაზრეთა კავშირი როდია, იგი გარდა ამისა, არის ერთიანად მოქმედთა კავშირი, მეზობლი კავშირი ერთიანად მოქმედთა, რომელნიც საერთო იდეური ბაზის საფუძველზე (პროგრამა, ტაქტიკა) იბრძვიან“ (გვ. 370); ამხანაგ სტალინის გამოსვლებმა ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ ორიენტაცია მისცეს პარტიას დისკუსიის საკითხებში, ამხილეს ანტილენინური არსი ოპოზიციისა, რომელიც ლენინიზმით ინიღბებოდა. ამხანაგ სტალინის გამოსვლებმა ხელი შეუწყეს ოპოზიციის იზოლაციას პარტიაში, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ოპოზიციის სამარცხვინო დამარცხება პარტიის XIII კონფერენციაზე.



\* ეპროვნილი

\* შიხლიძისა

დაუშრეტელია იდეური შინაარსი ი. ბ. სტალინის თხზულებათა ახალი, მეხუთე ტომისა, მისი შესწავლით ჩვენი კადრები კიდევ უფრო აიმაღლებენ იდეურ-თეორიულ დონეს, ახალ გაკვეთილებს მიიღებენ უდიდესი ბეზღების — ლენინისა და სტალინის გენიით წარმართული ჩვენი პარტიის სახელოვანი ისტორიული წარსულიდან. ყველა პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა დახმარება გაუწიონ პარტიულ და უპარტიო კადრებს ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმეში.

„კულტურა ი შიხნი“.

20 ივლისი.

## ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საფუძვლების შესახებ

★

I

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის გაგება, მისი საზოგადოებრივი შეხედულებების სწორი ახსნა და შეფასება, შეუძლებელია ისე, თუ წინასწარ გარკვეული არ იქნა ამ შეხედულებათა თეორიულ-ფილოსოფიური საფუძვლები. მაგრამ ვიდრე ამ საკითხის არსს უშუალოდ შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ ზოგადი ხასიათის შენიშვნები ორი საკითხის ირგვლივ: 1) რა აზრით ვლაპარაკობთ ჩვენ ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა ფილოსოფიურ საფუძვლებზე? და 2) როგორია ჩვენი თეოსაზრისი ილიას იდეოლოგიის კლასობრივ კუთვნილებასა და ხასიათზე?

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძე არ ყოფილა ფილოსოფოსი, და, მაშასადამე, არც გარკვეული ფილოსოფიური სისტემა შეუქმნია, მეტიც: საკუთრივ ფილოსოფიაზე მას ნაშრომი არც კი დაუტოვებია. მიუხედავად ამისა, თუ ვამბობთ, რომ აუცილებელია მისი ფილოსოფიური კონცეფციის გამოკვლევა, ამ შემთხვევაში სრულიად გარკვეულ მოსაზრებებს ვეყრდნობით.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ისტორია არსებითად ადამიანების მსოფლმხედველობათა ისტორიაა. აქედან გამომდინარეობს, რომ ამათუი

მოღვაწისა და მოაზროვნის მსოფლმხედველობის გამორკვევა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მის შეხედულებათა ფილოსოფიური საფუძვლების გამორკვევას, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის გამორკვევას, თუ როგორ ხსნიდა იგი ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების არსს, მათი განვითარების კანონებს, აგრეთვე აზროვნების პროცესს. გამოვდივართ რა ამ თეოსაზრისიდან, ილია ჭავჭავაძის მრავალფეროვანი და მდიდარი შემოქმედების კვლევისას ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვცდილობთ ვიპოვოთ ის საძირკველი, რომელზედაც აშენებულია მისი კონცეფცია, — ვიპოვოთ მისი შეხედულებების საერთო თეორიულ-ფილოსოფიური საფუძვლები.

მართალია, როგორც უკვე ვთქვით, საკუთრივ ფილოსოფიაზე ი. ჭავჭავაძეს ნაშრომი არ დაუტოვებია, მაგრამ სამაგიეროდ ფილოსოფიით გაელენთილია თითქმის შთელი მისი შემოქმედება<sup>1</sup>. გადაუჭარბებლად შეიძლება

<sup>1</sup> ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა მიეთითოს მისს ისეთ ღრმააზროვან, ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოებებზე, როგორცია: მოთხრობა „მგზავრის წერილები“, პოემა „განდევილი“, სტატიები — „საქართველოს მოამბეზად“, „ივერის“ წინასიტყვაობა, „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“ და სხვ.

ითქვას, რომ მე-19 საუკუნის საქართველოში არ ყოფილა მეორე ადამიანი თავისი განათლებით, ნიჭითა და გონების ძალით ისე მომზადებული ფილოსოფიური აზროვნებისათვის, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო. მისი ნაშრომების ყურადღებით შესწავლა გვარწმუნებს, რომ მას, თუ კი ისურვებდა, შეეძლო დაეწერა უაღრესად საინტერესო და ორიგინალური ფილოსოფიური შრომები.<sup>2</sup> მაგრამ მან ეს არ გააკეთა იმის გამო, რომ მისი დროის საზოგადოება არ იყო მზად ფილოსოფიური აზროვნებისათვის და ფილოსოფია არ იყო უპირველესი მოთხოვნილება მისი ქვეყნის მაშინდელი ვითარებისა. „ჩვენი საქმე,—ამბობს ილია სტატიკაში „საქართველოს მოამბეზედ“,—საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“. აქედან სავსებით აშკარად გამომდინარეობს, რომ მას არ შეეძლო დაეკარგა დრო და ენერჯია არაფერს ისეთზე, რაც უშუალოდ არ ემსახურებოდა მისი ხალხის მაშინდელ ინტერესებს. ამით აიხსნება, რომ მან შეგნებულად სამოღვაწეო ასპარეზად ლიტერატურა აირჩია.

<sup>2</sup> სხვათაშორის, ამ აზრის სისწორეში დარწმუნება შეუძლია ყოველ ადამიანს, რომელიც არ მოერიდება შრომას ვადათავალიეროს ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა. პირდაპირ გაოცებას იწვევს ის ღრმავაზროვანი შენიშვნები, რომლებსაც ილია წიგნის გვერდებზე უკეთეს სხვადასხვა იდეალისტ ფილოსოფოსთა შრომებს. მთავალითისათვის შეგვიძლია მივუთითოთ გერმანელი ფილოსოფოსის არტურ შოპენჰაუერის წიგნე „Свобода воли и основы морали“ (1887 წ. გამოც.), რომელსაც ილია თითქმის ყოველ ფურცელზე აკრიტიკებს. იგი მომდენილად დასცინის შოპენჰაუერის იდეალისტურ ბოძვას ეთიკის რაღაც საიდუმლო მისტიკაზე და სისულელეს უწოდებს შოპენჰაუერის მაღალფარდვან სიტყვებს, რომლებშიც შექმნილია იმანეთი კანტის ცნობილი მოძღვრება „საგანი თავისთავად“ არსებობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავიხსენოთ ლესინგის შესახებ ნ. ვ. ჩერნიშევსკის მიერ, ჩუქუბაძე შესანიშნავი სიტყვები, კრთმულნი ქვეთქმის უცვლელად შეიძლება იქნას განმეორებული ი. ჭავჭავაძის შესახებაც:

„გონებრივი მოღვაწეობის რომელი დარგისაკენაც არ უნდა ყოფილიყო მიმართული მისი საკუთარი მიდრეკილებანი, მაინც ლაპარაკობდა და სწერდა იგი მხოლოდ იმის შესახებ, რისკენაც მიმართული იყო ან მზად იყო მიმართულიყო მისი ხალხის გონებრივი ცხოვრება. ყველაფერი, რასაც არ შეეძლო ჰქონოდა თანამედროვე მნიშვნელობა, ერისათვის, როგორადაც საინტერესო არ უნდა ყოფილიყო პირადად მისთვის, არ იყო საგანი არც მისი თხზულებების, არც მისი მსჯელობისა... ყოველ ექვს გარეშეა, თუ კი იყო კანტამდე გერმანიაში ადამიანი, ბუნებით დაჯილდოებული ფილოსოფიისათვის, ეს იყო ლესინგი... ამავე დროს მას თითქმის არცერთი სიტყვა არ დაუწერია საკუთრივ ფილოსოფიაზე. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ არ იყო დრო წმინდა ფილოსოფია გამხდარიყო გერმანული გონებრივი ცხოვრების ცოცხალ ცენტრად,—და ლესინგიც სდუმდა ფილოსოფიის შესახებ. თანამედროვეთა გონებანი მზად იყვნენ გაცოცხლებულიყვნენ პოეზიით, ფილოსოფიისათვის კი ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად,—და ლესინგიც სწერდა დრამებს და განმარტავდა პოეზიას... ლესინგის მსგავსი ნატურისათვის ვისებობს სამსახური უფრო ძვირფასი, ვიდრე საყვარელი მეცნიერების სამსახურია, ესაა—სამსახური თავისი ხალხის განვითარებისათვის“.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის გონებრივი მოღვაწეობის სფერო უაღრესად ფართო და მრავალმხრივია. იგი არ კმაყოფილდება მხატვრული ლიტერატურით და თავისი მიზნებისათვის პოეზიასა და ბელეტრისტიკასთან ერთად არა-

ნაკლები წარმატებით იყენებს პუბლიცისტიკასა და ჟურნალისტიკას. მისი იდეები ერთნაირად არის ჩაქსოვილი, როგორც მის პუბლიცისტურ სტატიებში, ისე პოეტურ ქმნილებებში, ყოველ მის ნაწარმოებს საფუძვლად უდევს შეხედულებათა ერთიანი და მწყობრი სისტემა, — ავტორის გარკვეული და ნათლად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა.

აი, ამიტომ და ამ აზრით, ვლადიმერ კობთ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ შეხედულებათა ფილოსოფიურ საფუძვლებზე, რომლის გამოკვლევის გარეშე, ვიმეორებთ, შეუძლებელია ილიას შემოქმედების სწორი გაგება.

ამასთან, ჩვენ, რასაკვირველია, შეგნებული გვაქვს ის აზრი, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატსა და მღს ნაწარმოებზე არ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ მისი თეორიული შეხედულებების მიხედვით, ან სხვანაირად, რომ ვთქვათ, არ შეიძლება დავიყვანოთ მხატვარი მოაზროვნემდე, ე. ი. პოეტური ქმნილება — ლოგიკურ კატეგორიებამდე, მის პირდაპირ აზრობრივ შინაარსამდე, ისე, რომ არ გავუწყით ანგარიში ადამიანზე მისი ზედმოქმედების ძალას. ასე რომ იყოს, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებოდით უარგვეყო მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკა, რაც თვით მხატვრული ლიტერატურის უარყოფა იქნებოდა. სინამდვილეში ხშირია შემთხვევა, როდესაც რეალისტი მხატვარი ცხოვრების სინამდვილის გავლენით, ვატილებით მალა დგას, ვიდრე მის საკუთარ მოძიერებას შეეფერება. ამის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ლევ ტოლსტოი, რომელიც, ერთის მხრით (თავისი თეორიული მოძღვრებით), „ტოლსტოველობის“ მქადაგებელია, ხოლო მეორეს მხრით (თავისი მხატვრული ქმნილებებით), — რუსეთის რევოლუციის სარკეს წარ-

მოადგენს. ეს ყველაფერი უნობილია.

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველივე ეს მხედველობაში უნდა იქონიოს. მართალია, თვით ილია თავისი დროის უაღრესად მოწინავე მსოფლმხედველობის მატარებელია და ამის გამო არ იგარბნობა მკვეთრი განსხვავება მის თეორიულ კონცეფციასა და მხატვრულ შემოქმედებას შორის და მტრ წილად ორივე ეს მხარე ერთმანეთთან შეთანხმებული, ერთმანეთთან ჯადანასკვეულ-ჯადახლართულია, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როდესაც მთელ რივ ნაწარმოებებში ილიამხატვარი მალდდება საკუთარ თეორიულ შეხედულებებზე. ასეთ შემთხვევებში მისი გმირები აღარ ემორჩილებიან ავტორის მიერ მათთვის განკუთვნილ ნორმებს და იძენენ იმაზე უფრო მაღალ ესთეტიკურ ღირებულებას, ვიდრე ეს მათი ავტორის თეორიულ შეხედულებებს შეეფერება.

მაგრამ ამჟამად ჩვენი ამოცანაა მივყვეთ ილიას აზრთა დენას და გავარკვიოთ მისი, როგორც მოაზროვნის, კონცეფცია.

ასეთია ჩვენი შენიშვნები პირველი საკითხის გარშემო.

რაც შეეხება საკითხს ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიის კლასობრივი კუთვნილებისა და ხასიათის შესახებ, ჩვენ აქ არ ვისახავთ მიზნად ამ საკითხის დეტალურად განხილვას, მაგრამ მაინც აუცილებლად მიგვანია ეს საკითხი ზოგადად მაინც გავაშუქოთ, რამდენადაც ფილოსოფიური აზრები არასოდეს არ დაიყვანებიან წმინდა ლოგიკურ კატეგორიებამდე და ბევრის მხრით მუდამ განსაზღვრული არიან იმ პოზიციით, რომელიც ადამიანებს საზოგადოებაში უჭირავთ.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ყოველგვარი მეცნიერება ატარებს პარტიულ, კლასობრივ ხასიათს.

ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ მთელი სიცხადით დაამტკიცა, რომ სხვადასხვა მიმდინარეობათა ბრძოლა ფილოსოფიაში საბოლოო ჯამში გამოხატავს საზოგადოების სხვადასხვა კლასების ბრძოლას, მათი იდეოლოგიების ბრძოლას.

თვითონ ილიასაც არ სწამდა ზეკლასიური, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი და ცხოვრების ინტერესებზე მალამდგომი მეცნიერება. ყოველგვარ ცოდნას იგი უყურებდა, როგორც ცხოვრების გაუმჯობესების იარაღს, როგორც საშუალებას ხალხის უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად. „მეცნიერებას და ხელოვნებას, — ამბობს იგი სტატიაში „საქართველოს მოამბეზე“, — ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ტემპარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება, ზან უნდა მოგვეცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზე“.

აქედან ცხადია, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მიზნისათვის ილია ჭავჭავაძის კლასობრივი პოზიციების გარკვევას.

ილიას შესახებ არსებულ ლიტერატურაში ამ საკითხზე აზრთა დიდ სხვადასხვაობას აქვს ადგილი. მკვლევართა და კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე იყო ფეოდალთა კლასის იდეოლოგი. კრიტიკოსთა ეს ჯგუფი ილიას მთელ მოღვაწეობას განიხილავს როგორც თავად-აზნაურთა განწირული კლასის გადარჩენისაკენ მიმართულ მეცადინეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისის მომხრენი უკიდურეს დასკვნებამდე მიდიოდნენ და ილია ჭავჭავაძეს ფეოდალური წყობილების აპოლოგეტად ნათლავდნენ, მაინც უნდა ითქვას, რომ მათს მტკიცებაში არის სიმართ-

ლის ელემენტები. ობიექტურად მოითხოვს აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სრულიად უცხო იყო თავად-აზნაურთა ინტერესები და ცევა. მართალია, იგი სასტიკად ებრძოდა იმ ძველი თავად-აზნაურობის იდეოლოგიას, რომელიც განაგრძობდა ბატონყმური წყობილების დაცვას, მაგრამ კერძო საკუთრებისა და ფეოდალთა კლასის მოსაზრების საკითხი მას არასოდეს არ დაუყენებია. მისი მიზანი იყო გარდაეგმნა და გაეუმჯობესებინა შემამულური მეურნეობა და შეეგუებინა იგი ახალ ვითარებასთან, — კაპიტალიზმთან.

მიუხედავად ყოველივე ამისა, შეუძლებელია ილია ჭავჭავაძე საკუთრივ ფეოდალთა კლასის იდეოლოგიად გამოეცხადოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის სრულიად გაუგებარი იქნება მისი შემოქმედების მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი მხარეების აზრი და მნიშვნელობა.

მკვლევართა მეორე ნაწილი ამტკიცებდა, რომ ილია იყო ახალი, ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგი და კაპიტალიზმის განვითარების აქტიური მომხრეო. აი რას ამბობდა, მაგალითად, განსვენებული პროფ. სიმ. ხუნდაძე წერილში „ილია ჭავჭავაძე და ბატონყმობის საკითხი“: „ბურჟუაზიულმა აზროვნებამ ჩვენში, აღნიშნულ ეპოქაში, ორჯერ სცადა თავისი სამოღვაწეო პროგრამის წამოყენება: პირველად 1861—63 წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძის ჯგუფი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა; მეორედ, როდესაც ვაზეთი „დროება“ დაარსდა (1866 წ.) წერეთელ-მესხის მეთაურობით“ და შემდეგ: „აქ ჩვენს წინაშე სდგას (ლაპარაკია ილია ჭავჭავაძეზე, პ. რ.) ბურჟუაზიულად მოაზროვნე პიროვნება, რომელმაც მხოლოდ გარეგნულად შეითვისა „შრომის სუფევის“ პრინციპები, ხოლო არსებითად ამ პრინციპების ქვეშ გულისხმობდა:

სამართლიან შრომას, თავისუფლებაზე აგებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობას“<sup>1</sup>.

მკვლევართა ეს ჯგუფი, როგორც ზემომოყვანილი ციტატიდანაც სჩანს, ი. ჭავჭავაძეს და მის პირველ დასს სავსებით აიგივებდა გ. წერეთლის ხელმძღვანელობით არსებულ ბურჟუაზიულ მეორე დასთან და ილია ჭავჭავაძეს საქართველოში კაპიტალიზმის მედროშედ აცხადებდა. უნდა ვაღიაროთ, რომ მათს მტკიცებაშიაც უთუოდ არის სიმართლის ნაწილი.<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძის მრავალი ნაშრომი და აგრეთვე მთელი მისი პრაქტიკული მოღვაწეობა ამტკიცებს, რომ იგი მომხრე იყო კაპიტალიზმის განვითარებისა და წინააღმდეგ ხალხოსნებისა, არა თუ არ ეშინოდა მისი, არამედ მთელ თავის იმედებს ახალ ეკონომიურ ურთიერთობაზე ამყარებდა. იგი მოუწოდებდა ლიბერალურ თავად-აზნაურობას სათავეში ჩასდგომოდა საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას.

მაგრამ ყოველივე თქმულის მიუხედავად, არ იქნებოდა სწორი მხოლოდ კაპიტალისტთა კლასის იდეოლოგიად გამოგვეცხადებინა ილია და აქ დავესვა წერტილი. ასეთ შემთხვევაშიც ვერ გავივებდით მისი შემოქმედების მთელრიგ უმნიშვნელოვანეს და თვალსაჩინო მხარეებს.

დაბოლოს, მკვლევართა და კრიტიკოსთა მესამე ჯგუფი ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძე მტერი იყო როგორც მემამულეების, ისე ბურჟუაზიისა და

თავისი იდეოლოგიით მშრომელ ხალხის ინტერესებს გამოხატავდა. ამ შეხედულების მატარებლები უჭირად უკიდურეს დასკვნებამდე მიდიოდნენ და ილია ჭავჭავაძეს სოციალისტად და რევოლუციის თავგამოდებულ მომხრედ სახავდნენ, მაგრამ ამ უკიდურესობათა მიუხედავად, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მათს მტკიცებაში უთუოდ არის სიმართლის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი. ილია ჭავჭავაძემ მართლაც შესანიშნავი სტრატეგები უძღვნა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას და ზოტბა შეასხა სიმართლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს. იგი სიკვდილამდე დარჩა მშრომელი ხალხის მეგობრად და დაჩაგრულთა ერთგულ დამცველად. მიუხედავად ამისა, მისი გამოცხადება მართლ მშრომელი ხალხის იდეოლოგიად მხოლოდ განსაზღვრული აზრით შეეფერება სინამდვილეს, და, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ გამოხატავს მთელ სიმართლეს.

რით აიხსნება ეს, ერთი შეხედვით, უცნაური მოვლენა, რომ ყველა ზემოხსენებულნი, ერთიმეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისის მომხრენი კპოლობენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში საბუთს თავიანთი შეხედულებების დასამტკიცებლად?

ხომ არ იყო მართალი თვითონ ილია, როცა თავის თავს არცერთი წოდების (კლასის) წარმომადგენლად არასთვლიდა და მთელი ქართველი ერის სახელით ლაბარაკობდა?

ამ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემას მხოლოდ მაშინ შეესძლებთ, თუ გავითვალისწინებთ იმ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებას, რომელშიც მოღვაწეობა უზღებოდა ი. ჭავჭავაძეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია სა-მოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ორი საზოგადოებრივი ფორმაციის მიჯნაზე, როცა ძველი, ფეოდალური ურთიერთობა ირღვეოდა და მის ადგილს

<sup>1</sup> ს. ი. ხუნდაძე „ილია ჭავჭავაძე და ბატონყმობის საკითხი“ (იბ. ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, 1937 წ., გვ. 71 — 72).

<sup>2</sup> ამ მოსაზრებათა გამო, ჩვენ შემთხვევითად არ მივეაჩინა, მაგ., ის ვარაუთება, რომ ქართულ ლიტერატურაში პირველი და მეორე დასის მოღვაწეებს ჩვეულებრივ საერთო სახელს — „თორგდალეულებს“ უწოდებენ. ასეთი განუსხვავებლობისათვის, ჩვენის აზრით, არსებობს ერთგვარი საფუძველი.

იკერდა ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობა. ამ პროცესს ისტორიულად დამთხვევა ქართველი ხალხის ეკონომიური გაერთიანებისა და მისი ერთად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის დამთავრება, რასაც თან მოჰყვება მთელი ქართული კულტურის მძლავრი აღმავლობის ხანა — მისი ნამდვილი რენესანსის ხანა. ამ უალრესად რთულ ისტორიულ ვითარებაში ილია ჭავჭავაძე მოგვევლინა როგორც ქართველი ხალხის უდიდესი გამანათლებელი, როგორც ახალი ეპოქის მისწრაფებათა გამომხატველი, როგორც მედროშე განახლებული და აღმავალი ქართული კულტურისა. ამიტომ, თუმცა სავესებით მართალია ის დებულება, რომ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში საერთოდ შეუძლებელია წარმოედგინოთ მთელი ერის „საერთო“ ინტერესების არსებობა, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ილიას რწმენა — რომ ის იყო მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენელი, მთელი ერის ინტერესების გამომხატველი და დამცველი, — ეს რწმენა სრულიადაც არ ყოფილა საფუძველს მოკლებული. შეიძლება ასეთი მსჯელობა ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ სწორედ ასეთია საკითხის დიალექტიკური არსი. ილია ჭავჭავაძეს, როგორც საერთოდ ყოველ გამანათლებელს, გულწრფელად და ყოველგვარი ანგარების გარეშე სწამდა, რომ ემსახურებოდა არა ერთ რომელიმე კლასს, არამედ მთელ ქართველ ხალხს, განურჩევლად წოდებისა. ასეთი რწმენისათვის მას საფუძველს აძლევდა თავისი ეპოქის თავისებურებანი, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული ახლადჩასახული ეკონომიური ურთიერთობის ნამდვილი ბუნება, მისი ყველა წინააღმდეგობა და უკუღმართობა.

აი რას ამბობს ლენინი მსგავსი მოვლენის ასახსნელად წერილში „რა შემკვიდრებობაზე ვამბობთ უარს?“.

„ნუ დავივიწყებთ, რომ იმ ხანებში, როდესაც XVIII საუკუნის გამანათლებლები სწერდნენ *ქართული საზოგადოების აღიარებულ* (არაბთ ბურჟუაზიის წინამძღოლებად ითვლებიან), როდესაც სწერდნენ ჩვენებური გამანათლებელნი 40-ნიდან 60-იან წლებამდე, ყ ვ ე ლ ა საზოგადოებრივი საკითხი მაშინ ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით გამოიხატებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობანი და მათი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ არავითარ ანგარებას მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები არ იჩენდნენ, პირიქით, დასაგლეთშიც და რუსეთშიც მათ სავესებით გულწრფელად სწამდათ საზოგადოებრივ კეთილდღეობა და გულწრფელადვე სწამდათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (ნაწილობრივ ვერც შეეძლოთ ჯერ დაენახათ) იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა“.<sup>1</sup>

და შემდეგ:

„გამანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავისი განსაკუთრებული უურადლების საგანს, ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საზოგადოდ, არამედ ერზეც კი საზოგადოდ“.<sup>2</sup>

ლენინის ეს ძვირფასი მითითება სავესებით არკვევს ჩვენს პრობლემას. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ი. ჭავჭავაძეს ჰქონდა საფუძველი გულწრფელად ეფიქრა, რომ იგი წარმომადგენელია არა რომელიმე ცალკე კლასისა, არამედ მთელი ხალხის, მთელი ერისა. მართალია, ობიექტურად იგი, მე-18 საუკუნის გამანათლებელთა მსგავსად, აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგად

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 314.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 330.

უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მარტო ასეთი განმარტებით დაკმაყოფილება საკითხის სქოლასტიკური გადაწყვეტა იქნებოდა. სინამდვილეში, თუ ბურჟუაზიას იგი მომავლისადმი დამოკიდებულებითა და ევროპეიზაციისადმი მისწრაფებით მიეკუთვნებოდა, ხოლო თავდაზნაურობას თავისი წარმომადგენლებითა და მდგომარეობით,—სამაგიეროთ, მთელი თავისი არსებით, ფიჭრითა და გრძობით იგი ეკუთვნოდა უბრალო ხალხს, გლეხობას,—ამ უმრავლესობას ქართველობისას, ამ სულსა და გულს ჩვენის ეროვნულის იმედებისას.<sup>1</sup> გლეხი იყო ილიას სათაყვანებელი, მისი იმედი, და საკვირველი როდია, რომ მომავალი, უკეთესი საზოგადოების იდეალებს იგი სწორედ გლეხსა და მის გუთანს უკავშირებდა.

მაგრამ გლეხობა უკვე მაშინ არ იყო მთლიანი და ერთგვაროვანი მასა და გლეხთა დიფერენციაციის პროცესი დიდი ხნის დაწყებული იყო. გლეხობის ერთი ნაწილი ახალი ეკონომიური ურთიერთობის გავლენით პროლეტარიზაციის გზას ადგა და სულ უფროდაუფრო ლატაკდებოდა, მეორე ნაწილი კი სწრაფად იგდებდა ხელთ ქონებას და მდიდრდებოდა, ე. ი. იმავე ბურჟუაზიის რიგებს ავსებდა. ცხადია, რომ ასეთ პირობებში მთელ გლეხობას არ შეეძლო ჰქონოდა ცოტად თუ ბევრად მტკიცე და ხანგრძლივი საერთო ინტერესები. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ არაერთარ იდეოლოგიას არ შეეძლო შეერიგებინა თავდაზნაურობის, გლეხობისა და ბურჟუაზიის ინტერესები,—მათი სულ უფროდაუფრო მზარდი წინააღმდეგობანი.

ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებების, მისი მსოფლმხედველობის გამოკვლევისას ყოველივე ეს სა-

თანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მიხედვითად და უაღრესად მრავალმხრივი შემევიდროების შესწავლა, ყველა მისი ნაკლისა და მიღწევის სწორი ახსნა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის ეპოქის სრული დახასიათებისა და მაშინდელი ვითარების ყოველმხრივ გათვალისწინებისათვის ჩვენს მიერ შემონათქვამი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ამისათვის აუცილებელია მხედველობაში ვიჭონიოთ აგრეთვე ის ისტორიული ფაქტი, რომ მაშინდელი საქართველო მეფის რუსეთის უუფლებო კოლონია იყო და ცარიზმის მხრივ სასტიკ ნაციონალურ ჩაგვრას განიცდიდა. თუ რუსეთში პროგრესის ბედი დაკავშირებული იყო ბატონყმობის (შემდეგ კი მისი ნაშთების) მოსპობასთან,—საქართველოში ამასთან ერთად მთელი სიმწვავეით იდგა ნაციონალური ჩაგვრის მოსპობის პრობლემა. ნაციონალური საკითხი წარმოადგენდა საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრების ღერძს, და, ცხადია, რომ მას არ შეიძლებოდა გადაწყვეტი გაეღვნა არ მოეზდინა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ხასიათზე.

აჲ, ეს ზოგადი შენიშვნები გვინდოდა გაგვეკეთებინა წინასწარ, რათა გაგვეადვილებინა ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა ფილოსოფიური საფუძვლების გაგება.

## II

ახალგაზრდობაში ილია ჭავჭავაძე, ისევე როგორც ბელინსკი და ჩერნიშევსკიც, ვერ ასცდა ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის გავლენას.

თავის ერთერთ ადრინდელ დაუმთავრებელ წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“, ილია ამბობს: „პო-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1883 წ. აგვისტო.

ლიბი, რომელიც ძლივს აჩენს თავის სულიერობას, ისე ცხადად მოგვითხრობს ღვთის ძლიერებასა, როგორც მზე, ეს ქვეყნის მაცხოვრებელი მნათობი. ინფუზორია, რომელიც მილიონობით არიან ერთ მუცა წყალში, ისევე საკვირველნი არიან, როგორც მთარაობა მედიდურ ცაში მილიონთა პლანეტთა. ერთი მუცა ლაფის ნაწილთა დაკავშირება ისეთი საკვირველია, როგორც ვარდის მშვენიერების გამოცხადება. არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდბაალი საგანი, ყოველი საგანი მაღალია თავის კვალობაზე და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა". (ხაზი ჩემია, პ. რ.).

აქ ისე აშკარაა მსგავსება ჰეგელის „აბსოლუტურ სულთან“, რომ მისი იდეალისტური მოძღვრების გავლენა ექვს გარეშეა. (ცხადია, ვითარებას არ შესცვლის იმის დადგენა: უშუალო იყო ჰეგელის ეს გავლენა, თუ იგი რუსი მოაზროვნეების მეშვეობით მოხდა).

ამავე აზრს ადასტურებს ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებული ორი ფრანგმენტი, რომლებიც ამოღებულია ი. ჰაექჰაჰის ახალგაზრდობის-დროინდელი გამოუქვეყნებელი ხელთნაწერებიდან<sup>1</sup>. ამ ფრანგმენტებში ილია ეხება ესთეტიკის საკითხებს და იცავს იდეალისტური ფილოსოფიის პრინციპს — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. აი რას ამბობს იგი:

„ხელოვნება არის განზორციელება იდეისა, მისთვის გარე არა აქვს განზრახვა, მიზანი; იგი თავისთავშივე არის ჩაკეტილი და მისი პირდაპირი მიზანი არის ღარმონია, სიმთელე და მშვენიერება, რომელიც ერთად შეადგენენ ხელოვნებასა, ანუ უფრო მოკლედ

ესთქვათ, ხელოვნების მიზანი თვითვე ხელოვნებაა“.

მაგრამ ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის გავლენას ხელოვნებაზე დიდხანს არ გავრძელებულა. მისი გონებრივი განვითარება, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის თითქმის უასაწყისიდანვე, იდეალიზმის უარყოფისა და მატერიალისტური ფილოსოფიის ძირითად შეხედულებათა აღიარების გზით წავიდა. მან, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მსგავსად, ჩქარა უარყო ჰეგელი და გადაჭრით დადგა მატერიალისტური ფილოსოფიის პოზიციებზე.

ილია მატერიალისტურად სწყვეტს ფილოსოფიის ძირითად საკითხს და თავის უმთავრეს ნაშრომებში იძლევა ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა მატერიალისტურ ახსნას. ბუნება, მისი აზრით, არსებობს შეგნებისაგან დამოუკიდებლად და ადამიანს შეუძლია შეიცნოს იგი მეცნიერების საშუალებით. მეცნიერების მიერ მოპოვებული ცოდნა არის ნამდვილი ჰეგელიტი ცოდნა და იგი გვეხმარება არა მარტო შევიცნოთ ცხოვრება, არამედ ზედმოქმედებაც მოვახდინოთ სახე, მისი გარდაქმნისა და გაუმჯობესების მიზნით. თავის მრავალრიცხოვან სტატიებსა და წერილებში მას გამოთქმული აქვს შესანიშნავი აზრები მატერიისა და სულის ერთიანობაზე და ცნობიერებისა და ყოფიერების (ცხოვრების) ურთიერთდამოკიდებულებაზე. აი ზოგიერთი დამამახასიათებელი ამონაწერი:

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოქსწევენ, ისევე მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებამედ ამოსულნი შტოები—მეცნიერება და

<sup>1</sup> იხ. „ლიტერატურის მატანი“, წიგნი 1—2, გვ. 486.

ხელოვნება—ისმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევნ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე ვადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძვად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზე და ცხოვრებასა თავის რიგზე ცნობიერებაზე“.

ან:

„ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო,—ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება იმას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა“.

მაგრამ ილიას კვლევისა და გამოძიების საგანი უშუალოდ ბუნება როდია; მთელი მისი ყურადღება მიპყრობილია საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, რომელთა ახსნისათვის იგი წარმატებით იყენებს თავის მატერიალისტურ თვალსაზრისს. მის ნაშრომებში წარმოდგენილია მრავალი შესანიშნავი ნიმუში მატერიალიზმის დებულებათა მიყენებისა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა გასაშუქებლად. ილიას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრება არის ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად, სულიერი ცხოვრება კი არის მატერიალური ცხოვრების ასახვა, მისი ანარეკლი. მას ესმოდა აგრეთვე, რომ სულიერი ცხოვრება თავის მხრივ უკუმოქმედებს ახდენს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების განვითარებაზე; რომ ახალი საზოგადოებრივი იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებანი და სხვ. მას შემდეგ, რაც ისინი ცხოვრებისაგან წარმოიშობიან, თავის მხრივ გავლენას ახდენენ ცხოვრებაზე და აჩქარებენ მის წინსვლას.

„ყოველი საჭიროება, — ამბობს იგი,—ცხოვრებიდან წარმოდგება, თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ

მიაყნობთ ისე, რომ ამ ნაშრომში იხიროს და ნაყოფი მოიტანოს მართა ის საქმეა მკვლევარს, რომელიც, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდღედამიწოდ“.

ან:

„ჩვენ გვიწოდოდა გვეჩვენებინა, რომ ცხოვრება არ გამოიჭრება ზოლმე კაციისაგან მოგონილ რიკრიკაზედ; რომ თუმცა იგი ბერდება, მაგრამ თვითონვე გადაძლევს ზოლმე თესლს მომავალ გადახალისებულ ცხოვრებისათვის; რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჰქვის და გამოხატულობის ვარჯიშობისაგან; რომ ისინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების მეოხებით და მერე თვითონ მიჰყავთ ცხოვრება წინა“.

მსგავსი ამონაწერები შეგვეძლო მრავლად მოგვეყვანა. ილიას შეხედულებები კაცობრიობის ისტორიის განვითარების პროცესზე პირდაპირ გაკვირვებას იწვევენ თავიანთი სიღრმითა და მეცნიერულობით. ამ მხრივ ილია ქვეყანაზე მთელი თავით მალა იდგა ფრანგ მატერიალისტებზე (და საზოგადოდ მექანიკური მატერიალიზმის ყველა წარმომადგენელზე), რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ქვეყანას შეხედულებანი მართავენო, ისევე, როგორც მალა იდგა ხალხონებზედაც, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ისტორიას ქმნიან ცალკეული გამოჩენილი პიროვნებანი—„გმირები“, ხოლო ხალხი, „ბრბო“ შეუგნებლად მიჰყვება მათო.

ისტორიის პროცესზე ილიას შეხედულებათა გამოსარკვევად მეტად საინტერესო მასალას იძლევა მისი ერთი წერილი, რომელსაც სათაურად აქვს „ძველი საქართველოს ეკონომიური

წყობის შესახებ“. აი რას ამბობს იგი ამ წერილში:

„ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუძუმწავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერთობ ხალხი იქნეს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში.

„ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა აღუბნელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის-ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია-საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა“.<sup>1</sup>

ასეთი ღრმამეცნიერული და მანამდე სრულიად უცნობი თვალსაზრისით ცდილობს ილია ისტორიული მოვლენების ახსნას. მაქ კარგად იცოდა, რომ მართალია, ისტორიული მეცნიერების მაშინდელი ჩამორჩენილობის გამო „არც ერთი ისტორიული საბუთი არ უდევს სარჩულად არც ერთს ისტორიულ ფაქტს ჩვენის ხალხის ცხოვრებისას“, მაგრამ მაინც არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელ-

საც ვერაიენ უარს ვერა მკრფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისასთან დაკავშირებულია“. ეს ისტორიული მოვლენაა „ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თვისის ცხოვრებითა და პეითმოქმედებითა... ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედ-მიყოლებით და განუწყვეტლივ ისი წელიწადი მაინც ერთად“, თითქმის მთელი თავისი ისტორიის მანძილზე „საქართველო დღე-ღა-ღამ იარალით ხელში იდგა“ და მოსეული მტრის წინააღმდეგ განუწყვეტლივ „იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენმა ქვეყანამ ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და „არავისი ვალი და ვაზში არ დასდებია“.

„ესთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობაო“, — ამბობს ილია და ამაში საკვირველს არაფერს ხედავს. „საკვირველი ეს არის—რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰყვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვეოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარალით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო,—და საზრდოებებს ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“.

ამ უაღრესად ძნელ კითხვაზე ილია ასეთ ფრთხილსა და ბრძნულ პასუხს იძლევა:

„ყოველს ამ საგანზედ შეძველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის-ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეგვიწყობს, ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმართ შეძველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უიქ-

<sup>1</sup> ამავე აზრს გამოსთქვამს ილია კიდევ უფრო იდრე დაწერილ ერთ კერძო წერილშიც. ერისთავისადმი. „ეგ ოზერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებს და მეფეების ისტორიაა. ერი არსადა ჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების საზე არ მიზიდავს ხოლმე, საქმე ხალხია—და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტყენივ“ და განათხვავ არსით არა“. (ი. ჯ. ნაწ. სრ. კრ., 1929 წ. ტ. I, გვ. 371).

ველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ-ლო-ნე, რომლითაც იგი გასძღვლია ამჟღედნა ვაი-ვაგლახსა და ომებსა, ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს-შესანიშნავე და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინა ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვეცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა. ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით გაზეთის მოკლე წერილში. სწორედ მოგახსენოთ, ამისთვის არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო. ხოლო ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ვგონებთ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრი მკითხველსაც განუვზიაროთ“.<sup>1</sup>

ამის შემდეგ ილია გამოსთქვამს მეტად საყურადღებო მოსაზრებებს ძველი საქართველოს ეკონომიური ცხოვრების შესახებ და ცდილობს თავის მიერ დასმული კითხვა ეკონომიური წყობილების თავისებურებებით ახსნას. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, აქ საქმე ის კი არ არის, სწორია თუ არა თავისთავად ილიას მიერ მოცემული ახსნა ძველი საქართველოს ძლიერების მიზეზებისა, საქმე ისაა, რომ „მან ჯერ კიდევ 1880 წელს აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა“.<sup>2</sup>

ეს იყო სრულიად ახალი, იმ დროისათვის უჩვეულო აზრი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა. საქართველოს ისტორიოგრაფიაში დასრულდა მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს.

ი. ჭავჭავაძის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგების ერთერთ შესანიშნავ მთავალთს წარმოადგენს მისი აზრები პიროვნების, გამოჩენილი ადამიანების როლზე ისტორიაში. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ღრმად მეცნიერული იყო ილიას თვალსაზრისი და რა ახლოს იყო იგი ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ გაგებასთან, მოვიყვანოთ ერთი დამახასიათებელი ამონაწერი:

„ცხოვრების ტალღა, — ამბობს იგი სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ,“ — მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააბობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემობერტყავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციღამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერ მხრებით ამობტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მღებარეობასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოური-

<sup>1</sup> „თბ. სრ. კრებ.“, 1941 წ. ტ. II, გვ. 484 — 5.

<sup>2</sup> აკად. ი. ჯავახიშვილი, მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის გამოცემა, 1938 წ.

ყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგომელ დუტილში ამოუვლია ზედაპირზედა, — ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა, ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს“.

ასეთია ზოგად ხაზებში ილიას მატერიალისტური თვალსაზრისი ბუნებასა და საზოგადოებაზე. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ეს მატერიალიზმი ბევრად მაღლა დგას ევროპის მარქსამდელი მატერიალიზმის ყველა სახეობაზე, მათ რიცხვში ფეიერბახის მატერიალიზმზე. წინააღმდეგ მეტაფიზიკოს-მატერიალისტებისა, ილია ქვეყნაძე მიხვედრილია იმ დიდ აზრს, რომ იდეათა მსვლელობას განსაზღვრავს საგანთა მსვლელობა, რომ საზოგადოებრივი მდგომარეობა ჰქმნის საზოგადოებრივ შეგნებას.

მატერიალისტური თეორიის ასეთ სიმალღეზე ასევე წარმოდგენილი იქნებოდა დიალექტიკური მეთოდის მომარჯვების გარეშე. ილია ქვეყნაძისათვის, სრულიადაც არ იყო უცხო აზროვნების დიალექტიკური წესი და იგი მას ძალიან ხშირად შესანიშნავად იყენებდა. მის უმთავრეს თეორიულ ნაშრომებში მოცემულია დიალექტიკის გამოყენების მრავალი ჰეგელიანური ბრწყინვალე ნიმუში.

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო ახლოს.

### III

თავის სახელგანთქმულ სტატიაში — „საქართველოს მოამბეზედ“, ილია ამბობს: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალეზზე ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისთვისა. წესი,

ჩვეულება, აზრი, გრძობა, ენა, რომელიც მაგათი გამოქვეყნებულია ყოველიფერი იცვლება მისი მდგრადი ნიშანგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჰეგელიანობად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე რომ ის დღეს გაუფლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ კიდევ გვიკვირს, აღრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჰეგელიანობად, როგორ არა ჰქონია იმოდენი გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის — თეთრი. ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ აღრინდელეზზე ჰეგელიანები ვართ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ აღრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით“.

ეს სიტყვები, რომლებიც ჯერ კიდევ ამ მან წლის წინათ დაიწერა, ჩვენ მიგვაჩნია დიალექტიკური აზროვნების ერთერთ შესანიშნავ ნიმუშად. ი. ქვეყნაძის თეორიულ ნაშრომთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი კარგად იცნობდა და ხშირად საკმაოდ ეფექტიურადაც იყენებდა დიალექტიკის მთელ რიგ უმთავრეს მოთხოვნებს, — მის დამახასიათებელ მთელ რიგ ძირითად ნიშნებს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ღრმად ჰქონდა შეთვისებული ილიას აზროვნების დიალექტიკური წესი, მივუთითებთ მის შესანიშნავ სტატიაზე „უარყოფილება ჩვენში“. როგორც ცნობილია, დიალექტიკა წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „დიალეგო“, რაც ნიშნავს პოლემიკურა საუბრის წარმოებას. „ძველად დიალექტიკა-

ში, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — გულისხმობდნენ ხელოვნებას — მიეღწიათ ჭეშმარიტებისათვის მოწინააღმდეგის მსჯელობაში წინააღმდეგობათა გამოაშკარავებისა და ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით. ძველად ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობდა, რომ წინააღმდეგობათა გამოძლევა აზროვნებაში და დაპირისპირებული აზრების შეჯახება წარმოადგენს ჭეშმარიტების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებას. აზროვნების ეს დიალექტიკური წესი, რაც შემდეგ გავრცელებული იქნა ბუნების მოვლენებზე, გადაიქცა ბუნების შეცნობის დიალექტიკურ მეთოდად, რომელიც ბუნების მოვლენებს იხილავდა, როგორც მუდამ მოძრავსა და ცვალებადს, ხოლო ბუნების განვითარებას, — როგორც ბუნებაში წინააღმდეგობათა განვითარების შედეგს, როგორც ბუნებაში დაპირისპირებული ძალების ურთიერთმოქმედების შედეგს.<sup>1</sup>

ქვემოთ მოგვყავს ერთერთი მაგალითი მსჯელობის, რომელიც უდავოდ ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძეს საუცხოოდ ჰქონდა შეთვისებული აზროვნების ეს დიალექტიკური წესი:

„მთელი ისტორია კაცობრიობისა, — ამბობს ილია სტალინი „უარყოფილობა ჩვენში“ — ყოველ-გვარს სფეროში, საცა-კი აღამიანს წარმატების ძლევაში იღებდა მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის რა, გარდა გაუთავებელის ჭიდილისა „ჰოსა და არას“ შორის. ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველივე საქმე, რაც კაცობრიობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების, გულის, გონების განსაკარგებლად, გასაძლიერებლად, წარსამატებლად, ამ ჰოსა და არას ჭიდილით მოუბოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვ-

რების ასე თუ ისე გაწყობისას და გარიგებისას, სხვა გზა არა ჰქვს ერთადერთის გზის მეტი. რა ჭეშმარიტება მოვლენასაც-კი, კაცთა ჭეშმარიტება გონებიდან გამოსულს, გულში ჩაბედავთ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული. მართალია, გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსი თუ არასი, ყოველთვის არ ნიშნავს ჭეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰოსა და არას ჭიდილია ერთად-ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ერთის მეცნიერის ბრძენსაგან, რომ ცდომისაკენ ათასი გზა მიდისო და ჭეშმარიტებისაკენ-კი მარტო ერთად-ერთიო. ეს ერთად-ერთი გზა ჰოსა და არას დაპირისპირებაა.

ამიტომაც, უარყოფა ცალკე, ჰოსთან არ-დაპირისპირებული, არ-შეჭიდებული, ჭეშმარიტების სვის ვატანაში სრულად უღონოა, როგორც ჰო, ამ შემთხვევაში ცალკედ უღლის მწვეველი. შეჭიდება ჰოსი და არასი, მათი ერთმანეთთან დაპირისპირება და ამ გზით კვლევა მართლისა, კრიტიკაა. კრიტიკა ბუნებითად ისეთი რამ არის, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთისა და იმავე საგნის კვლევაში ჰოსაცა და არასაც ამოქმედებს მართლის გამოსარკვევად და გამოსაჩენად.<sup>2</sup>

აზროვნების სწორედ ეს წესი გადაიქცა შემდგომში დიალექტიკურ მეთოდად, რომელმაც მარქსის ხელში სრულყოფას მიაღწია და რომელსაც მთელი რიგი ძირითადი ნიშნები ახასიათებს. ამავე გზით მიდიოდა ილია ჭავჭავაძეც, როგორც მოაზროვნე. იგი, როგორც უკვე ვთქვით, კარგად იცნობდა დიალექტიკური მეთოდის მთელ რიგ უმთავრეს მოთხოვნებს და ხშირ შემთხვევებში ეფექტიურადაც იყენებდა მათ.

ენახოთ ეს კონკრეტულ მაგალითებზე.

<sup>1</sup> ი. ს. ტა ლ ი ნ ი, „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, „საქ. კ. 3. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 136.

მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის პირველ ძირითად ნიშანს ამხანაგი სტალინი ასე აყალიბებს:

„წინააღმდეგ მეთადიზიკისა, დიალექტიკა იხილავს ბუნებას არა როგორც ერთმანეთისაგან მოწყვეტილ, ერთმანეთისაგან იზოლირებულ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საგნების, მოვლენების შემთხვევითს თავმოყრას, — არამედ როგორც შეკავშირებულს, ერთიან მთლიანს, სადაც საგნები, მოვლენები ორგანიულად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, დამოკიდებული არიან ერთმანეთისაგან და განაპირობებენ ერთმანეთს.“

ამიტომ დიალექტიკური მეთოდი სთვლის, რომ ბუნებაში არცერთი მოვლენა არ შეიძლება იქნას გაგებული, თუ მას ავიღებთ იზოლირებული სახით, გარეშო მოვლენებთან დაკავშირების გარეშე, ვინაიდან ყოველგვარი მოვლენა ბუნების ყოველ სფეროში შეიძლება უპირობად გადაიქცეს, თუ მას განვიხილავთ გარეშო პირობებთან კავშირის გარეშე, მათგან მოწყვეტით, და, პირიქით, ყოველგვარი მოვლენა შეიძლება გაგებულ და დასაბუთებულ იქნას, თუ მას განვიხილავთ გარეშო მოვლენებთან მის განუწყვეტელ კავშირში. გარეშო მოვლენებისაგან მის განპირობებში“.

ილიას ნაშრომთა განხილვა დიალექტიკის ამ ნიშნის დებულებათა თვალსაზრისით უდავოდ ცხადყოფს, რომ ჩვენი ავტორი საესეებით დიალექტიკის ამ დებულებათა სიმალღეზე დგას. მას კარგად ესმის დიალექტიკის ის აუცილებელი მოთხოვნა, რომ ყველაფერი დამოკიდებულია პირობებსა, ადგილსა და დროზე და, რომ „რაც მართებულია ერთ ისტორიულ ვითარებაში, შეიძლება უმართებულო აღმოჩნდეს სხვა ისტორიულ ვითარებაში“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ი. სტალინი — „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალიზმი საქობში“, გვ. 227.

ამ აზრის საილუსტრაციოდ საქობისა და ვასახელოთ თუნდაც, რისი შესანიშნავი „წერილები მსოფლიო მსოფლიო კართულ ლიტერატურის მემღნიც მოცემულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერალთა შემოქმედების კრიტიკული განხილვა. ამ ნაშრომებში ილია, ვიდრე უშუალოდ მწერლებს შეეხებოდეს, იძლევა მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიული ვითარების მიმოხილვას და მიუთითებს იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩვენი ლიტერატურის ხელახალი აღორძინება.“

როგორც ცნობილია, ამ დროს ქართული ლიტერატურის სარბიელი შემოიფარგლებოდა თითქმის მხოლოდ ლირიკული პოეზიით. ამ ფაქტს ილია ასეთ ახსნას აძლევს: „რაკი საზოგადოებრივება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მართო თავის-თავილა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარემოსაგან ლტოლვილი თვალი — თავის საკუთარ გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა“.

ქართულ მწერალთა (ალ. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, რაფ. ერისთავი) მოღვაწეობისა და შემოქმედების განხილვას ილია იძლევა არა იზოლირებულად, ერთმანეთისაგან მოწყვეტით, არამედ ერთმანეთთან კავშირში, და იმ დროის ვითარებასთან კავშირში. აი, მაგალითად, რას ამბობს იგი ალ. ჭავჭავაძისა და გ. ორბელიანის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

„ამ სახით თ. გ. ორბელიანი განმგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა, და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შეხარისით, ისე ფორმითაც, რადგანაც ამან სრულად განდევნა სპარსული კი-

ლო და მითოლოგიურ სახელებით აქრელება სიტყვიერებისა, რომელშიაც, ცრტა არ იყოს, წილი უდევს თ. ალ. ჭავჭავაძეს. ამას ჩვენ წინ წაწევას და წარმატებას საქმისას ვეძახით და ვსთვლით განუწყვეტელ ჯაპვად აზრთა ზრდისა ზედმიყოლებით, იმიტომ, რომ აქ ერთი მეორეს ერთვის, როგორც ცალ-ცალკე ტოტი ერთსა და იმავე მდინარესა, და ერთი მეორისაგან გამოდის, როგორც თესლისაგან ნაყოფი სადღესოდ და ნაყოფისაგან თესლი სახვალოდ“.<sup>1</sup>

ვფიქრობთ, აქ კომენტარიები ზედმეტია. მსგავსი ამონაწერების მოყვანა შეიძლება ი. ჭავჭავაძის სხვა ნაწარმოებებიდანაც. წერილში „თერგდალეულები“ და „ახალი თაობა“, ილია ამბობს:

„როცა, მაგალითად, ახალს თაობაზე ვლაპარაკობთ, განა მარტო ის ორი ძალა—წინანდელი თაობა და უცხო მწერლობა, უნდა ექონიოთ მხედველობაში? არა. ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ცხოვრებაში სხვა მრავალი ძალა მოქმედობს, და დროზე არის დამოკიდებული ერთისა ან მეორის ზემოქმედების სიღრმე და სიგანე. ეს სხვადასხვა ძალა ზოგჯერ თანაბრად მოქმედებენ და ერთი მეორეს ხელს უწყობს, ზან ერთი მეორეს ეწინააღმდეგება და გზაზე ეღობება, და აი სად არის მიზეზი ცხოვრების მოვლენათა რთულობისა და მრავალ-ნაირობისა“.

საკითხების ანალოგიურ დაყენებას ვხედავთ აგრეთვე იმ შესანიშნავი წერილების სერიაში, რომლებსაც საერთო სათაურად აქვთ „აი ისტორია“ და რომლებშიც მოცემულია ხალხოსან ივანე ჯაბაძარის ყალბი ისტორიული კონცეპციის გამანადგურებელი კრიტიკა. ილია ჭავჭავაძე აქაც დიალექტიკის მომარჯვების არა ერთ მაგალითს წარ-

მოგვიდგენს. მას „ისტორიის კოლოსოფიის ანბანად“ მიაჩნია ის აზრი, რომ „ყველა დროს თავისი უცხოელები“ და რომ „ქვემარტივმა სტორიულმა კეთილთარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შეიღწევა“.

იგივე აზრით განვითარებული ი. ჭავჭავაძის ერთ მეტად საინტერესო „შინაურ მიმოხილვაში“, რომელიც დაწერილია 1885 წლის თებერვალში და მისი მსოფლმხედველობის გასაგებად ბევრის მხრით არის საყურადღებო. ამ წერილზე შეიძლება მივეუთითოთ, როგორც ნიმუშზე იმ აზრის საილუსტრაციოდ, თუ რა ღრმად ჰქონდა შეთვისებული ჩვენს ავტორს დიალექტიკის აუცილებელი მოთხოვნა: რომ ყველაფერი დამოკიდებულია პირობებსა, ადგილსა და დროზე.

„კეთილი და ბოროტი, — ნათქვამია ამ მიმოხილვაში, — ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა, უტყვეს ბუნების წინაშე არ არსებობს ეს განსხვავება. ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის და რადგანაც ადამინი ყველგან ადამიანია, მაშასადაე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორესათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის“.

და შემდეგ: „რაც გუშინ ცოდვად აღიარებულია, დღეს ის მადლად მიგვაჩინია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა. რაც ერთს შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში“.

და, ბოლოს „... აზრი ცხოვრების იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ეამი რას ითხოვს“.

სხვა მიმოხილვაში, რომელიც დაწერილია 1882 წლის აპრილ-მაისში, ილია ამბობს: „შემოქმედებითი ძალი ცხოვ-

<sup>1</sup> „თხ. სრ. კრებული“, 1941 წ., ტ. II, გვ. 81.

რებისა სათავეა ყოველის წარმატებისა“ და განაგრძობს. „რაკი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ დაიძრა შემოქმედებითი ძალი, ერთის ნაშრომად სხვა ნაშრომად საგანი ზედ მოჰყვება, ერთი მეორეს ქმობს, მეორე მესამეს და ეგრე გაბმის ზოლზე ის ფერადი გრებილი ცხოვრების მოძრაობისა, რომელსაც ისტორიას ეძახიან“.

მსგავსი აზრები მრავლად არის გაბნეული ილიას ნაწერებში, მაგრამ ვფიქრობთ ციტატები საყარისია.

ასეთია ი. ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნის დამოკიდებულება დიალექტიკის ერთერთ ძირითად ნიშანთან.

მარქსისტული დიალექტიკის დამახასიათებელ მეორე ძირითად ნიშანს ამხანავი სტალინი შემდეგნაირად აყალიბებს:

„წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, დიალექტიკა იხილავს ბუნებას არა როგორც მყუდროებისა და უმოძრაობის, შეჩერებისა და უცვლელობის მდგომარეობას, არამედ როგორც განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვლილების, განუწყვეტელი განახლებისა და განვითარების მდგომარეობას, სადაც მუდამ რაღაც წარმოიშეება და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოკმული ხდება.“

ამიტომ დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს, რომ მოვლენები განხილული იქნას არა მარტო მათი ურთიერთკავშირისა და განპირობებულობის თვალსაზრისით, არამედ მათი მოძრაობის, მათი ცვლილების, მათი განვითარების თვალსაზრისითაც მათი წარმოშობისა და კვდომის თვალსაზრისით.

დიალექტიკური მეთოდისათვის უწინარეს ყოველისა მნიშვნელოვანია არა ის, რაც აშემაღ მტკიცედ გვეჩვენება, მაგრამ უკვე კვდომას იწყებს, არამედ ის, რაც წარმოიშეება და ვითარდება, თუნდაც იგი ახლანდელ მომენტში არამტკიცედ გამოიყურებოდეს, ვინაიდან ამ მეთოდის მიხედვით დაუძლეველია

მხოლოდ ის, რაც წარმოიშეება და ვითარდება“.

თუ ილია ჭავჭავაძის ნაწერებში დიალექტიკის ამ მეორე ნიშანს დავხაზავთ, მიხედვით განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ მისი ნააზრები ამ შემთხვევაშიაც საყვარელი დიალექტიკის დებულებათა სიმძლავრე დგას. თავის პირველსავე სერიოზულ ნაწარმოებებში ილია გადაჭრით ემიჯნება მეტაფიზიკას, ზურგს აქცევს და ჰგმობს მყუდროებისა და უმოძრაობის მდგომარეობას, უარყოფს უცვლელობისა და შეჩერება-გაყინულობის თეორიას და მტკიცედ დგება მოძრაობის თვალსაზრისზე, — ბუნების განუწყვეტელი ცვლილების, განახლებისა და განვითარების თვალსაზრისზე. ამ მხრივ, მეტად საინტერესო მასალას იძლევა მისი „მეზავრის წერილები“. ამ შესანიშნავი ნაწარმოების ის ადგილი, სადაც მოცემულია მყინვარისა და თერგის ცნობილი შედარება საუცხოოდ გვიხსნის ი. ჭავჭავაძის მიდგომას ბუნების მოვლენებისადმი, მის მეთოდს. ეს შედარება ჩვენ მიგვაჩინა მეტაფიზიკური და დიალექტიკური აზროვნების დაპირისპირებისა და პირველის წინაშე ამ უკანასკნელის უპირატესობათა აღიარების უაღრესად მკაფიო ნიმუშად.

გავიხსენოთ ეს ადგილი:

„მყინვარი.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მკვირვებს და არ მალეღვებს, მაციებს და არ მათბობს, — ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი, აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლის ყაყანი, ქვეყნის აეკარგი მის შიდალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედაშიწაზე უღდა, თავი კი ცას მოუბჯენია. განზე გამდ-

<sup>1</sup> „საგ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 137.

გარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მავისთანა სიმაღლე, არც მავისთანა განზედ გადავომა, არც მავისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული ვიცი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავის და აბლავლებს თავის ვარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გაალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გავლიძებულის ცხოვრებისა, ამაღლეგებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სიხანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა... არა, მყინვარი არ მიყვარს, მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი... ნეტავი შენ, თერგო, იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადებ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის დონისა და სიციცხლის მიშცემი".<sup>1</sup> (ხაზი ჩემია, პ. რ.).

შემდეგ:

„დაღამდა... ყველა დაღუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად

მარტო არა ხარ... ამ ღამეს ვერძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის/ჩივილის შუა არის რაღაც დაუძვინკვეთელი, ქავეშირი, არის რაღაც თანხვედრითი... ეს ამონაწერები არავითარ ეჭვს აღარ სტოვებენ ჩვენს მიერ ზემოთგამოთქმული დებულების სისწორეში.

თავიდანვე დგება რა მოძრაობის აღიარებისა და ბუნების განუწყვეტელი ცვლილება-განვითარების თვალსაზრისზე, ი. ჭავჭავაძე წარმატებით იყენებს ამ თვალსაზრისის საზოგადოებრივ მოვლენათა ასახსნელად. მას ესმის, რომ საზოგადოებრივი მოვლენები განხილული უნდა იქნან არა მარტო მათი ურთიერთკავშირის განპირობებულობის თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე მათი მოძრაობის, ცვლილება-განახლებებისა და განვითარების, მათი წარმოშობისა და კვდომის თვალსაზრისითაც.

აი რას ამბობს იგი 1881 წელს დაწერილ ერთერთ უაღრესად საყურადღებო „შინაურ მიმოხილვაში“:

„ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის — რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარო და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა — ბევრს მაინც ძელსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოაქცივა ზოლმე. ეზლა ეგ წყობა დაიჭირს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაცვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც

<sup>1</sup> ასეთივე აზრი აქვს გამოქვეყნებული ილიას წერილში „ახალი დასის მოლოდინში“, სადაც ნათქვამია, „საცა მოძრაობაა, იქ სიციცხლედ არის“.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, „შინაურ ნაწარ ერთ-ტომეული“, 1937 წ. გვ. 296-98.

მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ზოლმე მოპირდაპირედ. ესე მიღის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სელას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის რა გარდა ამნაირად ფეხის გადაწელებისა“.

გამომდინარეობს რა ასეთი თვალსაზრისიდან, ი. ჭავჭავაძეს ესმის აგრეთვე, რომ დაუძლეველია არა ის, რაც ამჟამად მტკიცედ გვეჩვენება, მაგრამ რამაც უკვე მოსჭამა თავისი დრო და კვდომას იწყებს, არამედ ის, რაც წარმოიშვება და ვითარდება, ან რასაც აქვს თავისი არსებობის საბუთი. ეს დებულება ილიას მიაჩნია ქვეყნის წარმატების კანონად, პროგრესის იმედად.

აი, რას ამბობს იგი ერთი კერძო საკითხის გამო:

„თვალ-აზნაურობას, თუ მთლად არა, ნაწილს მაინც უგრძენია, რომ დროთა-ვითარებას, ცხოვრების მოთხოვნილებას უნდა კაცი შეუფეროს და ისე ამოირჩიოს. თუ ჯერ ეს აზრი ყველას ვერ შეუთვისებია სხვადასხვა მიზეზისა გამო, და თუ დღეს ეგ აზრი, ასეთისე, ძლევით არ შეიმოსება, მაინც იმედ-დაკარგული არ უნდა იყო, რაკი მაგ აზრმა ჩვენში გაიღვიძა, დღე-ყოველ მომხრეები მოემატება, რაზმი გაუმრავლდება, იმიტომ, რომ თითონ აზრი საბუთიანია. ხანგრძლივობა და გამარჯვება, თუ დღეს არა, ხვალე მაინც საბუთიანს აზრს დარჩება, ესეა ქვეყნის წარმატების კანონი. ეს იმედი ამხნევებს ყოველს მას; ვისაც კი სწამს პროგრესი აღამიანისა“.<sup>1</sup> ამ აზრიდან, თქმა არ უნდა, რომ დიდი მანძილი აღარ არის მარქსისტულ დებულებამდე: „პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, წინ უნდა იხედებოდე, და არა უკან“ (სტალინი).

ასეთია ილია ჭავჭავაძის დროაღებულების საკითხი დიალექტიკურ მორე ძირითად ნიშანთან.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჭავჭავაძის შემონათქვამზეც არ შეჩერებულა. დიალექტიკის გაგებაში იგი კიდევ უფრო შორს წავიდა და მიუახლოვდა დიალექტიკის მესამე და მეოთხე ძირითად ნიშნების შინაარსის გაგებას. ასე, მაგალითად, მას ესმოდა, რომ განვითარება არის არა უბრალო წრისებური მოძრაობა, ე. ი. წარსულის უბრალო განმეორება, არამედ წინსვლითი და აღმავალი ხაზით მოძრაობა; მას ესმოდა აგრეთვე, რომ მოვლენებს ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობანი, რომ აღგილი აქვს დაპირისპირებულთა ბრძოლას, ბრძოლას ძველსა და ახალს შორის, მომავლდავსა და მზარდს შორის.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ი. ჭავჭავაძემ ვერ შესძლო ჩასწვდომოდა მოძრაობისა და განვითარების მთელ დიალექტიკას. მისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა რაოდენობრივი ცვლილებებიდან თვისობრივ ცვლილებებზე ნაბტომისებური გადასვლის არსი, ისევე როგორც გაუგებარი დარჩა ის დიალექტიკური დებულება, რომ განვითარების პროცესის შინაარსს შეადგენს არა მოვლენათა ჰარმონიული გაშლა, არამედ დაპირისპირებულთა ბრძოლა, — არა წინააღმდეგობათა შერიგება, არამედ მათი შეჯახება.

ამ ორი უმთავრესი თეორიული შეცდომიდან გამომდინარეობდა მისი შეცდომები ცხოვრების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

შეეჩერდეთ ამ შეცდომებზე უფრო დაწვრილებით.

#### IV

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ილია ჭავჭავაძეს განვითარება ესმოდა არა როგორც წრისებური მოძრაობა, ე. ი.

<sup>1</sup> „ნაწ. სრ. კრებ.“, ტ. VI, გვ. 220.

წარსულის უბრალო განმეორება, არამედ როგორც წინსვლითი, აღმავალი ხაზით მოძრაობა; მიუვითითებ აგრეთვე იმაზე, რომ მას შეგნებული ჰქონდა მოვლენათა შინაგანი წინააღმდეგობანი და დაპირისპირებულთა ბრძოლა, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომავლადესა და მზარდს შორის. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ამ აზრის დასამტკიცებლად:

„ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, — ამბობს ილია სტატიისში „საქართველოს მოამბეზედ“, — როგორათაც ბუნებასა. მაცხოვრებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთი-ერთმანეთს შეჰხარაინ; უფრო მაცხოვრებელია პირველი ქროლა ახლის ცხოვრებისა — ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ახალ-გაღვიძებულს ბავშვსა. გული სხვა-რიგად სცემს, როცა დედა მიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეტაქვს მწვანე ბალახსა და უფრო სხვარიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახლის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჰქნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გარეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსვლელზე ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი“ (ხაზი ჩემია, პ. რ.).

შემდეგ.

„საზოგადო სარბიელი, — ამბობს იგი სხვა წერილში, — მოედანია საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არა არის-რა, გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა

ცხოვრებისავე ესე თუ იხედავთ, — ბად და მოსამართავად, იმით, რომ ყოველი აზრი, ყოველი საქმე ცხოვრებისათვის ასე თუ ისე უნდა მოემსახურებოდეს, იმავე არსებობისათვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება, როგორც სხვა ყოველი ამ ქვეყნიერებაზე, და ისე არ იჩენს თავს, რომ ან ყოფილს აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და თბი არ გადაუხადოს ადვილის დასაქერად“.

ან კიდევ:

„აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზე, ერთი მეორეს ადვილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად“.

მსგავსი ამონაწერები შეგვეძლო კიდევ მოგვეყვანა. მაგრამ, ამ შესანიშნავმა აზრებმა, სამწუხაროდ, ვერ ჰპოვეს შემდგომი განვითარება ი. ჰავეჰავაძის ნაშრომებში. ცალკეული სწორი დებულებებიდან ილიამ ვერ შესძლო გამოეყვანა განზოგადოებული დასკვნები და ბოლომდე ჩასწვლილია განვითარების რთულ დიალექტიკას. მართალია, მან კარგად იცოდა, რომ განვითარება არ არის წარსულის უბრალო განმეორება და რომ „შემდეგი წინაზე უფრო სრულია, უფრო საესე, უფრო ვრცელი და უკეთესი“, მაგრამ მოძრაობის ეს პროცესი მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც თანდათანობითი რაოდენობრივი წინსვლა-მატება და არ იცნობდა რაოდენობის თვისებაში ნახტომისებური გადასვლის კანონს. ასეთ შეხედულებას, ცხადია, იგი ლოგიკურად უნდა მიეყვანა რევოლუციისადმი უპროვოცით დამოკიდებულებამდე. ამით აიხსნება, რომ ჩვენი ავტორი, რევოლუციონერის პოზიციას ძალიან ხშირად სცვლიდა რეფორმატორის პოზიციაზე, განსაკუთრებით სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში.

მაგრამ მივყევით ქვემოთ.

<sup>1</sup> „თბ. სრ. კრებ.“, 1941 წ. ტ. II, გვ. 74.

<sup>2</sup> „ნაწერ. სრ. კრებ.“, ტ. VI, გვ. 118.

მართალია, მან კარგად იცოდა, რომ ცხოვრებაში მუდამ ადგილი აქვს ბრძოლას ძველსა და ახალს შორის, მომავლადგესა და მზარდს შორის და რომ დაპირდაპირებულთა ბრძოლა განვითარების ერთერთ უმთავრეს კანონს შეადგენს, მაგრამ მოძრაობის ეს პროცესი მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც წინააღმდეგობათა პარამონიული გამლა, როცა ეს წინააღმდეგობანი საბოლოო ჯამში ურთიერთშორის უნდა შეროგდნენ, შეთანხმდნენ, ნაცვლად იმისა, რომ მოხსნილნი იქნან ურთიერთ შორის ბრძოლისა და შეჯახების გზით, — რევოლუციური გზით. ცხადია, წინააღმდეგობათა შერიგებისა და პარამონიულობის თეორიას იგი ლოგიკურად უნდა მიეყვანა კლასთა ბრძოლის თეორიისადმი უარყოფით დამოკიდებულებამდე. ამით აიხსნება, რომ თუმცა მან კარგად იცის, რომ ცხოვრებაში ადგილი აქვს კლასთა შორის ბრძოლას, მაგრამ ეს მიაჩნია უარყოფით მოვლენად და ფიქრობს, რომ კლასებს შორის წინააღმდეგობის მოხსნა უნდა მოხდეს არა ბრძოლის გამწვავების, რევოლუციის გზით, არამედ ამ კლასების ინტერესთა შერიგებისა და შეთანხმების გზით. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს „შერიგება“ ევროპაში, ან რუსეთში უკვე შეუძლებელია იმის გამო, რომ კლასთა ბრძოლა ძალიან შორს წავიდა (რადგან იქ მას მეტი საფუძველიც აქვს), საქართველოში ეს საფსებით შესაძლებელია, რადგან კლასთა ბრძოლა ჩვენში მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაშია და მისი გამწვავებისათვის საფუძველი არ არსებობს, ან თითქმის არ არსებობს.

ძნელი არ არის აღმოჩენა შეამჩნიოს, თუ რა თეორიულ ფილოსოფიურ წყაროებს ეყრდნობა ამ შემთხვევაში ილია. ცნობილია, რომ იდეალისტი ჰეგელი, მოუხედავად თავისი დიალექტიკური მეთოდისა, საბოლოო ჯამში უპირველეს როლს აქუთვნებდა

არა წინააღმდეგობათა ბრძოლას, არამედ მათ შერიგებას. მისი დიალექტიკა შეზღუდული იყო მხოლოდ იყო მხოლოდ წარსულითავე. მატერიალისტმა ფეიერბახმა, ააფეთქა რა ჰეგელის იდეალისტური სისტემა, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ აზროვნების ისტორიაში, მაგრამ ფეიერბახმა ვერ შეაფასა ჰეგელის დიალექტიკის მნიშვნელობა, სავსებით უარყო იგი და ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ კლასთა შორის ზავისა და სიყვარულის ქადაგებამდე მივიდა. ილია ჭავჭავაძე, იღებს რა ფეიერბახის მატერიალისტურ სისტემას, ამბევდროს, არ უარყოფს ჰეგელის დიალექტიკას. ილია ჭავჭავაძეს სრულიადაც არ ეუცხოება დიალექტიკა და როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი დიალექტიკური აზროვნების მრავალბრწყინვალე მაგალითს იძლევა. ფეიერბახის მატერიალიზმისა და ჰეგელის დიალექტიკის აღიარების გზა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე თავისი რუსი მასწავლებლების მსგავსად დაადგა, ერთადერთი სწორი გზა იყო. ეს გზა მიდიოდა დიალექტიკურ მატერიალიზმთან, მაგრამ მისი ბოლომდე გავლა მან ვერ შესძლო. მან ჰეგელის დიალექტიკა შეითვისა თავისი ნაკლითურთ და ვერ მოახერხა ამ ნაკლის დაძლევა, მისი „რაციონალური მარცვლის“ შემდგომი განვითარება<sup>1</sup>.

რა იყო ამის მიზეზი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ძალაუვნებურად გვაგონდება გ. პლენინოვის მიერ ჩერნიშევსკის შესახებ ნათქვამი სიტყვები: საკვირველი ის კი არაა, რომ ჩერნიშევსკი ჩამორჩა მარქსსა და ენგელსს, საკვირველი ისაა, რომ იგი ასე ცოტათი ჩამორჩა მათ.

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ჩერნიშევსკი და ჭავჭავაძის სხვა დიდი მოაზროვნე რევოლუციონერები ამ საკითხში გაცილებით წინ წავიდნენ, ისინი აღიარებდნენ კლასთა ბრძოლას და მისეულმდგომარეობას საბოლოო რევოლუციას.

ეს სიტყვები სავსებით შეიძლება განმეორებული იქნას ილია ჭავჭავაძის შესახებაც. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მაშინდელ მიყრუებულ ცხოვრებას, მართლაც გასაოცარი ილიას გონების ძალა, მისი აზროვნების სიღრმე და გენიალობა.

მაგრამ რუსეთის მოწინავე მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, ილიას თავისი ქვეყნის საერთო ეკონომიური ჩამორჩენილობის გარდა, სხვა დიდი ხელისშემშლელი მიზეზიც გააჩნდა. ეს იყო მისი სამშობლოს, როგორც მეფის რუსეთის კოლონიის დაბეჩავებული და უუფლებო მდგომარეობა. სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ილია ჭავჭავაძის ზრუნვისა და ყურადღების უპირველესი საგანი იყო. არ არსებობდა მისთვის არაერთი სხვა საკითხი, ამაზე მაღალი, წმინდა და მნიშვნელოვანი. გასაკებია, რომ ამ გარემოებას არ შეეძლო თავისი კვალი არ დაეჩინა ილიას აზროვნებაზე. ოგი იმდენად იყო შეპყრობილი თავისი ხალხის ნაციონალური გათავისუფლების იდეით, რომ არ შეეძლო ამ საკითხის თვალსაზრისით, მისი ინტერესებით არ მისდგომოდა დანარჩენი საკითხების გადაჭრასაც.

სავსებით მართალი და გულწრფელი იყო პოეტი, როდესაც ამბობდა.

„მას აქეთ, რაკი შენდამი  
ვცან მე სიყვარული,

პოი, მამულო, გამიერთო მე  
ძილი და შეება,  
შენს ძარღვის ცემას ქმრებულ უფლებად  
სულგანაბლად, გიგლნიცთქა  
ღამე თენდება, ვგრეთ ჩემი  
და დღე ღამდება“.

ლირიკულ ლექსს სწერდა და ოცნებობდა სამშობლო მთებზე, თუ არკვევდა შორეული ირლანდიის დაჩაგრული ხალხის ცხოვრებას, ეკამათებოდა ეინმე თავხედს, ვინც აუგად იხსენიებდა ქართველ ერს, თუ იკვლევდა რთულ ფილოსოფიურ საკითხებს, — ყველგან მას თვალწინ ედგა თავისი სამშობლო, გმირული წარსულითა და დიადი ტრადიციებით, მდიდარი ენითა და კულტურით, მაგრამ დაჩაგრული პოლიტიკურად და ეკონომიურად, — ცარიზმის მიერ უფლება-აყრილი და ყოველმხრივ შევიწროებული კოლონია. დიდი პოეტი და მოქალაქე თავისი სამშობლოს ღირსეული შვილი იყო. მას გული ეკუმშებოდა სამშობლო-ქვეყნის მწარე ხვედრზე და მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. პატრიოტი მასში ხელს უშლიდა მოაზროვნეს, სალი და ფხიზელი აზრი ხშირად გზას უთმობდა მგრძნობიარე გულს და ვინ იცის, სამშობლოს დახსნის ინტერესებს რომ არ ეკარნახნათ, იქნებ ილია თავისი თეორიული დასკვნებით სრულიადაც არ მივიდოდა წოდებათა შეროგების ქადაგებამდე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

## სიყვლის სისხმა



Из неравной часто борьбы с другими культурными языками... грузинский язык всегда выходил с честью, давая опору самостоятельному существованию грузинского народа.

ნ. ბ. მ. მ. მ.

რა ახლოა ჩვენთან და რა ორგანულად ადამიანური მეტყველების სტიქია, და რა არის მოსაწყენად გვეჩვენება ხშირად სიტყვათაშემოქმედების სიღრმეში ჩახედვა, ენობრივი მოვლენის აღმოცენებისა და განვითარების კანონზომიერებაში გარკვევა. შესაძლებელია ეს ენის სწავლების სქოლასტიკური ხერხების შედეგი იყოს, ანტიკური ხანიდან რომ მომდინარეობს და დღემდე არც შეცვლილა საუკუნეთა მანძილზე. თუ ჩვენ ახლოს მივალთ ენასთან, მეტად თავისებური სამყარო გადაგვეშლება, — სამყარო, რომელიც აღსაესება მომხიბლავი ფერებით, — ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც გვაგრძნობინებს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან სუნთქვასა და ისტორიული განვითარების გზას... დიდმა მწერლებმა და ორატორებმა იციან, რა ძნელია სიტყვისთან ბრძოლა, ენობრივი სტიქიის დამორჩილება, და არც თუ პარადოქსიაა გოეთეს ეს დებულება: „შეიძებნება ჩემგან გამოსულიყო უდიდესი პოეტი, ენა რომ არ ყოფილიყო ასე დაუმორჩილებელი!“ სიტყვის დიდი ოსტატი აქ, რა თქმა უნდა, გულისხმობს აბსოლუტურ სრულყოფილობას, რისი მიღწევაც შესაძლოა მართლაც იდეალი იყოს... თვით გოეთესთვისაც!

მწერლისთვის ურთულესია ამოცანათაგანია ლექსიკის რთულ ხლართებში გარკვევა. დღეაენის ლექსიკურ შესაძლებლობათა კომბინირებული გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის ტაქტსა და სათანადო ქერულიცისა. უთუოდ ძნელმისაღწევია ზომიერება დიალექტიზმის გამოყენებისა თუ ძველი სალიტერატურო ენის გარდასულ ლექსიკურ ფორმათა გაცოცხლების მხრივ. თუ ზოგიერთი მწერალი ამ საქმეში ვერ იჩენს სათანადო სიფრთხილეს, არ ემარა იმის ლიტონი აღიარება, რომ ესათუის მწერალი „სცოდავს“. აუცილებელია ამ თვალსაზრისით ტიპიურ მწერალთა ენის კონკრეტული ანალიზი. უძველესი, ამ ძიებებს გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭება ახალი სალიტერატურო ენის განვითარებისათვის.

ლექსიკოლოგიის ძირითად კითხვათაგან ამჟამად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ სიტყვის სესხების უმთავრეს პრინციპებზე. ერთი მეცნიერის თქმით, ნასესხები სიტყვების შემოტანა ენის ორგანიზმში ერთგვარი აცრაა, მაგრამ აცრა არა მათვალისწინებელი შხამით, არამედ მაცოცხ-

ლებელი ნივთიერებით, და ეს პროცედურა ენის გამაახლებელი საშუალებაა. ხოლო თუ ეს ნივთიერება ქარბი დოზით შევიდა ენის ორგანიზმში, თვით ენა მოერევა მას, — ოღონდ სვეტორიტეტული მწერლებისა და ენის თეორეტიკოსების დახმარებით.

სიტყვის სესხების საერთო პრინციპები მეცნიერებაში არ არის სათანადოდ დამუშავებული. არსებობს მხოლოდ გამოკვლევები ამა თუ იმ ენის ლექსიკურ შედგენილობიდან. წინამდებარე მიმოხილვა არის პირველი ცდა ამ პრობლემატიკის საზოგადოებრივების დალაგებისა, და ალბათ ამითაც აიხსნება ის ნაკლოვანება, რომელიც მას უშუველად ეჭნება. საკითხები დალაგებულია სისტემატურის წესით და გადმოცემულია მარტივად. მკითხველი ნებას მოგვცემს, რომ ჩვენი მსჯელობა არ დავამძიმოთ ლინგვისტური დეტალიზაციით და სამეცნიერო კაპარატურის წარმოდგენით. საილუსტრაციო ნიმუშებად მოგვყავს უმთავრესად ქართული ენის მონაცემები.

### ლექსიკის მოცულობა

ლექსიკა ფართო ცნებაა: იგი მოიცავს სხვადასხვა სოციალური დაფენების, ყოველდღიური მეტყველების, დიალექტური ნაირსახეობის, ე. წ. „პროფესიული ენებისა“ და სალიტერატურო ენის (ლიტერატურისა და ხელოვნების, პოლიტიკის, სამეცნიერო მწერლობის, — ტექნიკური ტერმინოლოგიის) სიტყვიერ მარაგს. თუ ენის ევოლუციის ერთი რომელიმე ეტაპით არ შემოვიფარგლებით, მაშინ აქვე შემოვა „ისტორიული ლექსიკის“ ფაქტებიც, ე. ი. ძველი სალიტერატურო ენის ლექსიკონი (რათქმა უნდა, ეს არ ეხება ისეთ ენებს,

რომელთაც ძველი წერილობითი ძეგლები არ გააჩნიათ).

გაბატონებული სიტყვიერების ლექსიკა განსხვავდება დამორჩილებული ფენების ლექსიკისაგან. ცხოვრების თავისებური ფორმების შესაბამისი ტერმინოლოგია, მიდრეკილება არქაული ლექსიკური ტიპების კულტივირებისაკენ, წიგნიერი ენის ფორმები, თარგმნის გზით დანერგული უცხოური სიტყვები, თავისებური სემანტიკა, — ყველა ამით ემიჯნება ფეოდალური არისტოკრატია გლეხობის ენას, „მდაბიურ“ მეტყველებას. ლოკალური დიალექტების ლექსიკონის სიჭრელე და მრავალფეროვანება, მეორე მხრით, ენის სალექსიკონო სალაროს მნიშვნელოვანი ფონდია. ფეოდალი შეიძლება ფლობდეს გლეხის ლექსიკას ქსურთიერთო საჭიროებისათვის; ამ შემთხვევაში მის განკარგულებაშია ორი წრის ლექსიკონი.

ენა იდეოლოგიური კატეგორიაა და ამდენად მისი განვითარება მთლიანად და სავსებით შეპირობებულია ამ ენის მატარებელი კოლექტივის ისტორიულ განვითარებასთან. რამდენადაც უფრო შინაარსიანი და რთული გზა განვლო ამა თუ იმ ხალხმა ისტორიულად, იმდენად მდიდარია და მრავალფეროვანი მისი ენა. იქნება ეს საკუთარი ენობრივი რესურსების გამოყენება, არსებული ფორმების ევოლუცია, თუ უცხო ენობრივი ელემენტების ათვისება, ენა დროთა ვითარებაში აყალიბებს თავის ორგანიზმს, იმუშავებს საკუთარ ენობრივ პრეტენციას. ლექსიკა კი, როგორც ამბობენ, ენის „იდეოლოგიურ ინვენტარს“ წარმოადგენს. ლექსიკის სიმდიდრის ერთი ძირითადი პირობათაგანია ენის გამლა გეოგრაფიულ სივრცეში, ე. ი. ლოკალური დიალექტების სიმრავლე, დიალექტური ნაირ-

სახეობანი. ამის მშვენიერი ნიმუშია ისეთი დიდი ტერიტორიული განფენილობის ენა, როგორცაა არაბული. ეს ენა ლექსიკური სიმდიდრის კარგ ნიმუშს წარმოადგენს. ასე, მაგალ., არაბულს აქლემისათვის **ჰომელის** გამოანგარიშებით, 5758 სიტყვა მოეპოვება, ლომისათვის — 700, ხმლისათვის—1000, ისეთი განყენებული ცნებისათვის, როგორცაა „უბედურება“— 400 (ამის გამო ანდაზაა არაბეთში: „უბედურებათა სახელები უბედურება არისო“!).

კითხვა ისმის: შეგვიძლია თუ არა გამოვიანგარიშოთ მათემატიკურად ლექსიკის შედგენილობა, ე. ი. რიცხვებში გამოვსახოთ ამა თუ იმ ენის ლექსიკური ფონდი? ამ მიმართულებით ზოგიერთი ენათმეცნიერი გარკვეულ ექსპერიმენტებს ახდენდა. ხშირად იმოწმებენ სამეცნიერო ლიტერატურაში პროფ. მაქს მიულერის ცდას: მან გამოითვალა ერთი სოფლის პასტორის ჩვეულებრივი მეტყველების ლექსიკური მარაგი და დაასკნა, რომ ინგლისელი გლეხის განკარგულებაში მხოლოდ სამასამდის სიტყვააო. მეორე მხრით, ჩვეულებრივ ითვლიან ამა თუ იმ სახელგანთქმული მწერლის ლექსიკონს და ასკენიან, რომ, მაგალითად, **შექსპირს** გამოყენებული აქვს 15.000 სიტყვა, **ზოგის** გამოანგარიშებით 24.000, **ჰომეროსს**—9.000-მდის, **რუსთაველს** 45.000 (აქედან 15.200 სხვადასხვა გრამატიკული ფორმით მხარებული სიტყვაა)\* და სხვა. თავისთავად ცხადია, რომ მწერლის მიერ გამოყენებული სიტყვების დათვლა სხვა რიგისაა, და სულ სხვა რიგის— მთელი ენის ლექსიკური რესურსების რაოდენობლივი გამოთვლა; ეს ორი მონაცემი ერთმანეთს არ უდრის და არ ჰუარავს.

გაჩინია თუ არა მეცნიერებას სათა-

ნადო მეთოდები ლექსიკური მარაგის ციფრებში გამოსახვაზე? ანუ ჩვენ არ შეგვიძლია მიმოვხედოთ ერთი ლექსიკურ ფორმებს და ჩავატაროთ ჩვენს თვალწინ ისე, როგორც ჯარისკაცები აღლუმის დროს (ვანდრიესი). ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ მოეპოვება მეცნიერებას ერთი გარკვეული, დამაკმაყოფილებელი პასუხი იმაზე, თუ რა უნდა მივიჩნიოთ სიტყვად. გარდა ამისა, ენის გრამატიკული საშუალებები იმდენად მოქნილი და მრავალფეროვანია, რომ მორფემების ათასგვარი კომბინაციებით შეგვიძლია მივიღოთ უსასრულო რიცხვი ლექსიკური ტიპებისა. ასე, მაგალ., რამდენად განუსაზღვრელია ენის შესაძლებლობა თუნდაც იმის გამო, რომ აწარმოებს ნასახელარ ზმნებს და ნაზმნარ სახელებს. მაგალ., სათვალავ ფორმებში შეიძლება არ შეგვხედეს სიტყვა — „აპირებული“, ან „აკედლება“ („შეკედლება“ ჩვეულებრივია), მაგრამ ენის პოტენციური ასეთი ფორმები გამოიჩნეული არაა. მაშასადამე, პრინციპულად შეუძლებელია ენის ლექსიკის პოტენციური შესაძლებლობის სრული რეგისტრირება... ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ა დ ა ც ლ ე კ ს ი კ ო ლ ო გ ი უ რ ი ს ტ ა ტ ის ტ ი კ ა გა და უ სა ხ ე ვ ე ლ და ბ რ კ ო ლ ე ბ ა ს ე ლ ო ბ ე ბ ა ს ს ი ტ ყ ვ ა ს მ რ ა ვ ა ლ გ ვ ა რ ი მ ნ ი შ ვ ე ნ ლ ო ბ ა ა ქ ვ ს კ ო ნ ტ რ ე კ ს ტ რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ო ბ ის მიხედვით. მაშასადამე, ამ მხრივაც გარკვეულობა არ არის.

უნდა დავასკვნათ: სიტყვების რაოდენობლივი აღრიცხვა შეუძლებელია. მაგრამ თუ ფარგალს შევაფიქროვებთ და სათვალავ ობიექტებად დავსახავთ ჩვეულებრივის თვალსაზრისით არსებულ სიტყვებს, ჯერ მკვიდრი კრიტერიუმში უნდა მოინახოს, თუ რა მივიჩნიოთ სიტყვად ჩვეულებრივად არსებულ სიტყვებში (ასეთ გამოთვლისას, ცხა-

\* კონსტანტინე ტიშინაძის გამოანგარიშებით.

დია, ლექსიკის პოტენციური ფორმები გამოირიცხება).

### სიტყვის სამსახურის პირობები და ნასესხებ სიტყვათა შესწავლის მნიშვნელობა

დიდი ფაქტორია ამათუიმ ენის ლექსიკონის გასამდიდრებლად საუკეთესო რესურსების კომბინირებული გამოყენება, ენის ორგანული ფორმების ევოლუციო-სახეცვალეა. ყოველი ენა თავის განვითარებაში არსებულ ლექსიკურ ტიპებს თავისებურად აწესრიგებს, მაქსიმალურად ამხეურებს ისტორიული განვითარების პროცესში იმ სიტყვიერ მასალას, რომელსაც იტევს თავისი ლექსიკური შესაძლებლობა. კერძოდ, უაღრესად მტკიცე საყრდენს წარმოადგენს ამ მიმართულებით ლოკალური დიალექტების მონაცემები. ყოველი ენის ლექსიკა მოხერხებულად წურავს თავისი კილოებიდან საუკეთესო მასალას. სალიტერატურო ენის ლექსიკონი ის დედა-მდინარეა, რომელსაც მრავლად ერთიან დიალექტური ლექსიკონის უხვი და დაუღვევი შენაკადები.

მაგრამ ენა მართოდენ თავისი საკუთარი მასალით არ კმაყოფილდება. მის ორგანიზმში ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მეტნაკლების პროპორციით, იჭრება უცხოური ენის ლექსიკური ელემენტები. ეს არის გარდაუვალი ბედი ყოველი ენისა. არ არსებობს ისეთი ენა, რომელიც გადარჩენოდეს უცხო გავლენას თავისი ევოლუციის თუნდაც რომელიმე ეტაპზე. ენათა ურთიერთშეხვედრა ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს. ეს არის შედეგი ამ ენების მატარებელ ხალხთა საურთიერთო კონტაქტისა ისტორიულ ვითარებაში. და მართლაც: არცერთი

ენობრივი კოლექტივი არ შესძენია შეხებას სხვა ენობრივ კოლექტივთან. მაშასადამე, ეთნიკურად განსხვავებული ლინგვისტური თანამშრომლობის საფუძველი და წინაპირობაა.

მაგრამ ხალხთაშორისი თანამიმართების ფორმები სხვადასხვაგვარია: ეთნიკურ ერთეულთა შორის შესაძლოა იყოს მტრული შეზობლური ურთიერთობა. ლექსიკური კონტაქტისათვის შესაძლებელია, აგრეთვე, ერთი მხარე დაპყრობილი იყოს, ან პირიქით. მაშ, როგორც დამპყრობელი ენობრივი კოლექტივი ახდენს გავლენას დაპყრობილ ენობრივ კოლექტივზე, ისევე დაპყრობილი ხალხის ლექსიკური მასალა გადადის დამპყრობელი ერთეულის სინამდვილეში. არ არის აუცილებელი სიტყვათსესხებისათვის ერთი ხალხი კულტურულად მაღლა იდგეს მეორე ხალხზე. კულტურულად დაბლა მდგომ ენობრივ კოლექტივსაც დაესესხება ხოლმე უფრო ცივილიზებული ენობრივი კოლექტივი. ნაკლებ კულტურის მქონე დამპყრობელთაგან სიტყვების სესხება ხდება „თავზე მოხვევის“ წესით, ძალაუნებურად, განსაკუთრებით დაპყრობის პირველ ხანებში (შემოდის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული, სამოხელეო ტერმინები და სხვ). უკეთეს აგრესიული დაწოლა მეტად ინტენსიურია, ასეთ შემთხვევაში, იტალიელების თქმით, *lingua del cuore* (გულის ენა) მშობლიური ენისა რჩება, ხოლო *lingua del pane* (საარსებო პურის ენა) უცხო ენობრივი სინამდვილიდან მოდის. მეორე მხრით, თავისთავად ცხადია, რომ უფრო კულტურული ხალხი მეტს ასესხებს, ვიდრე პირიქით. ამის მაგალითები ბევრი იცის ენების ისტორიაში. ამავე დროს, ხ ა ს ი ა თ ი ნასესხები სიტყვიერი მასალისა ამ შემთხვევაში სხვაა: ხდება სესხება ნამეტურ კულტურული ცნებებისა, სალო-

ნური და გართობის სიტყვებისა, და სხვ. ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი გარემოება. ჯონ ვალისს თავის „ინგლისური ენის გრამატიკაში“ (1653 წ.) შენიშნული აქვს, რომ ინგლისურში ცხოველების სახელწოდებები ანგლო-საქსური წარმოშობისაა, ხოლო სახელწოდებანი ამ ცხოველთა ზორცისა, რომელიც მაგიდაზე გამოაქვთ, — ნორმანულ-ფრანგული წარმოშობისა. ვ ა ლ ტ ე რ ს კ ო ტ ი თავის „აივენგომი“ ამ ფაქტს ხსნის ასე, რომ ამ ცხოველების მომვლელი მწყემსები ანგლო-საქსები იყვნენ, ხოლო ბატონები, რომელნიც მიირთმევდნენ მათ ზორცს, ნორმანები გახლდათ. და მართლაც ინგლისურში გემრიელი საქმელების სახელები ნორმანულ-ფრანგული წარმოშობისაა... დამახასიათებელი მაგალითია.

სიტყვათსხების საფუძველია მეზობელ ხალხთა შორის ეკონომიური, პოლიტიკურ-კულტურული ან რელიგიური დამოკიდებულება. შესაძლოა ყველა ეს საფუძველი არსებობდეს ერთსადაიმევე დროს, მაგრამ არ არის გამოსარიცხი შემთხვევები, როდესაც ერთი რომელიმე შემორე ფაქტორთაგანია მიზეზი ლინგვისტური ურთიერთობისა.

შემოთ აღინიშნა, რომ არც ერთი ენა არაა დაზღვეული უცხო გავლენისაგან. ამის მაგალითები აურაცხელია. ასე, მაგალითად, ლათინური ენის ლექსიკა დაუშრეტელი წყაროა დასავლეთ ევროპის ენათა ლექსიკის გადახალისებისა საუკუნეთა განმავლობაში. ასევე დიდია როლი ბერძნული ენისა. იმდენად ძლიერია სესხების ტენდენცია, რომ ზოგიერთი ენა ერთობ აქარბებს ამ მხრივ. მაგალ., ზშირად „უსაყვედურებენ“ ინგლისურს, რომ მან ზედმეტად გადმოიღო სხვა ენათაგან ლექსიკური ფორმები. ამ უსაზღვრო დინების შედეგად დამძიმდა ინგლისური ენა სინონიმ-

ბით, ფერხდება შინაგანი ლექსიკური ფორმების ბუნებრივი ევოლუცია, ნასესხებ სიტყვათა უძირკვევში ინთქმება საკუთარი ენის სიტყვები ლეზლობანი...

საზოგადოდ შეიძლება დავასახელოთ ხუთი დიდი კულტურული ენა, რომელთაც უპირატესობა ენიჭებათ ისტორიულად, როგორც ძირითად ლექსიკურ წყაროებს მსოფლიოს ენებისათვის, და ამავე დროს მათში ყველაზე ნაკლებადაა შესული ნასესხები სიტყვები. ესენია: კლასიკური ჩინური, სანსკრიტი (ინდური), ბერძნული, ლათინური და არაბული. თუ „დასავლურ ენებზე“ უდიდესი გავლენა მოახდინა ლათინურმა, აღმოსავლეთში ანალოგიური როლი არაბულმა შეასრულა.

ენათა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ყოველ ახალ კულტურულ ტალღას, მომდინარეს გარეშე ენობრივი სინამდვილიდან, მოჰყვება ახალი ტალღა ნასესხები სიტყვებისა.

შემოთქმულიდან ბუნებრივად გამოდინარეობს დასკვნა: უცხო ფენების ანალიზით ირკვევა ხალხთაშორისი ურთიერთობა, ზოგჯერ წყდება ეთნიკური მიმართების სიბნელით მოცული პრობლემა, — ნამეტურ წინარისტორიული ეთნოლოგიური ტიპებისა და კონტაქტის საკითხები, — იმ ხანისა, რომლის გამორკვევისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათმეცნიერულ ძიებებს. მაშასადამე, ნასესხებ სიტყვათა შესწავლა რამდენადმე გასაღებია ისტორიისა, შუქის-მომფენი კაცობრიობის წარსული სოციალური და კულტურული ურთიერთობებისა.

### უშუალო და უშუალოგითი სმსხმება

გავლენა შეიძლება იყოს უშუალო და შუალოგითი, ე. ი. ესათუის სიტყვა შესაძლოა მომდინარეობდეს ამათუიმ

ენიდან უშუალო კონტაქტის შედეგად, ანდა, თუ ეს უშუალო კონტაქტი არ არის, რომელიმე მოსაზღვრე ენის გზით. უშუალო ურთიერთობა (ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ რელიგიურ საფუძველზე) ჩვეულებრივ მყარდება გეოგრაფიულად მომიჯნავე ერთეულებთან, ეთნიკურ მეზობლებთან. შორეული ენის ელემენტები ამათუიმ ენის ლექსიკაში მკვიდრდება ახლობელი ენის გზით, ანდა, ყოველშემთხვევაში, იმ ენის შემწეობით, რომელთანაც ამ ენობრივ კოლექტივს აქვს უშუალო კავშირი. ასე, მაგალითად, ქართულში გავრცელებული სიტყვა ქონდარი შეედური წარმოშობისა უნდა იყოს (ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსების მიხედვით). უშუალოდ შეედეთიდან ეს სიტყვა ვერ შემოვიდოდა, რადგანაც შეედებთან ქართველებს ურთიერთობა არა ჰქონიათ. ამიტომ კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს სხვა მიმართულებით (მაგალ., ხომ არა ჰქონდათ სხვა ტომებს ეს შეედურის მაგვარი სახელი და იქედან ხომ არ მომდინარეობს, და სხვ.).

შესაძლოა ერთი რომელიმე მოსაზღვრე ენის ლექსიკური ფორმა შემოვიდეს ენაში მეორე მოსაზღვრე ენის გზით. ასე მაგალ., ზოგი ბერძნული სიტყვა დანერგულია ქართულში სომხურის გზით, არაბული ენისა — სპარსულის გზით და ა. შ.

აქვე აღენიშნავთ, რომ შესაძლოა ენას დაუბრუნდეს „გასესხებული“ სიტყვა. მაგალ., მე-18 საუკუნეში გერმანიაში რუსეთიდან გადავიდა გრიპოზული დაავადების („ინფლუენციის“) ახალი ფორმა, რომელსაც გრიპი ეწოდა. ეს სიტყვა სხვა არაფერია, თუ არ რუსული სიტყვის — хрип-ის გერმანულად გადაკეთებული ფორმა. გერმანულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში Grippe (გრიპი) განმარტებუ-

ლია, როგორც „რუსული ანტიფონოზი“. იქაურ კლინიკებში, ამ ავადმყოფობის ანალიზების პროცესში, გამოვიდრდა ეს სახელწოდება. შემდეგ ისევე რუსულს დაუბრუნდა ევ სიტყვა, როგორც სპეციალური სამეცნიერო-სამედიცინო ტერმინი.

ქართველურ ენებში მკვიდრია სიტყვა სიმიინდი. მაგრამ ჰანურსა და მეგრულში თურქულიდან ნასესხებად ჩანს ამავე ცნების აღსანიშნავად ლაზური (თავისი ვარიანტებით). სერჯიქიამ გამოარკვია,<sup>1</sup> რომ ეს სიტყვა თურქულს ჩვენი ენობრივი წილიდან აქვს ნასესხები (ნიშნავს: „ლაზების მცენარე“). შემდეგ ისევე ჩვენს ენას დაუბრუნდა ეს ტერმინი, გაფორმებული თურქული აფიქსაციით.

#### უცხოური სიტყვის შემოსვლის ორი ბზა

არსებობს ორი გზა უცხოური ლექსიკური ფორმების დამკვიდრებისა: ა) წიგნიერი (მწიგნობრული) გზა და ბ) ზეპირი ანუ უშუალო გზა.

წიგნიერი გზა ანუ სალიტერატურო ენის გზით შემოსვლა უცხო სიტყვებისა, ცხადია, მხოლოდ ისეთ ენებს გააჩნიათ, რომელთაც მწიგნობრობა აქვთ.

ამ მხრივ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელობას. უცხო ენათაგან თარგმნა კი მიუცილებელი ხვედრია ყოველი კულტურული ენისა. თარგმნის პროცესში მრავალი სიტყვა გადმოდის დედნიდან და აქედან იწერება ენის მთელ სივრცეზე. მაგრამ არ არის გამორიცხული ასეთი შესაძლებლობა: მწერალმა იცის უცხოური ენა და გადმოაქვს კიდევაც ამ უცხოური სალიტერატურო ენიდან ვარკვეული ტერმინოლოგია.

<sup>1</sup> ლაზური სიტყვის წარმოშობისათვის: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტომი V.

არანაკლებს ინტენსიურობით ვრცელდება ენაში უცხოური სიტყვები ზეპირის ანუ უშუალო გავონების, პირადი ურთიერთობის გზით. ეს მეთოდი უცხოური ფორმების გადმონერგვისა ერთადერთი გზაა უშფერლობა ენებისათვის, მაგრამ მწერლობის მქონეთათვისაც არაა იგი უცხო.

ამგვარად, ზოგი უცხოური სიტყვა ვრცელდება მწიგნობრულის გზით და ზოგიც ზეპირის გზით, ზოგი კიდევ ორივე გზით.

კითხვა ისმის: ვაჩნია თუ არა მეცნიერებას მეთოდები იმის გამოსარკვევად, თუ მოცემული სიტყვა რა გზითაა ნასესხები? სხეანიად რომ ვთქვათ: ატარებს თუ არა თავად უცხოური სიტყვა მისი შემოქრის გზების ნიშნებს?

უნდა დავსახოთ ორი ხერხი ამოცნობისა: ა) აბსტრაქტული ცნებები და ე. წ. „კულტურული სიტყვები“ უმთავრესად მწიგნობრულის გზით შემოდის, ბ) უნდა ექნეს გათვალისწინებული ნასესხები სიტყვის ფონეტიკურ-მორფოლოგიური სტრუქტურა.

ეს მეორე ხერხი უფრო ზუსტია. აი, ამის მაგალითები: გამორკვეულია, რომ რუსული  $K-T-P$  არსებითად განსხვავდება ქართულ  $კ-ტ-პ$ -საგან. რუსის გამოთქმაში  $K-T-P$  უახლოვდება ქართულ  $კ-ტ-პ$ -ს კი არა, არამედ  $ქ-თ-ფ$ -ს (რუს.  $K-T-P$ -ს ასპირაცია ახლავს). ამ ბგერობრივი მიმართების მიხედვით: რუს. *лопатка* ქართულად გადმოვიდა *ლაფათქა* (და არა *ლაპატქა*). აქედან ჩანს, რომ ეგ სიტყვა ქართულში გადმოსულა ზეპირის გზით (ასე რომ არ ყოფილიყო, ქართულში უნდა გეჭონოდა *ლაპატქა*). მაგრამ ქართულშივე (დიალექტურად) დადასტურებულია *ტეტრადი* (*тетрадь*). თუ რუს. *Т* უდრის ქართ. *თ*-ს (ზემორე მაგალითისა და სხვა ნიმუშების მიხედვით), მაშინ რატომ არა

გვაქვს თეორადი? ეს იმიტომ, რომ ეს სიტყვა უშუალოდ განაგონი არ არის, მწიგნობრულენოვან სიტყვულში ჩვენში, — იგი აქუსტიკური აღქმის შედეგი კი არ არის, არამედ ოპტიკური (*resp.* გრაფიკული) ათვისების ნაყოფია.<sup>1</sup> მაშასადამე, ნასესხები სიტყვის ფონეტიკური მოდიფიკაციის შესწავლა გვეზარება მისი გადმონერგვის გზების გასარკვევად. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც. ქართულში გავრცელებულია ბერძნული მამაკაცთსახელების ორი რიგის ფორმები:

## I

ალექსანდრე  
თედორე  
პავლე  
აკაი  
გიორგი (და მრავ. სხვა).

## II

რომანოზ  
ანთიმოზ  
პოლინაროს  
(და მრავალი სხ.)

პირველი მწკრივი ლიტერატურული გზითაა შემოსული ქართულში, როდესაც მთარგმნელი დედნის მძაფრი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რადგანაც სახელის ფუძედ აღებულია ბერძნული ნომინატივის (სახელობითი ბრუნვის) ფორმა. მეორე მწკრივი კი ზეპირის გზითაა დამკვიდრებული და შემდეგ აქედან განმტკიცებული სალიტერატურო ენაში, რადგანაც სახელის ფუძედ მიღებულია ბერძნული ვოკატივის (წოდებითი ბრუნვის) ფორმა. და მართლაც: ბერძენი ბერძენს მოუწოდებდა ასე: „ალექსანდრე, ზოსიმე, აკაი...“ (წოდებით ბრუნვაში) და არა: „ალექსანდროს, ზოსიმოს, აკაიოს...“, რად-

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, მკვლარი ხსულნი ქართულში: „ტფილ. უნივერსიტეტის შობაზე“, 11, 1922.



უნდა, უცხოური სუფიქსია, მაგრამ ამის გამო ვერ ვიტყვი, ძირი კ უ მ აგრეთვე უცხოური წარმოშობისაა.

ნასესხებობის გამოსარკვევად უალრესად ანგარიშგასაწევია: ა) მოეპოვება მოცემულ სიტყვას „თვისტომნი“, ე. ი. ნაწარმოები ფორმები, თუ მართლმართა იგი, ერთადერთი, ბ) გაანინია თუ არა მას ეკვივალენტები მოძმე ენებში.

მართლაც: ჩვეულებრივ ესათვის „საკუთარი ძირი“ ღრმადაა გამჯდარი ენაში—მისგან ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ფ ო რ მ ე ბ ი მოეპოვება, ზოლო ახლონათესაურ ურთიერთობაში მყოფ ენებში (ან ენაში) ძირეული შესატყვისობაც არსებობს... მაგრამ ეს ორი გარემოება სავარაუდოა მხოლოდ, როგორც ს ი მ პ ტ ო მ ა ტ უ რ ი მომენტები, საორიენტაციო ფაქტები, თორემ ამ საბუთების სრული ნდობა ზოგჯერ შეცდომაში შეგვიყვანს: ზოგიერთ ნასესხებ სიტყვასაც ენობრივ ნიადაგში ისე ღრმად აქვს გაღმეული ფესვები (ე. ი. ნაწარმოებ ფორმებს იჩენს), რომ კაცს ეგონება, ისინი საკუთარ ენობრივ საფუძველზე ამონაყარი განშტოებანიან! ანც მოძმე ენების კანონზომიერი ეკვივალენტებია ზოგჯერ მოცემული. მონათესავე ენების შედარებითი ლექსიკონის ერთერთი პრინციპი გვასწავლის, რომ ენათა განვითარების სინქრონიკულ ვითარებაში ძირთა კანონზომიერი შესატყვისი ფორმების ვერ მოძიება არ ნიშნავს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ მათ არ არსებობას: ან ისტორიულად მოიპოვებოდა იგი და შემდეგ დაიკარგა, ან არსებობს ამჟამადაც ენობრივ პოტენციაში, მაგრამ იმდენად მოდიფიცირებულად, რომ ძნელდება მის ხლართებში გარკვევა, ჭირს მისი „აღმოჩენა“. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ზოგჯერ ნასესხები სიტყვაც იჩენს მოძმე ენებში კანონზომიერ შესატყვისობის ფორმებს (განსაკუთრებ-

ბით მაშინ, თუ სესხება მოხდა მოცემული ჯგუფის ენაზე ურთიერთციკლიანდის).

უკველივე შემოთქმულიდან ჩანს, რომ ნასესხებობის კრიტერიუმების დადგენისას საჭიროა დიდი სიფრთხილე და ფაქიზი ანალიზი.

დასასრულ აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. სხვადასხვა ენაში დადასტურებული ორი, თუნდაც საესებით ერთნაირი, ფორმით და შინაარსით, ლექსიკური ფორმის არსებობა ყოველთვის არ ნიშნავს მათ იდენტობას, საერთო წარმომავლობას. ერთი გამოჩენილი ენათმეცნიერის არ იყოს, ენათმეცნიერებაში, ისე როგორც ცხოვრებაში, გარეგნული მსგავსება ზშირად მატურია, მომატყუებელი. ამის მაგალითები ეტიმოლოგიურმა ძიებებმა ბევრი იცის. ინგლისურში არსებობს სიტყვა bad, რაც მნიშვნელობით უდრის ცუდს. სპარსულშიც bad ცუდს ნიშნავს. ბუნებრივია, რომ ფორმით და შინაარსით ეს აბსოლუტურად იდენტური სიტყვები მიგვეჩინა ნასესხებად, — ე. ი. ან სპარსულმა ისესხა ინგლისურიდან, ან პირიქით, ან კიდევ შესაძლოა რომელიმე ენიდან შევიდა იგი ორსავე ენაში. მით უმეტეს, რომ ინგლისური და სპარსული ერთი ლინგვისტური მოდგმის ენებია! მაგრამ ვიდრე ამ დასკვნამდის მივიდოდეთ, ენათმეცნიერების მოვალეობაა, გამოარკვიოს სათითაოდ — როგორც ინგლისური, ისე სპარსული bad-ის ისტორია. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოდ ჩვენამდის მოღწეული სიტყვები იშთათვეთვე ამ სახით არ არსებობდნენ, არამედ გარკვეული ფონეტიკური და სემასიური ევოლუცია გაიარეს. და მართლაც: სულ სხვა წარმოშობის აღმოჩნდა ინგლისური bad და სულ სხვა სპარსული bad. სხვანაირად რომ ვთქვათ, ცნება ცუდის აღსანიშნავად ინგლისურს და სპარ-

სულს გენეტიკურად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ძირებზე გააჩნდა. ფორმათა ევოლუციის შედეგად, როგორც ინგლისურში, ისევე სპარსულში მივიღეთ bad, ე. ი. ფორმა შემთხვევით დამსგავსებული ერთმანეთთან ამეგმად, მაგრამ ფაქტურად სულ სხვადასხვა წარმოშობისა. რა თქმა უნდა, ამის ძალით bad-ს ნასესხებად ვერ მივიჩნევთ. ასევე სხვადასხვაა გენეტიკურად, მაგალ, გერმანული Feuer (ცეცხლი) და ფრანგული feu (ცეცხლი). ქართულში კალნაბი ეწოდება კომპოსტოლს. იგი შესაძლოა მიგვეჩნია სომხური კალამბის მონათესავედ, რაიცა საერთოდ კომპოსტოს ნიშნავს. მაგრამ, აკად. ივ. ჯავახიშვილის ეტიმოლოგიური ძიებით, ამ ტერმინს არაფერი აქვს საერთო მსგავს სომხურ სიტყვასთან.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: როდესაც სხვადასხვა ენაში ერთიანი ძეგლები (ან მონათესავე ცნებების) აღსანიშნავად მოიპოვება გარეგნულად ერთიანი იგივე, ან მსგავსი ლექსიკური მასალა, იმის გამოსარკვევად, სესხებასთან გაქვს თუ არა საქმე, საჭიროა ჯერ დადგინო იქნეს ამ შესაძარბელი ერთეულების გენეზისი, ისტორია; და თუ გამოირკვა მათი სხვადასხვა წარმომავლობა, მაშინ ეს გარეგნული მსგავსება ჩვენთვის არაფრის მოქმელი არ იქნება.

### რა მიტყველშის ნაწილს სმს-ხულოვს ენა

პრინციპულად დასაშვებია, — რომ ენამ ისესხოს ესათვის მიტყველების ნაწილი. ჩვეულებრივია სახელის სესხება, — არც თუ იშვიათია ზმნის სესხებაც.

ნასესხები სიტყვები იბუდებენ ენაში, ემბეზიან დედაენის ორგანულ სიტყვა-

თა საერთო ანსამბლში. მაგრამ სიტყვები თანაბარ უფლებას როდნი მოულობენ ახალ ენობრეკონსტრუქციის ერთი რიგის უცხო სიტყვებში. იჭრებიან ენის ორგანიზმში, ორგანული ხდებიან. ამ ტიპის ლექსიკური ფორმა იჩენს ნაწარმოებ სახელებს, ნასახელარ ზმნებს, თვისტომთ, მკვიდრდება ტომონიმიკურ ტერმინადაც, და ასე ამგვარად ხდება ათვისებული და მონელებული დედაენის ლექსიკონის განვითარების ლოგიკის ძალით.

მეორე რიგის სიტყვები კი ასე ფართოდ ვერ იკალათებენ „ადგილობრივ“ ლექსიკონში, ე. ი. თავის ძირისაგან პარალელურ ფორმებს ვერ ავითარებენ, განმარტოებულად ტივტივებენ ლექსიკონის ზედაპირზე და მის სიღრმეში ვერ ეშვებიან.

ჩვეულებრივ ხდება სესხება სახელისა მხოლოდობით რიცხვში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უცხოური სიტყვა გადმოსულია მრავლობითი რიცხვის ფორმითაც; მრავლობითობის გამოხატველი აფიქსი არაა გააზრებული, როგორც ფორმალური ელემენტი, იგი გაცებულია ძირის კუთვნილებად. მაგალ., რუსულში peace წარმოსდგება ინგლისური სიტყვიდან rails, რომელიც მრავლობითი რიცხვის ფორმაა. მხოლოდობითია rail. მაშასადამე, რუსულს საფუძვლად აუღია მრავლობითი რიცხვი, ნაცვლად მხოლოდობითისა. რუს. грамота მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „გრამატა“, რომელიც მრავლობითი რიცხვის ფორმაა. ქართულში სპარსულიდან ნასესხებია ბანოჯანი (საპატიო ქალი, მანდილოსანი). სპარსულში ეგ სიტყვა იხმარება ასე: ბანუ, — მისი მრავლობითია ბანოჯანი; ქართულს საფუძვლად აუღია სწორედ ეს მრავლობითი ფორმა.

ამიტომ ქართულში რომ ვიტყვი: „ბანოვანი“ ან „ბანოვანები“, მრავლობითობის ორგვარი სუფიქსი ეხამება ერთმანეთს: ერთი სპარსული (რომელიც არ აღიქმის) და მეორე ქართული. მაშასადამე, ქართველის გრამატიკულ ცნობიერებაში ბ ა ნ ო ვ ა ნ მხოლოდითად გაიგება.

ზმნის სესხების ნიმუშად დავასახელებთ ერთ მაგალითს. რაჭის მთიან ნაწილში (ღები-ჭიორა-გლოლა), ფეხპოდგმულია ნ ა ხ შ ო ბ ა (ენახშობ, ნახშობ, ნახშობს), უღრის ლაპარაკს. ეს სიტყვა ოსური წარმოშობისაა.

### ნასესხები სიტყვების ფონეტიკური მოდიფიკაცია

იმ რიგის ნასესხები სიტყვა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო „საბოლოოდ“ შეეზინება ენას და ხდება ლექსიკონის განუყოფელი, ორგანული ერთეული, — დამორჩილებულია ამ ახალი ენობრივი სამყაროს ფონეტიკურ კანონზომიერებას. ახალ სიტყვას ისევე ეპყრობა ენა, როგორც საკუთარს, და ამის შედეგად მისი ფონეტიკური ვარსის მოდიფიკაცია: ფონეტიკური პროცესები, რომლებიც მოქმედია ამ ენის მთელ სივრცეზე, ვრცელდება ახლადამკვიდრებულ სიტყვაზეც; უცხოური სიტყვა ან ვერ მოიკიდებს ფეხს ახალ ლინგვისტურ ვარემოში, ანდა ჩაებმება საერთო ფერხულში, როგორც სრულფულეებიანი წვერი საკუთარ სიტყვათა, ფონდისა. ამის საწინდარია მისი ფესვების ფართოდ გადგმა ენობრივ ნიადაგში და მტკიცედ დამკვიდრება. თითოეულ ენაში თავისებურია წესი უცხოური სიტყვის ფონეტიკური სახეცვალებისა, შეფარდებული შთაინად და საესებით ამ ენის ფონეტიკური სისტემის სპეციფიკასთან. მაგალ., ქართული ენისათვის აუტანელია ერთნაირი თანხმოვნების კომ-

პლექსები და ამიტომ უდგინო აქვს გამარტივებას („ნოველა“ და არა „ნოველა“, „მესია“ და არა „მესია“, „გრამატიკა“ და არა „გრამატიკა“ და ა. შ.), ხოლო, მაგალ., რუსული-სათვის ეს კანონი არაა მოქმედი. ადვილია მრავალი ასეთი სპირისპირო მოვლენის დასახელება.

უნდა ვიცოდეთ, რომ უცხოური სიტყვის „ფონეტიკური ნათლისღება“ არ ხდება ერთბაშად, მისი შემოსვლის პირველ დღეებშივე. მაგალ., ქართულში ითმინა ერთხანს ორი ერთნაირი თანხმოვანი ერთად, მაგალითად, სიტყვებში: ე კ კ ლ ე ს ი ს, ღ რ ა მ მ ბ ტ ო კ ა და სხვ. (ბერძნულიდან), მაგრამ საბოლოოდ მაინც „მოახვია“ სიტყვას თავისი კანონზომიერება (შემდეგ მივიღეთ: ე კ ლ ე ს ი ა, გ რ ა მ ა ტ ი კ ა და ა. შ.). კიდევ ერთი მაგალითი: უცხოურ სიტყვას თავიდანვე არ შემოჰყვება ახალი ენობრივი სამყაროსათვის უჩვეულო ბგერები ან ბგერითი კომპლექსები, ანდა თუ შემოჰყვება — დროებით. მართლაც: სიტყვებში „ჰასაიკი“, „ჰამბაიკი“, „აბრაჰამი“ — ქართულისათვის არაორგანული ბგერა ჰ ერთხანს დარჩა, მაგრამ შემდეგ უკვალოდ დაიკარგა.

ფონეტიკური სახეცვალება დროთა ვითარებაში ისე შორს მიდის, რომ ხშირად ვერ იცნობ უცხოურ სიტყვას, ძნელი დასაჯერებელი ხდება, პირველადი და სახეცვლილი ფორმის ერთმანეთთან დაკავშირება. მაგალ., ქართულში დიალექტურად (გურულში, აჭარულში) არის სიტყვა ჰ წ კ ა ლ ა, ნიშნავს კიბეს. ლინგვისტური ძიებით მივდივართ ლათინურ სიტყვასთან ს კ ა ლ ა (კიბე). მაშასადამე, ქართ. ჰ წ კ ა ლ ა ლათინური ს კ ა ლ ა სიტყვის სახეცვლილი ფორმაა. განსხვავება ადვილად შეიმჩნევა.

ამ ფონეტიკური მოდიფიკაციის წყალობით რთულდება ენათმეცნიერ-

რული ძიება. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგმა ნასესხებმა სიტყვამ ისე იცვალა სახე, რომ სამუდამოდ იჭრება გზა მისი წარმომავლობის დადგენისა. ამიტომ, უნებურად ასეთი პარადოქსი უნდა გამოითქვას: პირობითია ამათუიმ სიტყვის ჩათვლა ორიგინალურად. ნამეტურ ეს ეხება ისეთი რიგის სიტყვებს, რომელნიც ყრულ გვაგარძნობინებენ უცხოურობას, და საამისო საბუთები კი არა გვაქვს. ვინ იცის, რამდენი ძირი ლექსიკონის ორიგინალური ფონდიდან ნამდვილად უცხოური წრის ფენისაა, აგრერიგ რომ შეცვლილა ეამთა ვითარებაში ასეთი ჩაღრმავებული ძიება მიგვიყვანს ლექსიკონის ქმნადობის იმ თაღდაპირველ სათავეებამდის, რომლებიც ენათა შეჯვარების სტადიას განეკუთვნებიან.

#### ნასესხები სიტყვის სემანტიკური მოღვივების

წინა მუხლში დაერწმუნდით, რომ ნასესხებ სიტყვას ენა ეპყრობა, როგორც საკუთარ ფორმას, და დროთა ვითარებაში უმორჩილებს თავის ფონეტიკურ წესებს, ცვლის მას ფონეტიკურად. მაგრამ ეს სიტყვის მარტოოდენ გარეგნულ მხარეს როდი შეეხება. შემოსულ ლექსიკურ ფორმას „თავის ნებაზე“ ეპყრობა ენა სემანტიკის, შინაარსის მხრივაც. დროთა ვითარებაში ან დაეწროვდება სიტყვის მნიშვნელობა, ან გაფართოვდება, ან „სემასიური ვადახრა“ შეეშთხვევა და სხვ. ამ დებულების ძალით, ნასესხები სიტყვის შინაარსობლივი სახეცვალება ემორჩილება ენაში მოქმედ სემანტიკის საზოგადო პრინციპებს. აქ დაეასახელებთ ორიოდ ნიმუშს. არაბულად ლამაზ ნიშნავს მაცდუნებელს, ბოროტ მოენეს ქართულში მან მიიღო შემდეგი მნიშვნელობა: თვალთმაქცი, მხიბლავი გარეგნობით,

ჯადოსნური ადამიანი, სიტყვით თვალთმაქცი (იხ. ვეფხისტყაოსანი). შემდეგ კი მიიღო ეს მნიშვნელობა, რომელიც ყველასათვის ცნობილია დღეს. თურქულში იატაგ ნიშნავს საწოლს, ტახტს, საცხოვრებელს, თავშესაფარს, ღამისგასათევ სადგურს. ქართულში იატაკის მნიშვნელობა საგრძნობლად შეცვლილა.

#### სისხების სამართო მიჯაჭობი და შედეგები

რომ შევადართოთ ერთმანეთს ენები, თუნდაც კულტურულად თანაბარი რებულიანნი, ცნებათა და სიტყვათა მარაგის მიხედვით, მათ შორის განსხვავება აღმოჩნდება: ამ შესაღარებელ ერთეულთაგან შესაძლოა ერთს არ გააჩნია რომელიმე X ცნების აღმნიშვნელი სიტყვა, ხოლო მეორეს ეს აქვს, — მაგრამ მეორე მხრით ამ მეორე ენას შესაძლოა რომელიმე Y ცნების სიტყვიერი ფორმა მოეპოვება, და პირველის ენობრივი სინამდვილისათვის კი იგი უცხოა. ეს ნაკლებობა შესამჩნევი ზდება განსაკუთრებით თარგმნის დროს. მაშასადამე, აბსოლუტურად სრულყოფილი ენა, რომელსაც ყოველი ცნებისათვის ყოველი ცალკეული საკუთარი სიტყვა გააჩნდეს, არ არსებობს. აქ, რა თქმა უნდა, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ამ მხრივ მეტნაკლებობა პირდაპირპროპორციულია ამათუიმ ენის კულტურულ პრესტიჟთან. ამიტომ ბუნებრივია, რომ არსებობს შინაგანი აუცილებლობა ერთისესხებისა. სიტყვის სესხება დეტერმინებულია ენის საზოგადო ლინგვისტური ბუნებით, და ეს ენობრივი ბუნება კი საბოლოო ანგარიშში თავის სათავეებს პოულობს სოციალურ საფუძვლებში, ენის მატარებელი კოლექტივის ისტორიული განვითარების პირობებში.

ძირითადად ორგვარია მიზეზი სიტყვის სესხებისა: 1) საჭიროება და 2) იძულება, თავზე მოხვევა.

გავარჩიოთ ცალ-ცალკე.

ყოველი ენა საჭიროებს უცხო ლექსიკური. მასალის გამოყენებას. ეს საჭიროება გამოწვეულია ა) შინაგანი ლექსიკური ხარვეზის შესავსებად. ყოველი ენის ზედრია ეს „უქმარისობა“ — მაგრამ ამ მხრივ ენათა შორის უდიდესი განსხვავებაა: კულტურულ ენობრივ სამყაროს იგი ნაკლებად შეეხება, „უკულტურო ენას“ — მაქსიმალურად. საამისო ფაქტების დიდი პროცენტი ანტირაქტულ ცნებებზე მოდის, რითაც მდიდარია ცივილიზებული ენობრივი კოლექტივი და მწლე კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი ენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განყენებულ (და არა მარტოდენ განყენებულ) ცნებათა შექმნისათვის დიდი ფაქტორია ტერმინის გამოშუშავება უცხოური ენის „სემანტიკური გავლენის“ წყალობით. ამის შედეგად ვლენულობთ ტერმინს, რომელიც მასალაობრივად კი არაა ნასესხები, არამედ ცნების აგების პრინციპითაა უცხო; ბ) უცხოური ენობრივი კოლექტივიდან ცნების resp. საგნის შემოსვლას მოჰყვება სახელწოდებაც, სიტყვიერი გაფორმებაც: *rem verba sequuntur* (სიტყვები მიჰყვებიან საგნებს). ეს პროცესი მიმდინარეობს ერთი ხალხის მეორე ხალხზე კულტურულ-ისტორიული შემოქმედების ნიშნის ქვეშ; ე. წ. „კულტურული სიტყვების“ სესხება ამის ნაყოფია. ასე, მაგალითად, როდესაც ჩრდილოეთ ევროპის ძველმა გერმანელმა ტომებმა დაამყარეს კონტაქტი რომაელებთან და გაეცნენ მეღვინეობას და მოკირწყლულ ქუჩებს, ბუნებრივია, ისესხებ-

დნენ საამისო ლათინურ ტერმინოლოგიას.

ქვის კედლის ცნებას *ქვისმინიშნად* მოხატესავე ძირის სიტყვები აქვთ ზრლანდურს, ძვ. ზემო-გერმანულს, ხორუტანულს, პოლონურს, ლიტვურს, და სხვ. ეს ერთი ძირის სიტყვები მომდინარეობენ ლათინური ენიდან. აქედან ასკვნიან, რომ რომაელთაგან ისწავლეს ჩრდ. ევროპელებმა ქვის ნაგებობათა ბელოვნება. ლათინურ სიტყვას *mina* — ბერძნული „მინა“-ის გზით მიეყავართ ებრაულ-ასირიულ ენამდის. აქედანვე წარმოიშვებიან ეგვიპტური და სანსკრიტული ფორმები. თავის მხრივ ამ ებრაულ-ასირიულ ფორმას მიეყავართ იმ ხალხის ენამდის, რომელიც ბინადრობდა ბაბილონში სემიტების დამკვიდრებამდის. ეს გრძელი ლინგვისტური ჯაჭვი კი გვიჩვენებს, საიდან და რა გზებით მოდიოდნენ უხსოვარ დროიდან ამ სიტყვებით ვადმოცემული საგნები — სასწორი და საზომი.

სიტყვის სესხება არ განისაზღვრება მარტოდენ საჭიროებით, ცნების სესხების შედეგად. შესაძლოა საგანი ანუ ცნება ნაცნობი იყოს, სათანადო სიტყვიერი ფორმაც არსებობდეს, მაგრამ ენა მაინც სესხულობდეს უცხოურ სახელწოდებას.

მაშასადამე, ჩვენ მეორე ძირითადი მიზეზის ვარკვევის წინაშე ვდგავართ.

სიტყვათა სესხება, მიუხედავად არაუცილებლობისა, ხდება უცხოური ენის ინტენსიური დაწოლის პირობებში. სახელდობრ ეს ის პირობებია, როდესაც ერთი ენობრივი კოლექტივი ძლიერ გავლენას ახდენს მეორეზე პოლიტიკური ან კულტურული უპირატესობა-შემოქმედების წყალობით. უკეთეს ეს პეგემონია მხოლოდ პოლიტიკურ სფეროშია, ხოლო კულტურული დონე დამყარობელი ერთე-

ელისა დაბალია დაპყრობილისაზე; მაშინ სესხება უმთავრესად ზეპირი, პირადი ურთიერთობის გზით მიმდინარეობს. ეს გასაგებია: მთარგმნელობითი მუშაობა ამ პირობებში არაა გარდაუვალი, კულტურულ გავლენას ადგილი ან სრულიად არა აქვს, ან თუ აქვს — სუსტად. კულტურული ტერმინების დარგში აღსანიშნავია მხოლოდ სამოხელეო-აღმინისტრაციული ტერმინოლოგიის სესხება. გარკვეულ ნაწილს ზეპირის გზით შემოსული სიტყვების ფონდიდან დროთა ვითარებაში ეძლევა ლიტერატურული გამოხატულება; საჭიროებისამებრ ეს სიტყვები იკალათებენ ლიტერატურული ენის ლექსიკონში.

უკეთეს ჰეგემონია კულტურის სფეროშია (ან როგორც კულტურის, ისე პოლიტიკისა), მაშინ ტალღა ნა-სესხები სიტყვებისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ლიტერატურის გზით მოდის. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არაა გამორიცხული ზეპირი გზაც, უკეთეს მოცემული ერთეულის წარმომადგენლებს პირადი ურთიერთობა აქვთ დამყარებული. ასეთი იყო, მაგალითად ქართულ-ბერძნულის, ქართულ-სპარსულის, ქართულ-არაბულის მიმართება.

მთარგმნელობითი პროცედურა შინაგანის აუცილებლობით გულისხმობს უცხოური ფორმის შემოჭრას ენაში. ან ა) მთარგმნელისა და უნებლიედ გადმოვა სიტყვა თარგმანში; ანდა ბ) საკუთარ ენაში ეკვივალენტი არ მოიძებნება და, მაშასადამე, საჭიროებითაა გამართლებული უცხოური სიტყვა, ან კიდევ გ) შეგნებულად გადმონერგავს მთარგმნელი ამათივე სიტყვას თავის თარგმანში, იმისდამიუხედავად, რომ სათანადო ფორმის შესატყვისი დედაენაში მოიპოვება.

მკიდრო ლიტერატურული, სამეცნიერო, საზოგადოდ — კულტურული

დამოკიდებულება ერთი ურთიერთ კოლექტივისა მეორესთან. საწინდარია სიტყვათა განუყოფელი დინებისა, საჭიროებისა და სიტუაციაში ეს უცხო ენა გამოდის კულტურული კანონმდებლის როლში, ერთგვარ მოდადა ქცეული მისი ლექსიკონი; გამვლენელი ხალხის კაზმული სიტყვიერების ნორმები, ლიტერატურული ფარების გადმონერგვის ტენდენციით, მიბაძვის საგნადაა ქცეული. ლიტერატურული სტილის შინაგანი საჭიროებაცაა უცხო სიტყვიერი მასალის გამოყენება საკუთარი ენის ეკვივალენტთან ერთად. უცხოური სიტყვისა და მისი „დამხედური“ ეკვივალენტის ერთობლივობა ჰქმნის სინონიმებს.

ენები უხვად იძლევიან ჩვენი დებულების დამამტკიცებელ საბუთებს. მაგალითად, უზნეო ქალთა სახელწოდებათა სფეროდან: სათანადო ფინიკურ-ებრაული სიტყვა გადავიდა ბერძნულში, აქიდან ლათინურში, ბერძნულიდან სომხურში და ა. შ. ფინებმა ისესხეს ამგვარი საეჭვო რეპუტაციის ქალთა აღმნიშვნელი, ასე გასინჯეთ, სამი სახელწოდება. შრადერის მოსწრებული შენიშვნის არ იყოს, ამ სესხების მიხედვით რომ დაგვესვენა, თითქოს იმ ხალხთა ცხოვრებაში, რომელთაც ასეთი სიტყვები ისესხეს, სესხებამდე არ იყო გავრცელებული უზნეო სქესობრივი ურთიერთობანი, ისეთივე აბსურდი იქნებოდა, ვინმემ რომ დაიწყოს მტკიცება — გერმანელებს არ ჰყავდათ ცუდი ყოფა-ქცევის ქალები, სანამ არ გაიგეს და არ ისესხეს შესაბამისი ფრანგული სიტყვა...

შეადარე უცხო და ქართული თანაბარმნიშვნელობის სიტყვები:

ქართი:	უცხო:
სატყუარი	ხანჯალი
ფიცი	ზენარი
ყმა	ჭაბუკი
მოძღერალი	მუტრიბი, და სხვ.

მეორე წყების სიტყვები შემოვიდა უცხოური ენობრივი სინამდვილიდან, იმისდამიუხედავად, რომ ცნების შესატყვისი სახელწოდებანი ქართულს გააჩნდა (1 წყება).

ამასთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ, რომ შესაძლოა უცხოური სიტყვის ბადალად, სინონიმად საკუთარი სიტყვა კი არ მოეპოვებოდეს ენას, არამედ აგრეთვე უცხოური სიტყვა, ოღონდ სხვა ენიდან მომავალი. ინგლისურში, მაგალითად, იმდენად მოზღვავებულია სხვადასხვა ენიდან მომდინარე ერთიდაიმავე ცნების აღმნიშვნელი სიტყვები (სინონიმები), რომ, როგორც ერთი მეცნიერი ამბობს, შეიძლება დაიწეროს ინგლისურად წიგნი, რომელშიც არ იქნება ლათინურ-ფრანგული სიტყვები და იქნება გამოყენებული მხოლოდ გერმანული ფენის მასალა, და პირიქით: შეიძლება დაიწეროს წიგნი მხოლოდ ლათინურ-ფრანგულიდან ნასესხები ფორმების საფუძველზე, გერმანული სინონიმური მასალის უგულვებელყოფით.

ქართულშიც ვადასტურებთ სხვადასხვა ენათაგან მომდინარე სინონიმებს. შეადარე, მაგალითად, ბერძნული ლექსი და სპარსული შაირი.

ერთი ენიდანაც მოდის ზოგჯერ ერთიდაიმავე ცნების აღმნიშვნელი ორი (ან მეტი) სხვადასხვა ფონეტიკური მასალის სიტყვა.

რა მიმართება მყარდება უცხოურ სიტყვასა და შინაარსობლივად მის შესაბამის საკუთარ სიტყვას შორის? სამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ა) უცხოური ტერმინი შეავიწროვებს და განდევნის სიტყვახმარებიდან „დამხდურ“ სიტყვას. ამის შედეგია, რომ მეცნიერებას არა აქვს შესაძლებლობა იცოდეს, ჰქონდა თუ არა ენას ოდესმე მოცემული (უცხოური) სიტყვის საკუთარი ლექსიკური ეკვივალენტი. უკითხ ენას ისტორიულ მოცილობა გააჩნდა,

შესაძლოა აღმოვაჩინოთ კვლავ შემდეგ დაკარგული სიტყვისა, ასე, მაგალითად, არაბულ-სპარსულიდან ნასესხებმა სიტყვამ — *მანჯალი* — თითქმის მოსპო ქართული სახელწოდება *სატყვარი*, ხოლო მთლად შთანთქა ამავე ცნების მეორე სახელწოდება *ყელე*<sup>1</sup>. სპარსულიდან შემოსულმა სიტყვამ — *პასუხი* განდევნა ქართული სიტყვის *გებაა*, ბერძნულმა სიტყვამ — *მარტილი* — ქართული *მოწამე* და *ა. შ. ცნობილია*, თუ როგორ განდევნა ლათინურმა ტერმინოლოგიამ ქართული საკალენდრო სისტემის ძველი ტერმინოლოგია<sup>2</sup>; ბ) შესაძლოა „დამხდური“ სიტყვა დარჩეს სიტყვახმარებაში ნასესხებთან ერთად სინონიმურად. მაგალ., (არაბ.) *ხოტბა* — (ქართ.) *ქება*, *შესხმა*; გ) არაიშვიათია, როდესაც ორივე ენის სიტყვა იქნება შენარჩუნებული, მაგრამ როლები განაწილდება, შინაარსობლივი დიფერენციაცია გამოუმუშავდება, — მაშასადამე, სემანტიკური ნუანსებით გაემიჯნებიან ერთმანეთს თავიდანვე ერთმნიშვნელოვანი სიტყვები. მაგ., უცხოურ *დმის* შემოსვლით ქართულ ეკვივალენტს — *ჩხუბი* — საგანგებო მნიშვნელობა მიეჩინა: იგი აღნიშნავს გარკვეულ ანტაგონისტურ ურთიერთობას, რომელიც არა-ორგანიზებული, არა-სახელმწიფოებრივი ხასიათისაა, მაშინ როდესაც *დმის* ქვეყნებს შორის ხდება. *ჩხუბის* ძველი მნიშვნელობა შემონახულია დასავლეთ საქართველოში; იგი *დმის* მნიშვნელობითაც იხმარება. აი დამახასიათებელი ფრაზები: „*ჩხუბი დიფყო*“, „*ჩხუბში წივე-*

<sup>1</sup> საბა ორბელიანის განმარტებით, *ყელე* = *ხაჯალს*.

<sup>2</sup> შტრ. *პავლე ინგოროყვა*, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მე-5-8 საუკუნის ძველებში. „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, 1931 წ.

დი, „იაპონიამ რომ ჩხუბი დეიწყო“, და სხვა.

დასასრულ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ არაა სავალდებულო დარჩეს ენაში უცხოური სიტყვა სამუდამოდ. ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვა ლექსიკური წრიდან შემოსული სიტყვა ვერ იკიდებს ფეხს ეროვნულ ლექსიკონში. თუ ასეთი რამ არა-ლიტერატურულის გზითაა შემოსული, იგი ჰქრება უკვალოდ, ხოლო თუ ლიტერატურულის გზით, — აგრეთვე ჰქრება, ოღონდ რჩება კი ლიტერატურულ ძეგლში, ვითარცა მკვდარი ფორმა, რომელსაც ყველა ნიშნებით ეტყობა, რომ უღდეური და გაუძღისი ყოფილა ახალ ენობრივ სამყაროში. ძველ ქართულში აქა-იქ იხმარება ბერძნული ევანგელე. მაგალ., შუშანიკის მარტილობაში ვკითხულობთ: „აღდგა წმიდა და ნეტარი შუშანიკ და თანა წარიტანა ევანგელეა თვისი...“ გვხვდება სხვაგანაც. მაგრამ ამ სიტყვამ ვერ მოიპოვა მოქალაქობრივობა და ვერ შთანთქმა ძველი ქართული სიტყვა სახარება. შრავლის მრავალია ძეგლებში ისეთი უცხოური სიტყვები, რომელთა ხმარება განისაზღვრება მართოდენ მოცემული ძეგლის ენით, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მეტად ვიწროა რკალი. მათი გავრცელებისა. ეს ეხება უწინარესად თარგმნითი ხასიათის თხზულებებს. ეს გასაგებობაა: ზოგიერთი მთარგმნელი დედნის გავლენის ქვეშაა, უნებლიედ შემოეპატება უცხოური ტერმინი, ან კიდევ შეგნებულად გადმოიტანს მას, საკუთარი გემოვნების მიხედვით. ამ წესით გადმონერგული სიტყვა ვერ გაიხარებს ახალ ლექსიკურ ნიადაგში, და იგი ძველი წერილობითი ძეგლების ფურცლებიდან გამოიყურება, როგორც გამხმარი ფესვები გაუხარელი ნაყოფისა.

სისხმების სხვადასხვა ხარისხი

ზემოთ ვთქვეით, რომ უცხოურულად მალა მდგომი სიტყვების დაბლა მდგომისაგან სიტყვებს ცნების სესხების შესაბამისად. მაშასადამე, ცნების სესხების მიუხედავად უსაფუძვლდება და ამართლებს სათანადო სიტყვის სესხების ფაქტს. საჭიროებით დატერმინებული სესხება გარდაუვალი ბედია ყოველი ენის ლექსიკონისა. სესხების მეორე გზა — უცხოური ენის ძლიერი „ლექსიკური დაწოლა“, არ არის გარდაუვალი: პრინციპულად არაა აუცილებელი ენათა ლექსიკონების უინტიმესად ახლო ურთიერთშეხება.

უცხოური ლექსიკური მასალის უარბი სესხება არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად „მიმღები“ ენის განვითარებისათვის. სესხების ეს სიუხვე გარეგნულად ენის გამამდიდრებელ საშუალებად გვეჩვენება, არსებითად კი მისი შინაგანი ევოლუციის შემაფერხებელი მოვლენაა. და მართლაც: გარეშე ლექსიკური დაწოლის შემთხვევაში ენა „სხვა ენის ხარჯზე“ მიდის, მზამხარეულად ღებულობს უცხო სინამდვილეში წარმოქმნილ ლინგვისტურ ღირებულებებს, და თუ ეს პროცესი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ამით აღუწებს იგი საკუთარ შესაძლებლობებს, ასუსტებს თავის ლექსიკურ ენერჯიას, ვერ იყენებს თავისი ენობრივი სინამდვილის მასალას. ყოველი ენის პოტენციურ ენერჯიაში ჩამარბულია დიდი შესაძლებლობანი გრამატიკისა თუ სემანტიკის ევოლუციის ხაზით, ხოლო უცხო სიტყვების მომძლავრებელი დინება ხელს უშლის ამ შესაძლებლობათა რეალიზაციას.

ენები, ბუნებრივია, არ წარმოადგენენ ტოლფას ღირებულებებს თავიანთი ლინგვისტური შესაძლებლობით. მაგალითად, ავიღოთ, ერთი მხრივ,

რუსული ენა, ენა დიდი კულტურისა, და ლალისტინის რომელიმე ენა, მეორე მხრით, ენა კულტურულად უტრადიციო, რომელსაც მწიგნობრობა შეეჭმება დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ამ ორ ენას განვითარების მხრივ, რა თქმა უნდა, ერთ სიმბრტყეზე ვერ დაეყენებთ. ამგვარად, მსოფლიოს ენათა შორის „სიმდიდრის“ მხრივ განსხვავებაა. ამ სრულად ობიექტულური დებულების ხაზგასმა შემდეგი დებულების წარმოსაყენებლად გვირდებოდა: ენათა პოტენციური ღირებულების სხვადასხვაობა საფუძველია სესხების ხარისხის სხვადასხვაობისა, სესხებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებისა. მაგალითად, არაბული ლექსიკონის სიმდიდრე, კერძოდ მისი სინონიმების აურაცხელობა, მწიერ ნიადაგს ჰქმნის უცხოური ფორმების შეჭრისათვის: უცხოურ ცნებას ადვილად „მიესაყურება“ რომელიმე ერთეული სინონიმითა არსებულ პასაჟიდან აზრობრივი შეფარდების გზით. ბერძნები ისტორიულად დავალებული არიან კულტურის სფეროში აღმოსავლეთისაგან, მაგალ., სემიტებისაგან, მაგრამ მათგან, პროფესორ მიულერის გამოანგარიშებით, მხოლოდ 100 სიტყვა იტესხეს. ძირითადად კი ხდებოდა საკუთარი მარაგის გამოყენება.

წამოყენებული დებულების მეორე მხარე ეს იქნება: სესხების ხარისხი თავის მხრივ მაჩვენებელია მოცემული ენის შინაგანი ღირებულებისა. აქედან დასკვნა: სესხება და ენის ბუნება კორელაციური ცნებებია.

ცივილიზებული (resp. მწერლობის ბქონე) ენა თავის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაგვარ აღქმადობას იჩენს უცხოურ სიტყვებშია. სხვანაირად რომ ვთქვათ, სალი-

ტერატურო ენა თავის ევოლუციის მანძილზე არ ავლენს გარეშე ლექსიკური სინამდვილიდან მსიქმინარე მასალის თანაბარ ამთვისებლობის უნარს. რამდენადაც უფრო ძლიერია და ტრადიციული სალიტერატურო ენა, იმდენად იგი მანიშნებელია საკუთარი ლექსიკონის მაღალი დონისა და ამდენადვე მტკიცე ბარიერს ჰქმნის უცხო სიტყვების ღირების საწინააღმდეგოდ. სალიტერატურო ენის გაძლიერება და გამდიდრება ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის უცხოური ფორმების დანერგვისათვის გარკვეული ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის გამო. სამუშაოებლად, მოჭირვებული სალიტერატურო ენა ენერგიულად იცავს თავის პრესტიჟს და უცხოურ სიტყვებს ადვილად არ უღებს კარებს მშობლიურ ლექსიკონში. უცხოურ ცნებათა გადმონერგვისათვის ძირითადი საკომპენსაციო საშუალება, როგორც ზევით ვთქვით, საკუთარი მასალის გამოყენებაა.

ხოლო როდესაც სალიტერატურო ენას საუკუნოებრივი ისტორია არა აქვს, ჯერ კიდევ თავის ქმნადობა-ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, — არ არის გამომუშავებული იმუნიტეტი უცხოური ლექსიკური მასალის საწინააღმდეგოდ, ე. ი. ენას არ ძალუძს თავისი ლექსიკონის წიაღში წარმოქმნილი ტიპების რეალიზაცია, ნაცვლად ნასესხები ფორმებისა. ახლადფეხადგმული, ან ჯერ კიდევ წელგაუმართავე სალიტერატურო ენა ხარბად შთანთქავს სხვა ენობრივი საწყაროს ლექსიკურ საკუთრებებს, მაშინ როდესაც ჩამოყალიბებული და შედარებით სრულყოფილი სალიტერატურო ენა იმანენტურად იმუშავებს საამისო საწინააღმდეგო თვისებებს, მაქსიმალურად ავიწროვებს რკალს ნასესხები სიტყვებისას.

ქარბი სესხებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთ ყურადსაღებ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ მოცემული ენის თვალსაზრისით სტრუქტურული თავისებურება და მეტყველების ფსიქოლოგიის ნიშანდობლივობა, საერთოდ სპეციფიკა ამ ენის სულისა— იმ ენობრივ ორგანიზმთან შეპირისპირებით, საიდანაც იჭრებიან სიტყვები. ამ კუთხითაც უნდა იქნეს შეფასებულ-ახსნილი, მაგალითად, არაბულის ან ბერძნულის შედარებით ნაკლებაღქმადობის უნარი უცხოური ლექსიკური მასალის მიმართ... ვიმეორებთ, ანგარიშგასაწყევია სესხების თვალსაზრისით თავისებურება, და ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ამოსავალია ტიპოლოგიური სხვადასხვაობა ენებისა საერთოდ. მაგალ., თურქული სხვა სისტემის ენაა, მაგრამ ქარბად უსესხებია არაბულ-სპარსული ელემენტები. წამოყენებული თეზისი ვარაუდობს უცხო ენობრივი ელემენტების ათვისების მხრივ სხვადასხვაობას ენებისას, რისი მიზეზიც ჩამარხულია ენათა შინაგან ლინგვისტურ ბუნებაში, მიუხედავად მათი სისტემობრივი დიფერენციაციისა. ამის მიხედვით, არ გავიკვირდება, რომ მაგალითად, სპარსულში მოზღვავებულია არაბული ელემენტები, იმისდა მიუხედავად, რომ ეს ორი ენა სხვადასხვა სისტემის ენებია, — მაგრამ, მეორე მხრით, არაბული რომ ნაკლებად ეკიდება უცხო სიტყვებს, ამის ახსნა არა მარტოდღენ იმაში უნდა ვეძებოთ, რომ იგი დიდი შინაგანი პოტენციის ენაა, არამედ შესაძლოა ამ ფაქტის ვასაღებად თვით არაბულის სათანადო მოუქნელობაც ჩაითვალოს.

შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ნაკლებ მოქნილი და მეტად მოქნილი ენები უცხოური სიტყვების მიღების თვალსაზრისით.

აქ უნდა გავიმეოროთ ზემოთგამოთქმული აზრი, რომ რაგინდ განვითარებული არ იყოს სალიტერატურო ენა, სულ ერთია, უცხო გავლენას იგი მაინც ვერ ასცდება. ამ მხრივ კი განსხვავება ენათა შორის პროცენტებშია.

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნეში მრავალი რუსიციზმი შემოიჭრა ქართულ ხალხურ მეტყველებაში, — სალიტერატურო ქართული ამ ტენდენციას ასცდა, და ეს იმიტომ, რომ საერთოდ რუსიციზმების ძლიერ ტალღას, მომდინარეს ჩვენი ენის მიმართულებით, დაუხვდა მტკიცე კედელი ქართული სალიტერატურო ენის სახით, რომელიც მრავალსაუკუნოვანი დუდილის შედეგი იყო, როგორც ჩამოყალიბებული ორგანიზმი სალიტერატურო მეტყველებისა. სამაგიეროდ, ახალი ფორმაციის სალიტერატურო ენები (რევოლუციის შემდეგ რომ შეიქმნენ ჩვენს ქვეყანაში) ქარბად აღევენ ლიტერატურულ გამოხატულებას რუსიციზმებს.

ასეთია უცხო ლექსიკურ სინამდვილესთან ენის მიმართების კანონზომიერება.

### ნასესხები სიტყვის გამრცობის ბუნებაში

უშუალო მეზობლობის შედეგია დილექტების სხვადასხვარი დამოკიდებულება-მიმართება უცხოურ ლექსიკურ მასალასთან: ენას სხვადასხვა კონტურებით გააჩნია შეხედრის წერტილები უცხოურ ენობრივ სინამდვილესთან თავისი გეოგრაფიული გამოშლა-განფენილობის გამო. ზეპირის, პირადი ურთიერთობის წესით დანერგული სიტყვები შემოდიან იმ დი-

ლექტების გზის გავლით, რომლებიც გეოგრაფიულად ემეზობლებიან უცხოურ ენას. რამდენადაც უფრო მკიდრო ენობრივი რკალი აკრავს მოცემულ ენას, რამდენადაც უფრო კომპაქტურ გარემოცვაშია იგი მოქცეული, იმდენადვე სხვადასხვა გზებით მოიძარათებიან მასში უცხოურ ენობრივ სინამდვილეში წარმოშობილი სიტყვები. ფიგურალურად რომ ვთქვათ, დიალექტები გვანან თითებს, რომელთა ელექტროობასთან შეხებითაც გადადის მთელ სხეულში ელექტრული დენი.

რომელიმე X დიალექტის მიერ შენასრუტა ნასესხები ფორმები ტალღობრივად ვრცელდებიან ენის მთელ სივრცეზე. ეს პროცესი მიმდინარეობს ისოვლოსების თეორიის ნიშნის ქვეშ, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოძეშვებულია ახალი დიალექტოლოგიური სკოლის—„ენათმეცნიერული გეოგრაფიის“ მიერ (ე. წ. ფრანგული და მარბურგული სკოლები ვილერონისა და ვრედესი).

შიუხედავად ამ გავრცელებისა, ეს დიალექტი მაინც ყველაზე მკაფიოდ ატარებს თავისი მეზობელი ხალხის მიერ დასმულ „ლექსიკურ დასს“. ეს სრულიად გასაგებია. მართლაც: დასავლეთ-სამხრეთ საქართველო ისტორიულად ემეზობლებოდა ბიზანტიას და ბერძნულ-ლათინური სიტყვები ქართულში ვრცელდებოდა ამ გზით (აქ არ იგულისხმება, რა თქმა უნდა, მწიგნობრულის გზით შემოსული სიტყვები). ამით აიხსნება, რომ დასავლურ კილოებში უფრო გავრცელებულია ბერძნული სიტყვები, ვიდრე აღმოსავლურ კილოებში, რომლებშიც, სამაგიეროდ, აღმოსავლეთიდან შემოსული სიტყვები (არაბულ-სპარსულ-სომხური) სჭარბობს. ამის მაგალითები ბევრია. მაგალ., დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივი

იყო ბერძნული ეკლესია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ხმარობდნენ სპარსულ-სომხურ სიტყვებს. გარდა ამისა, დასავლურ კილოებში ერთობ გავრცელებულია ბერძნული მამაკაცისახელები (ანთიმოზ, აპოლინარიოს, თადეოზ, ნიკიფორე, ეფროსინე...), მაშინ როდესაც აღმოსავლურში ისინი იშვიათია და ჩვეულებრივია არაბულ-სპარსული საკუთარი სახელები (ზაალ, გურგენ, გივი...).

პირადი ურთიერთობა არ გულისხმობს მარტოოდენ დიალექტებისა და მოსაზღვრე ენის მატარებელთა შეხვედრას. შესაძლოა უცხო ენობრივი კრლექტივის წარმომადგენლები, ექსპანსიის პირობებში, უშუალოდ იჭრებოდნენ ერის სიღრმეში და პირად ურთიერთობას ამყარებდნენ არა მარტოდენ მოსაზღვრე დიალექტების წარმომადგენლებთანაც.

ზეპირის გზით შემოსული სიტყვები დროთა ვითარებაში ლებულობენ ლიტერატურულ გამოხატულებას, იკალათებენ და მკვიდრდებიან სალიტერატურო ენაში. ზემოთქმულიდან ვიცით, რომ ბერძნული საკუთარი სახელები—პავლე, თეოდორე, აკაკი... ზეპირის გზითაა შემოსული ზენში და შემდეგ დამკვიდრებულ იმწერლობაში. ასევე ვიცით, ქართული ქართოფილი, ლაფათქა ამავე წესითაა ფეხადგმული ენაში. ეს უკანასკნელი დიალექტებიდან იღებს უცხოურ სიტყვებს იმავე წესით, რა წესითაც იგი ისრუტავს ხალხური მეტყველების საკუთარ ლექსიკურ ტიპებს სალიტერატურო ლექსიკონის გასამდიდრებლად და გასამბიერებლად.

მწიგნობრობის გზით შემოსული ნასესხები სიტყვაც, მეორე მხრით, თანდათან პოულობს მოქალაქობრივობას. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვაკაზმულ მწერ-

ლობას. მწერლობაში დაკანონებული ლექსიკური ფორმა კი თანდათანობით გადადის ხალხურ მეტყველებაში.

### სინონიმური პარალელში

ლიტერატურის თეორიაში გარკვეული ადგილი ეთმობა სინონიმის პლენონასტურ მოვლენებს. სინონიმების პარალელურად ხმარება გაგებულა, როგორც აზრის გაშაძლიერებელი საშუალება, მაქსიმალური ლიტერატურული ეფექტის ერთერთი მეთოდი პოეტურ ენაში. ვგულისხმობთ ისეთი ტიპის გამოთქმებს, როგორცაა, მაგალითად, „შშვენიერი და ლამაზი“, „სადა, მარტივი და უბრალო“, „კოხტად და შშვენიერად“, „ძლიერად და ღონიერად“ და მისთანანი. ეს არის თავისებური რიტორიკული ფიგურა, ანუ შეუცნობელი ტავტოლოგია, რომელიც ფეხმოდგმულია ჩვეულებრივ სიტყვახმარებაშიც... მაგრამ ასეთს პარალელურ სინონიმურ რიგებში არის განსაკუთრებული სექტორი სინონიმებისა, როგორცაა, მაგალი, „ხეეწნა და მუღარა“, „ფიცი და ზენაარი“, „ბედ-იღბალი“, „სჯა-ბაასი“ და მისთანანი. ესენიც სინონიმური წყვილებია. ამ ტიპის ფორმებიც ერთ სიბრტყეზეა მოქცეული პირველი რიგის ფაქტებთან, და ახსნილია, როგორც აზრის გაძლიერების მიზნით გამოწვეული სინონიმური განმეორებანი, სინონიმური ტავტოლოგია.

მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოვაქციოთ, ერთი მხრით, „კოხტა და შშვენიერი“ და, მეორე მხრით, „ფიცი და ზენაარი“. თუ პირველი შემთხვევისათვის სწორია ტრადიციული კვალიფიკაცია, მეორე რიგის სინონიმური წყვილები ამ ნიადაგზე არ აიხსნებიან. ვცადოთ ამ მოვლენის ახსნა.

როგორც ზევით აღინიშნა, სიტყვის

სესხება არ განისაზღვრება მარტო-ოდენ საჭიროებით, ცნების სესხების შედეგად. შესაძლოა საგანმანათლებლო ნაცნობი იყოს, სათხრობის სიტყვური გამოსახულებაც არსებობდეს, მაგრამ ენა მინც სესხულობდეს უცხოურ სიტყვას.

ჩვენთვის აქ საინტერესოა ის შემთხვევები, როდესაც ენა სესხულობს სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო ეკვივალენტი მას გააჩნია. ამ გზით უღებულობთ სინონიმებს: ერთია საკუთარი ლექსიკური ფონდისა და მეორე ნასესხები. მაგალი, „შეშოვიდა არაბი“. „ზანჯალი“, მიუხედავად იმისა, რომ გვექონდა ქართ. „სატეგარი“. როგორია ამ პირობებში უცხოური სიტყვის გავრცელების გზები ახალ ენობრივ ნიადაგში?

ქართულ ლექსიკაზე დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ როდესაც უცხოური ენიდან შემოდის სიტყვა და მას ადგილობრივ ზედება იძავე მნიშვნელობის სიტყვა, ეკვივალენტის, ერთხანს ისინი ერთად იხმარებიან, პარალელურად (და გამოხატავენ ერთ ცხებას). ენაში ამ ბუნებრივად გამოშეშვებული ფორმულის მიზანია გაავრცელოს ეს უცხო ტერმინი, ერთგვარად განმმარტებლის ფუნქცია იკისროს ადგილობრივმა ეკვივალენტმა უცხოური სიტყვის მიმართ, „შეშოვიდა-ნოს“ იგი ახალ ენობრივ სინამდვილეში. და როდესაც უცხოური სიტყვა ზოქალაქობრივობას მოიპოვებს „მიმღებ“ ენაში, შემდეგ ჩამოსცილდება მას ეს „გზირი“-სიტყვა, უცხოური სიტყვა უკვე შეთვისებულია. სინონიმების წყვილად ხმარების სხვადასხვა გრამატიკული საშუალება არსებობს: ან მათ შორის ჩაისმის და კავშირი, ან კომპოზიტურად იხმარებიან, ანდა ერთმანეთის გვერდით არსებობენ ტავტოლოგიურად.

ავგარად, სინონიმური წყვილი მექესპის, როგორც უცხო სიტყვის დანერგვისათვის შემუშავებული ფორმულია. ამ მოვლენისათვის შესაფერისად მიმართა დავადგინოთ სახელი: „სინონიმური პარალელიზმი“.

გავეცნოთ ფაქტობრივ მასალას.

**ქვემოთაინი სინონიმური პარალელიზმი**

გრ. ხანძთელის ცხოვრებიდან:

„...რამთა ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა სახელსა ზედა და უძლეველსა სარწმუნოებასა დიდისა მოწათისა შენისა გიორგი ჯუარითა მოქადულისა ახოვნისა და სახელოვნად განთქმულისა ბრწყინვალედ შორის წმინდათა მარტვირთა და მოწამეთა“.

სინონიმურ წყვილში („მარტვირი და მოწამე“) I წვერი—მარტვირი ბერძნულია, რომელსაც მარტავს ქართული მოწამე.

აბდულმესიიდან:

„მწირი და მსხემი ეგრეთ დამსხემი ქებისა ვიქმნე თქვენთვის შემკადრედ“ (5, ლხ, 54).

სინონიმურ წყვილში („მწირი და მსხემი“) II წვერი—მსხემი ბერძნულია, რომელსაც მარტავს ქართული მწირი.

იქიდანვე:

„არ ვიშვ, ეგზომი ბრძოლა და ომი სხვასმცა ძალედდვის მისგან გამართ ვის“.

სინონიმურ წყვილში („ბრძოლა და ომი“) II წვერი—ომი უცხოური ჩანს (შდრ. ძვ. ქართ. ჰომი), რომელსაც მარტავს ქართული ბრძოლა.

ასევეა ვისრამიანშიც: „ომნი და ბრძოლანი ღია გარდამიხდიან“ (გვ. 239).

**ვეფხისტყაოსნიდან**

ფაქტმან ხოთნ თვალმურა მსახურნი არ ყმაწვილი, მგერა მსხუმლი ნაკეთად კარგი, შავ-გვრემანი, პირ-მსუქანი, არ-პარხმელი, მუტრბთა და მომღერალოთა მოუვარული, ღვინის-მსმელი, ღია ეღვა სასალექო, დსაბურავ-ჩასაცმელი (1077).  
ანდა:

შინა დავსხედით ნადიმად მას ღღესა მინდორს რებელნი; მომღერალნი და მუტრბინი არ იყვნეს სულ-დაღებულნი (368).

სინონიმურ წყვილში ერთი წვერი—მუტრბი არაბულია, რომელსაც მარტავს ქართული მომღერალი.

იქიდანვე:

ესე მეტად მომწონა თათხირი და გამორჩევა (546).

სინონიმურ წყვილში I წვერი—თათხირი არაბულია, რომელსაც მარტავს ქართული გამორჩევა.

ვისრამიანიდან: „...თუ ჩემი ქენება და მუღდარა არ მოისმინო“. სინონიმურ წყვილში II წვერი—მუღდარა არაბულია, რომელსაც მარტავს ქართ. ქენება.

იქიდანვე: „მეცნიერებასა ისწავლიან და ზოგნი ნიშაატსა და სიხარულსა უკანა ჯდგებიან“ (გვ. 252).

სინონიმურ წყვილში I წვერი—ნიშატი სპარსულია, რომელსაც მარტავს ქართ. სიხარული.

სხვა ადგილას: „სიხარულითა და ნიშატითა სავსე იყო ჩემი გული“ (გვ. 191).

იქიდანვე: „ფიცო და ზენაარი გასტეხე“ (გვ. 240).

სინონიმურ წყვილში II წვერი—ზენაარი სპარსულია, რომელსაც მარტავს ქართ. ფიცო.

იქიდანვე: „ევი ჩემი სიყმე და ჰაბუკობა“ (გვ. 240).

გრ. ხანძთელიდან: „და მან-ცა წარმოუთხრა ამისავე პასუხისა მსგავსად ღირსისა ყრმისა და ჰაბუკიკისა ეფრემისა და თვის ყოველი“ (ნ. მარის თარგმანით: И он, как бы в ответ, также рассказал все о достойном юноше Ефреме, гв. 23).

სინონიმურ წყვილში II წვერი—ჰაბუკი სპარსულია, რომელსაც მარტავს ქართ. ყმა.

იპოლიტეს ქებათაქების კომენტარებიდან: „მაშინ უბრძანა ძმათა თვისთა შესაქმე კერეონთა და სანთელთა შესაწირავად გარემო ყოველთა მათ მახლობელთა უდაბნოთა...“

სინონიმურ წყვილში I წვერი—კერეონი ბერძნულია, რომელსაც მარტავს ქართ. სანთელი.

ბევრია საამისო ნიმუშები ი. პეტრიწის ნაწერებში: (ბერძნ.) დრასტირიო და მოქმედი; (ბერძნ.) ასქეტოდ და მიუნაქუსად და სხვ.

ამვე რიგისაა დღემდის შემორჩენილი გამოთქმები, როგორც არქაიზმი: ხვეწნა და მუდარა, ბედი და იღბალი. ამ სინონიმურ წყვილებში II წვერები (მუდარა, იღბალი) უცხოა (არაბული), ხოლო I წვერები (ხვეწნა, ბედი) — ქართული. დიალექტურად ამბობენ: დრო და ბორჯი. აქ II წვერი — ბორჯი სპარსულია, რომლის თარგმანია დრო.

ჩვენ განვიხილეთ ისეთი მაგალითები, სადაც სინონიმებს აკავშირებს და კავშირი. მაგრამ სინონიმური პარალელიზმის ფაქტები უკავშიროდაც გვხვდებიან.

უკავშირო სინონიმური პარალელიზმი

ა) ტამბოლოზიური სინონიმური პარალელიზმი

ვეფხისტყაოსნიდან: წვილად ჰადრა, რა იყოღა, რა ნახუღა, რა ნასმენად: ვითა ვეფხსა წვეარნა და ქვაბი აქვსო სახლად, მენად (700).

სინონიმურ წყვილებში II წვერი — მენი არაბულია, რომელსაც მარტავს ქართ. სახლი.

იქიდანვე: უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საქურტლენია! ამილაზრო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენი“ (54).

სინონიმურ წყვილში I წვერი—რემა სპარსულია, რომელსაც მარტავს ქართ. ჯოგი.

იქიდანვე: შენ არ გატევა კარგი გვირს ზენაარისა, ფიცისა, ხამს გასრულება მოყერისა სიყვარულისა შტკიცისა.

ბ) კომპოზიტიური სინონიმური პარალელიზმი

ხვეწნა-მუდარა (არაბ.); (სპარს.) ალაღ-მართალი; (სპარს.) ტანჯვა-წამება; ცეკვა-თამაში (სპარს.); იგავ-არაკი (სომხ.); (სპარს.) სრასასახლე; ბედი-იღბალი (არაბ.); ამბავი-ხაბარი (არაბ.).

როგორც ჩანს, ყველა ამ ფორმებშიც ერთი წვერი უცხოურია, მეორე ქართული. ეს გამოთქმები თანამედროვე სიტყვაზმარებაში შემორჩენილია ძველი საფეხურებიდან და იმ ძველი ვითარების მაჩვენებელია, როდესაც საჭირო იყო უცხოური სიტყვის განმარტება სინონიმური პარალელიზმის პრინციპის ძალით. ამჟამად ცალკე აღებული მუდარა, ალაღი, თამაში, არაკი იღბალი... რა თქმა

უნდა, გასაგებია და, ამდენად, ზედმეტია მათი „მსოფლები“ (ხვეწი, იგავი...), მაგრამ ეს რამდენიმე სინონიმური წყვილი შემოინახა ენამ, როგორც რელიქტური ფორმები.

სინონიმური პარალელიზმის ცნება გულისხმობს ისეთს რიგებსაც, რომელთა შემადგენლობის წევრები ა) მხოლოდ უცხოურია, ან ბ) მხოლოდ საკუთარი სალექსიკონო ფონდის საკუთრივია. კითხვა ისმის: რა გამართლება აქვს ერთი სიტყვის ახსნას მეორით, როცა ორივე საკუთარია, ანდა ორივე უცხოურია? როცა ორივე სიტყვა უცხოურია, ერთ-ერთი ადრე იქნება შეთვისებული და მას უკვე აქვს უნარი შემდეგ შემოსული უცხო სიტყვა-სინონიმი განმარტოს. მაგალ., ვის რამიანში ვკითხულობთ: „შენი ალაში და დროშა ცად აიწია“ (გვ. 270). ანდა: დერდი და შერაყი (დიდიქტურად) და სხვ... თუ ორივე წევრი სინონიმურ წყვილში საკუთარია, ისინი სხვადასხვა დიდიქტური წრის წარმონაქმნია, და, მაშასადამე, საჭირო ზღვება ერთ-ერთის განმარტება, როდესაც ეს სინონიმები ერთ ენობრივ მოედანზე მოიყრიან თავს. მაგალითისათვის აქ დავასახელებ შემდეგს წყვილებს: ნაცარ-ტუტა, შიშველ-ტიტველი სიძველ-მრუშება, სვე-ბედი და მისთ.

სინონიმური პარალელიზმი მარტოდენ ქართული ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა არ იქნება. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სათანადო წესი განსაკუთრებით მოქმედი იქნება ისეთ ენებში, რომლებიც მდიდარი არიან სინონიმებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ინგლისურის მონაცემები. საშუალო-ინგლისურში, მაგალითად, სინონიმურ წყვილებს ჰქმნიან ნორმალ-ფრანგული და გერმანული ეკვივალენტები.

ამგვარად, „შეუძლებელია თანაბარი შეფასება მივცეთ ერთი მხრით გამოთქმას „შემწეიერ“ და მეორე მხრით გამოთქმას „კერეონი და სანთელი“. თუ პირველი რიგის ფაქტები მართლაც „აზრის გამაძლიერებელი“ ფორმებია, სამაგიეროდ მეორე რიგის ფაქტებს „რაციონალური საწყისი“ აქვთ და უცნობი სიტყვის ნაცნობად ქცევის საშუალებაა. შეიძლება გამოინახოს ამ ორი რიგის მოვლენათა გამოიყენის გრამატიკული საშუალება: პირველ შემთხვევაში ადვილქტური (ზედსართავული) ფორმები ჰქმნიან წყვილებს, ხოლო მეორე შემთხვევაში სუბსტანციური (არსებითი სახელის) ფორმები.

შეერთო დასკვნა ასეთია: პოეტურ და ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაში სიტყვათა პარალელური რიგები გაგებულია, როგორც სტილისტიკური ხერხი, ერთგვარი პოეტური ფიგურა. ამ გაგებას გამართლება აქვს გარკვეული შემთხვევებისათვის, ხოლო რაც უფრო ენის ძველ საფეხურებს ვითვალისწინებთ, იმდენად სინონიმურ წყვილებს „რაციონალური საწყისი“ აქვთ, — უცხოური სიტყვის დანერგვის მეთოდად გამოიყენება. ერთია სტილის საჭიროებით გამოწვეული ტავტოლოგია და მეორე — წმინდა ენობრივი აუცილებლობით გამართლებული სინონიმური წყვილები.<sup>2</sup>

### „სემანტიკური ბავლინა“ ანუ ქალკა

სემანტიკის ძირითადი პრინციპები საერთოა სხვადასხვა სისტემის ენისა-

<sup>2</sup> სინონიმური პარალელიზმის ცნება პირველად გაიხილული ვქონდა წერილში: „ენება სინონიმური პარალელიზმისა“ (საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 7, 1941).

თვის. შეიძლება გამოუმჯავებულ იქნას ზოგადი სემანტიკა, რომელიც გააერთიანებს დაკვირვებებს მნიშვნელობათა ცვლაზე ყველა ენაში, დაიყვანს მათ რამდენიმე პრინციპზე (არა მარტოდენ ლოგიკურ პრინციპებზე, არამედ ფსიქოლოგიურზედაც). ამისათვის საჭიროა გამოვიდეთ არა სიტყვათა ანალიზიდან, არამედ მათ მიერ გამოთქმული იდეებიდან. მაგ., ქართულში ცნება *ჯერ* — ის (რამდენჯერ, ათასჯერ და ა. შ.) გამოსათქვამად გამოყენებულია სიტყვა *გზა*: *ერთ-გზის* = *ერთ-ჯერ*, *ერთხელ*; *სამ-გზის* = *სამ-ჯერ*; *ათას-გზის* = *ათას-ჯერ*. და ა. შ. ანალოგიურივე მდგომარეობაა ლათინურში, ფრანგულში, გერმანულ დიალექტებში. ქართული *კურცხალი* (ცრემლი), ნ. მარის ეტიმოლოგიით, იშლება ასე: *კურ+ცხალ*. *კურ* იგივეა, რაც *ყურ*, — *ცხალ*, *კი* წყალ. მაშასადამე, ცრემლი გამოხატულია ამ წესით: „ყურის წყალი“. მაგრამ რატომ *ყურის* და არა *თვალის*? უძველეს ქართულში *ყური* თვალს ეწოდებოდა. ახლაც კი ვამბობთ *ყურება*, *უ-ყურე*, რაც შეხედვას ნიშნავს. ცრემლის გამოსახატავად ეს პრინციპი („თვალის წყალი“) სხვა ენებიდანაც ცნობილია.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის აგების პრინციპის მხრივ ენები ჰგვანან ერთმანეთს, განსხვავება მაინც თვალსაჩინოა. სესხება ამ სფეროშიც შეიძლება.

ამის მაგალითები ენებმა ბლომად იცის. მაგალ., რუსული *влияние* ფრანგული *influence*-ის მიხედვითაა შექმნილი. ასევე: რუს. *развитие* ფრანგ. *développement*-ის გავლენითაა შედგენილი, რუსული *потерять голову* ჰგავს გერმანულ გამოთქმას: *den Kopf verlieren*; *разбить на го-*

*лову* — *aufs Haupt schlagen*. ნიდაგზე მოხდა ერთი ასეთი ეტიმოლოგია: ჯერ კიდევ პუშკინის დროს, რომ რუსული გამოთქმა *разбить тарелку* წარმოიშვა ფრანგული გამოთქმის *être dans son assiette*-ს არა სწორი თარგმანის წყალობით: ამ შემთხვევაში *assiette* ნიშნავს არა თეფშს (პარალელურად თეფშსაც ნიშნავს), არამედ დასაჯდომს, ადგილს (სიტყვიდან *asseoir*). ერთი გერმანული კომედიის რუსულ თარგმანში (მე-18 საუკ.) გვხვდება ასეთი ადგილი: — *Коль стара твоя дочь?* — *Ей теперь только 14 лет.* დედანშია: *Wie alt ist...*

ძველ ქართულში განმზადებული ერთგან გვხვდება მომავლის მნიშვნელობით („არათუ ამით ეამთასა: ამას სიკუდილსა იტყვის უფალი, არამედ განმზადებულთა მათთვის“). სომხურში სათანადო სიტყვა უდრის 1) შვას, 2) მომავალს.

მკვიდრი. ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა ქართულში „მოზინდარე“, მაგრამ ამ ტერმინმა შეიძინა სხვა მნიშვნელობაც: „ბუნებრივი“, „მონათესავე“. ამ მნიშვნელობას ვიჭერთ თანამედროვე სიტყვაზმარებაშიც: მკვიდრი ძმა. ეს სემანტიკური განვითარება დაცულია აგრეთვე სომხურში.

კუალნი ერთ-ერთ არაბულიდან ნათარგმნ ძველში უდრის ნიშს, ნიშანს: „და თქუენცა ერთბაშად კუალნი იგი და სასწაულნი თუალითა გიხილვან“. ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობა მომდინარეობს არაბული შესაბამისი ტერმინიდან.

ხადგური იმავე თარგმანში უდრის გავლენას, მნიშვნელობას, ღირსებას: „რამეთუ სადგური მათი ღიდი იყო წინაშე სპარსთა მათ ამისთვის, რამეთუ შინა-გამცემელ ქრისტეანეთა იქმნენს“. არაბულში შესა-

ტყვის ტერმინს გარდა „სადგომის“ მნიშვნელობისა, პარალელურად აქვს მნიშვნელობა — „ღირსებისა“, „ხარისხისა“.

ს ა ხ ი ს - მ ე ტ ყ უ ე ლ ი სომხურის გზით გადმოცემაა ბერძნული ტერმინისა — „ფიზიოლოგისა“.

### სიტყვის სესხებისადმი ცნობიერი დამოკიდებულება

სიტყვის სესხების შემოთავაზალისწინებული ვითარება არა-ცნობიერი პროცესის შედეგია; სესხება მიმდინარეობს ბუნებრივად, ენობრივი აზროვნების ლოგიკის ძალით.

მაგრამ სიტყვათსესხებისადმი შეიძლება ცნობიერი დამოკიდებულებაც. ეს თავს იჩენს ორნაირად: ან შეგნებულად ვაწარმოებთ სესხებას, ანდა, პირიქით, ბრძოლაა უცხოური სიტყვების დანერგვისადმი.

სიტყვათა შეგნებული, ცნობიერი სესხების მშვენიერ ნიმუშს ვაწვდის პეტრე პირველის დროინდელი რუსეთი. მეცნიერებათა აკადემიაში ინახება *Лексикон вокабулам новым по алфавиту*, რომელიც, როგორც ეტყობა, შედგენილია პეტრე პირველის განკარგულებით. ეს არის სია იმ უცხოური სიტყვებისა, რომლებიც უნდა გადმონერგულიყო რუსულ ენაში სახელმწიფოებრივი და კულტურული აღორძინების ფორმათა შესაბამისად (სულ 503 სიტყვა). ყოველ სიტყვას ახლავს რუსული განმარტებები. სია შეიცავს სათანადო ტერმინოლოგიას სხვადასხვა დარგებიდან. აქაა სამხედრო ხელოვნება (армия, авангардия...), საზღვაო დარგი (флот, адмирал...), ადმინისტრაციული (губернатор, декрет...), სამეცნიერო (глобус, диспут, история...), სასაუბრო (интерес, люстра, пардон...). უმრავლესობა ამ სიიდან

საბოლოოდ დამკვიდრდა რუსულში. სხვათაშორის, ხელნაწერს ატყვევებით იმპერატორის შესწორებები.

ცხადია, ამ მეთოდით სიტყვის დანერგვა რადიკალურად განსხვავდება უცხოური სიტყვების სესხების ჩვეულებრივ, არა-ცნობიერ წესისაგან. გავიხსენოთ ისიც, რომ პუშკინი ვიაზეშკისადმი მიწერილ წერილში აქებს თავის ადრესატს იმისათვის, რომ იგი заступился явно за галлицизмы.

რამი იხატება ბრძოლა უცხოურ სიტყვათა წინააღმდეგ? უეჭველია, რომ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნასესხები სიტყვების მოზღვაება, გადაჭარბებული სესხება უარყოფითს გავლენას ახდენს ენის განვითარებაზე. არ არის მაინცაღამაინც საჭირო ისეთი უცხოური სიტყვის გადმონერგვა, რომლის ეკვივალენტი შეიძლება მოიძებნოს სათანადო ენის ლექსიკურ ფონდებში. რაც შეეხება საერთაშორისო ტერმინოლოგიას, არ არის სასურველი მათი თარგმნა, რამდენადაც ეს ინტერნაციონალური ხასიათის სიტყვები კულტურული კაცობრიობის საზოგადო კუთვნილებად უნდა იქცნენ. უნიადაგოა „პურისტების“ ძიებები ამ მიმართულებით. მაგალ., იყო ცდა რუსულში „გეროიზმი“ შეეცვალათ სიტყვით *добледушние*, „ფორტეპიანოს“ ნაცვლად დაემკვიდრებინათ *тихогромы*, „აქტიორის“ ნაცვლად *лицедей*, და მისთ. გავიხსენოთ ქართული მაგალითები: რონოდა — ვაგონი, გამჭირი — პროსპექტი, ელსმენი — ტელეფონი. ამას გამართლება არა აქვს.

ასეთია ზოგადი ნიშნები ნასესხებ სიტყვათა განვითარებისა. ჩვენ ვხედავთ, რომ ნასესხებ სიტყვას თავისი ცხოვრება აქვს, და ეს ცხოვრება მოყ-

ლებული არაა მთლიანობასა და დამთავრებულობას. უცხოური ლექსიკური ოდენობის დანერგვისა და გავრცელების მრავალმხრივისა და რთულ პროცესებში განსაკუთრებით აღსანიშნავია სიტყვაკაზმული მწერლობის დეაწლი, — მწერლობისა, რომელიც თავისი შინაგანი თვისებებით მოწოდებულია შერჩეული და კანონიერი ფორმები დაამკვიდროს ენის მთელს სივრცეზე და ხელი შეუწყოს ლექსიკონის გამდიდრებას.

ერთ-ერთი ყველაზე დიადი და მნიშვნელოვანი იმ კულტურულ ღირებუ-

ლებათა შორის, რაც კი შეუძენია კაცობრიობას თავისი განვითარების გრძელ გზაზე, ენა გახლავთ ყველაზე ძვირფასი ფენომენი, რომლისაშენიანობის ამოცნობა მრავალი ინტერესის აღმძვრელია და ამასთანავე რთული ამოცანაც მეცნიერებაში. ხოლო სიტყვათშემოქმედების ამ ღრმა საფუძვლებში შემავალ მოვლენათა შორის ერთ-ერთი ადგილი უკავია სიტყვათსესხებას, — ენობრივი შემოქმედების ამ ბუნებრივ სტიქიას, და მის შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიისათვის.



ლით: კატას რომ კულზე ფეხი დაადგა, იგი დაიკნაველებს და კლანჭებით და კბილებით სწედება თქვენს ფეხს, რომ იგი თავიდან მოიცილოს. ესეც თავდაცვის ქცევაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცხოველი კი არ გაუტრბის გამაღიზიანებელს, არამედ თვითონ იცილებს მას თავიდან.

ყველა მოყვანილ მაგალითებიდან კარგად სჩანს, რომ ქცევა არის ორგანიზმის მთლიანი მოქმედება, რომ ეს მოქმედება მიმართულია განსაზღვრულ მიზნისაკენ ორგანიზმის რომელიმე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არის მიზანი. ამ მიზანს მოზრდილი ადამიანი წინასწარ განიცდის, ვიდრე ქცევა დაიწყებოდეს. როცა რომელიმე მოთხოვნილება გაჩნდა, ადამიანის ცნობიერებაში ისახება მისი დაკმაყოფილების შესაფერისი საშუალებანი, იგი შეარჩევს ერთ რომელიმეს და მისი მიხედვით იმოქმედებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანს წინასწარ ესახება ქცევის მიზანი და ამ მიზნის მიხედვით წინასწარ გეგმავს თავის ქცევას.

ცხოველს კი მიზანი წინასწარ არ ესახება, იგი წინასწარ არ შეიცნობს ქცევის მიმდინარეობას. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანის ქცევა ცნობიერია, ხოლო ცხოველის ქცევა უცნობიერო, შეუგნებელი. ცხოველი იქცევა ან ასე ან ისე, როდესაც მას რაიმე მოთხოვნილება უჩნდება, იმისდამიხედვით, თუ როგორია ვარემო ბუნება და რამდენად მძლავრია მისი მოთხოვნილება.

არსებობს ქცევის რამდენიმე ძირითადი ფორმა. ყველაზე დაბალია ე. წ. თანშობილი ქცევა, რომელიც წინასწარ გამოცდილებაზე დამოუკიდებლად სრულდება. ასეთია უხერხემლო და ხერხემლიან ცხოველთა უამრავი ქცევის აქტები... მაგ., ახლადგამოჩეკილი წიწილა, გაუჩნდება თუ არა მას კვების მოთხოვნილება, კენკავს წერილ საგ-

ნებს — ეს არის თანშობილი ქცევის ქცევა. ხელი რომ წაატანო დასაქვრად — იგი გაიქცევა; დასაქვრად — ფართხალებს, რომ უსაფრთხოებას ხელიდან. ეს არის თანშობილი თავდაცვის ქცევა. ასეთივე თანშობილი ქცევები აქვს ახლადდაბადებულ ბავშვს. როცა მას მოშივდება, იწყებს პირისა და თავის მოძრაობას, რომელიც წონისაკენ არის მიმართული. ეს არი კვების ქცევა. კანზე რომ ცხელი ან ცივი საგნით შეეხო, იწყებს მთელი ტანის მოძრაობას და ტირილს. ეს იქნება თავდაცვის თანშობილი ქცევა. ასევე თანშობილია ზემომოყვანილი მაგალითი ძაღლისა და კატის შესახებ. უხერხემლო ცხოველთა და დაბალხერხემლიან ცხოველთა — თევზების და ამფიბიების ქცევები უმთავრესად თანშობილია (ამფიბიას უწოდებენ ბაყაყს, გობეშოს).

თანშობილ ქცევაზე მაღლა დგას ინდივიდურად შექმნილი ქცევა. იგი იწყება წინასწარი გამოცდილების საფუძველზე. მაგ., ქუჩის ძაღლის წინ რომ დაიხაროთ თითქოს ქვის ასაღებად. იგი დაიწყებულუნებს, უკან მიბრუნდება და გაიქცევა, შეიძლება დაიშალოს და იქიდან დაიწყოს ყეფა. ეს ქცევა იმეორებს იმას, რასაც ძაღლი იძლევა, როდესაც მას ქვა მოხვდა და კანი დაუზიანდა. ცხადია, ადამიანის დახრამ იმიტომ გამოიწვია ასეთი თავდაცვის ქცევა, რომ ქუჩის ძაღლს არაერთხელ განუცდია ასეთი დახრის შემდეგ ქვის მოხვედრა. ცხადია, შინაურ — სახლის ძაღლის წინ რომ დაიხაროთ, ასეთ ქცევას არ მიიღებთ. მეორე მაგალითი. დილით ღიასახლისი რომ გამოჩნდეს საქათმის წინ, ქათმები მაშინვე მიეგრებიან მას და ზედაც კი შეაფრინდებიან. ეს არის კვებისაკენ მიმართული ინდივიდუალური ქცევა, რომელიც გამოწვევდა წარსულის გამოცდილების საფუძველზე, რადგან დილდობით ღიასახლისი მათ საკენკს უყრიდა. ბავ-

შემა რომ ერთხელ ლამფაზე ხელი დაიწვეს, შემდგომ ლამფის მიხლოება გამოიწვევს თავისა და ხელების უკან წაღებას და ტირილს. ესეც ინდივიდუალურად შექმნილი თავდაცვის ქცევაა. ინდივიდუარი ქცევის უამრავი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ როგორც ცხოველთა, ისე ადამიანის ცხოვრებიდან. გაიხსენეთ, სხვათა შორის, ძროხის მაგალითი, რომელზედაც მე უკვე ვილაპარაკე: ბოსლიდან საძოვარზე გასვლა — ესეც მთლიანად ინდივიდუარი ქცევაა, კვებისაკენ მიმართული. ძროხა ამას სჩადის, რადგან საკვები ბალახი იმ საძოვარზე არა ერთხელ უძოვნია.

ინდივიდუალურად შექმნილი ქცევა — თანშობილთან შედარებით — უფრო მაღალი ხარისხისაა, ვინაიდან უფრო მეტად ეკონომიურია. ცხოველმ სცილდება იმ ადგილებს, სადაც მას ზიანი მიაყენეს. ცხოველი პირდაპირ მიდის იმ ადგილებში, სადაც მას საკვები მიუღია.

ქცევის უმაღლეს ფორმას ეკუთვნის ადამიანის შრომითი ქცევა. წარმოადგინეთ ადამიანის მუშაობა ფაბრიკა-ქარხანაში, ვენახში ან მინდორში. მე უკვე ვთქვი, რა ახსიათებს ადამიანის შრომითს ქცევას. ეს არის შეგნებული მიზანდასახულება და შეგნებული გეგმიანობა, ე. ი. ვიდრე ქცევა დაიწყებოდეს, ცნობიერებაში ისახება შედეგი, აგრეთვე მას ესახება გზები და საშუალებანი, რომელნიც ამ შედეგამდე მიიყვანენ. ერთი სიტყვით, შრომითს ქცევას ახსიათებს წინასწარი, როგორც იტყვიან, იდეური წარმოდგენა ქცევის მიზანზე და მის შესრულების გეგმაზე. შრომითი ქცევა ემყარება არა მარტო შემსრულებლის გამოცდილებას, არამედ აგრეთვე მთელ იმ საზოგადოების გამოცდილებას, რომელშიაც იგი შრომობს. რადგან საზოგადოების მოქმედება გამომდინარეობს ამ საზო-

გადოების მთელი წარსული ისტორიის გამოცდილებიდან, უფრო სწორედ, მის საწარმოო ძალთა ისტორიული განვითარებიდან, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ შრომითი ქცევა ემყარება საზოგადოების ისტორიულ გამოცდილებას. აქედან ცხადია, რომ შრომითი ქცევა გაცილებით უფრო მაღლა სდგას, და მასთან უფრო ეკონომიურია, ვიდრე ცხოველის ამ ბავშვის ინდივიდუალურად შექმნილი ქცევა.

ქცევის აქტები, რომელთა მაგალითებიც ჩვენ მოვიყვანეთ, მოძრაობათა რთული რიგიდან შესდგება. ჩვენ შეგვიძლიან დაეანაწევროთ ქცევა და დაესახელოთ, თუ რა სახის მოძრაობები მონაწილეობენ მასში. აი, მაგ., განვიხილოთ ძროხის მაგალითი. დილით, დაინახა რა ძროხამ გაღებულ კარები, ამოდრავა ფეხები და გარეთ გამოვიდა. დაინახა რა ეზოში ღობე, მან იქვე ღობის ძირში ბალახს დაუწყო სუნვა და ძოვნა; როცა აქ ბალახი მოძოვა, წავიდა ქუჩის კარებისაკენ, რადგან იგი ღია დახვდა, გავიდა გარეთ ქუჩაში; იქვე ღობე დაინახა და ღობის ძირში ბალახის ძოვნას შეუდგა; როცა მან მოძოვა, გაჰყვა გზას ძოვნით, რომელმაც ბოლოსდაბოლოს საძოვარზე მიიყვანა; იქ თავდაბრილი ზოგ ბალახს ძოვს, ზოგს არა. ამ მოძრაობათა მეცნიერულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ თითოეული ასეთი მოძრაობა ანუ ქცევის თითოეული ასეთი მამოძრავებელი ელემენტი განსაზღვრული კუნთების კოორდინირებულ მოქმედებას წარმოადგენს. მაგ., ფეხზე დგომა გულისხმობს ფეხების კუნთების საერთო შეკუმშვას, სახელდობრ, იკუმშება მუხლის და მენჯ-ბარძაყის სახსრების ყველა მომხვრელი და გამშლელი კუნთი. ამისათვის საჭირო იმპულსებს კუნთები ზურგის ტვინიდან ლებულოებენ ნერვული გზებით. ამით ხორციელდება ფეხების გამაგრება ვერტიკალურ მდებარეობაში.

სიარულის დროს ფეხებზე ზოგი კუნთის შეკუმშვა ძლიერდება, ზოგისა კი სუსტდება. მაგ., როდესაც ფეხი მოხრილია, მაშინ მისი მომხერელი კუნთები იკუმშებიან უფრო მეტად, გამშლელების შეკუმშვა კი, პირიქით, სუსტდება. ასეთი კოორდინირებული მოქმედება დამოკიდებულია იმაზე, რომ კუნთების ერთი ჯგუფი ღებულობს ზურგის ტვინიდან გაძლიერებულ აგზნების იმპულსებს, ხოლო მეორე — დასუსტებულს. ეს უკანასკნელი იმაზეა დამოკიდებული, რომ კუნთების მიმართ ზურგის ტვინში ვითარდება ე. წ. შეკავების პროცესი. ეს პროცესი ასუსტებს ანუ აკავებს ტვინის მამოძრავებელ გავლენას კუნთებზე.

ბალახის დანახვისას ძროხა თავს დახრის. ესეც ტვინის მიერ წარმოებულ კოორდინირებული აქტია. იგი შედეგია კისრის განსახლდრული კუნთების შეკუმშვის და შეკავებისა. ბალახის ძოვნა, მერე მისი დაღებვა და გადაყლაპვა — აგრეთვე ტვინის საშუალებით ნაწარმოები კოორდინირებული მოძრაობებია. ასევე შეიძლება დავანაწილოთ სხვა ყველა ქცევის აქტები.

მაგრამ აქედან არ შეიძლება დავსკვნათ, რომ ქცევა ამ ელემენტალურ მოძრაობათა უბრალო ჯამს წარმოადგენს. ყოველი ტიპის ქცევაში ეს ელემენტარული მოძრაობანი გავრთიანებული არიან ერთი მიზნით, რომელიც რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ქცევის დროს მათი მორიგეობა არსებითად დამოკიდებულია ორგანიზმის მოთხოვნილების სიძლიერეზე და იმ მიზანზე, რომელსაც ქცევა ახორციელებს.

ქცევის მამოძრავებელი კომპონენტები ერთდაიგივე არაა თავის ბუნებით. ონდა გაიარჩიოთ სამწაირი ტიპის მოძრაობა. ერთი ტიპის კოორდინირებული მოძრაობა უშუალოდ დაკავშირებულია ორგანიზმის ორგანოთა ანუ რე-

ცეპტორთა გაღიზიანებასთან. ტვინი ანუ ცენტრალური ნერვული სისტემა იძლევა ამ მოძრაობის დასრულებას გარკნობათა ორგანოს გულბინებების საპასუხოდ. ამ ტიპის მოძრაობას ეწოდება რეფლექსი. ასეთია, მაგალითად, ფეხზე დგომა, რომელიც იწვევა უშუალოდ ფეხის გულზე დაწოლით. დაწოლა აღიზიანებს აქ კანში არსებულ მიმღებ ორგანოს — რეცეპტორს, რომელიც აგზნების იმპულსებს გადასცემს ნერვული გზით ზურგის ტვინს. აქ ეს იმპულსები ამოქმედებენ განსახლდრულ საკოორდინაციო ნერვულ ცენტრებს და აქედან გამოიწვევენ ფეხის კუნთების საერთო შეკუმშვას.

ფეხების კოორდინირებული მოხერაგშლა სიარულის დროს იწვევა აგრეთვე რეცეპტორების გაღიზიანებით. ეს რეცეპტორები კუნთებში არსებობენ და ისინი მოდიან აგზნებაში კუნთების შეკუმშვის დროს ან მათი გაქიმვისას. თავის დაზრა ბალახისკენ იწვევა ბალახის დანახვით, ღებვა-ყლაპვა იწვევა ბალახის მიერ პირის ღრუს გაღიზიანებით. ასევე ითქმის ქცევის მრავალ სხვა კომპონენტებზე. რეფლექსური ტიპის მოძრაობა გვაქვს, ყველგან, სადაც იგი რეცეპტორთა უშუალო გაღიზიანებით იწვევა.

მეორე ტიპის მოძრაობა, ე. ი. ქცევის მეორე კომპონენტი ანუ შემადგენელი ელემენტი უშუალოდ რეცეპტორთა გაღიზიანებით კი არ იწვევა, არამედ წარმოდგენის ფსიქონერვული პროცესის მეშვეობით. მაგალითად, ძალღიოთაზშია და მის თვალწინ გაღუგდეთ საქმელი ფანჯრიდან გარეთ. ძალღიო ჯერ შეხიდავს ფანჯარას, მერე გაიქცევა კარებისკენ, ჩაირბენს კიბეს, შემოუღლის კიბელს და პირდაპირ იქ დაეარდნოლ საქმლისკენ წავა. მთელი ეს მოძრაობა განისაზოორება მესხიორებაში მოციმული წარმოდგენით საქმლის არსებობაზე გარეთ ფანჯრის წინ და არა ფანჯრის ან კარების, ან კიბის, ან

კედლის დანახვით. ამ შემთხვევაში წარმოდგენაში მოცემული საქმლის მდებარეობა განსაზღვრავს ცხოველის მოძრაობას. ასეთია უმაღლეს ხერხემლიანთა და ადამიანის უამრავი მოძრაობანი.

ქცევის მესამე კომპონენტი—მესამე ტიპის მოძრაობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი იწვევა ტვინიდან რეცეპტორთა გაღიზიანებაზე დამოუკიდებლად.

როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, ცენტრალური ნერვული მოქმედების ანუ ტვინის მოქმედების რეფლექსური და ფსიქონერვული მოვლენები გამოიწვევიან იმ აგზნების-იმპულსებით, რომელნიც შინაგან და გარეგან რეცეპტორებისაგან ანუ გრძობათა ორგანოებიდან ტვინში შედიან. მაგრამ ცოცხალი აგზნებადი სისტემა, როგორც კუნთოვანი და ნერვული სისტემა, შეიძლება ამოქმედდეს აგრეთვე თავისად, როგორც იტყვიან სპონტანურად, შინაგან და გარეგან რეცეპტორთა გაღიზიანებაზე დამოუკიდებლად. ამის საუკეთესო და თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს კუნთოვანი სისტემიდან გული, ხოლო ცენტრალურ ნერვულ სისტემიდან სასუნთქავე ცენტრი. გულის რიტმული შეკუმშვა სრულიად არაა დამოკიდებული ნერვულ იმპულსებზე. ორგანიზმიდან რომ ამოეპრათ გული, მაშინაც იგი განაგრძობს რიტმულ შეკუმშვას.

სასუნთქავე ცენტრის რიტმული მოქმედება, რომლის წყალობით ხდება გულმკერდის გაგანიერება და შევიწროება, აგრეთვე სპონტანურად სწარმოებს. რეცეპტორების გაღიზიანება როგორც გულზე, ისე სასუნთქავე ცენტრზე გავლენას ახდენს. ამას შეუძლიან როგორც მათი რიტმული მოქმედების აჩქარება და გაძლიერება, ისე მისი მოქმედების გაიშვიათება და დასუსტება, მაგრამ სპეციალური ცდების საშუალებით დამტკიცებულია, რომ

გულს და სასუნთქავე ცენტრს ერთ-ერთად მოუსპობთ რეცეპტორთა გავლენა, მაშინაც ისინი განაგრძობენ რიტმულ მოქმედებას. სპონტანურად ქცევის ეს მესამე კომპონენტი—ცენტრალური ნერვული სისტემის სპონტანური მოქმედება შეისწავლებოდა დაწვრილებით მხოლოდ ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში.

ამიტომ მას ფართო საზოგადოება არ იცნობს, ყოველ შემთხვევაში, მას იცნობს გაცილებით ნაკლებ, ვიდრე ქცევის რეფლექსურ კომპონენტს ან და ქცევის ფსიქონერვულ კომპონენტს.

ამჟამად ცნობილია, რომ ცენტრალურ ნერვულ სისტემის ანუ ტვინის მრავალ ნაწილებს სპონტანური ანუ თვითნებური მოქმედების უნარი გააჩნიათ. შეიძლება კიდევაც ითქვას, რომ თავის ტვინის ყველა ნერვულ ცენტრს ამის უნარი აქვს. ტვინის თვითნებური მოქმედება შეისწავლება მისი ელექტრული გამოვლინების საშუალებით. როდესაც ცოცხალი სისტემა მოდის მოქმედებაში, მასში წარმოიშვება ელექტრობა. ეს იმის გამო ხდება, რომ ნერვულ უჯრედებში და ნერვულ ბოჭკოებში მათი აგზნების ანუ მოქმედების დროს, სწარმოებს ფიზიკო-ქიმიური ცვლილებები. ზოგიერთი ნეოთიერებანი იშლებიან და წარმოშობენ ელექტრობით დატვირთულ იონებს. ამიტომ ამოქმედებული, აგზნებული ნერვული ცენტრი იტვირთება ელექტრობით. რადგან აგზნება რიტმულად სწარმოებს, აგზნებული ნერვული ცენტრი იძლევა ელექტროდენის რხევებს, რომლის შესწავლა შეიძლება ელემენტარული ნივთიერებისა და ფიზიკური ხელსაწყოებით. დღეს ამ მიზნით იყენებენ, სხვათა შორის, კათოდური სხივის ოსცილოგრაფს.

კვლევის ოსცილოგრაფიული მეთოდით დადასტურებულია, რომ თავის ტვინის თითქმის ყველა ნერვული ცენტრი, ე. ი. ნერვულ უჯრედთა ყვე-

ლა ორგანიზებული კომპლექსი იძლევა მუდმივად ელექტრულ რხევებს. ელექტრული რხევები სხვადასხვა ნაწილებში თანაბარი არაა: მათი რიტმი და ინტენსივობა, აგრეთვე მათი აეროიდული გაძლიერება და შესუსტება სხვადასხვანაირია სხვადასხვა ცენტრებში. მაგალითად, ხორმული ადამიანის დიდი ტვინის ქერქში სპონტანური ელექტრული აქტივობა გამოიხატება სასხაირი სახის რიტმისაგან. ძირითადი რიტმი 20—30 სეკუნდში, რომელიც ქერქის ყველა ნაწილებს გააჩნიათ და რომელსაც ხვი ყოველ ემს იძლევა; ალფა-რიტმი, რომელიც მეტისმეტად რეგულარული რიტმია 9-დან 12-დე სეკუნდში; ეს რიტმი ყველგან არ წარმოიშვება და არც ყოველ დროს: იგი დამახასიათებელია ქერქის მხედველობის და თხემის ფარგლისთვის და მასთან იმ მდგომარეობისთვის, როდესაც ადამიანი არ განიცდის მძლავრ გარეშე გაღიზიანებებს და აგრეთვე მძლავრ გონებრივ მუშაობას. ადამიანის დიდი ტვინის ქერქი იძლევა კიდევ ძალიან სწრაფ რხევებს 200—300-მდის სეკუნდში, რომელსაც ბეტა-რიტმს უწოდებენ.

ცხოველთა დიდი ტვინის ქერქი აგრეთვე იძლევა სპონტანურად ნელ და სწრაფ რხევებს, ზოლო სხვადასხვა რიტმისას და ინტენსივობისას. ელექტრულ რხევებს აგრეთვე ტვინის სხვა ნაწილები იძლევიან: შუამდებარე ტვინი, ნათხემი ანუ პატარა ტვინი, მოგროძო ტვინი და სხვა. საგულისხმოა, რომ ასეთ ელექტრულ რხევებს ტვინი იძლევა როგორც სიფხიზლის დროს, ისე დამინებისას, ღრმა ძილის დროსაც კი.

ტვინის სპონტანური ელექტრული რხევები ცვალებადობენ რეცეპტორთა გაღიზიანების ზეგავლენით: ჩვეულებრივ ტვინის იმ ნაწილებში, რომელსაც გაღიზიანებული რეცეპტორი უკავშირდება, სპონტანური ელექტრული აქტივობა ძლიერდება, ზოლო სხვა ნაწი-

ლებში, პირიქით, ელექტრული აქტივობა სუსტდება.

საიდან სჩანს, რეცეპტორული ნერვული სისტემის ელექტრული რხევები მართლაც თვითნებურად წარმოიშვება, დამოუკიდებლად შინაგან და გარეგან რეცეპტორთა გაღიზიანებისა. ამას ამტკიცებენ ასეთი ლაბორატორული ცდები. ჩვენ რომ ბაყაყიდან ამოვიღოთ ტვინი, ე. ი. სრულიად მოვაცილოთ ორგანიზმს ისე, რომ ტვინი მეტისმეტად არ დაზიანდეს, იგი განაგრძობს ჩვეულებრივ ელექტრული რხევების მოცემას; მაშასადამე, გამოცალკეებული ტვინი განაგრძობს რიტმულ მოქმედებას, რიტმულ ავზნებას, როგორც ნორმულ ორგანიზმში.

ანალოგიური ცდებით იყო დამტკიცებული აგრეთვე თბილისისხლიან ცხოველთა ტვინის სპონტანური მოქმედება. მაგალითად, კატას რომ გადაეჭრას თავის ტვინი დიდი ტვინის უკან, ე. ი. ყველა ნერვული გზების გადაჭრით რომ მოვაცილოთ დიდი ტვინი რეცეპტორთა გავლენას, მაშინაც იგი იძლევა ელექტრულ რხევებს. ეს რხევები შედარებით სუსტია, რაც დამოკიდებულია, პირველად ყოვლისა, იმაზე, რომ დიდი ტვინი დაეშორეთ შუამდებარე ტვინში არსებულ სპონტანურულ მოქმედ ნერვულ ცენტრებს.

რა იწვევს ტვინის სპონტანურ მოქმედებას? ტვინის სხვადასხვა ნაწილების თვითნებური მოქმედება, ისე როგორც გულისა და სასუნთქვე ცენტრისა, დამოკიდებულია სისხლისა და ღიმფური სითხის ანუ ეგრეთწოდებული შინაგანი არის ქიმიურ ზეგავლენაზე. სისხლში მოიპოვებიან სხვადასხვა აქტიური ნივთიერებანი: ჯერერითი, მარტივი სახისა, როგორც კალიუმის, ნატრიუმის, წყალბადის იონებია; მერმე რთული სახის, როგორიც არის ცილვანი ნივთიერების დაშლის პროდუქტები, მაგ., ქოლინი, აცეტილქოლინი,

პიატამინი; აგრეთვე სისხლში და ლიმფურ არეში მოიპოვებიან მრავალი სახის აქტიური მოთავსებები, როგორც არის ადონეალინი, თიოკელის ზედაჯირკვლის პორპონი, ტიოქსინი — ფაოიეტერი ჯირკვლის პორპონი, ანდოოსტერონი მათაკაცის სასქესო ჯირკვლიდან და სხვები.

ეს აქტიური ნივთიერებანი ჩნდებიან შინაგან არეში—კსოვილთა და ორგანოებში ნივთიერებათა ცვლის შედეგად. ზოგი მათგანი იძლევა ნერვულ ცენტრებში აგზნებადობის მომატებას და აგოეთვე აგზნებას იწვევს; ზოგი კი პირობით, ცენტრების აგზნებადობას ამცირებს და აგზნებას ასუსტებს. რადგან ნივთიერებათა ცვლა სხვადასხვა ორგანოში სხვადასხვა დროს თანაბარი ინტენსივობით არ სწარმოებს, ამიტომ უნდა ითქვას, რომ შინაგანი არის ქიმიური შემადგენლობა მუდმივ ცვალებადობას განიცდის. ამის გამო მისი გამაღიზიანებელი მოქმედება ტვინზე, მის ნერვულ ცენტრებზე, დროდადრო ცვალებადობს. ამით აიხსნება ტვინის სპონტანური მოქმედების რიტმული და პერიოდული მიმდინარეობა.

ტვინის სპონტანური მოქმედება გამოივლინება არა მარტო ელექტრული რხევებით. იგი გამოივლინება აგრეთვე გარეგანი რეაქციებით, მსგავსად იმისა, როგორც სასუნთქავი ცენტრის თვითნებური მოქმედება: მაგ., კიდურთა ტონური მოძრაობები ანუ მუდმივი დამაბული მდგომარეობა, აგრეთვე პირისაზის მიმიკური მოძრაობები მნიშვნელოვნად უნდა იყოს დამოკიდებული შესატყვის ნერვული ცენტრების სპონტანურ მოქმედებაზე. ადამიანის ეპილეპსიური კრუნჩხვები თავის ტვინის დაავადებისას—ტვინის, სპონტანურ მოქმედებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. აგრეთვე კუნთების ფრიალი, შემდეგ სლოკინი, სათანადო ცენტრების

გამღიერებულ სპონტანურ მოქმედებაზე უნდა იყოს დამოკიდებული.

თავის ტვინის სპონტანური მოქმედება დიდ როლს თამაშობს საზოგადოდ ნერვული სისტემის აგზნებადობის ძიებით. ცნობილია, რომ ზურგის ტვინის ნერვული ელემენტების აგზნებადობის ხაოისხი და აგრეთვე პერიფერიული ნერვული სისტემის აგზნებადობის ხარისხი დიდი ტვინის და შუამდებარე ტვინის სპონტანურ მოქმედებაზეა დამოკიდებული. სპონტანურად მოქმედ ნერვულ ცენტრებში წარმოშობილი იმპულსები ვრცელდებიან ნერვულ გზებით ტვინის სხვა ნაწილებზე და ამის საშუალებით გავლენას ახდენენ მთელ ნერვულ სისტემაზე: იანინი, სხვათა შორის, ასწევენ ძალა ზურგის ტვინის აგზნებადობას. ამის გამო ზურგის ტვინის ამოქმედება რეფლექსური გზით ადვილდება.

სხვათა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს შუამდებარე ტვინის სპონტანურ მოქმედებას დიდი ტვინის ქერქის მიმართ. ამ უკანასკნელის ნორმალური სპონტანური მოქმედება უშუალოდ დამოკიდებულია შუამდებარე ტვინზე. თუ რომ გადავჭკირთ ის ნერვული გზები, რომელნიც ამ ქერქს უკავშირებენ შუამდებარე ტვინს, ქერქის სპონტანური მოქმედება მნიშვნელოვნად სუსტდება.

ცნობილია აგრეთვე სპონტანური მოქმედების შემაკავებელი გავლენა ასეთია, მაგალითად, პატარა ტვინის სპონტანური მოქმედება, რომელიც აკავებს შუა ტვინის ტონური ცენტრების მოქმედებას. ამ ტონური ცენტრების დანიშნულებას შეადგენს ჩონჩხის კუნთების ისეთი ხანგრძლივი მოძრაობების წარმოება, როგორც არის ადამიანისა და ცხოველთა ფეხზე დგომა და ადამიანის მიერ თავისა და ზურგის ვერტიკალურ მდგომარეობაში დაქერა, ცხოველების მიერ ზურგის და

ქერა პორიზონტალურ მდგომარეობაში და სხვ. როდესაც პატარა ტინის სპონტანური მოქმედება ძლიერდება, ეს ტონური მოძრაობები სუსტდებიან. აგრეთვე შემკავებელ მოქმედებას იჩენს დიდი ტინის ქერაჯის ზოგიერთი ნაწილების სპონტანური მოქმედება. როდესაც ამ ადგილებში სპონტანური მოქმედება ძლიერდება, მაშინ ქერაჯის სხვა ადგილებში სპონტანური მოქმედება სუსტდება.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ნერვულ ცენტრთა სპონტანურ მოქმედებას ინსტინქტური რეაქციების წარმოშობაში. შეიძლება ითქვას, რომ მრავალ შემთხვევაში ამათუიმ ინსტინქტური მოქმედების დაწყებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს რეცეპტორთა გაღიზიანებას კი არა, არამედ ტინის გარკვეულ ნერვულ კომპლექსებში აგზნებადობის მომატებას შინაგანი არის ზეგავლენით. ამის შედეგად სპონტანური მოქმედების გაძლიერება სწარმოებს. ნამდვილი, მეტისმეტად რთული ინსტინქტური რეაქციები გააჩნია მწერებს. მოიგონეთ ფუტკრის და ჭიანჭველის ინსტინქტური ქცევები. ამ მწერების ტინის მიმართ აგრეთვე აღმოჩენილია სპონტანური მოქმედების უნარი და აგრეთვე ისიც, რომ მათი ნერვული სისტემის სპონტანური მოქმედების გაძლიერებას მოსდევს ხოლმე ცხოველის გაძლიერებული მოძრაობა.

ამასთან ერთად ცნობილია, რომ ხერხემლიან ცხოველთა ინსტინქტური მოქმედება, აგრეთვე უხერხემლოებისა, მთლიანად ამ გზით არ იწყება და მიმდინარეობს, როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი, ე. ი. მხოლოდ შინაგანი არის ზეგავლენით. თუ ინსტინქტური მოქმედება შეორდება და ცხოველს შეუძლიან ინდივიდური რეფლექსების შემუშავება, მაშინ ინსტინქტური ქცევა ცოტად თუ მეტად ინდივიდური

ხდება, რადგან იგი ~~დაიწყო~~ და ცვალებადობას ინდივიდური, გეოცენტრების საფუძველზე ~~ქმნის~~ ~~საფუძველზე~~ გავლენით, როგორც ~~მისი~~ ~~ინდივიდუალური~~ მოძრაობის. ამაზე მეტიც, უმაღლეს ცხოველებს და ადამიანს ინსტინქტური ქცევა ფსიქონერვულ მოქმედების ზეგავლენით შეიძლება იმ ზომადღე შეეცვალოს, რომ ცხოველებში ის იღებს ინდივიდური ქცევის ხასიათს, ხოლო ადამიანში — შეგნებული ცნობიერი ქცევის ხასიათს.

ჩვეულებრივ, უმაღლეს ხერხემლიანთა შორის ინსტინქტური ელემენტები ჩაერთვის ქცევის აქტებში ისე, როგორც სხვა ელემენტები: რეფლექსური და ფსიქონერვული. ასეთია, მაგ., ფრინველთა მიერ ბუდის შენება, ბარტყების გამოჩეკა და მათი გამოკვება; მინდვრის თაგვის მიერ სოროს გაკეთება და შიგ მარცვლეულთა მოგროვება და სხვა. აღნიშნული ქცევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათში მონაწილეობენ როგორც რეფლექსური ტიპის რეაქციები, ისე ინსტინქტური და ფსიქონერვული. ამასთან ინსტინქტური ტიპის რეაქციები იწყებიან გარეშე გაღიზიანებით, როგორც ინდივიდური ქცევა და რეფლექსი.

გაძლიერებული სპონტანური მოქმედება ახასიათებს ემბრიონის ნერვულ სისტემას. მაგ., ქათმის კვერცხში წიწილას ტინი ემბრიონალური განვითარების დროს მუდმივად გაძლიერებულ სპონტანურ მოქმედებაში იმყოფება. ამის გამო ქათმის ემბრიონი მუდმივ მოძრაობაშია. იგივე ითქმის საზოგადოდ ხერხემლიან ცხოველთა ემბრიონებზე, სხვათა შორის ადამიანის ემბრიონზე. დედა კარგად გრძნობს თავის მუცელში ემბრიონის მოძრაობას. ეს მოძრაობა აგრეთვე ტინის სპონტანურ მოქმედებაზეა დამოკიდებული. ახლად დაბადებულ ცხოველთა გაძლიერებული მოძრაობანი აგრეთვე

მეტწილად ტენის სპონტანურ მოქმედებაზე და მოკიდებული. მაგ., ახლად გამოჩენილი მძიერი წიწილა კენკავს როგორც ძარცვლებს, ისე კენჭებს, ლაქებს იატაკზე, საკუთარ თითებს და ზოგჯერ ჰაერსაც. ეს კენკვის მოძრაობა სათანადო ცენტრების თვითნებურ მოქმედებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. მძიერი ბავშვი იძლევა ტუჩებით წოვნის მოძრაობას და თავის მოძრაობას, გინდაც რომ მას პირი არ უღიზიანდებოდეს. ესეც ტენის თვითნებური მოქმედების შედეგია.

როგორც ეს აღვნიშნეთ ინსტინქტური რეაქციების მიმართ, ყოველი სპონტანური მოქმედება სუფთად გამოივლინება შინაგანი არის ზეგავლენით მხოლოდ პირველ ხანს დაბადებინ შემდეგ. შემდეგში, ცხოვრების გამოცდილების ნიადაგზე, ასეთი ინსტინქტური აქტები შეიძლება გამოწვეულ იყოს როგორც შინაგანი არის ზეგავლენით, ისე გარეგანი არის, ე. ი. რეცეპტორთა გაღიზიანების საშუალებით. ახლად გამოჩენილი წიწილა კენკავს ყველაფერს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე დღის განვლის შემდეგ კი კენკავს უმთავრესად საკმელ ძარცვლებს, ბოლო არასაკმელ პატარა საგნებს და ლაქებს უკვე აღარ კენკავს. ცხადია, ეს იმაზე მიუთითებს, რომ გამოცდილების საფუძველზე წიწილა კენკავს და ყლბავს იმას, რაც მას გამოადგება საკვებად. მაშასადამე, კენკვის ნერვული ცენტრი მოდის გაძლიერებულ მოქმედებაში და იწვევს კენკვის მოძრაობას გარეგანი არის ზეგავლენით, როდესაც წიწილა ნაცნობ საკენკს ჰხედავს. მოკლე ამის განმარტება ასე შეიძლება: კენკვის ცენტრი მუდმივ თვითნებურ მოქმედებაშია. საკმელი საგნის კენკვის დროს ეს მოქმედება მეტისმეტად ძლიერდება. ამ დროს წიწილაზე საკენკის დანახვაც მოქმედობს. ამის შედეგად საკენკის დანახვა უკავ-

შირდება კენკვის ცენტრს. ამის გამო შემდეგში საკენკის დანახვა იწვევს კენკვის ცენტრის გაძლიერებულ მოქმედებას, რასაც კენკვის მოძრაობის გაძლიერება მოჰყვება. ამნაირად კენკვის სპონტანური რეაქციის მაგიერ ვლბებულობთ ინდივიდურად შეძენილ რეფლექსური ტიპის რეაქციას.

სპონტანური აქტივობა აგრეთვე ადამიანის ფსიქონერვულ ელემენტების თვისებას შეადგენს. ამას მოწმობს, პირველად ყოველისა, სიზმრები ისეთი ღრმა ძილის დროს, როდესაც გრძნობათა ორგანოების გავლენა დიდ ტენზე თითქმის აღკვეთილია.

ცნობილია, რომ ძილის დროს ზოგიერთი ფსიქონერვული ელემენტების აგზნებადობა კლებულობს უფრო ნაკლები ხარისხით, ვიდრე სხვებისა. ეს შეიძლება პირობადებული იყოს 1) ამ ელემენტების გარშემო სისხლის კაპილარული მიმოქცევის სხვადასხვა პირობებით ანდა 2) ამ ელემენტთა ფუნქციონალური და სტრუქტურული განვითარების სხვადასხვა ხარისხით. ამის შედეგად ძილის დროსაც ზოგიერთი ყველაზე უფრო აგზნებადი ელემენტები უფრო მეტად იწარჩუნებენ „თვითაგზნების“ სპონტანური აქტივობის უნარს. ეს სპონტანური აქტივობა უნდა იწვევდეს სიზმარს, როგორც წარმოდგენათა უცნაური შეხამებით, ისე მათი სრულიად ბუნებრივი მსვლელობით. მაგრამ, რასაკვირველია, ორივე შემთხვევაში სპონტანურად აღმოცენებული ფსიქონერვული პროცესები ერევა და ერთვის იმ პროცესებს, რომელნიც გამოწვეულნი არიან ასოციაციური გზით. ეს ასოციაციური პროცესები ძილის დროს იწვევიან, ერთის მხრივ, სპონტანურად გაჩენილი ფსიქონერვული კომპონენტების მიერ, და მეორის მხრივ, პერიფერიულ გაღიზიანებათა მიერ ანდა თვითონ მეცეპტორების სპონტანური მოქმედებით.

ასევე უნდა ითქვას ბოდვაზე, რო-

მელიც ავადმყოფობისას იწვევა სხე-  
ულის მაღალი ტემპერატურის დროს.  
ბოდეა წარმოადგენს ქერქული ფსი-  
ქონერული ელემენტების სკონტანუ-  
რი აგზნების შედეგს. მოზრდილ ნორ-  
მალურ ადამიანებსაც სიფხიზლის  
დროს უჩნდებათ სკონტანურად ფსი-  
ქონერული პროცესები. მაგრამ ამ  
შემთხვევაში ეს პროცესები არ ვი-  
თარდებიან, თუ ისინი არ შეუფარდდ-  
ებიან მიმდინარე ცნობიერ ფსიქონერ-  
ულ მოქმედებას. მაგრამ, რასაკვირ-  
ველია, არ არის ძნელი ჩვენს შეგნება-  
ში მათი დადგენა, განსაკუთრებით მა-  
შინ, როცა ისინი მეორდებიან ერთი და  
იმავე შინაარსით, ე. ი. როცა პერსე-  
ვერაციის ანუ ფიქსირებული იდეების  
ხასიათს ღებულობენ.

ყველა ზემონათქვამიდან გამომდი-  
ნარეობს: ცხოველთა და ადამიანის სამ-  
ყაროში, გარდა ცენტრალური მოქმე-

დების რეფლექსური ფორმისა, რო-  
მელიც თანშობილ და ინდივიდუალად  
შეძენილი ანუ პირობითი რეფლექსებ-  
ში გამოიხატება, არსებობს აგრეთვე  
ცენტრალური მოქმედების სხვა ფორ-  
მები. პირველი, ფსიქონერული მოქ-  
მედება, რომელიც წარმოშობს სხვა-  
დასხვა სახის ნებით მოძრაობებს, და,  
მეორე, სკონტანური ანუ თვითნებუ-  
რი მოქმედება, რომელიც გამოივლი-  
ნება მამოძრავებელ მუშა ორგანოებში  
უნებლიე მოძრაობებით და აგრეთვე  
ნერვული ცენტრები მოქმედების გაა-  
ღვილებით ან შეკავებით.

ქცევის აქტების წარმოებაში ნერვუ-  
ლი მოქმედების ყველა ეს ფორმები  
მონაწილეობას ღებულობენ. მხოლოდ  
ზოგიერთ აქტებში გაბატონებულია  
ცენტრალური მოქმედების ერთი ფორ-  
მა, ზოგში კიღევ მეორე ან მესამე.

## გიორგი შერვაშიძის წერილი „ბარლინარ გაგებლავის“ რედაქციისათვის

..

ამ წერილის ავტორი გიორგი შერვაშიძე ევთიმის რევოლუციის წინაპრობის დროის ქართული ინტელიგენციის ამ ფენას, რომელიც არ შეურიგდა რუსეთის ძეგის ხელისუფლების და ამჯობინა ევლიანი გზით გვლო უფლებსაყრილი და ჩაგრული ქართველი ხალხის გვერდით. გიორგი შერვაშიძე ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელია ამ პატრიოტულად და დემოკრატიულად გასწვობილი, საღი ეროვნული ტრადიციების მქონე ქართველი თავად-ინჟინერობის ნაწილისა, რომელმაც ქართველ ხალხს მეცხრამეტე საუკუნეში ნ. ბარათაშვილი. ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ალ. ყაზბეგი და სხვა მისცა.

გიორგი შერვაშიძე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის — მინხელის — მემკვიდრე იყო. როდესაც რუსეთის იმპერიის მთავრობამ აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება გადაწყვიტა, მან არსებითად იმ საბუთებს მიმართა, რომლებიც კარგად ცნობილია ლაფონტენის იგავ-არაქიდან „მგელი და კრავი“. მინხელ შერვაშიძეს დაბრალდა, რომ ის ვითომ ინტრიგების ქსელს აბამდა რუსეთის წინააღმდეგ. 1864 წელს ის იძულებით ვირონეჟში გადასახლეს, სადაც ჩტარა გადაიკვალა.

1866 წელს აფხაზეთში აჯანყება დაიწყო. ამბოხებულნი აფხაზეთის ავტონომიის აღდგენის მოთხოვნდნენ. რუსეთის იმპერიის მთავრობამ შეაკრი ლონისძებებით ჩააქრო ეს აჯანყება. მისი შეთურება დახვრიტა ან ციხეში გადასახლა. აჯანყების თანაგრძნობისთვის დასჯილ იქნა გიორგი შერვაშიძეც, რომელიც მაშინ იყო წლის კაპუტი იყო ის გადასახლებულ იქნა შიდა რუსეთში.

თუმცა გიორგი შერვაშიძეს შემდეგ მისი „დანაშაული“ ეპატია, მას ფლიგელ-ადიუტანტის ბარისხი ებოძა და მეფის სასახლის კარზე ბრწყინვალე კარიერა გაეხსნა, მან ამჯობინა საჭიროებელში დაბრუნებულყო. რადგან მას მთავრობამ აფხაზეთში ცხოვრება აუკრძალა, ის ქუთაისში დასახლდა და საქაოდიენტისური საზოგადოებრივი მუშაობა გაშალა. ამ მუშაობაში მას ზელს უწყობდა ქართული ისტორიისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნა და ფართო ევროპული განათლება.

გიორგი შერვაშიძე თავისთავს პროფესიულ მწერლად არ სთვლიდა და მთელს სიცოცხლეში თავის ნაწერებთან თითქმის არაფერი დაუბეჭდავს. მაგრამ მისი მეგობრები და პატივისცემლები აფხაზედნენ მის პოეტურ ნიჭს და მისი ნაწერები ზელნაწერების სახით ფართოდ ვრცელდებოდა იმდროინდელ განათლებულ ქართველ საზოგადოებაში. მრავალი მისი ნაწარმოები საბოლოოდ დაიკარგა. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაშთი აკად. ს. ჯანაშიამ გამოაქვეყნა (იხ. გ. შერვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. — აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით და ნარკვევით. სოხუმი. 1946).

როგორც ლირიკოსი გ. შერვაშიძე ყველაზე აბლო აკაცი წერეთლის სკოლისთან სდგას: მას ახასიათებს პატრიოტული გრძნობის ღრმა განცდა, დემოკრატიული ტენდენცია, სიამლოვე ზალხურ პოეზიასთან. ხალხური სიღერის კილოზეა დაწერილი მისი მშვენიერი „ეპარადა“.

გ. შერვაშიძემ თავისი კალამი სცადა დრამატულ ეპიკაშიც, და მისი პიესა „მომაკვლავნი სურათნი“ ოთხმოციან წლებში თბილისისა და ქუთაისის თეატრების სცენაზე იდგმებოდა. მისი ისტორიული დრამა „გიორგი მესამე“ მოწმობს, რომ ავტორი კარგად იცნობდა თავის დროის ქართულ ისტორიულ ლიტერატურას და კარგად გრძნობდა გიორგი III და თამარ მეფის ეპოქის სტილს.

როგორც ი. ჭავჭავაძის და აკაცი წერეთლის პატივმემკვიდრე და თანამებრძოლს შეეფერებოდა, გ. შერვაშიძე ერთგულ გუშაგავით დარაჯობდა თავის სამშობლოს და ხშირად მე-

როდესაც პრესაში გამოდიოდა მისი ინტერესების დასაცავად. მისთვის, როგორც მემლი-  
ცისტისათვის, განსაკუთრებით დამახასიათებელია ის წერილი, რომელიც ქვემოთ იწვევება-  
1911 წელს ეს წერილი გ. შერვაშიძემ თბილისის რუსულ გაზეთ „საქართველოს რევოლუციონერში“  
(№ 1461-ში, შემდეგი სათაურით: „გენათლებულის თავადის გ. შ. შერვაშიძის წერილი“,  
გაზეთისი მის მიერ გაზეთ „ბურლინერ ტაგებლაცის“ რედაქციაში, ბრ. ლორენცის შრომა-  
პუბლიკის სახელწოდება) გამოაქვეყნა. ვინაიდან ის დარწმუნებული იყო, რომ გერმანული ბურ-  
ჟუაზიული გაზეთი „ბურლინერ ტაგებლაცი“, სადაც ლორენცის ყოვლად უღივრეო კორეს-  
პონდენცია გამოქვეყნდა, მის წერილს არ დაბეჭდვდა.

თანამედროვე საბჭოთა მკითხველს, რომელიც გ. შერვაშიძის წერილს წაიკითხავს,  
გაოცებს ავტორის აზროვნების სიმახვილე და ანალიზის ძალა. ბურჟუაზიული კულტურის  
გამანადგურებელი კრიტიკა, რომელსაც ის ორიოდ წინადადებაში ძღვევა, საუცუესო  
პამფლეტისტების სტრატეგიებს გვაგონებს. მაგრამ ზოგიერთი მათგანს უკიდურესი კრიტი-  
კისისაგან განსხვავებით, გ. შერვაშიძე ამტკიცებს, რომ ხელალებით არ უარყოფს თავისდროინ-  
დელ ევროპულ კულტურას; ის კაპიტალისტური დეკადანსის იქით, სუტენიორებისა და კოლო-  
ნიზატორების იქით არგად ხელსაცემ მარგალიტებს, რომელიც ბურჟუაზიული ევროპის  
შეცინებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ შექმნა თავისი აღმავლობის პერიოდში.

გ. შერვაშიძის წერილში აღმწოდებული ქართველი პატრიოტის ხმა გაისმის, იმ აღმაი-  
ანის ხმა, რომელსაც კარგად ესმოდა ქართული კულტურის ღირებულება. მაგრამ ამ წერილ-  
ში გაისმის აგრეთვე პუშკინის ხმა, მით უფრო დამაჯერებელი, რომ ავტორი ევროპის  
კულტურას იცნობდა არამარტო წიგნების შემწვობით, არამედ უშუალო დაკვირვების გზით,  
ვინაიდან მას არაერთხელ უმოგზაურნია დასავლეთ ევროპაში. ამიტომ მას დაეჯერება, რო-  
დესაც ამბობს, რომ ბურჟუაზიულმა ცივილიზაციამ თავისი დეკადანსის პერიოდში მეტი  
კომფორტი შეუქმნა იორქშირის ჯიშის ღორებს და სამონადირო ძაღლებს, ვიდრე აღმაი-  
ანებს და იმ დროს, როდესაც ევროპელი კაპიტალისტებისა და მემპულეების ცხენები სა-  
უცხოო შენობებში არიან მოთავსებულნი, უმუშევრები ღია ცის ქვეშ, სანაგვეებში წვანაო.

ეს პატარა სტატია, დაწერილი ძველი თაობის ინტელექციონერის მიერ, ნათლად ამჟღავნებს,  
თუ რამდენად მტკიცეა იდეური კავშირი ჩვენს თაობასა და ჩვენი წინაპრების საუცუესო  
წარმომადგენლებს შორის.

## მ. ხ. რ ე დ ა ქ ტ ო რ ო!

იმედია სამართლიან ყურადღებას  
მიექცეოთ ამ სტრიქონებს, რათა მო-  
თავსდნენ ისინი „Berliner Tage-  
blatt“-ში, რომელშიც ამასწინათ დაი-  
ბეჭდა ბ-ნ ლორენცის კორესპონდენ-  
ცია, სადაც ნათქვამია, რომ პრინცი  
ოლდენბურგელის მიერ მოწვეული  
საზღვარგარეთელი სტუმრების გაგრა-  
ში ყოფნის დროს, სადილობისას, მათ  
თითქოს ემსახურებოდნენ ადგილობრი-  
ვი მალალი წოდების წარმომადგენლე-  
ბი, და რომ ბოლოსდაბოლოს, უკანას-  
კნელებმა ერთერთ სტუმართაგანს მოპ-  
პარეს პალტო, თუმცა ამის შესახებ  
თავის სტუმრებს აფრთხილებდა პრინ-  
ცი ოლდენბურგელი, და ა. შ.

ყველა ეს შეუწყნარებელი მონაჭორი  
ატარებს ისეთი ტლანქი უკმეზობის  
ხასიათს, რომ გვებადება ეჭვი, აგრეთ-  
ვე ასე ტლანქად, უკმეზად და ურც-  
ხვად ხომ არ ჩაუჯიბეს სათანადო  
თანხა ბ-ნ ლორენცს ასეთი ცილისწა-  
მებისათვის?

შეიძლება, ეს ვინმესა და რაიმეს-  
თვის მართლაც საჭიროა. არიან შემ-  
თხვევები, როცა მსგავსი საგაზეთო  
რეკლამების გზით სურთ საზოგადოე-  
ბის თვალში დაამცირონ, აბუჩად  
აიგდონ, შეურაცხეონ ნაკლებად ცნო-  
ბილი ეროვნებები. ჩვენ არ უარე-  
ყოფთ, რომ ის ბედუქულმართი პალ-  
ტო, იქნებ, მართლაც მოიპარეს, მაგ-  
რამ რატომ ფიქრობს ბ-ნი კორეს-  
პონდენტი, რომ ქურდობა სწორედ

წესიერმა ადამიანებმა, ადგილობრივმა მკვიდრებმა ჩაიღინეს და არა ერთერთმა იმ მაწანწალათაგანმა, რომელითაც საესევა ჩვენი მხარე და რომელთაც ჩამოახტებენ აქ, ვითომდა, კულტურის დასაწერად! ამასთან, კორესპონდენტი გვარწმუნებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სპილენძის საუკუნის ადამიანები ვართ და ბევრი დროა საჭირო ჩვენი პროგრესისათვის, მაგრამ მათ მიერ დღემდე შემოტანილი კულტურა გამოიხატება მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთათვის საუკუნოობით შეჩვეულ მიწა-წყლის წატაცებაში, რათა დაურიგონ ის უსახლკარო უცხოელებს, რომელთაც, არ შესწევთ რა უხარი შეეგუონ ადგილობრივ პირობებს, ვერ მდიდრდებიან, ხოლო ამორიგებებმა მიწის ნაკლებობის გამო თავი ანებეს ზერებისა და ბაღების დამუშავებას და თავიანთი ჯოგების მწყევსვას. ასეთი არანორმალური მდგომარეობის გამო, თავისთავად ცხადია, ხალხი დატყავდა, მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა სტუმართმოყვარეობის ტრადიციული კეთილშობილური ჩვეულება, რომელიც ასე ცუდად გაიგო ბ-ნმა ლორენცმა. ეს ჩვეულება დაემთხვა პრინც ოლდენბურგელის სურვილს მიეღო თავისი სტუმრები და, მასთან ერთად ეჩვენებინა მათთვის ადგილობრივი მასპინძლობის განსაკუთრებული კოლორიტი. ასეთს პირობებში ძნელი საფიქრებელია, რომ პრინც ოლდენბურგელს ქურდებად დაეხასიათებინა ისინი, რომლებიც თვითონ მოიყვანა სტუმრების მიღებაში მონაწილეობისათვის. შეიძლება, ეს სამწუხარო ხინცინდენტი იყოს მხოლოდ მიმოსახილავი ქვეყნებისა და ადამიანებისადმი ბ-ნი კორესპონდენტის ზერელე ფელეტონური დამოკიდებულების შედეგი; ნახულის აღწერისას შეუძლებელი იყო დაკმაყოფილება მარტო დიდი ქუდებით, რომელ-

თაც ბ-ნმა ლორენცმა მოაქცია თავისი „განათლებული“ ქურდობა, — ხომ უნდა წაემატებინა რაიმე იმ ადამიანთა ზნეობისათვის, რომლებმაც ის მიიწვიეს და გაუმასპინძლდნენ. და რა უნდა ეთქვა მათზე! კარგი აზრის გამოსათქმელად საჭიროა დიდი ცოდნა და დაკვირებულობა, ხოლო ცუდის სათქმელად თვით უნიჭო რეპორტიორსაც კი ყოველთვის ეყოფა მოსაზრება. მასთან ბ-ნი ლორენცი, ალბათ, პრეტენზიას აცხადებს გონებამახვილობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ავყიანობას გონებამახვილობაში ურევს. მათ შორის ძლიერ დიდი განსხვავებაა. ბ-ნი ლორენცი იყო თბილისში. აქ უფრო უკეთ როდი მოიქცა იგი, როცა სთქვა, რომ აქაური ადამიანები და ცხოველები ერთნაირს მდგომარეობაში არიანო. დიდი პატივისცემა! დიან, ჩვენ ჯერ კიდევ არ ავსულვართ ევროპის უმაღლეს ცივილიზაციამდე, სადაც ცხოველებს უპირატესობა ენიჭებათ ადამიანებზე. ასე, მაგალითად, ირმებს უპირავთ პარკების თვალუწვდენი სივრცეები, ხოლო ადამიანებს ერთი ნაჭერი მიწაც კი არ აბადიათ და სულს დაფავენ მაღაროებში, არაქათი ელევით მძიმე სამუშაოებზე, საუცხოო შენობები აგებულია ცხენებისათვის, მათ კვებავენ, ასმევენ და უვლიან, ადამიანს კი ორი გროშიც არ გააჩნია ღამის გასათევად, და უფრო ზშირად ღია ცისქვეშ ჩაძალდება. საერთოდ, ცივილიზაცია დიდ კომფორტს სთავაზობს ცხოველებს: მონადირეთა ძაღლებს, იორქშირის ღორებსა და ა. შ. ხოლო გერმანიის უმაღლესმა პროგრესმა ქურდების მოძებნისათვის ადამიანის სამსახურებრივი მოვალეობა ძაღლებითაც კი შეცვალა! ალბათ, ქურდებისაგან იქ სიცოცხლე ჰქონდათ გაძალდებული, — რომ ეს მოსაზრეს.

გასაკვირველი როდია, რომ ბ-ნ ლორენცს ელანდება ქურდები. დიახ, ჩვენ ჩამოვრჩით ცივილიზაციას; ჩვენ არ გვევანან არც სუტენიორები, არც 'მანტაისტები, არც აფრიკელი საქმოსნები და ა. შ. და, წარმოიდგინეთ: თუმცა ასეთი ჩამორჩენილობა შეიძლება ჩვენ გვხდის სპილენძის საუკუნის ადამიანთა მსგავსებად, მაგრამ ამაზე როდი ვწუხვართ, ვფიქრობთ რა, რომ არაა საჭირო შევითვისოთ მთელი ის ნაგავი, რასაც ზოგიერთნი პროგრესს უწოდებენ, არამედ ვცდილობთ ამოვირჩიოთ იქიდან, როგორც მარგალიტი, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებები; თვალყური კვადვენოთ აღმოჩენებს მეცნიერებაში, ერთი სიტყვით — ვღებულობთ მხოლოდ იმას, რაც სასარგებლოდ და გამოსაყენებლად მიგვანია ცხოვრებისა და საზოგადოებისათვის. ასე უზაკველად ვცხოვრობთ ჩვენ, და ბ-ნი ლორენცი რომ უფრო ღრმად ჩაწვდომოდა ყოფითი მხარეებს, ის გაიგებდა ყველაფერს ამასა და უფრო მეტ სხვა რამესაც: გაიგებდა, რომ იმ ხალხს, რომელიც მან ასე აბუჩად აიგდო და შეურაცხყო, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული, რომ ქართველები

არიან რაინდები, რომლებიც პირველი ქრისტიანობის დამცველები ერთად მონაწილეობდნენ ქვეყნის განვითარებაში, ხმალამოვლები მსგავსენ კავკასიონის კარიბჭესთან თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში იმიტომ კი არა, რომ შეპირილიყვნენ უცხო ქვეყნებში და დაერბიათ სხვისი დოვლათი, არამედ — სამშობლოს გადასარჩენად, ქრისტიანი კულტურისა და მოქალაქეობრივი ყოფაცხოვრების დასაცავად; აგრეთვე გაიგებდა, რომ ქართველებს აქვთ მსოფლიოში სახელგანთქმული ნაწარმოებების შესაღარი უმდიდრესი ძველი ეპიკური ლიტერატურა; გაიგებდა, რომ ქართველი მეფეებისა და ხალხის იერარქიაში გვხვდება არანვეულბერივი გვირებისა და გენიალურ ბრძენ ადამიანთა სახელები და ა. შ. და ა. შ.

შეიძლებოდა კიდევ ბევრის თქმა, მაგრამ საგაზეთო წერილში შეუძლებელია გადმოცემა ამ ხალხის წარსულის იჭროს ფურცლებისა, რომლებიც მთელი ერის ცრემლებითა და სისხლით არიან განზანილნი. მართალი რომ ვთქვათ, არცა ღირს... რადღა დავუგოთ მარგალიტი...

უგანთლ. თავადი ბ. შ. შარვაშიძე:

## ბიბლიოგრაფია



### რ. კიკლინების „მუშაღის“ ქართული თარგმანი

იშვიათია შემოქმედი, რომელიც თითქმის ერთნაირი მხატვრული სიძლიერით გადმოგვცემდეს მოკლე ლირიულ ფრანგმენტებსა და რომანის ნაირფეროვან დიდ ტილოებს. რადიარდ კიკლინგი სწორედ ასეთი მწერალია. მის კალმს სხვადასხვა ენარის ნაწარმოებები ეკუთვნის. თუმცა ფორმით და სუბეტიით ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაინც კიკლინგისათვის დამახასიათებელი დახვეწილი ლაქონიზმი ყოველმდგომარეობაში იგრძნობა. კიკლინგი არ აგვიწერს გრძელბეჭდის რომანტიკულ აღმადგრენს, არ იძლევა გვირგვინს ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს, მაგრამ მისი მტკიცე, ლოგიკური მსჯელობა, საინტერესო სუბეტიური კვანძი, გულბრყვილო ხასიათები, გულწრფელი, დამაჯერებელი ინტონაცია მკითხველზე დიდ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს.

კიკლინგი თბრობის დიდი ოსტატია. მის აღწერაში ვერ იპოვებთ ვერც ერთ შტრიხს, რომელიც ფერებს სიმკვეთრეს დაუკარგავს და გააწყალაწყალავს. ამ ფერებს ის მოხერხებულად ურევს ერთმანეთს თავისებური ნიუანსის მისაღებად და საოცრად სადა, დახვეწილ სურათებს ქმნის.

კიკლინგის ენა კონსტრუქციულად შედარებით სადაა, მაგრამ ლექსიკის მხრივ მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი. მასში უჭადაა გაბნეული თავისებური თქმები, ეპიტეტები, იდიომები.

„მუშაღის“ ამბავი კიკლინგის ცნობილ „ჯუნგლის წიგნიდანაა“ აღებული. მუშაღი ინდოელი ბიჭია. ის ჯუნგლში გაიზარდა. დღემდე მას ძუძუ აწოვა, შამა-მუღლა ნადირობა ასწავლა, გონიერმა ბაღუმ ჯუნგლის კანონები გააზრებინა, შესაწავლა აგრეთვე ცხოველთა და ფრინველთა ენა. მუშაღი დააპარკა თვით უძლეველი ვეფხვი, რომელიც მზეციებს შიშის ზარს სცემდა და ჯუნგლის მეფეზე ვაბდა. მოთხრობაში ცოცხალადაა აღ-

წერილი ინდოეთის ეგზოტიკური ბუნება, ცხოველთა და ფრინველთა საშუარო: ჭკვიანი, გონივრული ბალუ; გონიერი, შავკანი ყოყონა კაპ-ბითონი; მკეხაბა, დაუღვარი მამუნენი. ეშმაკი ავაზა ბაგია; სამართლიანი აველა. გულგრილი ჭორი ჩილი და სხვ.

1946 წლის დამლევს საბლიტგამმა გამოქვეყნა „მუშაღის“ ქართული თარგმანი. თარგმანი ეკუთვნის თ. დიხაშიძეს. მან ეს საპატიო და ძნელი ამოცანა ძირითადად დასძლია. თარგმანში დაცულია ტექსტის შინაარსობრივი სიზუსტეც (ზოგიერთი გამოწვევების გარდა), ენის იდიომატიკაც და მხატვრული სახეებიც.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ აღნიშნულ თარგმანის განხილვაზე, რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ინგლისურიდან თარგმნის თავისებურებაზე.

თუ ლექსის თარგმნის დროს უჩივიან ინგლისური სიტყვის სიმოკლეს ქართულთან შედარებით, პროზაში ასეთსავე დაბრკოლებას წარმოადგენს ინგლისური წინდადების თავისებური წყობა. ინგლისურში არსებული ე. წ. გერუნდიველი ინფინიტეფები და პარტიციპლური კონსტრუქციები წინდადებას საოცრად ლაქონიურს და ელასტიურს ხდის. ეს კონსტრუქციები გრამატიკულ კავშირებს ხსნის, რის გამოც შესაძლებელი ხდება ერთი რთული წინდადების წინა ნახევარ გვერდამდე გაჭიმვარის შემთხვევები, როდესაც ინგლისურში წერტილიდან წერტილამდე მანძილი ამ სტრუქტონს აღწევს.

დიდ სიძლიერეს წარმოადგენს აგრეთვე ინგლისური ენის იდიომატიკა. მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ენის სპეციფიკა, რათა რაიმე კურაიზი არ დაეშაროს.

თვით კიკლინგის თარგმნის დროს საჭირო მისი დახვეწილი სტილის გადმოცემა, მისი ლექსიკური ნაირფეროვნების შენარჩუნება (ზოგი ცნება ზუთი-ექვსი სინონიმითაა გადმოცე-

მულო, ფორმების და კონსტრუქციების თავისებურების გადმოცემა. ეს თავისებურება შემდეგში მდგომარეობს: ებლინივი განვებ ხმარობს თანამედროვე ინგლისურში მიღებულ you-ს ნაცულად—thou, thine ფორმებს, რომელიც ახლა მხოლოდ პოეზიაში ან რამე განსაკუთრებულ შემთხვევებში გვხვდება. ინდიკატორის მაგეარ ის ხშირად კონიუნქტორს მიმართავს, რაც თანამედროვე ინგლისურისათვის უცხოა. ხმარობს ის აგრეთვე არქაულ ფორმებს: nay, ye და სხვა, რაც პატრიარქალურ ელფერს სდებს ცხოველთა საუბარს. კონსტრუქციული გამარტივება კი მშვენივრად ეფარდება მხეცების მარტივ ფსიქოლოგიას.

მთარგმნელი რვა-ცხრა სტრუქტურულად წინადადებას ქართულად რამოდენიმე დამოუკიდებელ წინადადებად შლის, რის შედეგადვე თარგმანი არ მძიმდება და ადვილად გაიკვება. მიხანშეწონილია აგრეთვე მთარგმნელის მიერ გამოყენებული აბზაცებად დაყოფა, რომელიც დედანისაგან განსხვავდება. აბზაცები თარგმანში უფრო ხშირად გვხვდება, რა თქმა უნდა, იქ, სადაც აზრი ლოგიკურად მთარგმნება. ასეთი დაყოფა მკითხველს კითხვით წინადადების ათვისების უადვილებს.

კარგად ესმის მთარგმნელს სასაუბრო კილოც. თარგმანში დაკულია ინტონაციური მრავალფეროვნება. მავალითისათვის ავილით მთვლის მიმართება მგლებსადმი, როდესაც მათ შტორს შემოსევა: „თავისუფლო მოდგამე, რეთუ ჩენს ჩრდილოეთისაგან უნდა წვაიდეო, და აქ. წყლის ნაბირზე, ზეციკებითა და ვირთაგებით ვირჩინოთ თავი იმის შიშით, რომ დპოლებს წვაიწვლებით? მათ უნდა მოსჩან ნადირი ჩენს ადვილებში, ჩენს კი ჩრდილოეთში უნდა ვიმაღებოდეთ, სანამ დპოლები განჩრახავდენ იმის დაბრუნებას, რაც ჩენს გვეკუთვნის. ისინი ძალები არიან, ძაღლის ლეკვები, წითურები, ვეთელმეტილანები, უბუნაგო, თითბანგვლიანები“ და სხვა.

ეს მიმართება სათანადო ინტონაციური აღმავლობითაა გადმოცემული. მისში მკვეთრად მოისმის მწარე დაცინვა.

სწორადაა აგრეთვე გადმოცემული ნადირთა ოდნე პათარქორთი სასაუბრო კილო. აგლა მგლებს შესძახებს: „ფხიზლად იყავით, ფხიზლად იყავით, ო, მგლიბო!“ წინადადებაში შემავალი „ო“ არა თავშია მოქცეული ჩვეულებრივად, არამედ სიტყვებს შორის, რაც მთელს ფრაზას ამაღლებულ ინტონაციას უქმნის.

არგადია გადმოცემილი მხატვრული სურათებიც. ავილით შემდეგი ადგილი: „The echoes jumped from rock to rock“ (მანი ერთი კილიდან მეორეზე ტყეპოდა). მიუხედა-

ვად იმისა, რომ მთარგმნელმა to jump ბტომის ნაცულად სხვა სიტყვა გამოიყენა, თარგმანში ისეთივე მშვენიერი სურათი გამოვიდა: „მანი ერთი კილიდან მეორეზე ტყეპოდა“.

ასევეა მეორე სურათიც, რომელიც კვალდა იყო. „მხოლოდ ზაეის კიდე გაწოლილიყო ფონთელის ვარდი-ვარდმო ქვის გველივით და მის ვაბურებულ გვერდებზე მოღლილი, შხელით შვებოდნენ მომკრო კველები“ — გადმოგვეცეს თარგმანი. სურათი უსტრადია გადმოცემული, მაგრამ საუბროა ერთი შესწორების შეტანა: ებიტეტი tired — მოღლილი, ეკუთვნის არა შხელს, არამედ თვით პავლს (მოღლილი, დასუსტებული პავლი).

კაბლინვისებურ ლაკონიზმითაა გადმოცემული მიწისქვეშა განძის აღწერა, ფერად ხალისასავით იშლება თვალში ლაღ-ღირზე და ზურმუხტ-იაგენდით მოქვილი ოქროს და ვერცხლის ნეტები.

მაგრამ თარგმანი უნაკლო არ არის. ნაკლად უნდა ჩითვალის ის, რომ მთარგმნელს ვერ გადმოუცია ფორმებისა და კონსტრუქციების თავისებური არქაიზმი, რაც თარგმანს სათანადო ელფერს უქარავს. ქართულში უფაოდ შეიძლება შერჩეულიყო სათანადო ფორმები. ზოგიერთ ადგილებში აზრი დამახინჯებულია. ვივარჩიოთ ეს ადგილები.

ავაზა ბავირა ივერებს მაიმუნების ვაფთრებულ შეტევას და ცდილობს წყლისკენ გაიკლეს გზა: „He worked his way desperately inch by inch — balting in silence“.

ქართულ თარგმანში: ავაზა თავჯამოვებით თითო შტკაველობით, წყნარი სვენებ-სვენებით მიიფთავდა გზას აუხისკენ („აას ნადირობა“). ვარდა იმისა, რომ თარგმანში ფრაზა თავისთავად მძიმეა, უმართებულოდ ჩამატებულია აგრეთვე ებიტეტი „წყნარი“, რაც აზრს ამახინჯებს. მწილი წარმოსთავრინა წყნარი სვენებ-სვენება გამწარებოლი ბრძოლის დროს!

მთვლი სიტყვას აწვევებებს მონადირე ბუდიდოს. უკანასკნელი ძალიან ვაბრახუნდება და წამოძახებს: „ის ჯუნგლის ნაშიერა არა?“ ქართული თარგმანი: „ო,ო, ეს ჯუნგლიდან გამოსული ქაჯი ლაბარაკობს!“ (კუთხე, ევლები). Brat ნიშნავს არა ქაქს, არამედ ნაშიერს, ეს სიტყვა საუცხოოდ გადმოსცემს ბუდიდოს აზრს — მთვლი მართლაც ჯუნგლის შვილია, ჯუნგლის ნაშიერა.

მთვლი მაიმუნებში ვივარჩიოთ. დამწებრებული ბავირა და ბაღვ გადამწვევრენ დახმარებისათვის მიმართონ კაა-პოთონს. შემდეგ ნათქვამია: „They found him — admiring his beautiful new coat“. ქართული თარგმანი: „მათ ის კიღის ქიმზე ნახეს. კაა.. აღრავებით უმწერდა თავის საუცხოო სამოსს“

(„კაას ნადირობა“). თარგმანში გამოტოვებულია ეპიტეტი new — ახალი და ამიტომ არ სჩანს, არ გველმა ეს არის ახლა გამოიცვალა კანი და ახალი ქურჭით შეიშისა.

კაა-პითონი შხამიანი გველი არ იყო „but his strength lay in his hug“.

ქართული თარგმანი: „მაგრამ საშინელი ღონე ჰქონდა“ („კაას ნადირობა“). თარგმანი არ არის ზუსტი. hug ნიშნავს შემოხვევას. ვთარგმნი წინადადებას სიტყვა-სიტყვით: „მისი ძალი მის შემოხვევაში იყო“, ე. ი. დედანში ხაზ-გასმულია, რომ საშინელი კაა-პითონის კბენა კი არ იყო, არამედ მისი შემოხვევა.

საბჭოს კლდეზე შეკრებილ ბროვანში ყოველგვარი ასაკის გველს ნახავდით „დაწყებული ჭალაა ვეტრანებიდან, რომლებიც მარტო გაუმკლავდებოდნენ ირემს, დამთავრებული ახალგაზრდა სამწლიანი მგლებით, რომლებსაც წარმოედგინათ, რომ ამის ჩადენა მხოლოდ მათ შეეძლოთ“. თარგმანში ჩამატებულია სიტყვა „მხოლოდ“, რაც აზრს სცვლის. უნდა იყოს: „დამთავრებული სამწლიანი ახალგაზრდებით, რომლებიც ფერობდნენ, რომ მარტო შესაძლებლად ირემს მოკლას“.

მგლები ხშირად ეთამაშებოდნენ მუფლის. ქართული თარგმანი:

„თამაშის დროს ლეკვები ხშირად გაკრავდნენ ხოლმე მუფლის კბილებს“ („ვეფხვი, ვეფხვი“). ზნა to nip ნიშნავს არა კბილების გავრას, არამედ გაკაწრას. მეორეც, წინადადება არ არის სრულად თარგმნილი, უნდა იყოს: „თამაშობის დროს ლეკვებს ხშირად უფრო ძლიერად დაუკაწრავთ მუფლი, ვიდრე მათ სურდათ“.

მუფლი ამბობს: „ათნიც რომ ვიყენეთ, მიინც შევძლებთ მის ბოლოს მიღებას“. („ვეფხვი, ვეფხვი“). თარგმანი არ არის სწორი. ამ შემთხვევაში, ფორმა might ნიშნავს არა შეძლებას (შესძლო), არამედ კავშირებით კილოს ქმნის. ვარდა ამისა, თარგმანში უდავოდ ინგლისური კონსტრუქცია სჩანს. უნდა იყოს „ათნიც რომ ვყოფილიყავით, მიინც ჩავკლავდით მყოლიარს“.

უცხო მგელმა ბროვან მტრის შემოსევის ამბავი აცნობა. მგლებს ვერ შორიდან მოესმით დაპრილი მომხმის ყმებილი. შემდეგ: „ვასი-გამბოლი სასოწარკეთილი ყვითა“. თარგმანი არ არის სწორი. უნდა იყოს: „ძახილი გაბოულ სასოწარკეთილ ყვითად იქცა“. ქართულ ტექსტში ეს გადასული არ სჩანს.

ქართულ თარგმანში: „ის იყო კარგი ნადირობისა და კარგი ძიოსის დრო“. ქართული ტექსტში ის წინათობა: „შეიძლებოდა წინაწინათობისთან მაშინ, როთისაც მათ შორის არავითარი აზრობრივი კავშირი არ არსებობს“.

თარგმანი ქართულად ხელოვნური და აზრიც დამახინჯებულია. დედანში ეს წინადადება ცალკე გამოყოფილი და შემდეგ ნიშნავს: „ამ დღეებში კარგი ნადირობის შესაძლებლობა და მშვიდი ძილი“ („წითელმა მგლებმა“).

კაა-პითონზე ნათქვამია: „მძალად სადღობის შემდეგ მთელი თვეობით სძინავს“ („კაას ნადირობა“). თარგმანი არ არის სწორი. უნდა იყოს: „ერთი თვე რომ შეკამს, შემდეგ მთელი თვე სძინავს“.

ქართულად: „მუფლიმ კარგად იცოდა, რომ საბჭოში მტრები ჰყავდა“ („ვეფხვი, ვეფხვი“). თარგმანში ზოგადად არის მოხსენებული, რომ მუფლის მტრები ჰყავდა. დედანში კი სხვა აზრია გატარებული: „მან იცოდა, რომ საბჭოში ერთი საბავლე მტერი მიინც გაუჩნდა“. ეპიტეტი „ხად — საბავლე“ თარგმანში გამოტოვებულია.

ყოველი სიტყვის ამორჩევა, შეცვლა ან ჩამატება დიდს სიფრთხილით უნდა ხდებოდეს. ერთმა სიტყვამ შესაძლებელია წინადადებას სრულად დაუკარგოს ის ნივანსი, ის მნიშვნელობა, რომელიც დედანშია ნაგულისხმევი. აგილოთ შემდეგი ადგილი: მამა-მგელი ვეფხვს დაიკონიო „ზოლიან საქონლის-მკვლელს“ უწოდებს. ქართულ ტექსტში ეს სიტყვა თარგმნილია, როგორც ყასაბი. მართალია საქონლის-მკვლელი მნიშვნელობით ყასაბს უდრის, მაგრამ კბილივც განგებ არ ხმარობს ყასაბის ზუსტ ინგლისურ ადექვატს — butcher. ვერ ერთი cattle-killer ირანულიადა ნახმარია: მგელი დისციინის ვეფხვს, რომ ის შინაურ საქონელზე ნადირობს. მეორეც, ცნება „ყასაბი“ ვუნგლის მხეცებისათვის, უთუოდ, სრულიად უცნობია. კბილივც სპეციფიკურ სიტყვებსაც კი ქმნის, რომ მხატვრული სახეების მთლიანობა არ შელახოს, არ ათქმევინოს ისეთი რამ, რაც მათ მარტივ აზროვნებას არ შეეფერება. სწორედ ამ მიზნით ადგენს ის თავისებურ სახელებს, როგორცაა: bud-horn — ნორჩ-ჩქიანი, mau-thing — კაცუნა; cattle-killer — საქონლის-მკვლელი და სხვა. ხშირად ის ზოგად სახელებს საკუთარ სახელებად აქცევს, როგორც, მაგალითად, Outlier — ვადგომილი და სხვა.

სამწუხაროდ ეს სპეციფიკა ვეფხვან არ არის დაკული. აგილოთ შემდეგი ადგილი: ბავირბავაზა სულ რამდენიმე თითი ადრე დაბალივულ ნურს უწოდებს — bud-horn. bud ნიშნავს კიბრბს. აქ კი „ნორჩის“ მნიშვნელობითაა ნახმარია: horn — ჩქა არის; bud-horn — ნიშნავს „ნორჩ-ჩქიანს“. ამ სახის მავიერად თარგმანში „ნორჩია“ ნახმარია.

მუფლი მამბუნებს ჩაღვარდათ ზელში. კაა-პითონი ამბობს: „a man-thing in their hands“



თავისი ტყუილებით სულ უფროდაუფრო მალა მიცემადა, ე. ი. სულ უფროდაუფრო უარეს სიყალბეს ურევდა თავის ამბებში. თარგმანში ეს მხატვრული ნიუანსი დაკარგულია.

უმართებულოდაა გამოტოვებული შემდეგი წინადადებებიც: „პაპანება სიცხეში მზე ააცეკვებს ხოლმე კლდეებს“. „ის გზას დაჰყვა მტკიცე ჩორთით თითქმის ოცე მილის მინძილზე“. მონადირე ბულდოგს ჯახაჩი (თოფი) მუხლებზე აწეს გადებდა. თარგმანში ეს დეტალი გამოტოვებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი ყოველთვის ვერ აღწევს თავს ინგლისურ კონსტრუქციებს, რაც ქართულად, რა თქმა უნდა, ხელოვნურ, არაბუნებრივ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ლათეზე ნათქვამია: „ბაღუ, რომელიც სასაცილოდ მიძინებულა შაშხინების დაწვევის იმედით“. კონსტრუქცია ინგლისურია. ქართულად უფრო ბუნებრივი იქნებოდა: „იმედი ჰქონდა, რომ შაშხინებს დაწვეოდა“. (კაას ნადირობა“).

„მთელი ტყე გაიანბლა იყო, როდესაც ბაღუმ ლაპარაკი გაათავა“ („მთვლის ძმები“). ჯერ ერთი, ზმინების სახეები არ ეწყობა ერთ მანეთს (იყო, გაათავა), მეორეც, თვით წინადადების წყობაც არ არის სწორი. უფრო ბუნებრივი იქნებოდა: „როდესაც ბაღუმ ლაპარაკი გაათავა, მთელი ტყე გაიანბა“. ინგლისური კონსტრუქცია იგარანობა შემდეგ წინადადებებშიც: „მთვლიმ არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა იყო კასტა“ („ვეფხვი, ვეფხვი“).

„იგი ამჟამად გარდა ბრძოლისა მზად იყო ყველაფრისათვის“ („ვეფხვი, ვეფხვი“).

„ათინე რომ ვიფხვოთ, მაინც შევძლებთ მის ბოლოს მოღებას“ („ვეფხვი, ვეფხვი“).

პროზაულ ტექსტს თან ახლავს რამდენიმე ლექსი, რომელნიც ვახტანგ ჭავჭავაძემ თარგმნა. ლექსებში გადმოცემულია ცხოველი მარტივი ფსიქოლოგია, მათი სულისკვეთება, განწყობილება, ჯუნგლის სამართლიანი კანონების ქება-დიდება. უმეტეს შემთხვევაში ლექსები გარბითმულია, ურითმო ლექსები კი მჭიდროდ არიან შეკრული შინაგანი რიტმით. თავისებური შეძახილები, შავლაშივთ გარეული ურთიმო სტროფები, წინადადებების სპეციფიკური წყობა და ინტონაციური კრემენდო ძლიერი კადანსით — ლექსებში თავისებურ მელოდამს ჰქვინს.

მთარგმნელის დამსახურება მართო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ უკრძღუე გადმოცემის მხატვრული სახე, არამედ ეს სწორედ იგარანობის ნიუანსში, იქნება ეს ინტონაცია, რიტმი თუ სხვა რაიმე შტრიხი. მ. ჭავჭავაძის სწორედ ასეთ მთარგმნელია ჯგუფს ვერუთენის. მას გამაჰვილებელი სმენა ჰქვს და ის კარგად გარნობს ლექსის საერთო გაწყობილებას, მხატვრულ სახეებს.

თარგმანში ზუსტადაა დაცული კიბლინგის ლექსის ყველა ზემოხსენებული თავისებურება, ისეთივე სისადავითაა გადმოცემული ცხოველის მარტყვი ფსიქოლოგია, მისი განწყობილება, მისი ზანათი, მისი სასაუბრო კილი.

როდესაც კითხულობთ ბანდარ-ლოგების (შაშხინების) მგზავრულს, თვით მხარულ კილიში ამოიცილობთ ვიფხვ უდარდელ შაშხინების სახეს.

მთვლის გამარჯვების სიმღერა ურითმოა. თარგმანში მშვენიერადაა გადმოცემული ლექსის დინამიური რიტმი და ლალი ინტონაცია. უარშით და განწყობილებით გმირულ საგას უაბლოვდება.

წიგნში ნახატების თემატკია კარგადაა შტრიხული; ილუსტრირებულია მოთხრობის ყველა ლიბსშესანიშნავი მომენტი. მაგარამ უნდა ათქვას, რომ თვით ნახატები მეტიად სქემატური და უძარდლია.

ამგერ უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: საბავშვო წიგნის გამომცემლები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ წიგნის ტექნიკურად ლამუშავების მხარეებსაც. უნდა ვეცილოთ თავიდან ავიცილოთ კორექტორული შეცდომები. სარეცენზიო წიგნში მაინც გვხვდებით „სიონის ზროვის სანადირო სიმღერაში“ ბოლოდან მესამე სტრიქონში „შემზარაგის“ მიგვრად უნდა იყოს „შემზარაგის“. ეს უბრში შეცდომაა. რადგანაც მომდგენო სტრიქონში მესამე შტრიქონში სიტყვა „მზარაგის“ და ლექსის თავისი სახე გვარგება. ასეთივე შეცდომები 168-ე გვარდზე, 55-ე გვარდზე და სხვა.

„მთვლის“ ქართული თარგმანი კარგად გადმოცემს კიბლინგის თხრობის ისტატურ ხლართს, მის სტილს, ენისა და სახეთა თავისებურებას და ძვირფას სახტუქარს წარმოადგენს ზვენი ახალგაზრდობისათვის.



ქველი მართული დრამატიული ძეგლები

„სამსახეობა რაინდისა“, ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვი-ბითა და შენიშვნებით. საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1947 წ.

აღნიშნული ძეგლის გამოცემით ქართული ხელოვნების შესწავლის სფეროში ერთი შესამჩნევი ნაბიჯია წინ გადადგმული. ძველი ქართული თეატრისა და სახიობის ეს ცოცხალი ნიმუში მრავალხრივ საგულისხმო მასალას იძლევა, როგორც ადრინდელი ჩვენი დრამატურული მწერლობის, აგრეთვე „მულის საგრძნობრი“ კიბეებისა და გემოვნების დასახისათვის.

პიესა დაწერილია 1836 წელს, შეიქმნა ორ მოქმედებას („სახეს“), რომელიც მიმდინარეობს საქართველოში („კავკასიისა კალთას ზედა“, სადაც „საპარეზი სასახიობე“ დამშვენებულია ყვავილებით, ჩანჩქერებით, მტევნებით დამძიმებული „ვახნი წარმოადგენენ მიწის სიუხვესა“, სანოვაგით სავსე გაშლილ სუფრასზე ჩამორიგებულია: აზარფემა, ბაღია, კახია და სხვ.). მოქმედი პირებია: განსწავლული და გამოჭრისი რაინდი, მოხუცი მერონგურე სირაქე, მუდამ მართლის მოქმედი ზეპარა მუხამე, რუსეთის მეფის სამსახურში მყოფი რუსოფილი თავკეცი, ჭაბუკი, მოყმენი, დარბაისელი, მინაპი, უფლისწული, თვადნი, სპასალარი, მეცნიერნი, მეფის კარისკაცი, ჯარისკაცი, მედაოერი, მგოსანი, მერხვენი, მწიწნილინი, სასახლის ქალები, მოახლენი და სხვ..

ამ პერსონაჟთა მთელი მოქმედება, სიტყვა იქნება ის თუ საქმე, ოხუნჯობა, ირონია თუ გაჭირდება, სიმღერა თუ შაირობა, მიმართულია თავკეცის წინააღმდეგ; ის, როგორც სამართლიანად მიუთითებს სარეცენზიო წიგნის რედაქტორი, რუსული განათლება-გაწერანობის მომხრეა; ამიტომ ყველა მის წინააღმდეგ ახედრებულია, „რამეთუ გიორგია არს გიორგინათვის“. როგორც თვით ავტორის მინაწერიდან ჩანს, ეს ნაწარმოები არის „სამავალითო, სასახიობე ალიგორები“, დაწერილი იმპოთის, „ვის მამული თვისი უკვარს“. და მართლაც მასში ალგორითულად გამოცემულია საქართველოს, როგორც მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლების მდგომარეობა, აგრეთვე ძველი, ე.წ. ოქროს საუკუნეებისა—დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქა, რომ მით გააღვიძოს თინამედროვე ქართველობაში გმირული სული სამშობლოს ვასაოების უფლებად.

ყველაფერი ეს უდავოს ხდის, რომ პიესა დაწერილია 1832 წლის ცნობილ შეთქმულე-აამდე თუ არა, იმ ხანებში მაინც, და შემდეგ, როგორც ტექსტის ვარიანტები გვარწმუნებს, რამდენიმეჯერ სხვადასხვა დროს გადაწერილია. ამ მხრით ძეგლის რედაქტორსა და გამომქვეყნებელს საგულისხმო შემოხმა ჩაუტარებია: ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაცული ტექსტი, საქართველოს საბ. მუზეუმში დაცულ (X: 1762) ვარიანტისათვის შეუდარებია და მით ზოგიერთი დანაკლისი შეუქცია, ამ პიესასთან დაკავშირებული თეიმურაზ ბატონიშვილის პოემა „ეშლი“ დაუმატებია, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთავს და ამით მთელი რიგი საინტერესო საკითხებისა წამოუყენებია და გაუშუქებია. მაგრამ მაინც იმდენი შეუსაბამობანი და შეცდომებიც გაჰპარვია, რომ ეს მეტად სასარგებლო შრომა სამათ მანძილზე დარღვილია და გაბუნდოვნებული. რეცენზიის ფარგლებში შეზღუდვილი, დაწერილით ვერ გამოვლდებით აღნიშნულ გამოცემაში დაკრძალულ ყველა სახის შეცდომას, თუ არა ისევე უმთავრესებსა და პრინციპული ხასიათის შეჭინეთ. ასეთებია შემდეგ:

1. რაც მეთხველს თვალში ეცემა, ძველი ანონიმურ თხზულებად არის გამოცხადებული და მასზე თეიმურაზ ბატონიშვილის ნამდვილი იტორობა, გადაპარბებული სიჭრთობისა თუ სათანადო მასალის შეუსწავლელობის მიზეზით, უგულუბეუყოფილია. ნამდვილად კი აღნიშნული პიესის იტორია თეიმურაზ ბატონიშვილი (1782 — 1846), ძე მეფე გიორგი მეცამეტისა. ამის უცილობელი საბუთები იმავე არქივში მოიპოება, საიდანაც თვითონ ეს ძეგლი გადმოწერილ იქნა, და მასთან ერთად აგრეთვე მეორე თხზულება მეფის-ძე თეიმურაზისა — „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“. (იხ. ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, წერალითა და შენიშვნებით, 1945 წ. თბილისი, გვ. 104). არც პირველსა და არც მეორე ხელნაწერს არსად აწერია, რომ ისინი თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებებია, მაგრამ ტექსტის, კალიგრაფიის, შინაარსის, ეპოქის, სტილისა და მანერის შესწავლამ გაარკვია ბატონიშვილის ავტორობა „მოგზაურობაზე“, რომლის პირველი თავიც ამგვარად იწყება: „სანკრპეტერბურგით წელსა 1836-ს მაისის 26, სულ-

**შინაარსი**

ილო მოსაშვილი — მათ გამარჯვება! — ლექსი . . . . .	83
აპაქი ბილიაშვილი — თავგადასავალი ბესიყ გაბაშვილისა, რომანი, გაგრძელება . . . . .	5
ვახტანგ გორგბანილი — ორი ლექსი . . . . .	29
სოლომონ თამაძე — აბესალომ მუხიგული, რომანი . . . . .	31
მიხეილ ლეჩოხიძე — სამი ლექსი, თარგმანი კოლაუ ნადირაძისა . . . . .	66
ნართული შარანი — თავები პოემიდან, თარგმანი ეასო გორგბანიისა . . . . .	68



პიტრი შარანი — ი. ბ. სტალინის თხზულებათა V ტომი, წერილი . . . . .	81
პ. რატიანი — ილია ჭავჭავაძის მსოფლმზებდველობის საფუძვლების შესახებ, წერილი . . . . .	97
შოთა შიშიშვილი — სიტყვის სესხება, წერილი . . . . .	118



აკად. ივ. ბერიტაშვილი — ჭეცვა და ტენის სპონტანური მოქმედება, წერილი . . . . .	144
---	-----



გიორგი შარანი — ბერლინერ ტაგებლათის რედაქციისადმი . . . . .	154
---	-----



მირი იანოშვილი — რ. კიპლინგის „მეგლის“ ქართული თარგმანი, ბიბლიოგრაფია . . . . .	158
სოლომონ შანიანი — ძველი ქართული დრამატული ძეგლები, ბიბლიოგრაფია . . . . .	163



პასუხისმგებელი რედაქტორი  
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრი აბაშიძე, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), იოსებ ბარბაქაძე, პავლე ინგოროშვილი, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (დასაშვები), ბესარიონ თლუთი, გალაქტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დიმიტრი შინგელიანი.

---

ბეჭდვით დასაბეჭდად 26/VIII-47წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10½ ფ. ში 02977.  
შეკვ. № 1400. ტირაჟი 5.300.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა  
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: მანაბუღის ქ. № 13.